

ბაია ასიეშვილი

როსტომ გოგოლაძე

საგალოპელი

თბილისი
2016

ISBN 978-9941-0-8950-3
სუპ 929

ფონდ ქართული გალობის გამოცემათა სერია – ქართული სიმღერის მოამაგე – ფონდის მიერ სხვადასხვა წელს დაჯილდოებულ დიდ ლოტბარებსა და მომღერალ-მგალობლებს ეძღვნებათ. სერიის ფარგლებში უკვე მეოთხე წიგნი გამოიცა.

მონოგრაფიაში ასახულია ამბროლაურის ანსამბლ საგალობლის დამ-აარსებლისა და სელმძღვანელის, რაჭული სიმღერის უბადლო მცოდნის – როსტომ გოგოლაძის – ცხოვრება და შემოქმედება. ფონდმა რაჭული სიმ-ღერის აღდგენა-პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისათვის 2013 წლის 11 ივნისს როსტომ გოგოლაძეს ქართული ხალხური სიმღერის მოამაგის საპატიო წოდება მიანიჭა.

რედაქტორი ნინო კალანდაძე-მახარაძე

გამოცემაზე მუშაობდნენ: ნანა ვალიშვილი, ნინო შველიძე, ნანა კალანდაძე, თეა კასაბური, მაია მაისურაძე, გულიკო ბაშარული

აუდიომასალა ჩაწერეს და გამოსაცემად მოამზადეს:
ნანა ვალიშვილმა, უჩა პატარიძემ
ხმის რეჟისორი არჩილ ბურჭულაძე

პროექტის კოორდინატორი ნინო რაზმაძე

დიზაინერი თამუნა დევდარიანი
ფოტომასალა დამუშავა ლაშა ციხისელმა

© ფონდი ქართული გალობა
© საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი





მარტი

ოაჭული სიმღერის მოამაგე

როსტომ გოგოლაძე

ქართული ხალხური სიმღერის დღიგენა-პოპულარიზაციაში
ქერანილი წელილისათვის

11 ივნისი 2013 წელი

სრულიად საქართველოს
კათალიკოს-პატრიარქი
იღია II



ფონდის დამფუძნებელი
განო ჩხარტიშვილი

წიგნი ეძღვნება ქართული სიმღერის მოამაგის, ცნობილი ლოტბარის, რაჭული სიმღერის აღმდგენისა და პოპულარიზაციონის, ანსამბლ საგალობლის დამარსებლისა და უცვლელი ხელმძღვანელის, როსტომ გოგოლაძის 70 და საგალობლის 45 წლისთავს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქვემო რაჭის სამუსიკო ფოლკლორსა და მათ მესვეურებზე ასეთი წიგნი პირველია. ამდენად, თავი ვალდებულად მივიჩნიო, ცოტა რამ იმათზეც მეთქვა, ვინც რაჭული სიმღერა როსტომ გოგოლაძემდე მოიტანა.

მონოგრაფიაში მკითხველი გაეცნობა როსტომ გოგოლაძისა და მისი მომღერალი ოჯახის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ანსამბლის წევრთა შემოქმედებით ბიოგრაფიებს, შეფასებებს, მოგონებებს, რეპერტუარს, რაჭული სიმღერის მოძიებისა და აღდგენის ურთულეს პროცესს. წიგნს ერთვის დოკუმენტური, ფოტო და აუდიომასალა, ასევე ბიბლიოგრაფია. ფოტო და დოკუმენტური მასალები მოძიებულია საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში; როსტომ გოგოლაძის, ნათელა გოგშელიძისა და საგალობლის წევრთა საოჯახო არქივებში. აუდიომასალა აღებულია ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ 2011 წელს გამოცემული აუდიოალბომიდან.

ვერიქრობ, ეს მოკრძალებული ნაშრომი საინტერესო იქნება ეთნომუსიკოლოგებისათვის, სპეციალისტებისა და ლოტბარებისათვის; გაახარებს ქართული ხალხური (რაჭული) სიმღერისა და საკრავიერი მუსიკის მოყვარულთ; ხელს შეუწყობს რაჭული სიმღერის დღეგრძელობას და შემსრულებლობის პრობლემების კვლევას, რაჭული სიმღერით მომავალ თაობათა დაინტერესებას.

ექსპედიციების დროს საუკეთესო სამუშაო პირობების შექმნისათვის ავტორი დიდ მადლობას უხდის იური კობახიძის ოჯახს, განსაკუთრებით ჩინებულ პედაგოგსა და დიდებულ პიროვნებას დეზდემონა მიქაუტაძე-კობახიძეს.

დახმარებისა და მასალების მოწოდებისათვის უდიდეს პატივისცემას გამოვხატავ და განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი სრულიად საქართველოს გაზეთ რაეოს გამომცემელს, ბონდო გაგნიძის მეუღლეს, ქალბატონ ნანული ნანიტაშვილ-გაგნიძეს.

ასევე უდიდეს მადლობას ვუხდი ფოლკლორის ცენტრის სპეციალისტებს, ეთნომუსიკოლოგებს – ნანა ვალიშვილს, ნანა კალანდაძეს, ნინო შველიძესა და თეა კასაბურს.

შინაარსი

შესავალი	9
წინამორბედნი	17
როსტომიანი	53
საგალობელი	99
ზიარების სანახოდან გეზელიას სანახომდე	179
გამოყენებული ლიტერატურა	201
აუდიოდანართის ნუსხა (ქართულ და ინგლისურ ენებზე)	203
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე)	208

შესავალი

აქ ნაშენობდა, აქ მრავლობდა
განთქმული შრომით
ჩვენი ბრძენი და თავმდბალი
ქართული ტომი...
და, სადაც იყო, თან დასდევდა
ფიქრი მტანჯველი
და თვალწინ ედგა უტკბილესი
მიწის ნაჭერი.

მურმან ლებანიძე

რაჭაზე იმდენი თქმულა და დაწერილა, ახალს ვერაფერს იტყვი
და დაწერ. „თვით შური, მტრობაც“ ვერ უპოვის მის უნიკალურ სი-
ლამაზეს ვერავითარ ნაკლს. რაჭა, მართლაც, „საქართველოს უხ-
დება“ (გია ჯოხაძე), ალბათ, ამიტომაც წამოედო იგი მრავალი დიდი
ქართველისა თუ უცხოელის კალმის წვერს. რაჭაზე უწერიათ და
რაჭის ქება უთქვამთ: ვახუშტი ბაგრატიონს, ილიას, აკაკის, იაკობ
გოგებაშვილს, ივანე ჯავახიშვილს, ექვთიმე თაყაიშვილს, აკაკი შან-
იძეს, დიმიტრი არაყიშვილს, შალვა ასლანიშვილს, ნიკო კეცხოველს,
სერგი მაკალათიას... ფრანგ ისტორიკოსს – მარი ბროსეს, შვეი-
ცარიელ მეცნიერს – დოუბუა დე მონპერეს, გერმანელ მეცნიერებსა
და მოგზაურებს – იოჰან ანტონ გიულდენტედტსა და კარლ კოხს,
გერმანელ ორიენტალისტს – ჰენრიხ კლაპორტს, ფრანგ მოგზაურსა
და დიპლომატს – უაკ ფრანსუა გამბას, ინგლისელ მოგზაურებს –
დუგლას ფრეშილდსა და გსიოვეს, ინგლისელ მხატვარს – ადოლფ
მურს, იტალიელ მთამსვლელსა და ფოტოსელოვანს – ვიტორიო სე-
ლას. განსხვავებულია მოსაზრებანი თაკვერ-რაჭის სახელწოდების
შესახებ. ქართული ეთნოსის სიღრმისეულ ფენებში ამარანტი, შემ-
დეგ – თაკვერი, უფრო მოგვიანებით – რაჭა. ისე როგორ იქნებოდა,
რომ ლეგენდა თამარს – „ქართველთა ლამაზ დედას“ – არ დაკავ-
შირებოდა. შეიძლება, რაჭა მართლაც ჭისგან მოდიოდეს, შეიძლე-
ბა, რაჭის პირველი ერისმთავრისაგან – რატისაგან, ანდა სულაც

სვანური რაჭუსგან (კურდლელი). ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, მაგრამ უნებურად ფიქრი ამარანტუ-ამარანტუსზე გაგექცევა, ფაზის-რიონის სათავესა და კოლხური ტომის საცხოვრისზე რომ მიუთითებს არაერთი ბერძენი ავტორი (აპოლონიოს როდოსელი, აპოლონიოს სქოლიასტი, კტესია კნიდოსელი, სტეფანე ბიზანტიელი). ამარანტები – კოლხური ტომი, ამარანტების მთებში დევს ფაზისის – ამარანტის – სათავე; ამარანტი – თეთრი მდინარე, მარადმწვანე მდელოებით; ამარანტი – სამკურნალო ბალახი, მედეას რეცეპტის ერთ-ერთი ელემენტი. ამარანტ-ამირანის მსგავსებაზეც უფიქრიათ (აკაკი, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ჯანაშია). იქნებ ამარანტს უფრო შორეულ ეპოქაშიც გადავყავართ, ცივილიზაციის გარიურაჟზე შუმერსა და ეგვიპტესთან: ამონ-რა-ატუმ (ამონ – ბუნების ღმერთი, რა – მზე, უპირველესი ღმერთი, ატუმ – შემოქმედების ღმერთი) და ყურადსალები მიგნება: რაჭის სახელწოდებაში ფიგურირებს თავსართი „რა“; ხალხური სიმღერები – რაშოვდა და რაეო, ჩემო დედაო – ამ მარცვლით იწყება (გაგნიძე, 1993:07–08; გობეჯიშვილი, 1998:41–42).

რაჭამ და რაჭველებმა, ამ ძველთუძველესმა რიცნითაველებმა, თავიანთი გამორჩეული, განსხვავებული და მნიშვნელოვანი სიტყვა თქვეს ქართულ ენაში, საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიაში, ეთნოგრაფიასა და ეთნოლოგიაში და, რაც ზევნთვის მეტად ძვირფასია, ქართულ ფოლკლორში – ქართულ სიმღერასა და ცეკვაში, ზეპირსიტყვიერებასა და გამოყენებით ხელოვნებაში. რაჭა გეოგრაფიულად დასავლეთ საქართველოს მიეკუთვნება, მაგრამ თავისი მდებარეობით აღმოსავლეთ საქართველოსაც მჭიდროდ უკავშირდება. განსაკუთრებით ეს აისახა და გამოვლინდა რაჭული ხალხური სიმღერების თავისებურებებში. რაჭის მუსიკალურმა კულტურამ ქართულ სამუსიკო ფოლკლორში დამოუკიდებელი მუსიკალური დიალექტი შექმნა და ქართული ხალხური სიმღერის არაერთი მკვლევრის ყურადღება მიიქცია, მათ შორის, უპირველესად, დიმიტრი არაყიშვილისა.

ფოლკლორისტიკაში დიმიტრი არაყიშვილის მუშაობა განსაკუთრებით გამორჩეულია 1901–1918 წლებში – მოსკოვის პერიოდში, როდესაც მან ოთხი სამუსიკო-ფოლკლორული ექსპედიცია მოაწყო საქართველოში, დიდალი ხალხური სასიმღერო მასალა შეაგროვა და კრებულებად გამოსცა. მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული

საგანგებო მუსიკალურ-ეთნოგრაფიული კომისიის დავალებით, დიმიტრი არაყიშვილი 1901 წლის ზაფხულში ესტუმრა სამშობლოს – ქართული სამუსიკო ფოლკლორის და მასთან დაკავშირებული ხალხური პოეზიის ნიმუშების შესაგროვებლად, ასევე, ხალხური საკრავების აღნერისა და კლასიფიკაციისათვის. თან ჰქონდა ერთი ძველი გრაფოფონი¹ და 30 მანეთი. ეს თანხა მეცენატმა დავით სარაჯიშვილმა გაიღო. სწორედ ამ ექსპედიციის დროს, 1901 წელს, დიმიტრი არაყიშვილმა ქუთაისში თბილისელი და ქუთაისელი რაჭველი მუშებისაგან (მტვირთავებისაგან) ჩაინირა რამდენიმე სიმღერა, ეს იყო რაჭული სიმღერის დაფიქსირების პირველი შემთხვევა (რაჭული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები და სიმღერის ტექსტები ხშირად იბეჭდებოდა XIX საუკუნის II ნახევრის პრესაში. გაზეთ „ივერიაში“ 1887 წელს გამოქვეყნდა ლექს-სიმღერის ქვედრულა მოდიდებულა ერთ-ერთი ვარიანტი – ბ.ა.). მეცნიერს მომღერლების შეგროვებასა და ჩანერაში დახმარებიან მღვდელი ვასილ კარბელაშვილი (შემდეგში ეპისკოპოსი სტეფანე) და ე. ბასილაა. ამ ჩანანერზე შენიშვნასაც ზუსტს, არაყიშვილისეულს, აკეთებს: „ახლა გაკვრით ვიტყვი რაჭულ სიმღერაზე, როცა მასალა დამიგროვდება, ვრცლად მაშინ დავწერ. რაჭული სიმღერა თავისთავად აღძრავს უამრავ საინტერესო საკითხს, ამიტომ აუცილებელია მუსიკოსი-ეთნოგრაფის საფუძვლიანი ჩასვლა იქ და მხარის კარგად გაცნობა. ჩანს, იქაური ხალხი მეტისმეტად მუსიკალურია და საინტერესო, რომელმაც თავისი სიმღერა სრულად შემოინახა. იგი არის ასევე მთავარი წარმომშობელი მუსიკოსების – „მესტყირებისა“, რასაც ასევე აქვს მნიშვნელობა“ (ხუჭუა, 1980:113).

1908 წლის ზაფხულში დიმიტრი არაყიშვილი მეორედ ჩამოვიდა საქართველოში, მოიარა ხევი, მთიულეთი, რაჭა-ლეჩხუმი და იმერეთი (ამ ექსპედიციის მასალები დაბეჭდა მუსიკალურ-ეთნოგრაფიული კომისიის შრომების V ტომში – 1916 წელს). კომპოზიტორი რაჭულ სიმღერას ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. 1946 წლის 27 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესიაზე მან წაიკითხა მოხსენება „რაჭული სიმღერა“ და კიდევ ერთხელ გულისტკივილით აღნიშნა: „რაჭული სიმღერა დღემდე არ არის სათანადოდ შესწავლილი, მაშინ, როცა საქართველოს ეს კუთხე

1 ედისონის მიერ გამოგონილი ფონოგრაფის თავდაპირველი სახელწოდება.

მდიდარია ხალხური სიმღერების ძვირფასი ნიმუშებით... რაჭულ სიმღერას, როგორც საუკუნეთა განძს, როგორც ხალხის გენის მიერ ხანგრძლივ ისტორიულ გზაზე შექმნილ მემკვიდრეობას, როგორც მისი მაღალი კულტურის მაჩვენებელს, განსაკუთრებით უნდა ვაფასებდეთ. მრავალხმიანობის შექმნა სწავლული მუსიკოსების გარეშე განსაკუთრებული მოვლენაა და ამას შეიძლება ადგილი ჰქონდა მხოლოდ ისეთ, მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ ხალხში, როგორიც არიან რაჭველები“ (ხუჭუა, 1980:112). და კომპოზიტორის კიდევ ერთი მოსაზრება: „როდესაც თქვენ უსმენთ რაჭულ სუფრულ სიმღერებს, თავს გრძნობთ არა რაჭაში, არამედ ქართლსა ან კახეთში. ასეთივე განწყობილება გექმნებათ სხვა კატეგორიის სიმღერების მიმართაც“ (იქვე). მოხსენების ეს დებულებები საფუძვლად დაედო 1950 წელს გამოქვეყნებულ არაყიშვილის შრომას რაჭული სიმღერა.

1908 წელს დიმიტრი არაყიშვილის მოგზაურობას რაჭაში თავად რაჭველთათვის უკავალოდ არ ჩაუვლია. მისი მასპინძლები ყოფილან და ამ ძნელ საქმეში დახმარებიან მალაქია, ლადო და გრიშა ჯაფარიძეები (უჩა ჯაფარიძის მამა და ძმები. ლადო და გრიშა ჯაფარიძეებს ამ პერიოდში დაუხატავთ დიმიტრი არაყიშვილის პორტრეტი, რომელიც ამ წიგნს ერთვის. სურათი ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოიძიეს ნანა კალანდაძემ და თეონა რუხაძემ). საერთოდ, დიმიტრი არაყიშვილსა და ამ მოგზაურობაზეც შესანიშვი მოგონება დაწერა ლადო ჯაფარიძემ – „შეხვედრები კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილთან“ (ჯაფარიძე, 2004). (წყაროს მითითებისათვის და, საერთოდ, ყველაფრისათვის ავტორი დიდ მადლობას უხდის ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლებს – გია ბერიშვილსა და დავით ჯაფარიძეს).

1909 წელს, შალვა ასლანიშვილის ცნობით, ქუთაისში რაჭველი მომღერლებისაგან ორი რაჭული სიმღერა ჩატარია ფალიაშვილს. 1928 წლიდან სამმა ექსპედიციამ რაჭული ხალხური სიმღერებისა და მათი ვარიანტების დიდი რაოდენობა ჩაწერა შალვა ასლანიშვილის ხელმძღვანელობით (1937 წ; 1949 წ.), ძირითადად, ზემო და მთის რაჭაში. 1928 წელს, გამონაკლისის სახით, შალვა ასლანიშვილს ჩაუწერია ქვემო რაჭის ორი სოფლის – წესისა და კვაცხუთის – მომღერლები (1928 წლის ექსპედიციის ჩანაწერები დაცული იყო სსრკ-ის

მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ფილიალში – ეთნოგრაფიის განყოფილებაში). წესელებისგან ჩაუწერია: ხეურო, ალილო, ზარი, მრავალუამიერ (ასლანური), სულთანი, თოხნური. კვაცხუთელთაგან – ოცდასამი საგალობელი: ამინ; უფალო, შეგვიწყალე; შენ, უფალო; მოგვმადლე; შენ, უფალო (გრძელი); მოვედით, თაყვანი ვსცეთ; მამასა და ძესა; ქერუბინთა; წმიდაო, წმიდაო, საბაოთ; უფალო, შეგვიწყალე (გრძელი); უფალო, შეგვიწყალე; წმინდაო ღმერთო; უფალო (მოკლე); შენ გიგალობ; ამინ, და ვითარცა; მამაო ჩვენო; ყოველთა და ყოვლისათვის; უფალო, შეგვიწყალე (სამი); და სულისა შენისა; დიდება შენდა, ღმერთო; ღირს არს ჭეშმარიტად; მრნამსი; ეკლესი-ური მრავალუამიერ² (ასლანიშვილი, 1950).

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში გრიგოლ კოკელაძემ ვასილ კობახიძის რაჭა-ლეჩხუმის გუნდისაგან ჩაიწერა (ნოტებზე გადაიტანა) სიმღერები: მაღლა მთას მოდგა, მაყრული, მრავალუამიერი, მუშური, რაეო, რაშოვდა, სუფრული, ქვედრულა, ყურძენმა სთქვა. ეს სიმღერები მუსიკოსმა გამოსცა სხვადასხვა კრებულში: ქართული ხალხური სიმღერები – „რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი“ (1975); „50 ქართული ხალხური სიმღერა“, | კრებული (1978); „30 ქართული ხალხური სიმღერა“ (1982); „100 ქართული ხალხური სიმღერა“ (1984).

1937 წელს ამბოლაურში გრიგოლ კოკელაძემ და შალვა ასლანიშვილმა თვითმოქმედი გუნდისა და მესტვირებისაგან ჩაიწერეს რამდენიმე ხალხური სიმღერა. 1949 წლის ექსპედიციისას შალვა ასლანიშვილს ქვემო რაჭველებისაგან არაფერი ჩაუწერია. შემდეგ წლებში რაჭული სამუსიკო ფოლკლორის დაფიქსირების, კვლევისა და შესწავლის სრული სურათის წარმოსაჩენად ეთნომუსიკოლოგმა ნანა ვალიშვილმა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულების ლაბორატორიაში მოიძია ქვემო რაჭაში სხვადასხვა წლის ექსპედიცია, შემსრულებლები და რეპერტუარი. ვფიქრობთ, მათი გაცნობა ერთობ მნიშვნელოვანია. დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუხდით: ქეთევან მათიაშვილს, ნინული ნაკაშიძესა და ნინო მახარაძეს.

2 დედნის სტილი დაცულია.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ექსპოზიციაში ქვემო რაჭაში – 1954–2015 წ.

ჩიჯავაძე ოთარ – 1954 წელი

სადმელი, ლიხეთი, ამბროლაური, ჭელიალელე.

ჩხიკვაძე გრიგოლ – 1958 წელი

სოფელი სინათლე: წყლის პირას დგანან ბალები

ლიხეთი: დიდი დაიძრა სულთანი; ამ გრიგოლ ყავდა ბეგნიო; გავხედე, რიყე მეგონა; სუფრული (მიყვარს ამგვარად).

კვაცხუთი – ძმები ნიკოლაშვილები, ძმები საგანელიძეები: ალილო; ასლანური მრავალუამიერ; მაყრული; ქრისტე ალდგა; პიტნა-პიტნა.

სადმელი: შრუშანა; შენ, პატარა მდადე ანო; ალიფაშა; მაყრული; ალილო; მუშური (თოხნის დროს).

წესი: ე ბიჭია ჩინჩიბური.

წკადისი: რაჭული მაყრული.

თლული: ო, დილა, დელა; მუშური (თოხნის დროს); მრავალუამიერ.

ხოტევი: ქვედრულა; ავთანდილ გადინადირა.

ჟორდანია მინდია – 1962 წელი

ჭრებალო – დარიკო ბიჭაშვილი: იავნანა; აკვნის ნანები; ბატონე-ბო; ბატონების შელოცვა.

მუხლი – ალექსანდრე, შოთა და გაბრიელ ისაკაძეები, აპოლონ კაკლიაშვილი: დიგორი და ბასიანი; მაღლა მთას მოდგა; ერთხელ ნისქვილს წასკლისათვის; რაჭული მაყრული; სუფრული (ავთანდილ გადინადირა); სუფრული.

კვაცხუთი – ნიკოლაშვილი აველ, ნიკოლაშვილი რუბენ, ბიჭაშვილი გრიგოლ, საგანელიძე დავით, გელოვნიშვილი ოთარ, საგანელიძე ია და ელენე, ნამგალაძე გედეგან: ალილო; დადგა შემოდგომის წვიმა; ქრისტე ალდგა; მაყრული; ასლანური მრავალუამიერ; მუშური; ქალსა ვისმეს; ცოლი და ქმარი; თეთნულდის მთაო მაღალო; საბოდი-შო (ბატონების სიმღერა გიტარის თანხლებით); ბატონებო.

ლიხეთი – ჟენია ხუციშვილი, ედესია კანთელაძე, ილიკო მელაშვილი; გუნდი – ვასილ, ვარლამ გოქსაძეები (სოლო), დომენტი გო-

ქსაძე, ბეჭიძე: ნანა; იავნანა; ბატონებო; როსტომ გმირის სიმღერა; ლექსი ამირანზე; წისქვილის ლექსი (ტექსტი); მკის სიმღერა (ტექსტი); გავხედე, რიყე მეგონა; ჯამათა; მაყრული; ქვემოური მაყრული; მუშური – თოხნური; ნერეთელმა დეიბარა; დიდი დაიძრა სულთანი; დიგორი და ბასიანი; როს იძრა ცა და ქვეყანა; ქრისტე აღდგა.

ჩხიკვაძე გრიგოლ – 1967 წელი – ივეტ გრიმოსთან ერთად

ამბროლაურის კულტურის სახლის სარაიონო გუნდი – ხელმძღვანელი ნათელა გოგშელიძე: რაეო, ჩემო დედაო.

ბოსტანას კლუბთან არსებული მოხუცთა გუნდი, ხელმძღვანელი ტიმოთე გორგასლიძე: მიყვარს ამგვარად; ოდელია; რაჭულო ღვინოვ.

ცახი: ქრისტე აღდგა; ალილო; მაყრული.

ჩიჯავაძე ოთარ – 1971 წელი

ხვანეჭკარა, ბოსტანა, გორი, ხიდიკარი, სადმელი, ლიხეთი, ამ-ბროლაური, ჭელიალელე.

ჭოხონელიძე კუკური – 1974 წელი

ხიდიკარი – ჯაფარიძე ტარასი (64 წლის), ბარსონიძე ავთანდილ (50 წლის), ბიჭაშვილი ოქრო (38 წლის), გოგოლაძე ექვთიმე (70 წლის), ნიკოლაშვილი რუბენ (60 წლის), ბიჭაშვილი გრიგოლ (64 წლის), ნულუკიძე ვლასი (55 წლის), გოგობერიშვილი გიორგი (58 წლის), ნიკოლაშვილი უჩა (45 წლის): ასლანური მრავალუამიერი; ალილო; ერთხელ ჩვენმა მოყვარემა; მოკლე მრავალუამიერი (ხიმ-შური); პიტნა, პიტნა, პიტნიცაო (ქალაქური ტიპის); სულმან მათმან (სიონური გალობა); ქრისტე აღდგა (სიონური გალობა); ქრისტე აღდგა (ფერხული); ჯამათა; რაჭული მაყრული (ავთანდილ გადინადირა); მუშური; დიგორსა დასხდენ ვეზირნი.

ტბეთი – ვერა ბაგრატის ასული ჭოხონელიძე (70 წლის): ბატონების ნანინა (არ ისმის).

ოთარ კაპანაძე, სოფო კოტრიკაძე, ნინო ჩიტაძე, თეონა ლომსაძე – 2011 წელი – წესი, კრიხი, ლიხეთი.

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის სახელმწიფო ცენტრის
ექსპედიციები ქვემო რაზები – 2011-2015 წწ.**

უჩა პატარიძე, არჩილ ბურჯულაძე – 2011 წელი

ფოლკლორის ცენტრის ხმის ჩამწერი მოძრავი სტუდიით ჩაინირეს ანსამბლ საგალობლის რეპერტუარი აუდიოალბომის გამოსაცემად.

თეონა რუხაძე – 2013 წელი

ანსამბლ საგალობლის დისკის წინასიტყვაობისათვის ჩაინირა ანსამბლის ბიოგრაფია.

ნანა ვალიშვილი, ბაია ასიეშვილი – 2014 წლის მაისი, ოქტომბერი.

მონოგრაფიისათვის როსტომ გოგოლაძე მასალების მოძიება და შეკრება. მოიძიეს რეპერტუარი, ბიოგრაფიული, ფოტო და დოკუმენტური მასალები.

ნანა ვალიშვილი, ეთერ თათარიძე, თეონა რუხაძე, ნინო ლამპაშიძე – 2015 წლის აგვისტო. კომპლექსური ექსპედიცია ქვემო რაჭასა და ლეჩხუმში.

თინამორგები

მე მამაჩემზე მეტს უხედავ,
რადგანაც მის მხრებზე ვდგავარ
ისააკ ნიუტონი

გასული საუკუნის 60–70-იანი წლებიდან დიდი ცვლილებები მოხდა ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობაში, შესუსტდა, თითქმის მოიშალა მრავალრიცხოვანი გუნდების ტრადიცია და წინ წამოინია ანსამბლებმა, ჯგუფებმა, ტრიოებმა (ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობაში გაჩენილ ცვლილებათა მიზეზები და ახალი მიმართულების წარმოშობის საფუძვლები იმდენად ღრმად, მეცნიერულად, დამაჯერებლად და უიშვიათესი ტაქტით აღნერა ედიშერ გარაყანიძემ სამეცნიერო ნაშრომში „ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობა“, რომ საჭიროდ აღარ მიგვაჩინა მისი გამოერება). პროცესმა მთელი საქართველო მოიცვა და გამონაკლისი არც რაჭა იყო. ახალს კი ჩაეყარა საფუძველი, მაგრამ ძველი იყარგებოდა, ძირძველს შველა, აღდგენა, გადარჩენა სჭირდებოდა და ეს ისტორიული მისია იტვირთა 1972 წელს ამბროლაურის ფოლკლორულმა ანსამბლმა საგალობელმა. ორმოცი წელია მას სათავეში მომღერალი ოჯახის, გვარის, მომღერალი სოფლის შვილი როსტომ გოგოლაძე უდგას. ასეთი ანსამბლები, ასეთი ლოტბარები, მომღერლები ლირსი არიან, რომ მათზე, მათს ღვაწლსა და დამსახურებაზე დაიწეროს. მათი ნამღერი, მათი ხმები საშთამომავლოდ უკვდავყოთ, მაგრამ ეს წიგნი არ იქნება მარტო საგალობელსა და მის ლოტბარზე. ჩვენ, შეძლებისდაგვარად, გვსურს, „კეისიარს კეისრისა მიუზტოთ“ და, სადამდისაც ჩვენი თვალსაწიერი გასწვდება, ქვემო რაჭის ის მომღერლები, ლოტბარები და დიდი კაცები გავიხსენოთ, რომელთაც საგალობლამდე მოიტანეს რაჭული ხალხური სიმღერა, დაკარგვა-გაქრობას გადაარჩინეს და დღეს თამამად შეიძლება ითქვას: რაჭული სასიმღერო დიალექტი ცოცხალია, ქმედითია და ქართული ხალხური სიმღერის უნიკალურ მრავალფეროვნებაში თავის სიტყვას ამბობს.

უნარსულოდ არც აწმყო არსებობს და არც – მომავალი. არ შეიძლება, დღევანდელობაზე წერდე და თვალი გარდასულს არ მია-

პყრო, არსებულის მიზეზი, საბაბი და საფუძველი ნამყოში არ ეძიო. ქართული ხალხური სიმღერა სამყაროსავით ძველია და რაჭველი კაციც მას უხსოვარი დროიდან მღერის. მასაც მრავალჯერ დასდგომია უამი „ქვათა განყრისა“ და სწორედ მაშინ სჭირდებოდა პატრონი და ჭირისუფალი. საგალობელმა და მისმა ახალგაზრდა ლოტბარმა ეს უმძიმესი მისია იტვირთეს და „ქვათა შეკრების“ უამად აქციეს, მაგრამ არც იმათი სახელების დავინუყება ეგების, რომლებმაც მანამდე გასწიეს ჭაპანი და შვილებმა მამების მხრებიდან უფრო მეტი დაინახეს, დაინახეს და „ჭკვასალები“ შეუხვიეს რაჭულ სიმღერას. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, ხელი არ მიგვიწვდება გასული საუკუნის დასაწყისში ქუთაისში დიმიტრი არაყიშვილისა და ზაქარია ფალიაშვილის მიერ ჩანერილი რაჭული სიმღერების შემსრულებლებზე. შალვა ასლანიშვილი 1928 წლის ექსპედიციის დროს ასახელებს წესელ და კვაცხუთელ მომღერლებს. კვაცხუთლები: გრიშა ბიჭაშვილი, დიმიტრი ბიჭაშვილი, ვანო საგანელიძე, ვასილა საგანელიძე, ნიკო ცირგილაძე; წესელები: ფარნაოზ კობერიძე, წესტორ გურაბანიძე, კაცია მერკვილაძე, ვიქტორ მერკვილაძე, ისლანდ გამყრელიძე, იაკობ გოგებერიშვილი. 1937 წლის ექსპედიციისას შალვა ასლანიშვილს, ძირითადად, საგალობლები ჩაუწერია ქვემორაჭველი მომღერლებისაგან, მაგრამ საგალობლებს ჩამოთვლის – მგალობლებს კი არა.

ჩვენი ექსპედიციების დროს სოფლებში ძველ მომღერლებთან შეხვედრისას, რესპოდენტებთან საუბრისას, ძველი პრესისა და საარქივო მასალების გაცნობისას, განსაკუთრებით ფოტოების ამოცნობისას გაერთა მრავალი მომღერლის სახელი, რომლებსაც თავის დროზე თავთავიანთი სოფლების გუნდებში, სარაიონო და თვით სახელმწიფო ანსამბლებში უმღერიათ: შამშე თომაძეს, სიკო დავლიანიძეს, ... სულაძეს – საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში; ვასილ კობახიძეს, ვასილ-შამშე-ჯუმა-უორუკა კობახიძეებს – მარო თარხნიშვილის საოლქო გუნდში; მიხეილ გიორგობიანს, შალვა ჩიტალაძეს – კავსაძეების; გივი ტბებუცაძეს – კირილე პაჭკორიასთან (ნიკორწმინდელი უორა კობახიძის გადმოცემით, პაჭკორიას უთქვამს: ჩამოიტანა რაჭიდან ათი ფუთი ბანიო). პირველი მსოფლიო ომის დროს, 1916–1918 წლებში, სხვაველი პლატონ მაჩაიძე გერმანი-

აში, მანჰაიმის ტყვეთა ბანაში ჩაუწერიათ გერმანელ მუსიკოსებს (ეს ჩანაწერები ახლახან გამოსცა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრმა). ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ შევძლებთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის აღდგენას, ვერც მათ შემოქმედებით ბიოგრაფიებს შემოგთავაზებთ (იშვიათი გამონაკლისის გარდა), უბრალოდ, მათს სახელებსა და გვარებს აღვნუსხავთ, დავინწყების ფერფლი რომ არ მიეყაროს და ქართული ხალხური სიმღერის ისტორიის სამანებიდან არ გაქრნებ.

ამბროლაურის სარაიონო გუნდი (1920-იანი წლების ბოლო – 1982 წელი)

ამბროლაურის სარაიონო გუნდს დიდი ხნის ისტორია აქვს. ფაქტობრივად მანც მისგან იღებს სათავეს საგუნდო-საანსამბლო ხელოვნების ჩამოყალიბება-განვითარება ქვემო რაჭაში. მიუხედავად არსებობის ხანგრძლივი პერიოდისა, ამ გუნდის შესახებ რამებ ხელ-ჩასაჭიდი მასალა არ დარჩენილა, განსაკუთრებით, 60-იან წლებამდე. გაურკვეველია მისი დაარსების თარიღი. ზეპირი გადმოცემით, ეს პატივი და გუნდის პირველი ხელმძღვანელობა ვასილ კობახიძეს მიეწერება. სამწუხაროდ, ის ავტობიოგრაფიაში ამ ფაქტს არ აღნიშნავს. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ერთადერთი ცოცხალი მემატიანე ამბროლაურის სარაიონო გუნდის ბოლო ხელმძღვანელი ნათელა გოგშელიძეა. 90-იან წლებში ქალბატონი ნათელას ბინა, როგორც სარაიონო კულტურის სახლი, ხანძარმა შთანთქა და ყველაფერი განადგურდა. საბედნიეროდ, გადარჩენილია სარაიონო გუნდის რამდენიმე ფოტოსურათი 30–60-იანი წლებისა, მაგრამ მთელ ქვემო რაჭაში ამომცნობი ვერ ვიპოვეთ. აკაკი გენაძის ხელმძღვანელობის დროინდელი ვერც ერთი მომღერალი ვერ ამოიცნო უხუცესმა ნიკორწმინდელმა მომღერალმა უორუჟიკა კობახიძემ (უკვე მხედველობაც დალატობს). ჩვენ სარაიონო გუნდის ხელმძღვანელებისა თუ წევრების დასახელებისას, ძირითადად, ვეყრდნობით ქალბატონი ნათელა გოგშელიძის ცინცხალ მეხსიერებას, ასევე სხვადასხვა წყაროს – რესპოდენტებთან საუბრისას დასახელებულ პირთა გვარ-სახელებს. კიდევ ერთხელ ბოდიშს ვუხდით შვილებს, შვილიშვილებს, შთამომავალთ,


რომელთა სახელოვანი წინაპრები, ჩვენი თავდაუზოგავი მცდელობის მიუხედავად, ამ სიაში ვერ მოხვდნენ.

ამბროლაურის სარაიონო გუნდის ხელმძღვანელები: ვასილ კო-ბახიძე, დავით კობახიძე, აკაკი გენაძე, გრიგოლ კოკელაძე, შოთა მილორავა, ოთარ ქოქოსაძე, ნათელა გოგშელიძე.

წევრები:

- ბაკურაძე ელგუჯა
- ბარსონიძე ავთანდილ
- ბერაძე რეზო
- ბიჭაშვილი გრიგოლ
- ბიჭაშვილი ბადუ
- ბიჭაშვილი ოქრო
- გაბისიანი გედეონ
- გელოვნიშვილი ოთარ
- გამყრელიძე კონსტანტინე
- გამყრელიძე სვიმონ
- გამყრელიძე ჭაჭიკო
- გენაძე მურმან
- გენაძე მიშა
- გენაძე აკაკი
- გენაძე ბაგრატ
- გენაძე გიგა
- გენაძე სერიოზა
- გოგოლაძე ექვთიმე
- გოგოლაძე კოტე
- გოცირიძე ჯუმბერ
- გოცირიძე აკაკი
- გოგილიძე ბეგლარ
- გოგობერიშვილი შალვა
- დავლიანიძე კონსტანტინე (კონია)
- დარახველიძე გივი
- დარახველიძე რომან
- დვალი ქორა
- დვალი ისიკო
- ენუქიძე ელგუჯა
- იაშვილი ანგი
- კანთელაძე ჯუმბერ
- კობახიძე დავით
- კობახიძე უორუკა
- კობახიძე ჯუშა
- კობახიძე შამშე
- კობახიძე დავით
- კობახიძე იონა
- კობახიძე ომარ
- კერვალიშვილი აკაკი
- კერესელიძე აკაკი
- კერესელიძე ხარიტონ
- კერესელიძე ივანე
- კერესელიძე სასო
- კერვალიშვილი უშანგ
- მელაშვილი გიგა
- მაგრაქველიძე ჯემალ
- მიქიაშვილი გურამ
- მიქიაშვილი დემნა
- ნიკოლაშვილი აველი
- ნიკოლაშვილი ალე
- ნიკოლაშვილი უჩა

- ნიკოლაშვილი რუბენ
- ნიკოლაშვილი ბიძინა
- საგანელიძე იერემია
- საგანელიძე დავით
- სულთანიშვილი გურამ
- ტაბუცაძე გივი
- ტაბუცაძე ვალერიან
- ტაბუცაძე ქორა
- შავლაძე ივანე
- შავლაძე ბუტულა
- წულუკიძე ვლასი
- ჭილვარია წუნულა
- ჭილვარია ჭიჭიკო
- ხიდურელი მიხეილ
- ხუციშვილი ივანე
- ჯაფარიძე შალიკო
- ჯაფარიძე ტარასი
- ჯანელიძე ბონდო
- გაგოშიძე ვენერა
- გოგობერიშვილი ნანი
- გოგობერიშვილი ცისანა
- გურაბანიძე დალი
- გელოვნიშვილი ელისო
- დათეშიძე ლუიზა
- დავითულიანი ნანა
- დვალი მარინა
- თომაძე ციალა
- მუსერიძე შუტა
- ნატმელაძე ეთერ
- საგანელიძე მზია
- სირაძე ციალა
- უთმელიძე ეთერ
- ქევანაშვილი მანანა
- ჭელიძე მაყვალა
- ხვედელიანი ნანა
- ჯოხაძე ნარგიზი



ვასილ კობახიძე (1893–1976)

რაჭაში ჩასვლისთანავე შევუდექით თბილისში პირველი რაჭული გუნდის ჩამომყალიბებლის, რაჭაში პირველი გუნდის მიმყვანის, ამბროლაურში პირველი გუნდის შემქმნელისა და ხელმძღვანელის, მარო თარხნიშვილის გუნდის წევრისა და ადმინისტრატორის, ვასილ კობახიძის შესახებ ცნობების შეგროვებას. ცდა მეტად წარუმატებელი აღმოჩნდა. დროს მაინც თავისი გაეტანა და მხოლოდ ერთადერთ კაცს, ნიკორწმინდელ მომღერალს, ასევე მარო თარხნიშვილის საოლქო გუნდის წევრს, უორჟიკა კობახიძეს ახსოვდა თავისი დიდი თანასოფლელი და მისი დამსახურება რაჭული სიმღერის წინაშე. ვასილ კობახიძეს შვილი არ დარჩენია და, ამდენად, გაჭირდა უშუალო შთამომავლის მოძიება. ნიკორწმინდაში მიგვასწავლეს, ვასილ კობახიძის ძმისშვილი რუსთავში ცხოვრობსო. ჩვენ დავუკავშირდით კახა კობახიძეს, რომელიც, სამწუხაროდ, ვერაფრით დაგვეხმარა (უბრალოდ, დაგვიდასტურა ვასილ კობახიძესთან ნათესაობა და არა ძმისშვილობა). ვაკუუმი საქართველოს ფოლკლორის სახლის საუკეთესო ტრადიცია 2005-2006 და 2015-2016 წლების ფოლკლორის ეროვნული ფესტივალების დროს აღდგა. ფოლკლორის ცენტრის არქივში ასევე აღმოჩნდა ამბროლაურის სარაიონო გუნდის ხელმძღვანელის (სავარაუდოდ, მეორისა თუ მესამის) აკაკი გერაძის, რაჭა-ლეჩებუმის გუნდის წევრის ვანო ტოროშელიძის ბიოგრაფიები (ვანო ტოროშელიძის ბიოგრაფია და ფოტოები პირველად გაზიერ „რაეოში“ დაიბეჭდა. ფოლკლორის ცენტრის არქივს მასალები მიაწოდა ვანოს შვილიშვილმა ნათელა გრძელიშვილმა). ფართო საზოგადოებისათვის საინტერესო იქნება ამ ლოტბართა და მომღერალთა ბიოგრაფიებისა და ფოტომასალების გაცნობა, მით უფრო, რომ ვასილ კობახიძის და აკაკი გერაძის ბიოგრაფიები და ფოტოები პირველად ქვეყნდება.

ვასილ კობახიძე დაიბადა 1893 წელს რაჭაში, სოფელ ნიკორწ-მინდაში, ღარიბი მშობლების ოჯახში. ვასოს ბავშვობიდანვე უყვარდა სიმღერა და ცეკვა. მუყაითი იყო, სიმღერებს ადვილად ითვისებდა. 19 წლისა მღეროდა მიხეილ კავსაძის გუნდში. ცეკვას სწავლობდა იმ დროს თბილისში განთქმულ მოცეკვავესა და პედაგოგთან ალე-ქსი ალექსიძესთან. 1919 წლიდან 1927 წლამდე მარო თარხნიშვი-ლის გუნდის წევრია, მესამე ხმის მთქმელი და გუნდის ენერგიული ადმინისტრატორი. 1927 წელს ვასილ კობახიძეს ნება დართეს შე-ექმნა რაჭა-ლეჩხუმის ეთნოგრაფიული მომღერალ-მოცეკვავეთა წრე და უფლება მიეცა დამოუკიდებლად ესტრადაზე გამოსვლისა. ვასო საკუთარ თანხებს გაიღებდა ხოლმე საყვარელი გუნდისათვის. ამ გუნდით მან 1932–38 წლებში 400-ზე მეტი უფასო კონცერტი გამართა. შეიყვარა ხალხმა ეს გუნდი, მოსწონდათ რაჭული სიმ-ღერები და ფერხულები. 1933 წლის 19 თებერვალს რაჭა-ლეჩხუმის გუნდმა დიდი კონცერტი გამართა რუსთაველის თეატრში. რეპერტუ-არში იყო: მუშური, მაღლა მთას მოდგა, რაეო, ჩემო დედაო, ძავეუ-ჯა, ქოჩორაი, მგზავრული, დელი-დელა, ყურძენმა სთქვა, გურული მაყრული, ყარანეი ყანაშია, ფერხული, საცეკვაო, დალიე, მაყრული, მიყვარს ამგვარად, მრავალუამიერ, კახური მრავალუამიერი, მესტვი-რე, ფანდური და სხვადასხვა ცეკვა. საქართველოს სახელმწიფო ფი-ლარმონიამ რაჭული ხოროს ხელმძღვანელს ნება დართო კონცერტე-ბი გაემართა კახეთსა და ქიზიყში. 1936 წელს მოსკოვში, სრულიად საქართველო კოოპერაციის საკავშირო ოლიმპიადაზე, რაჭა-ლეჩხუმის გუნდმა პირველი ადგილი დაიმსახურა. 1938 წლიდან გუნდს ქალებიც შეემატენენ და ხალხური საკრავებიც. ამ სახით 1938–39 წელს გუნდი კვლავ მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა რაიონში და წარმატე-ბით მართავს კონცერტებს. საქართველოს მექენიკური თლიმპიადაში ვასილ კობახიძე რუსთავის მომღერალთა გუნდით მონაწილეობდა, კარგი შეფასება მიიღო და ქების სიგელით დაჯილდოვდა. 1947–50 წლებში საქართველოს ცენტრალური კულტურის სახლის ანსამბლის ხელმძღვანელია. 1947–49 წლებში იგი ორმოცკაციანი გუნდით მოგ-ზაურობს დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით, რაჭა-ლეჩხ-უმში – ძველი რაჭული და ლეჩხუმური სიმღერების შესასწავლად, რისთვისაც ხვდება ადგილობრივ ანსამბლებსა და მომღერლებს.

მოგზაურობისას ვასილ კობახიძემ მრავალი სიმღერა გამოავლინა და რაჭა-ლეჩებუმური სიმღერებით საგრძნობლად გაამდიდრა თავისი გუნდის რეპერტუარი. საქართველოს მე-8 ოლიმპიადაზე ასურეთის გუნდით გამოვიდა და დიდი მოწონება დაიმსახურა. სხვადასხვა დროს ვასილ კობახიძე ხელმძღვანელობდა: სარენაო კოოპერაციის, ქართული პურის, თბილისურვაჭრობის, ინვალიდთა კავშირის, საფინანსო ტექნიკურის, ჰოსპიტლისა და ცენტრალური კულტურის სახლის, რუსთავისა და ასურეთის კოლმეურნეობის გუნდებს.

გარდაიცვალა 1976 წელს.



აკაკი გენაძე – ამბროლაურის სარაიონო გუნდის ხელმძღვანელი 1930–1954 წლებში

– დავიბადე სოფელ ინაში (ამბროლაურის რაიონი) 1911 წლის ოქტომბრის თვეში, საშუალო გლეხის ოჯახში. მშობლების ძირითად მოსაქმეობას, როგორც ოქტომბრის რევოლუციამდე, ისე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც, წარმოადგენდა სოფლის მეურნეობაში მუშაობა, ხოლო 1930 წლიდან მუშაობენ სოფელ ინა-ახალსოფლის ამხ. ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაში.

1919 წელში სწავლა დავიწყე ამბროლაურის 4-წლიან სასწავლებელში, რომელიც საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გადაკეთებულ იქნა 8-წლიან სკოლად; აღნიშნული სკოლა დავამთავრე 1927 წელში. ერთ-ნახევარი წლის განმავლობაში ვმუშაობდი მშრომელებთან სოფლის მეურნეობაში, ხოლო 1929 წელში კი განვაგრძე სწავლა ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში და დავამთავრე იგი 1932–33 სასწავლო წლის ბოლოს. ამავე წელში მუშაობა დავიწყე ამბროლაურის რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის სპეც (საიდუმლო) განყოფილებაში მდივნის თანამდებობაზე, სადაც ვიმუშავე 1934 წლის თებერვლის თვემდე. ამავე წელში მუშაობა დავიწყე სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ამბროლაურის რაიონსპექტურაში, უბნის ინ-

სპექტორის თანამდებობაზე, სადაც ვმუშაობდი 1941 წლის მაისის თვემდე. 1928 წელში შევედი ალკა რიგებში, ხოლო 1940 წელში კი გავხდი საკეპ/ბ/ წევრი.

1941 წლის 1 ივნისს გაწვეული ვიქენი წ/არმიაში და მონაწილეობა მივიღე ფაშისტური გერმანიის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში; ერთ-ერთი ბრძოლის დროს მძიმე ჭრილობები მივიღე, რის გამოც, ჭრილობათა განკურნების შემდეგ, სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებული ვიქენი.

1942 წლიდან დანიშნული ვიქენი ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ამბროლაურის რაიონული ინსპექტორის თანამდებობაზე, სადაც ვმუშაობ დღესაც.

1930 წლიდან ვითვლები სარაიონო კულტურის სახლის მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელად, რომელსაც განვაგრძობ დღემდე. 1939 წელში გავიარე ხალხური შემოქმედების სახლის მიერ მოწყობილი მუსიკალური კურსები.

აკაკი ლევანტის ძე გენაძე
23 ოქტომბერი, 1949 წელი
დაბა ამბროლაური



**ნათელა გოგშელიძე – ამბროლაურის
სარაიონო გუნდის ხელმძღვანელი
1966–1982 წლებში**

ვისაც ოდნავ მაინც ჩაუსედავს რაჭის სამუსიკო ფოლკლორში, ყველაზ იცის, რომ გოგშელიძეები მომღერალი გვარია. სადაც კი ფეხი გადავდგით, ვინც კი ჩავნერეთ, უმეტესობა ციალას, ოთარისა და ნათელას ნამონაფარია. იმდენად შევეჩვიე ამ ამბავს, რომ წესში ევლოგი მაისაშვილს დაუფიქრებლად ვკითხე: თქვენც ნათელას მოწაფე იყავით-მეთქი? გულიანად გაეცინა და მითხრა: ნათელა ჩემი კლასელიაო. ხუმრობა იქით იყოს და ნათელა გოგშელიძის „კვალი“ ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება. ამღერებული, აცეკვებული, შეხუმრებული

ამ მშვენიერი ქალბატონის დანახვისას ვერც კი წარმოიდგენ, რომ ის 70-ს გადაცილებულია, მის ხელში უამრავ გუნდს, ანსამბლს, მომღერალს გაუვლია და „ნათელა მასწავლებლის“ განუყრელი თიკუნი ტიტანური შრომისა და გარჯის ფასად მოუპოვებია. ამჟამად მასწავლებელთა სახლის გოგონათა ანსამბლის ხელმძღვანელი, პედაგოგი და იავნანას წევრია. ზღაპარსა ჰგავს მისი ნაამბობი – ოცდახუთი წლის გოგოს როგორ მიაწვდეს სარაიონო გუნდის ხელმძღვანელობა და როგორ გაართვა თავი ამ ურთულეს საქმეს... ქალბატონი ნათელა კარგი მთხრობელია, ჯობს, მას მოვუსმინოთ:

დავიბადე ამბროლაურში, სოფელ წესში, მშობლები ძალიან ნიჭიერები იყვნენ, დედა – თამარ კანთელაძე, მამა – გერონტი გოგ-შელიძე. ორივე უკრავდა გიტარასა და მანდოლინაზე. დედას ისეთი სმენა ჰქონდა, მამა გიტარას რომ ააწყობდა, დედას მისცემდა: თამრო, შენ გაასწორე. ბავშვობიდან დამამახსოვრდა მამის ნათქვამი: შვილო, ამის ფასი არაფერიაო! ოთხი დედმამიშვილი ვიყავით: ციალა, ნათელა, ნანი და ოთარი, ყველანი ვმღეროდით. პირველი პიანინო რომ მოვიდა რაიკავშირში, ქოქოსაძეებმა და ჩვენ ვიყიდეთ. ეს იყო სასწაული – ჩვენ აფხაზეთიდან ვიყავით ჩამოსახლებულები და არაფერი გვქონდა სახლში. დედა ეტყოდა მამაჩემს: ხომ იყიდე პიანინო, რომ მოშივდებათ, დასხდნენ და იმღერონო. რამდენჯერ გაგვიკეთებია ასე: დიდი გაჭირვება იყო, პურის პატარა ნატეხს დავდებდით პიანინოზე ნარწერით – „გვშია“ – და ვმღეროდით... ძალიან სხვანაირი მშობლები მყავდა. მახსოვს, აღდგომა იყო: მამამ ქუთაისიდან გამოგვიგზავნა გიტარა და წითელბაბთიანი მანდოლინა.

ერთი ცნობილი ქირურგი იყო ქოქოსაძე, ჩვენთან ღამის 2-3 საათზე მოდიოდა, მამა გაგვაღვიძებდა და გვამღერებდა, ჩვენ უარს ვერ ვეუბნებოდით. ჩემი უფროსი და პიანინოზე უკრავდა, მე – აკორდეონზე. მუსიკას ვლადიმერ არჩვაძე მასწავლიდა (როსტომ არჩვაძის მამა), მანვე მასწავლა აკორდეონზე დაკვრა. ციალა ასწავლიდა სიმღერას ხიდიკარში – როსტომის მასწავლებელი იყო. მეორე საშუალო სკოლაში ციალას ადგილზე მოვედი. ჩემს არც ერთ დას არ ჰქონია პროფესიული განათლება ჩემ გარდა, მაგრამ ყველა ამ სფეროში მუშაობდა. ნანიმ სამუსიკო სკოლა გახსნა ონში, ოთარს ანსამბლები ჰყავდა, თანაც უბადლოდ მღეროდა. ყველაზე ნაკლებსმენიანი მე ვიყავი, მაგრამ მე მივიღე პროფესიული მუსიკალური განათლება, მევე

ვასწავლე ნოტები ჩემს და-ძმას.

დავამთავრე სკოლა და ჩავაპარე თბილისის მხატვრული თვით-მოქმედების კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებაზე. წინა კურსელები იყვნენ: ანზორ ერქომაიშვილი, თამაზ ანდლულაძე, გენო მუჯირი, ბადრი თოიძე. ომარიკა კელაპტრიშვილი და მე კურსელები ვიყავით. რუსთავი რომ შეიქმნა, ყველა ჩემი ძმაკაცი იყო. სასწავლებელში ხალხურ სიმღე-რას მასწავლიდა ვასო მახარაძე და დიმიტრი კვაჭანტირაძე. დავამ-თავრე, ჩამოვედი და მუშაობა დავიწყე სამუსიკო სკოლაში, სადაც ყველაფერს ვასწავლიდი: ფორტეპიანოს, სიმღერას, მუსლიტერატუ-რას. უამრავი მოსწავლე მყავდა. გუნდს ხალხურ სიმღერასაც ვას-წავლიდი და კომპოზიტორებისასაც. პირველად ჩაიცვეს ბავშვებმა ფორმები, ერთი სიგრძის კაბები... ეს გუნდი რომ გამოვიყვანე (1964-1965 წწ.), კულტურის განყოფილების გამგეს ბიძინა ნემსიწვერაძეს მოეწონა და შემომთავაზა: სარაიონი – 120-კაციანი – გუნდისთვის მეხელმძღვანელა. გუნდში საუკეთესო ლოტბარები და მომღერლები იყვნენ (მიშა გენაძე, კაკო გენაძე, კაკო გოცირიძე) და არ მოეწონათ: ეს პატარა გოგო რას გვიხელმძღვანელებსო... პირველად შენ ხარ ვენახი ვასწავლე, შემდეგ – რაეო. რეპეტიციაზე რაიკომის მთელი ბიურო მესწრებოდა, რაიკომის მდივანმა ავთანდილ შარაბიძემ თქვა: ვუშლით ჩვენ ამას ხელს, წავიდეთ ახლა აქედან, სანამ გვეტყოდეს, წადითო, – ადგნენ და წავიდნენ.

წავედით ფესტივალზე, ყველაფერი მზად მქონდა, ოლონდ რეზო ლალიძის – ტყეებს ნუ კაფავ, ძმობილო – ნოტი მჭირდებოდა. მივედი კინოსტუდიაში, არ შემიგვეს და მოვიტყუე – არჩილ კერძესელიძის ნათესავი ვარ-მეთქი. პირდაპირ ვუთხარი ბატონ არჩილს, რატომაც მივედი: – ერთი ამას უყურე, ლალიძეს მთხოვს და ჩემთან მოდისო, ჩემი არაფერი გინდაო?!

ამ ფესტივალზე ამბროლაურის სარაიონო გუნდის ნამდვილი ტრიუმფი იყო. მრავალი გუნდი მყოლია, მათგან რამდენიმე განსა-კუთრებით გამორჩეულია: ამბროლაურის კულტურის სახლთან არ-სებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ქორეოგრაფები: გულნარა და შაქრო ჭოხონელიძები); ამბროლაურის განათლების მუშაკთა (პედაგოგთა) გუნდი; ამბროლაურის მედმუშაკთა პროფესიონების

კულტურის სახლის ანსამბლი; სატყეო მეურნეობის ვაჟთა გუნდი; და ჩემთვის ყველაზე გამორჩეული: სამუსიკო სკოლის ქალთა ანსამბლი (16 ქალი). დღემდე ეს ანსამბლი რჩება ჩემი შრომისა და მოღვაწეობის სავიზიტო ბარათად.

ჩემს შრომასა და გარჯას ამაოდ არ ჩაუვლია. სხვადასხვა დროს დამაჯილდეს: თბილისის მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადებსა და ფესტივალებზე (ქორეოგრაფები: რეზო ბერაძე და ომარ ტვილდიანი) ოქროსა და ვერცხლის მედლებით. ვარ საკავშირო ფესტივალის ლაურეატი (იგორ ხრენნიკოვის ხელმოწერით); სახალხო განათლების წარჩინებული; შრომის ვეტერანი; დამსახურებული მასწავლებელი; ჩემი საყვარელი ქალთა ანსამბლის – იავნანას – მომღერალი; ვაგრძელებ მუშაობას დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლაში (დირექტორი ლია დვალი) საგუნდო კლასის პედაგოგად და ძეგლებურად ვცდილობ, ბავშვებს შევაყვარო როგორც ქართული ხალხური სიმღერა, ასევე კლასიკური მუსიკა.

P.S. ვარ 73 წლის – მემდერება და ვმღერი!

გამოვიყურები – ისე რა!

დირიჟორი ნათელა გოგშელიძე-მუსერიძისა
2014 წელი, 14 ღვინობისთვე, სვეტიცხოვლობა



ვანო ტოროშელიძე (1887–1942 წწ.)

დაიბადა ამბროლაურის რაიონის სოფელ სხვავაში გიორგი (გრიგოლ) ტოროშელიძისა და ქაქალა აგლაძის (სოფელ მუხლიდან) მრავალშვილიან ოჯახში. რაჭული სიმღერა მშობლებმა ასწავლეს, პატარა გარმონზე – წიკო-წიკოზე დაკვრას კი და-მოუკიდებლად დაეუფლა. იმდენად კარგად უკრავდა, ყველგან სასურველი სტუმარი იყო, სამხედრო სამსახურშიც გაითქვა

სახელი. 1911 წელს ცოლად შეირთო ეკატერინე (კატო) ობოლაძე, რომელთანაც ოთხი შვილი შეეძინა: კოტე, ვერა, დუნია, გიორგი. ეს-

პანეთიდან გავრცელებულმა „ისპანკამ“ კატოსა და მისი სამი შვილის სიცოცხლე შეიწირა, მხოლოდ დუნია გადარჩა. ვანო ტოროშელიძემ დატოვა სხვავა და დუნიასთან ერთად თბილისში დასახლდა (ყოფიანის ქუჩა № 8-ში).

1926 წლიდან ვანო რუსთაველის თეატრში არსებულ კაფე „ქიმერიონში“ მუშაობდა, შემდეგ კი ოპერისა და ბალეტის თეატრში თავისი სავაჭრო გახსნა. აქ გაიცნო და დაუმეტობრდა სახელგანთქმულ მოღვაწებს: ვანო სარაჯიშვილს, ივანე ფალიაშვილს, დავით ანდლუაძეს. 1927 წელს ვანო მეორედ დაქორწინდა ნინა გიორგობიანზე და ოთხი შვილი შეეძინა: თინა, გივი, ლამარა, შოთა. როცა თბილისში ვასილ კობახიძის ხელმძღვანელობით რაჭული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ჩამოყალიბდა, ვანოსთან ერთად ამ ანსამბლში მღეროდნენ მისი დისტვილები – შალვა და ვიქტორ კობერიძეები. 1937 წელს მოსკოვში ჩატარებულ საკავშირო ოლიმპიადაზე რაჭული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა დიდი წარმატება მოიპოვა. რუსულ პრესაში უხვად იპეჭდებოდა ფოტოები და სტატიები, აქებდნენ ქართველ ლოტბარს, მომღერლებს, მათს შორის, ვანო ტოროშელიძეს (განუყრელ საკრავთან ერთად). ოლიმპიადაზე რაჭველებმა ასახელეს საქართველო. ვანო ტოროშელიძე მთამომავლებისა და ნაცნობ-მეგობრების მეხსიერებაში დარჩა როგორც სტუმართმოყვარე, გაჭირვებულთა დამხმარე უკეთილშობილესი ქართველი კაცი.

გარდაიცვალა 55 წლისა, დაკრძალულია თბილისში, კუკიის სა-საფლაოზე.



ჟორა კობახიძე – ნიკორწმინდის ანსამბლის წევრი 60–80-იანი წლებში

იშვიათ გამონაკლისთა შორის ჩვენ შევხვდით ნიკორწმინდის 70-იანი წლების ცნობილი ანსამბლის ასევე ცნობილ წევრებს: ჟორჟიკა კობახიძეს, გოული კობახიძესა (73 წლის, ძირითადად, ბანი, ამბობდა I-II ხმასაც) და ომარ კობახიძეს (72 წლის, მომღერალი ოჯახის შვილი და მამა,

მისი ხუთივე შვილი მღერის) – ანსამბლის წამყვან ხმებსა და სოლისტებს. 85 წლის უორა კობახიძე მხნედ გამოიყურება, გამართულად საუბრობს და მეხ-სიერებას არ უჩივის. სიმღერის ნიჭი მშობლებისაგან დაჰყვა, დედა მღეროდა კარგად – დაჩიბერიძის ქალი – გურული. ძმა ნოდარიც – ბანს, ხანდახან მეორესაც. სკოლის გუნდის პირველი ხელმძღვანელი კარგად ახსოვს – სერ გოგილიძე, შემდეგ მისი ძმა – ბეგლარ გოგილიძე (აგარა-უყეშიდან). ბუ-ტულა შავლაძეც ასწავლიდა სიმღერას და მისი ძმა ბიძინაც – ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ. ივანე შავლაძე შესანიშნავი მომღერალი იყო, თალიკო და ოთარ შავლაძეები (ნიკორწმინდის ანსამბლის ახლანდელი წევრები) მისი ბიძაშვილები არიან.

უორა კობახიძე გასული საუკუნის 50-იან წლებში თბილისის ოლქის სახელმწიფო ანსამბლში მღეროდა მარო თარხნიშვილთან. ვასილ, შამშე, ჯუშა და უორა კობახიძეები ქმნიდნენ ანსამბლის რაჭულ ფრთას. უკომისიოდ მიუღია მაროს ანსამბლში, მახარაძის ქუჩაზე მომხდარა ეს ამბავი, მაშინ იქ მდებარეობდა ხალხური შემო-ქმედების სახლი (დღევანდელი ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი – ბ.ა.). შემდეგ გორში გადაუყვანიათ. 1953 წელს ჩინეთში უნდა წა-სულიყვნენ საგასტროლოდ, სტალინის სიკვდილმა ჩაშალა ეს ამბავი. გორში დიდხანს არ გაჩერებულა და ისევ მშობლიურ ნიკორწმინდას დაპბრუნებია. 50–60-იან წლებში ამპბროლაურის სარაიონო გუნდში მღეროდა. 1970 წელს, ნიკორწმინდის კულტურის სახლის დირექტორის შოთა მომცელიძის თხოვნით, თავისი თაობის მომღერლებისაგან ნიკორწმინდაში ანსამბლი შექმნა. შეუმცდარად ასახელებს ანსამბ-ლის წევრებს: ჯუშა (ჯიმშერ) კობახიძე – ანსამბლის ხელმძღვანე-ლი (რაჭაში ჩვენი პირველი ექსპედიციის დროს დაკრძალეს), მერაბ და ზურა შავლაძეები (ბუტას შვილები), ტარიელ ჯმუხაძე, თენგიზ ჯმუხაძე, თენგიზ დოხნაძე, გელა დალაქიშვილი (ჭელიალელედან), გურამ კობახიძე, არქიფო კობახიძე, თენგიზ კობახიძე (წერტილა), იაშა კობახიძე, დიომიდე (დილვა) კობახიძე, ჯანიკო კობახიძე, ვაჟა კობახიძე, ვარლამ ვაჩაძე, კარლო ჯავახიძე (ბატონი უორა ზნაკველ კაკო კობახიძესაც ახსენებს, შეუდარებელი მოცეკვავე იყო – ბ.ა.). ანსამბლის წევრთაგან დღეს მხოლოდ თენგიზ დოხნაძეა ცოცხალი – თბილისში ცხოვრობს. ამჟამად ნიკორწმინდაში არის ქალთა და მა-მაკაცთა შერეული ანსამბლი, მაგრამ, უორას თქმით, ძველებური ვე-ლარ არის... ახალგაზრდებისგან შეიძლება აღდგენა, მაგრამ ცოტანი

არიან, თან სიმღერა აღარ სურთ. ასევე გულდაწყვეტილია რაჭასა და ნიკორწმინდაში პირველი გუნდის მომყვანის, რაჭაში პირველი გუნდის შემქმნელის – ვასილ კობახიძის – სახელის თანდათან გაქრობის გამო. მარო თარხნიშვილი და ვასო ერთად ხშირად მღეროდნენ... ნიკორწმინდელები ვასოს ნათესავს საყვედურობენ: მოიძიე ბიძაშენზე რამეო. როგორც აღვინიშნეთ, ჩიხში შესულებს დიდად დაგვეხმარა ფოლკლორის ცენტრის არქივში არსებული მასალები.

P.S. რაჭაში მეორე ექსპედიციისას ნიკორწმინდაში ანსამბლი ბერმუხა უკვე ჩამოყალიბებული დაგვევდა – უორა კობახიძის კონსულტანტობითა და დავით სხირტლაძის (უორას ვაჟის) ხელმძღვანელობით. დღეს იმდენად იშვიათია ასეთი რამ, საჭიროდ მივიჩნიეთ ბერმუხის შემადგენლობის ამ წიგნში შეტანა:

დოხნაძე ჯემალ – სამივე ხმა	დვალი მედიკო – წყება
კობახიძე გიული (რეზო) – ბანი	კობახიძე მზისერი – მოძახილი
კობახიძე ჯემალ – ბანი	კობახიძე გულნაზ – წყება
კობახიძე ავთანდილ – წყება, ბანი	კობახიძე ნაზი – მოძახილი
კობახიძე ომარ – სამივე ხმა	კობახიძე ლენა – მოძახილი
კობახიძე ნიკოლოზ – ბანი	კობახიძე იამზე – მოძახილი
კობახიძე შამშე – წყება, ბანი	ფურცხვანიძე ტატიანა – სამივე ხმა
ჯმუხაძე ტორეზი – სამივე ხმა	ფურცხვანიძე მედეა – მოძახილი
ფურცხვანიძე უჩა – ბანი	შავლაძე თამარ – მოძახილი, ბანი
გოცირიძე ნაზიბროლა – წყება	ჯმუხაძე ციური – მოძახილი
გურგენიძე ირინე – წყება, ბანი	ჯმუხაძე ნინო – წყება



აკაკი გოცირიძე (1928–2006 წნ.) და ანსამბლი კაკოსანები

აკაკი გოცირიძე ერთ-ერთი ის ბერმუხა იყო ქვემო რაჭაში, რომლის დაუმზრალმა, გამძლე ფესვებმა შემოინახა რაჭული სიმღერა და რომლისგანაც ამოიზარდა ანსამბლი საგალობელი. კაკო გოცირიძის მოღვაწეობა და სასიმღერო შემოქმედება გასული საუკუნის 50–60-იან წლებში იღებს სათავეს. მომღერალი გვარისა და მომღერალი ოჯახის შვილი, რაჭული სიმღერის უბადლო მცოდნე, ქვემო რაჭაში ჭიანურის შემნარჩუნებელი და ჭიანურზე დაკვრის დიდოსტატი, გუნდომანის ეპოქაში სოფელ წესში შვიდყაცას დამაარსებელი (1960 წ.), რომლის წევრები იყვნენ: სიმონ, უჩა, ჭაბუკა, ჭიჭიკო გამყრელიძეები, ივანე და ხარიტონ კერესელიძეები (ხარიტონი – გიორგი დონაძის ბაბუა – ბ.ა.), აველ და რუბენ ნიკოლაშვილები, სულხან რეხვიაშვილი, შოთა და გიორგი მაისაშვილები, თემურ ჯანგიძე, აველი კაციტაძე, ამბროსი აგლაძე, გიგა მელაშვილი, გრიგოლ ნატმელაძე, მიხეილ იაშვილი, ლევან გოცირიძე. დღეს ლევან გოცირიძის გარდა, ანსამბლის არც ერთი წევრი ცოცხალი აღარაა (სწორედ ლევან გოცირიძემ მოგვაწოდა აკაკი გოცირიძისა და კაკოსანების ბიოგრაფია, რისთვისაც დიდი მადლობა მას – ბ.ა.). მონაფე ასე ახასიათებს მასწავლებელს, შვილი – მამას: რაჭული სიმღერის უნაკლოდ და სუფთად შემსრულებელი, უამრავი სიმღერის მცოდნე – ძველებურად, თავისებურად, ყოველგვარი ზედმეტის გარეშე...

მომღერალი ოჯახის შვილმა მომღერალი შთამომავლობა დატოვა: ლევან, აკაკი, თემურ, იოსებ, კონსტანტინე, მირიან გოცირიძეების სახით. განსაკუთრებით გამოირჩევა თემური – ჭიანურზე ჩინებული დამკვრელი. ანდერძივით ისმის აკაკი გოცირიძის დანაბარები: მე არ მოვკვდები, ვიდრე ჩემი ბიჭუნები იმღერებენ.

აკაკი გოცირიძის აღზრდილები არიან და მან მისცა საგალობელს წამყვანი ძალები: სასახელო კაცი (ასე ეძახიან დღესაც რაჭაში) – უორა სხირტლაძე, მისი ვაჟი დავით სხირტლაძე, შვილი ლევან გოცირიძე, ევლოგი და დავით მაისაშვილები, დავით ნატმელაძე –

არხეინა.

აკაკი გოცირიძე ასევე ხელმძღვანელობდა რაეოს – წესის კულტურის სახლთან არსებულ ბავშვთა და მამაკაცთა ანსამბლს. ას-რულებდნენ საქართველოს ყველა კუთხის სიმღერას, რაჭულთაგან: ასლანური (წესურ) მრავალზამიერი, ალილო, მისალმება, დიდი დაიდრა სულთანი, დიგორი და ბასიანი, თოხნური; რაეო, ჩემო დედაო... სიცოცხლის მიწურულს, 2005-2006 წლებში, აკაკი გოცირიძე ოჯახთან ერთად მონაწილეობდა არტგენში. მათი გამოსვლა ჩანერა არტგენის შემოქმედებითმა ჯგუფმა (რეჟისორი გია დიასამიძე) და ტელევიზია იმედმა (ავტორი მაია ასათიანი).

აკაკი გოცირიძე გარდაიცვალა 2006 წელს, 78 წლისა. დაკრძალულია ბარაკონის სასაფლაოზე. კაკოსანები დაფუქნდა 2006 წლის აპრილში აკაკი გოცირიძის გარდაცვალებიდან სამი თვის შემდეგ. ანსამბლის ნათლია პოეტი გურამ გორდეზიანია. სახელი, ზოგადად, კაკოს მიმდევრებს, კაკოს საქმის გამგრძელებლებს ნიშნავს, თუმცა რაჭული დიალექტით მასში უფრო მეტი ინტიმია ჩადებული (გურულ-იმერულ კილოშიც ასეა – ბ.ა.) – ერთი ოჯახის, ერთი სისხლისმიერი სანათესაოს ერთობა იგულისხმება. რაჭაში მეორე ექსპედიციის დროს ბარაკონზე ჩვენ მოვინახულეთ გიორგი მაისაშვილის, თემურ ჯანგიძისა და აკაკი გოცირიძის საფლავები. რაოდენ დასანანია, რომ არც ერთის საფლავს არ ამშვენებს ამ დიდი კაცების ღვანლის აღმიშვნელი ერთადერთი სიტყვა – მომღერალი, ლოტბარი...



გიგა სხირტლაძე (1929–2003)

გიგა სხირტლაძე ერთ-ერთი იმ დიდ რაჭველ-თაგანია, რომელმაც ლირსეულად მოიხადა ვალი ღვთის, ერისა და რაჭის წინაშე. საჩრდილობლად რივნიპირას მრავალვარჯიანი და უხვნაყოფიანი ხე დარგო და „სამკალიც ფრიადი მოიმკო“. გა-სული საუკუნის მეორე ნახევრის ქვემო რაჭის კულტურული ცხოვრება წარმოუდგენელია გიგა სხირტლაძის კოლორიტისა და ხიბლის, მისი გუ-

დასტვირისა და პოეზიის გარეშე. ამ წიგნსაც თავიდან ბოლომდე მის მიერ აღდგენილ-გადარჩენილი სტვირის ღულუნი და აკაკი გოცირიძის ჭიანურის კვნესა გასდევს. დაე, ზეციურ საქართველოში გაიხარონ თავიანთი დაწყებული საქმის დაგვირგვინებით მათმა სულებმა.

გიგა სხირტლაძე დაიბადა 1929 წლის 25 დეკემბერს ხიმშეი, გლეხის ოჯახში. შრომის, პატიოსნების, სინდის-ნამუსიანობის, სამშობლოსა და თავისი კუთხის სიყვარულს ემატებოდა მხატვრული ლიტერატურისადმი ადრეულ ასაკშივე გამომულავნებული განსაკუთრებული მიღრეკილება. ამიტომაც მიიპყრო ლეონიდე ტურძილაძისა და კოტე ხიდეშელის ყურადღება. კოტემ გაულვივა ინტერესი ხელოვნების მიმართ და მანვე შეავყარა სცენა. 1952 წელს პედაგოგი იყო, 1953-ში მეტრომშენში მუშაობდა. მისმა რამდენიმე წერილმა მიიპყრო სარაიონო გაზეთის რედაქტორის ვენედიქტე ვაჩაძის ყურადღება და ასე დაიწყო მისი ლიტმუშაკობაც. 1963 წლიდან კი თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა ამბროლაურის კულტურის სახლს – ჯერ დირექტორად, შემდეგ – რეჟისორად. 1947 წელს გიგა ჯაფარიძემ ათამაშა პატარა ეპიზოდი სანდრო შანშაბვილის „კრნანისში“, შემდეგ უფრო მოზრდილი როლები და... ჩაყლაპა სცენის მტვერი. აგიტმხატვრული ბრიგადის ხელმძღვანელობისას წერდა კომედიებს, დრამებს, სკეტჩებს და წითელი რეჟიმის პროპაგანდის ეს შემზარვი ფორმა მის ხელში პატრიოტიზმის, ზნეობის, ეროვნული მრნამსისა და მხილების საშუალებად იქცა. შემოქმედებითი ნიჭი სიმღერაშიც გამოავლინა – სიმღერისა და ცეკვის სარაიონო ანსამბლის წევრი იყო, მაგრამ ქართულ (რაჭულ) მუსიკალურ ფოლკლორს კვალი გამორჩეულად როგორც მესტვირემ დაამჩნია. დაკვრა დამოუკიდებლად ისწავლა და ამ ეროვნულ საკარავს ქომაგად დაუდგა, სახელოვანი მესტვირენიც გამოზარდა (გიგა სხირტლაძისა და მის აღზრდილ მესტვირეთა ჩანაწერები რადიოს „ოქროს ფონდში“ ინახება).

ასზე მეტი დიდი და პატარა როლი ითამაშა, ბევრიც გამორჩეული (ხევისბერი გოჩა, ჩონთა, ოთარბეგი), როგორ შეიძლებოდა მესტვირეს პოეზიის ნიჭი არ სცხებოდა, თავად არ შეეთხზა?! ორი პოეტური კრებულის ავტორია: „ჩემი სარკმლიდან დანახული“ და „გზაო, შენ არ ბერდები“. მის „ვაზის ნატვრა და ჩივილს“ შეუდარე-

ბლად კითხულობდა უორა სხირტლაძე. გიგა სხირტლაძეს სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, მისი სახელის უკვდავსაყოფად საგალობლი-სა და იავნანას შექმნაც იკმარებდა. ამ ანსამბლთა ლოდთავკიდური გიგა სხირტლაძემ დადო და მათი შექმნის აუცილებლობაც მეექვსე გრძნობამ უკარნახა. ამიტომაც დაუდგა მხარში როსტომ გოგოლაძ-ესა და დებ ჩიხრაძებს. გიგა, როგორც მისი ვაჟი დათუნიკა ერთ-ერთ ლექსში ამბობს, „უპირველესად, რაჭას სჭირდებოდა“, მთელი სიცოცხლე აწვალებდა და ტკიოდა „ურდულგაყრილი ოდასახლები და ჩასასპული დარაბები, ძეძით გადავლილი ნაკალოვარები, მლილ-ისაგან ჩამოქეცილი კევრები, ღელები ჩალენილი წიქვილები“... ამ გაუსაძლისმა სევდამ დააწერინა წერილების სერია დღე გუშინდელი (ქვემო რაჭა თვალის ერთი გადავლებით), რომელიც გაზიერ რაეოს 1998–2000 წლის ნომრებში დაიბეჭდა (ვსარგებლობთ რაეოში ამ ნარკვევისათვის წამდლვარებული გიგა სხირტლაძის ბიოგრაფიით, რისთვისაც დიდი მადლობა მზია მაისურაძეს – ბ.ა.). ეს წერილები მთელმა საქართველომ უნდა წაიკითხოს და გაითავისოს. აქ რაჭველი კაცის მთელი ცხოვრებაა, ლამის ორი საუკუნის ისტორია: სკნელი, ზესკნელი, მინა, უფალი, სალოცავები, „გზნებით მიმქარგ-მომქარ-გავი“ ოსტატები, მხედრები, მეხრეები, მეტივეები, სიმღერა, ცეკვა, საკრავები, თეატრი, დღესასწაულები, მექორქალ-მეზრუნენი და სანახებო...“

მამის ბიოგრაფიის დაწერა შვილს ვთხოვეთ. მან დიდი მოკრძალებით გამოძერნა მამის სულიერი ხატი, რითაც გიგა სხირტლაძე ცოცხლობდა და საზრდოობდა: მუხლისაუხრელი მოღვაწე, ათა-ფლულ-ჩათაფლული კალმოსანი, ქართული სიტყვის ოსტატი, თამა-და, პუბლიცისტი, მსახიობი, მომღერალი, მესტვირე, რაჭის მებაღე, საშვილიშვილო სახლის ამშენებელი, ვაზის გამხარებელი...

გიგა სხირტლაძე ვალმოხდილი გავიდა ამ სოფლიდან, გავიდა, მაგრამ დარჩა ღირსეული სიცოცხლით, შეურცხვენელი სახელითა და ანდერძ-გაფრთხილებით:

ჰო და დავრჩები სიცოცხლით,
მიტომ არა ვჭამ დარდსაო...
მე და შენ რატომ ვიქნებით,
სიკვდილო, ბარი-ბარსაო?!



ოქრო ბიჭაშვილი

78 წლის, კვაცხუთელი, პროფესიით აგრონომი, ძველი კვაცხუთელი მომ-ლერლების უკანასკნელი მოჰკიანი. ჩინებულად გამოიყურება, სასიამოვნოდ საუბრობს და მღერის. ძირითადად გარდასულ ამბებს იხსენებს, ძველ მომდერლებსა და სიმ-ლერებზე ჰყვება, ჰყვება დარღიანად, ჭკვი-ანურად, გულისტკივილითა და სევდით. კვაცხუთი ფაქტობრივად დაცლილია.

ახალგაზრდობა თითქმის აღარაა, ვინც არის, სიმღერა მათაც არ აინტერესებს. ტრადიციულისადმი გულგრილობამ და ნიჰილიზმა სოფელსაც უწია. ხიდიკრის გამგეობისა და კლუბის ეზოში შეკრებილნი ვმსჯელობდით მიზეზებზე: იქნებ ეროვნული იდეოლოგიისა და კონცეფციის უქონლობა, ყოფაში ფოლკლორის გაქრობა, ბრმა მიმბაძველობა, ცრუფასეულობათა და ფსევდოკულტურის მოძალება და ა.შ.? არადა, როგორ არ დასწყდება გული ამდენის მომსწრესა და მცოდნეს: ოჯახში ყველა მღეროდა – დედა, მამა, ძმები. სიმღერა დედისაგან ისწავლა – გიტარაზე უკრავდა მაცაბერიძის ქალი. სოფელში წესი იყო: გადახურული ჭიშკრების წინ ახალგაზრდები იკრიბებოდნენ და მღეროდნენ – ხან შეემლებოდათ, ხან შეუწყობდნენ... საერთოდ, ყოველთვის და ყველგან მღეროდნენ: ყანაში – თოხნისა და მკის დროს, ლენგისა და სიმინდის რჩევისას (უმეტესად ფერხულებს), მღეროდნენ მრავალუამიერს, თამარ ქალოს, ტყეში ქალები წასულან, რომელიც სინამდვილეში ქრისტეს ფერხული იყო. კარგად ახსოვს დედის ნამღერი ბატონების სიმღერა. დედა გამოაცხობდა სხვადასხვა ფორმის კვერს, კალათში თივას ჩააფენდა, ჩააწყობდა და სიმღერისიმღერით, – წამობრძანდით, ბატონებო, წამობრძანდით, გენაცვალეთ, – წყლამდე გააცილებდა. თივა რად უნდაო, რომ ჰყითხავდა, – ბატონებს ცხენები ჰყავთ, შვილოო, – აუხსნიდა.

ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში სწავლობდა და სასწავლებლის გუნდში მღეროდა. 1954-55 წლებში გუნდს თათარ ქოქოსაძე ხელმძღვანელობდა. მოგვიანებით თათარი სარაიონო გუნ-

დის ხელმძღვანელად გადაიყვანეს და ოქროც თან წაიყვანა. თბილისში სარაიონო გუნდმა ორი სიმღერა ჩაწერა: მაყრული და ერთხელ წისქვილს წასკლისათვის. ოქრო ბიჭაშვილს კარგად ახსოვს კვაცხუთისა და ხიდიკრის გუნდები და მათი განთქმული მომღერლები. გუნდების ხელმძღვანელები: სანდრო აბაიშვილი, ვასილ საგანელიძე (კვაცხუთური ალილოს უბადლო შემსრულებელი) და ბიძინა ნიკოლაშვილი. წევრები: აველი ნიკოლაშვილი – კარგი მეორე ხმა კახურებში, დათიკო საგანელიძე (ვასოს ძმა), ქუჩიკო ნიკოლაშვილი, ალე ნიკოლაშვილი, ყირიმონ ჯაფარიძე, კაცო მერკვილაძე (წესიდან), სიმონ გამყრელიძე, შაქრო ბიჭაშვილი, გრიგოლა ბიჭაშვილი, შალიკო ჯაფარიძე, ოთარ ჯაფარიძე, აბათარ სირაძე (ხიმშიდან). რაიკომის მდივანი იყო შალვა კახიძე. ჩვენი გუნდი სადაც იმღერებდა, დაგვიძახებდა, ალილო იმღერეთო, არადა აკრძალული იყო. კვაცხუთური ალილო კარგად იცოდა ვასო საგანელიძემ და მასთან ამ სიმღერის შესასწავლად სპეციალურად დადიოდა სანდრო აბაიშვილი – შალვა რომ დაგვავალებს, კარგად ვიმღეროთო. გრიგოლა ბიჭაშვილი რომ დიამბეგოს დაიწყებდა, არაფერი სჯობდა იმის მოსმენას. შალიკო ჯაფარიძე – ახოვანი, კარგი მომღერალი და მოქეიფე – ნამდვილი სუფრის კაცი, დაგესვა სუფრასთან და გეყურებინა: სიმღერა, ცეკვა, ყველაფერი შეეძლო. კოტე გოგოლაძეც კარგად მღეროდა – ექვთიმეს ძმა (შალიკო ჯაფარიძეს გეზელიას სანახშობები ღირსეულად გაიხსენებენ).

და კვაცხუთის გუნდის მშვენება ექვთიმე გოგოლაძე – დიდებული პირველი ხმა. ერთ შეცდომას არ გაპატიებდა: ასე და ასე უნდა იმღეროო. თავად შალიკო ჯაფარიძე ამბობდა: ჩვენში ექვთიმესთანა პირველი არავის აქვსო. როსტომის დიპლომის დაცვაზე ვოვა კურტიდს, პეტრე ნალბანდიშვილსა და შალვა კილოსანიძეს უთქვამთ: სად მოდიოდი, მასნავლებელი აქა გოგოლია (ჩვენ ვნახავთ როსტომის მოსწრებულ ხუმრობას ამაზე). ასეთი მამისა და ძმების პატრონს სხვა კონსულტანტები არ დასჭირვებია, ისე დაიცვა დიპლომი.

შალიკო ჯაფარიძის ხსენებაზე როსტომ გოგოლაძემ არაჩეკულებრივი რამ გაიხსენა: მამაჩემს – ექვთიმეს – ქვევრის გარეცხვა უყვარდა შემოდგომით. ერთხელ შალიკო ურავიდან ბრუნდებოდა და ექვთიმესას შეიარა. ექვთიმე ქვევრშია ჩასული და რეცხავს. შევიდა

მარანში, დაადგა თავზე და შემოძახილი ზევიდან დაჰკაკანა. მამაჩემ-მა ქვევრიდან მისცა ხმა. იმათ ჯუმბერიკა კანთელაძე შეუერთდა და შეიკრა სიმღერა. მამაჩემმა ქვევრის რეცხვას თავი დაანება და დედაჩემს სუფრა ეზოში გააშლევინა. დიდებული ლხინი გაიმართა. საუკეთესო მომღერალს გრიგოლა ბიჭაშვილს შვილი დაელუპა და ოთხი წელი არ ემღერა. მამაჩემმა გრიგოლას დასაძახებლად გამგზავნა. მეც ვუთხარი: შალიკოა ჩამოსული და მამაჩემი გეძახის, გრიგოლა ბიძია-მეთქი. ჩამოვიდა... მღეროდნენ დამსვდურები. უსმინა საწყალმა გრიგოლამ და, – ოთხი წელია ვტირი, მარა შვილი ვერ გამიცოცხლდა, – შამოუკიდა იმანაც. საოცარი პირველი ხმა ჰქონდა. ამ მაგალითით მრავალ გაუბედურებულ კაცს დავაწყებინე სიმღერა. ელგუჯა ბაკურაძეს რომ მოვუყევი, იმასთანაც გაჭრა (უნებლიერ გახსენდება მთელ საქართველოში გახმაურებული ამბავი: 1954 წელს არტემ ერქომაიშვილს ავტოკატასტროფაში ერთად-ერთი ვაჟი, დავითი, დაელუპა. დაკრძალვის მეორე დღეს არტემმა ოლიმპიადის გამარჯვებულთა კონცერტზე მაკვანეთისა და ექადის გუნდები გამოიყვანა). როსტომი რატომძაც თავის თავზე არ ჰყვება: 2005-2006 წლის ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალის მეორე, რეგიონული ტური, ამბროლაურში ჩატარდა. სწორედ იმ დღეს კრძალავდნენ როსტომის ერთადერთ დას – თინას. გვახსოვს: როსტომი მოვარდა, ცრემლად იღვრებოდა, ანსამბლი გამოიყვანა, იმღერა და აქვითინებული გაიქცა (საგალობელი ამ ფესტივალის ლაურეატია).

ოქრო ბიჭაშვილი კვაცხუთის გუნდის რეპერტუარის ჩამოთვლისას ერთ სიმღერაზე, – ვისაც რა უნდა, ისა თქვას, – ჩერდება. რაჭული კილო არაა, ექვთიმეს მოტანილი სიმღერა უნდა იყოს საიდანლაცო, – და სახელდახელოდ იმღერეს: დამწყები ელიზბარ გოგოლაძე (როსტომის ძმა), მოძახილი როსტომ გოგოლაძე, ბანი – ოქრო ბიჭაშვილი.

ოქრო ბიჭაშვილი კვაცხუთის გუნდში 70-80-იან წლებში მღეროდა. 1981 წელს გუნდი რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი გახდა, 90-იანი წლების დასაწყისში კი არსებობა შეწყვიტა.

P.S. ხიდიკრიდან კვაცხუთში გავემგზავრეთ – გოგოლაძეთა ნაფუძრის მოსანაზულებლად. ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებებს წიგნის ბოლოს შემოგთავაზებთ.



პაშა მახალდიანი (1925–2015)

ქვემო რაჭაში ზედიზედ ორჯერ ჩასვლამ და სოფლების მოვლამ დაგვარწმუნა, რომ „ნინაპართაგან წავიდა ყველა“, კანტიკუნტადაა შემორჩენილი გარდასულ ამბავთა მცოდნე. ეთნოფორს რომ თავი დავანებოთ, მთხრობლის, გადმომცემის პოვნა ჭირს. ჩვენი მიზანი ხომ თავშივე განვაცხადეთ: წინამორბედებზე გავლით საგალობლამდე – როსტომიამდე – მისვლა.

ხვანჭკარა არა მარტო ხვანჭკარით, არამედ ამ უნიკალური ჯიშივით განთქმული მომღერლებითაცაა ცნობილი (მახალდიანები, დვალები, მესხაძეები, ვანაძეები...). ჩვენ ანსამბლი თარიკონი და მისი წევრები გვაინტერესებდა. როსტომ გოგოლაძემ, არამცთუ კაცი, ქვაცკი იცის, სად დევს რაჭაში და ხვანჭკარაში პაშა მახალდიანთან მიგვიყვანა. მცირე კუპიურებით გთავაზობთ ამ საოცარი ქალბატონის მონათხრობს.

...რამდენი წლის ვარ და 89 წლის და 5 თვის! გამომიყვანეს და მამლერეს, - 86 წლის ვიყავი მაშინ.

სტუმარმა იცის სამი ტყუილი: რომ ამზადებენ საჭმელს – არ მშიაო; ცეცხლს დაანთებენ, არ შეცივდესო – არ მცივაო; დარჩი, დარჩიო და – მეჩქარებაო...

ამბროლაურში ვსწავლობდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, იქ ჩამოყალიბებული იყო სიმღერის გუნდი – ხელმძღვანელი ოთარ ქოქოსაძე. იქ ვმდეროდი, მერე არსად მიმღერია გუნდში. ნაზიკო ნემსინვერიძე, თამარა ტყუშელაშვილი, თინა ბოჭორიშვილი, თინა მიქაშვილი მღეროდნენ ამ გუნდში, ეს იყო 1943-44 წლები. ძალიან მიყვარს მუსიკა. აკორდეონზე ვუკრავდი და ვმდეროდი ადრე, ვუკრავ 7-სიმიან გიტარას, ფანდურს და მანდოლინას. ჩვენი სოფლის (ხვანჭკარის) გუნდი იყო ჩამოყალიბებული, ხელმძღვანელობდა იმას შაქრო მახალდიანი. სოფელ ჩორჯოს ანსამბლ თარიკონს – ვაჟა (განარე) დვალი. როცა თბილისში წავიდნენ გადაღებაზე, მაშინ ვაჟა არ იყო სახლში, კულტურის სახლის დირექტორი იყო ჯონი მხეიძე და ის წავიდა. იქ მდეროდნენ: შაქრო, ინდიკო, თენგიზა მახალდიანები

(სოსოს მამა), გივი მესხაძე, სამშე მესხაძე, ვაჟა სანთელაძე (ჩემი მეუღლე), გიგლა ვაწაძე, რაფიელა ვაწაძე, გერონტი ვაწაძე. ბიჭიკო დვალიც კარგად მღეროდა, მაგრამ მაშინ აღარ იყო ცოცხალი. ჩემი შაქრო და ინდიკო დმიტრი ინდიკო, ქორწილი რომ იქნებოდა, მაგრენი რომ იმღერებდნენ მაყრულს, ურუანტელი დაგივლიდა ტანში. შაქრო და ინდიკო მეტი იყვნენ, თენგიზა – ბიძაშვილი. ინდიკოს პირველი ხმა ჰქონდა, შაქროს – მეორე, შაქრო პირველსაც მღეროდა და ბანსაც. მათი მშობლებიც მღეროდნენ, მამა – იასონ მახალდიანი, დედა – მარინე – სარდანაშვილის ქალი იყო. ჩემი მამა იყო პლატონა. ჩევნოვანები სულ ქეიფი და სიმღერა იყო. მრავალსულიანი ოჯახი ვიყავით, ბიძაჩემს ოთხი შვილი ჰყავდა – ორი გოგო, ორი – ბიჭი. დედაჩემს და მამაჩემს სამი შვილი, ორი გოგო, ერთი – ბიჭი. შვიდი ბოვში ვიყავით. სტუმრებით გეივსებოდა სახლი და მაგიდის ქვეშ შევქრებოდით და ისე ვუსმენდით სიმღერას. არ გვქონდა ინსტრუმენტები, მამაჩემს ყავარს გამოვათლევინებდით, გავაპამდით კოჭის ძაფს და ვუკრავდით, ვითომ გიტარა იყო. მერე ბიძაჩემმა (ვლადიკავკაზიში მუშაობდა პურის მცხობლად) მოგვიტანა გიტარა. ზეიმი გვქონდა სახლში, ერთ ამბავში ვიყავით. ის გიტარა დიდხანს გვქონდა. ჩემი ბიძაშვილი რომ გათხოვდა სადმელში, მზითვად წაიღო. არქიფო მეტონიძეს გაჰყვა, არქიფო კარგი მომღერალი იყო, სადმელის გუნდში მღეროდა.

სანახო ჩორჯოში... უწინ მთელი ჩამოყოლებით ღობეები იყო, ჩამოვჯდებოდით ღობეზე, ისეთი მხიარულობა იყო... ფანდურებიც ქეგვერნდა, გიტარასაც წავიღებდით. მამაჩემი სამივე ხმას მღეროდა, გურულ კრიმანჭულსაც კი იტყოდა ხოლმე... დედაჩემი არ მღეროდა. (პაშა აწყობს გიტარას და მცხოვრის თუ ასე ტურფა იყავი.. გიტარა და ფანდური ვერ მომართა, სიმებიც არ უვარგა, – ჩემი ხნისაა და გაცვდაო).

პაშა ინდიკო მახალდიანის ქალიშვილთან ერთად ცხოვრობს. მარინე წუხს: ეს ერთი თვეეა, რაც ხმა წაერთვა, თან ზუსტად ახლა გაუწყედა გიტარაზე სიმი, თორემ ისეთ კონცერტებს ვატარებდით... მე ფანდურზე ვუკრავდი, მამიდა – გიტარაზე.

პაშამ ბოლოს მაინც ააწყო გიტარა და დაამღერა: ვაჟერა – სიმღერა სტახანოველ მათეიაზე (დაკვრისას ბაძავდა იმ საკრავს,

რომელზედაც სინამდვილეში ეს სიმღერა სრულდება და ჩვენც მხოლოდ საკრავის სახელს მივუთითებთ); შემდეგ ქალაქურიც მიაყოლა – და პირველად გაცნობისას (გიტარა). საფანდურო რეპერტუარი უფრო ვრცელი და მრავალფეროვანი იყო: მესტვირული (სტვირი); აფხაზური (სალუმან ახანას ჰევავს. ჩონგური და ჩანგი); ჩონგურს სიმები გავუბი (მეგრული ართი კოჩის ჰანგზე, ქართულად, ჩონგურს ბაძავს). დასაკრავი – ხოხბის ყელივით ლამაზის ჰანგზე, უკრავს ჩონგურივით; სიმღერა სტალინზე (არ უნდა ამეისუნთქო, ისე უნდა ჩახვიდე ბოლომდე, ვილაც წარამარა სუნთქვადაო, – იცინის); კითო ჟირი (ჩონგური). ქალბატონმა პაშამ მანდოლინაც არ დატოვა უყურადღებოდ, ჯერ დასაკრავი შეასრულა, შემდეგ მარინესთან ერთად სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ (მინდორში, ბალახბულახში ჰანგზე).

ყოველმხრივ გაგვაოცა ამ ოჯახმა და ამ დიდებულმა, ტრაგიკული ბედის ქალბატონმა. თითქოს იმ დიდი, გარდასული მახალდიანების აჩრდილები რიალებდნენ... ჯერ ერთი სვეტიცხოვლიბაა და ისედაც, – სტუმრებს უპატივცემულოდ როგორ გაგიშვებთო, – და სუფრა გაშალეს. შაქრო მახალდიანის ვაჟი – როინიც – შემოგვიერთდა. დაუვინყარი სვეტიცხოვლობა იყო. გამოვემშვიდობეთ გულად და პურად მასპინძლებს: კრიხში ამირან კუბლაშვილთან, ხიმშში კი უორა სხირტლაძის ოჯახში და როსტომ არჩვაძესთან მიგვეჩარებოდა. თან ორი ურთიერთსანინაალმდეგო გრძნობა მიგვყვებოდა: სიამაყე, მათი არსებობით მოგვრილი, და გალაკტიონისეული პროტესტი:

ნუ კვდება, რაც უბრძნესია,
ნუ კვდება, რაც ლამაზია.

ხვანჭკარა, 2014 წელი

14 ღვინობისთვე, სვეტიცხოვლობა

P.S. 2015 წლის გაზაფხულზე პაშა მახალდიანი გარდაიცვალა.

ჩვენი დიდი გარჯისა და მონდომების შედეგად, ისევ და ისევ რო-სტომ გოგოლაძის თავგამოდებით, მხოლოდ ამ მომღერლების, ლოტ-ბარების, ანსამბლების, მომღერალი გვარების, ოჯახების მიგნება და მათზე მნირი მასალებისა და ცნობების შეგროვება შევძელით. გა-მოცდილებით ვიცით: ყველას მისაგებელს ვერ მივაგებთ, რამდენი ლირსული გვრა-სახელი გამოგვრჩა, რამდენთან ვალში ვართ... ქედს ვიხრით მათი ნათელი ხსოვნის წინაშე, მაგრამ ამ წიგნით ყველაფერი არ მთავრდება, მხოლოდ იწყება და მომავალში მას აუცილებლად ექნება გაგრძელება.

უკვამლოდ, უნაპერნკლოდ ცეცხლი არ ჩნდება. უამათოდ არც რაჭული სიმღერა გადარჩებოდა და არც საგალობელი იქნებოდა, მით უფრო, არც ლოტბარ როსტომ გოგოლაძის ფენომენი იარსებებდა. რაჭული სასიმღერო დიალექტის ძლიერი ზროს ვარჯებს ქმნიდნენ ამ-ბროლაურელი, ნიკორწმინდელი, სადმელელი, ჭელიალელელი, ხვანჭკარელი, ჭრებალოელი, აგარა-უყეშელი, წესელი, კრიხელი, ლიხეთელი, შემერელი, ხიმშელი, კვაცხუთელი, ჩორჯელი, ცახელი, ზნაკელი, ჭყვიშელი მომღერლები, ლოტბარები, მომღერალი გვარები და ოჯახები: გენაძეები, საგანელიძეები, ცხვედიანები, ნიკოლაშვილები, გოგოლაძეები, კობახიძეები, კანთელაძეები, ჯაფარიძეები, ქოქოსაძეები, გოგშელიძეები, ვაწაძეები, შავლაძეები, ბიჭაშვილები, გამყრელიძეები, კერესელიძეები, მესხაძეები, დვალები, ლოთიშვილები, ღოთაძეები, ჩიტალაძეები, ნატმელაძეები, ხუციშვილები, გოგსაძეები, ბეშიძეები, გოცირიძეები, მიქაშვილები, მახალდიანები, მაისაშვილები, გელოვნიშვილები, კერვალაშვილები, ჭილვარიები, ქურციკიძეები, სხირტლაძეები, სანთელაძეები, იაშვილები... დიდი მადლობა ყველას. მათ მეტი მიეცათ ღვთისაგან, სიმღერის წიჭი და, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, უხვადაც გახარჯეს ერისა და რაჭული სიმღერის სამსახურში. წინაპრების გავლით, მათ კვალში დგომით მოვიდა როსტომ გოგოლაძე ქართულ ხალხურ სიმღერაში, „ყოვლისა მოსახვეჭელზე უმჯობესი მოიხვეჭა“ და დაიმკვიდრა სახელი, სახელი აღმდგენლისა, გადამრჩენისა, დამმკვიდრებლისა და პოპულარიზატორისა. ეს არ არის უბრალო რამ, იოლი და ყველასათვის შესაძლებელი. როსტომ გოგოლაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ეს შეძლო, ვინაიდან, მართლაც დიდი ჰყავდა წინამორბედი. ვფიქრობთ, ანსამბლ საგალობლისა და როსტომ გოგოლაძისათვის, აღმართ-დაღმართის მიუხედავად, ორმოცი წელი არის შეუბდალავი სახელითა და ბეღნიერად განვლილი ცხოვრებისა და შემოქმედების გზა. ჩვენც მივყვეთ მას.



დიმიტრი არაყიშვილი
მხატვრები: გრიგოლ და ლადო ჯაფარიძეები, 1916 წ.



რაჭა-ლეჩებუმის გუნდი, პირველ რიგში მარცხნიდან მეხუთე ვასილ კობახიძე, მეორე რიგში მეორე ვანო ტოროშელიძე (ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივი).



რაჭველების გუნდი, ვასილ კობახიძე ცენტრში. წიკო-წიკოთი ზის ვანო ტოროშელიძე (ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივი).



ამპროლაურის სარაიონო გუნდი, ხელმძღვანელი აკაკი გენაძე, 1938წ.
(ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივი).



ამპროლაურის სიმღერისა და ცეკვის სარაიონო გუნდი. ხელმძღვანელი ნათელა გოგშელიძე (მეორე რიგში მარცხნიდან მეათე), ქორეოგრაფები: გულნარა და შაქრო ჭოხონელიძეები, 1967 წ.



ნიკორწმინდის ანსამბლი, ხელმძღვანელი ჯიმშერ კობახიძე.
1978–1980წწ.



წესის კულტურის სახლის ანსამბლი. მარცხნიდან პირველი აკაკი გო-
ცირიძე, 1986–1987წწ. ჭიანურით ზის – არხეინა (დავით ნატმელაძე).



ნიკოლოზინის კულტურული გაერთიანების დღეზე მაცხოველების ერთობერთობის დღე 1975.



ალექსანდრე ენუქიძე,
სადმელის გუნდის წევრი.



ნიკორწმინდე
ნიკორწმინდე მომღერლები: რაჟდენ
მიქაშვილი, უორა კობახიძე, უჩა ფურ-
ცხვანიძე, არქიფო კობახიძე 1975.



რეკლო ოშხერელი (მარჯვნივ),
სარაიონო გუნდის წევრი.



თარიკონის წევრები, ბიძაშვილები:
ვაჟა და გრიშა ვაწაძეები.




კვაცხუთისა და ხიდიკრის
ანსამბლის ლოტბარი ბიძინა
ნიკოლაშვილი.



კვაცხუთელი მომღერალი,
განუმეორებელი პირველი ხმა
გრიგოლა ბიჭაშვილი.



ხვანჭკარელი მომღერალი,
სანდრო კავსაძის გუნდის
წევრი გალაქტიონ ჭარბაძე.



ხიდიკრისა და ამბროლაურის
სარაიონო გუნდების წევრი
ალე ნიკოლაშვილი.



ანსამბლ თარიკონის წევრი
ბიჭიკო დვალი.



ანსამბლ თარიკონის წევრი
ინდიკო მახალდიანი.



ანსამბლ თარიკონის ხელმძღვანელი შაქრო მახალდიანი.




ანსამბლ თარიკონის წევრი
თენგიზ მახალდიანი.




სარაიონო გუნდის წევრი
ქორა დვალი.




კვაცხუთისა და ხიდიკრის
ანსამბლების წევრი იერემია
საგანელიძე.



ცახის ანსამბლის წევრი
გალაქტიონ სოხაძე.




ცახელი მომღერალი დალოსტი
სოხაძე. პოლიკარპე ხუბულავას
ანსამბლის წევრი.



სასო კერესელიძე, სადმელისა და
სარაიონო გუნდების წევრი.



ხარიტონ კერესელიძე, წესისა და
სარაიონო გუნდების წევრი.



ოთარ ჯაფარიძე, ხიდიერის ანს-
ამბლის წევრი



გურიელი ნიკოლაშვილი, ხიდიერის
ანსამბლის წევრი.

როსტომიანი

მას არა ვჰებავ ასრე, ვითა
მე სხვა კაცი არა მგავსა.
რუსთველი

როსტომ ექვთიმეს ძე გოგოლაძე ამბროლაურში, იური კობახიძის ოჯახში, მის მაისის ვარდებაალებულ ეზოში ჩავწერეთ (ბაია ასიეშვილი, ნანა ვალიშვილი, ნიკოლოზ ირემაშვილი), საიდანაც ხელისგულივით ჩანდა კავკასიონის კალთას არწივის ბუდესავით მიკრული კვაცხუთი. როსტომის ექვთიმეს ძეობას განსაკუთრებით ვუსვამთ ხაზს და რუსთველის ცნობილი ტაეპიც ეპიგრაფად შემთხვევით არ გამოგვიტანია. თავად როსტომი უცრემლოდ, უსინანულოდ ვერ იგონებს მამას – უფრო მეტის სწავლა, უფრო მეტის დატოვება შეიძლებოდა, მაგრამ ეგონა, მამა სულ იქნებოდა და სულ იმღერებდა.

იკდა ჩვენ წინ სიცოცხლით სავსე, დაუდეგარი, შევერცხლილი, ჭარმაგი კაცი და სხარტად (არარაჭულად), გასაოცარი მეხსიერებით ჰყვებოდა თავისი ცხოვრების 67-წლიან ისტორიას, რომლისგანაც 42 საგალობელს, რაჭული სიმღერის არქეოლოგიურ კვლევა-ძიებასა და სამზეოზე გამოტანას მოახმარა (როგორც მას მოხდენილად უწოდა მისმა მეგობარმა და ანსამბლის წევრმა დათუნიკა სხირტლაძემ).

გოგოლაძეები თავს რაჭაში, ყოველ შემთხვევაში კვაცხუთში, მოსულებად მიიჩნევენ, იმ კვაცხუთში, სადაც ქვაც კი მღერის. სამ საუკუნე-ნახევრის წინ სამი ძმა – გიტული, მოგელიტი და თაზიკი – მოსულა რაჭაში. გიტული თუ მოგელიტი უშვილოდ გადაებულა, ერთ-ერთი ძმის შთმომავლები არიან როსტომის ბიძაშვილები, თავად კი თაზიკის მემკვიდრედ მიიჩნევს თავს. გადმოცემით, თაზიკს ყველა შვილი ელუბებოდა, ბოლოს ერთ-ერთისათვის გლახო დაურქმევიათ, ღვთის სახელზე გაუშვიათ და იმას გაუმრავლებია თაზიკის მოდგმა: როსტომი, ზურაბი, მიხეილი, ოქრუა, დიანოზი (ადრე გარდაცვლილა). როსტომის შთამომავლები არიან: ექვთიმე, ვანო, ნიკო, კოტე, კაკო (ბავშვობაში გარდაცვლილა) და ორი და. როსტომ გოგოლაძემ საოცარი სიზუსტით იცის თავისი დიდი ოჯახისა და მოდგმის

ისტორია, თითოეულის გენეალოგია, დიდი წვეულებების ამბავი და ერთმანეთთან სტუმრობა, განსაკუთრებით ექვთიმეს ოჯახში. ეს, მართლაც, „მარადიული დღესასწაული“ იყო, რომელსაც ერთი საკრალური რამ აერთიანებდა – სიმღერა. როსტომის დედა აგრაფინა ნიკოლაშვილთა მომღერალი გვარის შვილი იყო. ჭირნახულის დაბინავების შემდეგ კვირაობით გრძელდებოდა ურთიერთსტუმრობა. გოგოლაძეებ-ნიკოლაშვილებთან (პავლე, ონისიმე – აგრაფინას ძმები) ერთად მღეროდნენ: რატიანები, გენაძეები (გალაქტიონი), კიკვაძეები (არტემი). აგრაფინას ბიძაშვილები – ბიძინა, რუბენი და აველ ნიკოლაშვილები – ისეთი მომღერლები იყვნენ, ნებისმიერ ანსამბლს რომ დაამშვენებდნენ. ყველანი კვაცხუთის გუნდში მღეროდნენ და თოხზე შრომით ირჩენდნენ თავს. სიმღერის გამძლე გენი დაჰყვა ექვთიმესა და აგრაფინას ხუთივე შვილს – ვაჟას, გურგენს, ელიზბარს, თინას და ნაბოლარა როსტომს – თანაც გამუდმებით უსმენდნენ უნიკალურ ხმებსა და სიმღერებს. ვაჟა და გურგენი აღარ არიან, ელიზბარი ჩინებულად მღერის და კიდევაც გამოიჩინა თავი (ამაზე ქვემოთ). აქვე ვახსენებ მთელ საქართველოში ცნობილ როსტომ გოგოლაძის ოჯახს: მეუღლეს მარინე ჩიხრაძეს, თავის განუყოფელ ტყუპისცალ ირინესა და ანსამბლ იავნანასთან ერთად. შვილებს – ნიკოს – ანსამბლ ალილოს მომღერალს და ლადოს – საგალობლის წევრს, მსახიობს, მოცეკვავეს; სალომე ენუქიძეს – ირინე ჩიხრაძის ქალიშვილსა და იავნანას წევრს.

როსტომი, ჩვეულებრივ, საბჭოთა ბავშვივით იზრდებოდა, ოღონდ ერთი ბედნიერი გამონაკლისით: სალამოობით ბუხართან, მამის მუხლებზე წამოსკუპებულს, ექვთიმე რაჭულ სიმღერებს და მის ვარიანტებს ასწავლიდა. ექვთიმეს, სხვა რაჭველთა დარად, თბილისშიც უმუშავია ხაბაზად და წნორშიც, ქალაქური სიმღერებიც შეუთვისებია და ქართლ-კახურიც, მაგრამ შვილებს მშობლიური კუთხისას ასწავლიდა, რომლებიც შეიძლებოდა გამქრალიყო და დაკარგულიყო. შვილს ახლაც უკვირს: მთელი დღე ყანასა თუ ვენახში ნამუშევარ მამას როგორ შეეძლო, კვაცხუთის გუნდშიც ემღერა, ამბროლაურში სარაიონო გუნდის რეპეტიციებს დასწრებოდა და შვილებიც სასიმღერო ტრადიციით აღეზარდა (კიდევ ერთხელ მადლობა და დიდება ასეთ კაცებს!). ოთხი-ხუთი წლის როსტომი და-ძმებთან ერთად

გამართულად მღეროდა. ოჯახის გარდა სიმღერის სკოლა სანახშოც იყო და სამწყემსურიც. ხუთი წლისას დედამ ბატები ჩააბარა, თამაშში გაერთო და გაპარსეს ბატებმა კოლექტივის ლობიო, მოხვდა როსტომს დედისაგან სახრე და წევპლა. სამწყემსურში როსტომსა და გეზელიას – გიზო ჩიტალაძეს (ლეკვებივით ერთად ვიზრდებოდითო) – სიმღერას უფროსებიც ასწავლიდნენ. კარგად ახსოვს ოთარ გელოვნიშვილი და ნანია გუგეშაშვილი – დიდებული ბანი ჰქონდაო... რაც შეეხება სანახშოს: ახალგაზრდები სანახშოს სახელდახელოდ, სადაც კარგი, მოხერხებული ადგილი იყო, იქ მოაწყობდნენ. ყველაზე ხშირად გოგოლაძეების უბანში – ზიარყანაში იმართებოდა (ახლა იქ გაუვალი ეკალ-ბარდი და ბუჩქნარია). სანახშოზე გასართობად იკრიბებოდნენ, ახალგაზრდობა ერთმანეთს სიმღერას ასწავლიდა – ე.წ. „ფეზეოელები“, ქართულ ჯარში ნამსახური ბიჭები. დიდალი სიმღერა იყო ომის თემაზე. უზარმაზარი ლოდები ამფითეატრის ფუნქციას ასრულებდა. მღეროდა ყველა: ექვთიმეს ხუთი შვილი, სანდრო გოგოლაძისა – რვა, ლადო გოგოლაძის – ექვსი... ჩიტალაძეები, გელოვნიშვილები, ჯაფარიძეები, მელაშვილები, ნიკოლაშვილები, საგანელიძეები, ბიჭაშვილები, იაშვილები... სიმღერა გადამდებია და იყო დიდი მხიარულება და ცეკვა-თამაში. სანახშოზე უკრავდნენ: ფანდურს, დაირას (დაირის), ჭიანურს, ქართულ გარმონს, ბალალაკისა და მანდოლინასაც კი.

ხალხური სიმღერებისა და გამზრდელის ზეპირად ცოდნით შეიარაღებული შევიდა როსტომი შვიდი წლისა, 1953 წელს, ხიდიკრის რვაწლიან სკოლაში. ლექსი თუ იციო, – და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო, ძლივს გააჩერა მასწავლებელმა მარო ბენდიანიშვილმა. მღეროდა და ცეკვავდა ხიდიკრის სკოლის გუნდში. სიმღერას ზინა ბარსონიძე ასწავლიდა (ცნობილი მომღერლის ავთანდილ ბარსონიძის და), ცეკვას – ილუშა მუსერიძე. ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკურმში სწავლისას – ჯერ ოთარ ქოქოსაძე (სარაიონო გუნდის ხელმძღვანელი), შემდეგ ციალა გოგშელიძე. ტექნიკურმიდან ისევ სკოლას დაუბრუნდა, 1965 წელს დაამთავრა და სამწელინად-ნახევარი სარატოვში სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაატარა. აქაც გამოადგა სიმღერისა და ცეკვის ნიჭი, ქართული გუნდი შექმნა და პიონერთა ბანაკებში კონცერტებს მართავდა, თან ექსპედიტორიც

იყო.

1968 წელი გზაჯვარედინია როსტომ გოგოლაძის ცხოვრებაში: ოდესის კავშირგაბმულობის ინსტიტუტისაკენ მიუწევდა გული, მაგრამ მათემატიკაში მოიკოჭლებდა. თბილისის საესტრადო-საცირკო სასწავლებელზე შემთხვევით შეხვედრილმა ჯემალ მუსერიძემ ააღებინა ხელი – კულტურაგანმანათლებლო სასწავლებელში ჩააბარე, დირიჟორობას ისწავლი, შენს კუთხესაც გამოადგები და ქვეყანა-საცო. როსტომი საინტერესოდ იხსენებს გამოცდის ამბავს: დავიჯერე ჯემალის რჩევა და 1969 წელს ჩავაბარე სასწავლებელში. გამომცდელები იყვნენ: ანზორ კავსაძე (მაშინ სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელი), ვასო მახარაძე და ნიაზ ილაშვილი. გამოცდაზე ფანდური და სალამურიც მივიტანე, ორივეზე ჩემით ვისწავლე დაკვრა. დავუკარი, მოეწონათ. მერე მამლერეს, ამყვნენ ანზორიცა და ვასოც, ჩამომიხტნენ ჩემს ხმაში, მე მეორეზე გადავედი, მეორეც წამართვეს და ბაზზე გადავედი. მოკლედ, მოეწონათ და დამინერეს ხუთიანი. ანზორმა მითხრა: შვილო, შენ დიდი ხმის პატრონი არა ხარ, აქ სხვა გამოცდებიცაა და, თუ ჩაიჭერი, მერე მე მომაკითხეო. ანზორ კავსაძის შეწუხება არ დასჭირვებია, ისე ჩაირიცხა და ოთხწელ-ნახევარი ისწავლა. კლასიკას ნიაზ ილაშვილი ასწავლიდა, პარმონიას – ლეილა ხაფავა, სოლფოვიოს – ვოვა კურტიდი და პეტრე ნალბანდიშვილი, ხალხურ სიმღერას – ვასო მახარაძე, ჩონგურს – მამია პატარავა. შერმადინ დარჩიაშვილის ორკესტრში სალამურს უკრავდა. სასწავლებლის ანსამბლში ტარიელ ონაშვილთან, გოგი ცინაძესთან, ლევან ლოლაშვილთან, კუკური ნინუასთან, რეზო და ავთანდილ მახარაძებთან, ლევან ბატიაშვილსა და გოდერძი ღაზაიძესთან ერთად მღეროდა. თეატრალური განყოფილების რეჟისორმა ლევან შატბერაშვილმა სპექტაკლშიც მიიწვია, რაც შემდეგ ძალიან გამოადგა ამბროლაურის სახალხო თეატრში მსახიობობისას. სასწავლებელში იყო კიდევ ერთი გუნდი, რომელიც კურსდამთავრებულთა დიპლომების დაცვას ემსახურებოდა. როსტომს ეს შედარებით გაკვალული გზა არ აურჩევია, თუ არ აარჩევინეს: დიპლომს აიღებდა მაშინ, როცა ადგილზე, ამბროლაურში, ანსამბლს შექმნიდა შესაფერისი რეპერტუარით და თბილისიდან ჩასული სპეციალისტები შეამონებდნენ მის პროფესიონალიზმს. დღევანდელი გადასახედიდან გასაოცარი და

დასაფასებელია სასწავლებლის ქართული ხალხური სიმღერის მეს-ვეურთა შორსმჭვრეტელობა და საქართველოს კუთხეებში ქართული სიმღერის მოძიება-აღორძინების მათეული ხედვა და მცდელობა. დამოძღვრავდნენ, ასწავლიდნენ და საქვეყნო საქმის საკეთებლად – საჯილდაო ქვის ასაწევად – მიუშვებდნენ. თავად უნდა ეფიქრა, მოე-ძია, შეეკრიბა, ყველასა და ყველაფერზე თვითონ ეზრუნა...

რუბიკონი გადასალახი იყო, მაგრამ რა გზით, როგორ? ადგა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორს ზაქრო მესხს მიადგა, მკაცრ და ძლიერ პიროვნებას (ერთ დროს ცოტა ხნით თავადაც ხომ სწავლობდა ამ ტექნიკუმში). სახელოვანი სასწავლებელი იყო, 500-მოსწავლიანი კონტინგენტით – რაჭიდან, იმერეთიდან, სვანეთიდან, გურიიდან, ქართლიდან. დირექტორი დაეხმარა და როსტომ გოგოლაძემ, ქორეოგრაფ ომარ ტვილდიანთან ერთად (ისიც კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებლის კურსდამთავრებული იყო), 80-კაციანი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი შექმნა. მაგრამ იყო ერთი სირთულე: ყოველ ორ წელიწადში ახალი ცვლა მოდიოდა და თავიდან იყო დასაწყები ყველაფერი. ტექნიკუმის გუნდის პარალელურად უკვე იკვეთებოდა საგალობლის კონტურები, უკვე იკრიბებოდა პირველი ათი კაცი, პირველი ლეგენდარული თაობა, რომელმაც პირნათლად მოიხადა ვალი რაჭული სიმღერის, ლვისა და ერის წინაშე. სიამოვნებითა და სიამაყით ვახსენებთ მათს სახელებს: უორა (გიორგი) სხირტლაძე, ჯუმბერ ჯოხაძე, თემურ ჯანგიძე, ჯუმბერ გოცირიძე, ჯემალ მაჭანკალაძე, იური მაჭანკალაძე, ამირან კუბლაშვილი, გიორგი მაისაშვილი, ვაჟა ომანიძე, ემირ ისაკაძე. ამრიგად, ერთის ნაცვლად ორი ანსამბლი ელოდებოდა სასწავლებლის სპეციალისტებს. და ერთიც – შენიშვნის სახით: ტექნიკუმის ანსამბლის წინსწრების მიუხედავად, საგალობელია როსტომ გოგოლაძის პირმშო და მისი შემოქმედების გვირგვინი. სხვადასხვა დროს მას მრავალი ანსამბლი ჰყოლია, მაგრამ თავისი ჩანაფიქრის ხორცებს და განხორციელება, იდეის საქმედ ქცევა, ყველაზე უკეთ ლოტბარმა საგალობელში მოახერხა.

დადგა დიპლომის დაცვის დღეც. ჩვეულებრივ, ადგილზე ორი-სამი სპეციალისტი ჩადიოდა, ამბროლაურში შვიდი ჩამოვიდა (უყვარდათ როსტომი სასწავლებლის დირექტორსა და პედაგოგ-მას-

წავლებლებს): ვოვა კურტიდი, პეტრე ნალბანდიშვილი, შალვა კილო-სანიძე, შოთა კაპანაძე, პამლეტ მეტრეველი, შოთა ლორთქიფანიძე (ფიზკულტურისა და სამხედროს მასწავლებლებიც კი). ჩვენება-დაცვა კულტურის სახლში მოეწყო და ჩინებულად ჩაიარა. ყველამ იგრძნო, რომ რაღაც ახალს ეყრებოდა საფუძველი, რომლის სათავეში ახ-ალგაზრდა ლოტბარი როსტომ გოგოლაძე იდგა. მაგრამ კიდევ უფრო დიდი გაოცება სპეციალისტებს წინ ელოდათ: სუფრა კვაცხეუთში, ექვთიმეს ოჯახში, გაიშალა. შეღვინიანდნენ და წამოიწყო ექვთიმეს სიმღერა, აჟყვენენ როსტომი და მისი ძმები, საგალობლის ბიჭები. გაუფართოვდათ ვოვასა და პეტრეს თვალები – ასეთი სიმღერა ჯერ არ მოგვისმენია, სად მოდიოდი, აგერ გყოლია მასწავლებელიო. და როსტომის მოსწრებული პასუხი: მოლუნული კარდონი (დიპლომი) ხომ მინდოდაო. ეს ხუმრობით, თორემ უსაზღვროდ მადლიერია აღ-მზრდელების, პედაგოგების, ქართული სიმღერის დიდოსტატების. იქ გატარებულმა წლებმა და შეძენილმა ცოდნამ შეაძლებინა საგალობ-ლის შექმნა. მიმრჩმელიც – ნათლიაც – თავად არის. ჯერ კიდევ სას-წავლებლის პერიოდში მოიფიქრა სახელი ჯერ არშობილისა. ოჯახში მღეროდნენ (გალობდნენ) სულმან მათმან თავისებურ ვარიანტს, ჰგავს ცნობილს, მაგრამ მაინც განსხვავებულია. სახელი აქედან აიღო. თავისი ტოლი ბიჭები გვერდით ჰყავდა, ანსამბლი შექმნიო, – გიგა სხირტლაძემ შესთავაზა, – გვერდში დაგიდგებიო, – და დაუდა კიდეც. ეს 1972 წლის შემოდგომაზე მოხდა. დიპლომის დაცვის ზე-მომოთხრობილი ისტორია – 1973 წელს.

როსტომი კულტურის სახლში დირექტორად მუშაობდა, ანს-ამბლს ხელმძღვანელობდა და მსახიობობდა – სახალხო თეატრისა და იუმორისტული ჯგუფის (აგიტმხატვრული ბრიგადის) წევრი იყო, თანაც საკამაოდ აქტიური, სიმღერა-ცეკვა განსაკუთრებით ეხმარებო-და. ამბროლაურის იმდროინდელ პრესაში საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობოდა სახალხო თეატრს, სპექტაკლების გაშუქებას, გასტრო-ლებს, რაიონის სოფლებში აგიტმხატვრული ბრიგადის თავდაუზოგავ მოგზაურობას და კონცერტებს. ყოველ პუბლიკაციაში ხაზგასმულია როსტომის აქტიურობა, ნიჭი და დამსახურება... ჩვენ ამჟამად არ ვა-პირებთ როსტომ გოგოლაძეზე, როგორც მსახიობზე, საუბარს. იმე-დია, მომავალში ამბროლაურის სახალხო თეატრს, მის რეჟისორებ-

სა და აქტიორებს გამოუჩნდებათ მემატიანე – მათ დიდ საქმეთა მთხრობელი, მაგრამ „ჩვენი გრძნობა-გონება მაინც ჩერდება“ ერთ გახმაურებულ სპექტაკლსა და გასტროლზე – ლიტვის როგისკისის ფესტივალზე, რომელზეც ამბროლაურის სახალხო თეატრი დავით ერისთავის „სამშობლოს“ გიგა ჯაფარიძისეული დადგმით წარდგა. თეატრის უამრავი წარმატებიდან რატომ მაინცდამაინც ეს დადგმა და ამ ფესტივალში მონაწილეობა? მას, როგორც იტყვიან, პრესა ჰქონდა ისეთი, ნებისმიერი დიდი თეატრი და პროფესიონალი რომ მოაწერდა ხელს: თეატრმცოდნე სოფიკო გუგეშაშვილის ინტერ-რამპის ქართული ოზისი და გურამ ვაჩაძის ლიტვური ჩანაწერების სერია. ეს სტატიები დაინერა მაშინ, როდესაც საქართველოში კო-მუნისტური რეზიმის დამხობამდე საათებილა იყო დარჩენილი (1989 წლის 6–20 ოქტომბერი). მაშინ ასე წერდნენ, ასე აზროვნებდნენ, დღეს კი არც ავი იწერება, არც – კარგი. საერთოდ, კრიტიკა არ არსებობს და პროცესი თვითდინებაზე მიშვებული ცველისხმობთ ფოლკლორის ყველა დარგს). ედიშერ გარაყანიძის შემდეგ ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობაზე იშვიათად, კანტიკუნტად იწერება რაიმე. ვინაიდან საგალობელი სწორედ შემსრულებლობით, სტილითა და მანერით გამორჩეული ანსამბლია, ამის სათქმელად ამიტომაც გაგვექცა კალამი. რაოდენ სასიამოვნოა, რომ საგალობლის საკეთებელი საქმის მნიშვნელობა ყოველთვის მართებულად ეს-მოდათ რაიონშიც და თბილისშიც, ყოველთვის იყო სათანადო გამოხმაურება. ანსამბლის აღიარებას, საიუბილეო თარიღებს, ჯილდოებს, გასტროლებს, პრემიებსა და კონცერტებს ჩვენ ქვემოთ საგანგებოდ აღვნიშნავთ.

ახლა აუცილებლობად მიგვაჩნია, უშუალოდ ლოტბარ როსტომ გოგოლაძის შემოქმედებითი გზის ძიების ურთულეს პროცესებზე, რეპერტუარზე, მისხალ-მისხალ შეგროვებულ, მიგნებულ და ალდგენილ რაჭულ სიმღერებზე ვისაუბროთ. ვინც ეძებს, კიდეც პოულობსო, – ნათქვამია. მადლობა ლმერთს, ხალხის მეხსიერება გამძლეა, დასაკარგავად კარგს იოლად კი ვერ იმეტებს, გვიან, ძალიან გვიან მიაყრის დავიწყების ავლსა და ფერფლს. ხალხური სიმღერა „ხალხ-ისაა და ხალხშია“ – იპოვი, აღადგენ, დაამკვიდრებ და ხელმეორე სიცოცხლეს მიანიჭებ. მაგრამ საქმე ასე იოლადაც არ არის. რაჭული

სიმღერის მაძიებელმა თუ მკვლევარმა უამრავი პროცესი, შიდა თუ გარე ფაქტორი უნდა გაითვალისწინოს: გეოგრაფიული მდებარეობა, რაჭელი კაცის ცხოვრების წესი, სიმღერის გადინებისა (გატანის) თუ სხვა კუთხის მუსიკალური ფოლკლორის შემოდინებისა და შერევა-ალრევის მომენტი. ასეთი მოვლენები უფრო თვალსაჩინოა, ხელის გულზე დევს და პროფესიონალის ყურისათვის მათი გარჩევა შედარებით იოლია. ძნელზე ძნელია სიმღერის (ამ შემთხვევაში რაჭულის) ძირითადი პლასტის პოვნა, მისი ზუსტი არქიტექტონიკის ცოდნა, იუველირის მოთმინება და გულმოდგინება, ხელოვნური ქმნადობისა-გან, ჰიბრიდულობისაგან თავის დაღწევა. უფრო მეტი სიცხადისათვის: შემორჩენილია, ნაპოვნია ერთი მუსიკალური ფრაზა, ერთი სასიმღერო მუხლი, ტექსტის ფრაგმენტი, მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი ანდა სიმღერის მოკლეზე მოკლე ვარიანტი. აი, აქ დგას ლოტბარი (სპეციალისტი) უდიდესი საფრთხისა და დაბრკოლების წინაშე. აქ უხდება ბეწვის ხიდზე გავლა. ქართული სიმღერა ვერ იტანს უხეშ ჩარევას, სიყალბეს. თავის ულამაზეს სხეულსა და აღნაგობაზე ჭრელაჭრულას, ზიზილ-პიპილების მორგებას, ვერც უტილიტარულ და მერკანტილურ დამოკიდებულებას. მრავალი ჩინებული შემოქმედი, შემსრულებელი და ლოტბარი ჰყოლია ქართულ სიმღერას, მაგრამ მათ სხვა მხრივ დატოვეს კვალი ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობაში და არა როგორც აღმდეგნლებმა და გადამრჩენებმა. ეს ერთეულთა მისია და მძიმე ხვედრი გააზრებული ჰქონდა როსტომ გოგოლაძეს, როცა საგალობელს ქმნიდა. საკმაოდ კარგი მოსაუბრე, გულგახსნილი კაცი, ამ პროცესებზე თავშეკავებით ჰყვება, თითქოს ყველაფერი თავისთავად მოსულიყოს. უფრო მეტად წუხს, ვინმეს დამსახურება არ გამორჩეს, ანსამბლის მეგობრების (ეს როსტომის საყვარელი სინტაგმაა და მასვე ეკუთვნის) ღვანლი არ დაიჩრდილოს. სამაგიეროდ, საკმაოდ სიტყვაუხვობს და მჭევრმეტყველებს მისი გარემოცვა – „ანსამბლის ბიჭები“, მეგობრები, ოჯახის წევრები, ყოფილი თუ კულტურის სამსახურის ახალი მუშაკები, სახელისუფლო ორგანოების წარმომადგენლები. ამასთან ერთად სასიხარულო და საამაყო კიდევ სხვა რამ აქვს როსტომი გოგოლაძეს: ხალხის სიყვარული, ძალდაუტანებელი პოპულარობა, მისი ღვანლისა და დამსახურების შეუმცდარი ცოდნა. როსტომს ყველა იცნობს, მისთვის

ყოველი სახლის კარი ღიაა, მისი გამოჩენა ადამიანებს სიხარულს ჰგვრის. ამბროლაურის თითქმის ყველა სოფელი მოვიარეთ და ამის მომსწრე თავად ვართ: შარეულას ხეობიდან, ცახიდან, ეგული სოხაძის ოჯახიდან მომავლებმა, მოკლე გზის ძიებაში (არ დავუჯერეთ ჩვენს მძღოლსა და ოპერატორს ნიკოლოზ ირემაშვილს) თავი ერთ-ერთი სოფლის ორლობის ჩიხში ამოვყავით. მანქანის ხმასა თუ როსტომის დაძახილზე რამდენიმე ჭიშკარი ერთდროულად გაიღო. ჩვენი როსტომი ყოფილაო, — უნდა გენახათ ადამიანების სითბოთი და სიყვარულით გაბრნეყინებული სახეები, ყველა თავისთან გვეპატიშებიდა — ყველი და პური, კეთილი გულიო. სიტყვამ მოიტანა და ჩვენ როსტომის მეზობლებსაც გავესაუბრეთ. მეზობელს ვერაფერს გამოაპარებ, ვერაფერს შეუფუთავ, ვერაფერს შეულამაზებ. საღამო ხანი იყო, ცრიდა მაისის თქორი. ეზო მეზობლებით იყო სავსე: მოხუცი, ახალგაზრდა, ბავშვი, მოზარდი, ფხიზელი, შეღვინიანებული — ყველა ერთ აზრზე იყო: როსტომი არის კარგი კაცი, გაჭირვების ტალ-კვესი, ჭირში გვერდში მდგომი, „სხვისაზეც ისე ერჩის გული, როგორც თავისაზე“. თითოეულის ხმაში იგრძნობოდა დაუფარავი სიამყე, რომ ხელოვანი როსტომ გოგოლაძე და მისი მომღერალი ოჯახი მათი მეზობელია, ხალხური სიმღერა ამ კაცმა, ამ ოჯახმა შეგვაყვარაო. ერთი სიტყვით, იციან როსტომ გოგოლაძის ფასი:

გულნაზ ფირცხალავა — საუკეთესო კაცია სამეზობლოდ, სამეგობროდ, თავდაფებული, ყველაფერში გვერდში გვიდგას — რა უნდა დაავალო, რომ არ გააკეთოს, თუ ოდნავ შეუძლია. მის ოჯახს დიდ პატივს ვცემ, ძალიან მეფასება.

მარინა ბაკურაძე — ამ სახლსა თუ რაიონში როსტომს ყველა იცნობს, უნიკალური ადამიანია — ჩამოსული თუა ვინმე, თორემ მისი ამბავი აქაურმა ყველამ იცის — ხელოვნებითაც და ადამიანობითაც. ნებისმიერ გაჭირვებულს მხარში უდგას. გოუჭირდება ვინმეს რაღაცა — ზოგი უკაცო ოჯახია — შეუძლია, თავისი საქმე დატოვოს და გაუკეთოს.

მევლუდ ფოფხაძე, გოჩა კობერიძე — როსტომი უკეთილშობილესი, სიკეთის მთესველი კაცია. შრომა და სიმღერაა მაგისთვის უპირველესი. სულ დარბის — რეპეტიციაც არ გამორჩეს და ვენახსაც დროზე მიხედოს; სირბილით აკეთებს საქმეს. უსაყვარლესი, ტკბილი

ადამიანია, კარგი ოჯახის პატრონი, ერთგული, პატიოსანი, ყველას დამხმარე, ყველაფერი იცის – სიმღერა, ვენახი, ყანა... ხალხმა უნდა დაუფასოს – საგალობელი მაგის დამსახურებაა.

მაია და დარეჯან ფოფხაძეები – მხოლოდ კარგის თქმა შეგვიძლია: კარგი მეზობელი, კარგი მამა, მეუღლე, მოღვაწე, შესანიშნავი პიროვნება.

გიორგი გოგობერიშვილი – როსტომი ძალიან კარგი კაცია, ყველაფრის გაკეთება შეუძლია; ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობაა, მაგრამ ყველა თაობასთან შეუძლია ურთიერთობა და საერთოს პოვნა.

ომარ ფოფხაძე, ნარგიზა გაგოშიძე, ლელა ხუციშვილი – კაი მომღერალია, ცნობილია სიმღერითა და კაიკაცობით, უღალატო, არასდროს არავისთვის უმტყუნია. რაც შეუძლია, თაქს არ ზოგადს არავისთვის.

თემურ გოგსაძე – როსტომის სადარბაზოში, მეორე სართულზე ვცხოვრობ. უფალმა ხმითა და სმენით დამაჯილდოვა (როგორც როსტომი ამბობს, ჩინებული პირველით), მაგრამ უსინათლო ვარ და ინვალიდის ეტლს მიჯაჭული. 1991 წელს საგალობელმა ჩემთვის სამი საქველმოქმედო კონცერტი გამართა – ამბროლაურის კულტურის სახლში, ქრებალოსა და ჩემს მშობლიურ ლიხეთში. კონცერტებზე დუეტებს ნანა ერქომაიშვილთან ერთად ვმღეროდი. ლიხეთში კონცერტის შემდეგ ამიყვანეს ჩემი წინაპრების ნასახლარზე და კალოზე თანასოფლელებმა სუფრა გამიშალეს. მთელი ცხოვრება მადლიერი ვიქენები ჩვენი დიდი მაესტროსი. მან მე დაუვინყარი სიხარული და ბედნიერი წუთები მაჩუქა (როსტომ გოგოლაძე და საგალობელი 2004 წელს ასევე დაეხმარა იმჟამად სკოლის მოსწავლეს, ლეიკემიით დაავადებულ თაკო ტურძილაძეს. გოგონა ხარკოვში გაემგზავრა სამკურნალოდ და დღეს მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება).

მავანი იტყვის: კაცის ხასიათი, ბუნება, საზოგადოებრივი წონა, სულიერი მდგომარეობა რა შუაშია ქართული ხალხური სიმღერის ძირების წვდომასა და ძიებასთან, მისი განვითარების მაგისტრალური ხაზის შეცნობასთან. არის და მერე როგორ! მომხმარებლური ფსიქოლოგია აზიანებს ქართულ სიმღერას და თვით პიროვნებას, ჯანსაღი მიდგომა და დამოკიდებულება ანედლებს დამზრალ ფეს-

ვებს. და აფორიზმად ქცეული გამოთქმის პერიფრაზი: როსტომ გო-გოლაძეს ქართული სიმღერა უყვარს თავის თავში და არა თავისი თავი ქართულ სიმღერაში. დროა მოვისმინოთ სიმღერების ძიების როსტომისეული ისტორია, თუნდაც ჩორჯული მაყრულის: „ყოვ-ელთვის ვცდილობდი დამეჭირა ისეთი უცხო (რაჭული სიმღერა), რომელსაც „გავაკეთებდი“ და გამოვიტანდი. ახალგაზრდა ვიყავი, ხან სად მიწევდა ქორნილში წასვლა, ხან – სად. პირველი ქორნილი მახსოვს ჩორჯოში: ძმები შაქრო და ინდიკო მახალდიანები და ბიჭიკო დვალი მღეროდნენ ჩორჯულ მაყრულს – სამაყრიოდ გეახელი. თავისი კილოკავით არა ჰერისტორია, არ დაიკარგოს-მეთქი, მოვქექე შაქროსა და ინდიკოსაგან და შევიტანე რეპერტუარში. ისინი ასევე მღეროდნენ მთაში წავედი, წყალი ვსვი... ძალიან ჰერისტორის. ტექსტია საინტერესო, შემდეგ ამ სიმღერის შესატყვისი მოვისმინე სოფელ ველევში დუშა ჩიხრაძისაგან. შევაერთე სიტყვები, ერთი კუპლეტი დავუმატე და ძალიან კარგი სახასიათო სიმღერა გამოვიდა:

მთაში წაველი წყალი ვსვი, ბარად ჩამოველ – მაჭარი
გოგო, რატომ არ ვიცოდი, მე ვიყავ შენი ვაჭარი,
საშიკო სჯობს მაშიკოს, რომ დაბალი არ იყოს,
მიითვალე თითები, შენ თუ ჩემი იქნები,
გადახტენდი, გადმოხტენდი, ითამაშე აცა-ბაცა,
შენ ოხერო ჩემო ცოლო, ასე რამ გაგაზარმაცა?
ზოგი იგეთი ქალია, სულ არა ზრუნავს ბოსტანზე,
მერე მეზობლებში დარბის, ლობიოს საკაზმავაზე.

როსტომმა მიუსადაგა ცნობილი ხალხური ლექსი მცირედი ინ-ტერპრეტაციით:

ლვინო მწყურია, ვერა ვსვამ ამ ჩემი ცოლის შიშითა,
ვისაც ასეთი ცოლი ჰყავს, ჩემიც...

ზოგი რას გულისხმობდა და ზოგი – რას. მერე უორა (სხირტ-ლაძე) იტყვოდა: ჩემიც (მო...ი) მოისპოს, სხვისიცა და ატყდებოდა ერთი სიცილ-ხარხარი. კრიხში ვამზადებდი ანსამბლს (სხვადასხვა დროს როსტომს ანსამბლები ჰყოლია: კრიხში, ბუგეულში, ჭრება-ლოში, ჭყვიშში, ხიდიკარში, რაიკავშირში, ავტოსატრანსპორტო გაერთიანებაში, მექანიზებულ სატყეო მეურნეობაში). აქ იყო ერთი

კარგი მომღერალი – უორა ხუციშვილი. ხან რას მღეროდა, ხან – რას. ერთხელ მაყრული იმღერა და ტექსტი მომენტია. წინ რაღაც სიტყვები იყო, მერე ასე გრძელდებოდა: ცხენს ამოვდებ ავშარასა, გაუდგები გზა-შარასა. მერე ეს ტექსტი ლიხეთურ მაყრულში გამოვიყენე, ძალიან მოუხდა. დანარჩენი მაყრულები გავაკეთე კონსერვატორის ფოლკლორის კაბინეტში დაცული ჩანაწერების მიხედვით. ლიხეთლების ნამღერიც იქ ინახება. შესანიშნავი მომღერლები იყვნენ: ვარლამ და ვასილ გოგსაძები, გენიოზ ბეშიძე და სხვები. ერთ სიმღერას – ჩავხედე, რიყე მეგონა – მღეროდნენ შაქრო მახალდიანი (თარიკონი), გერონტი ვაწაძე და ლიხეთლებიც. ორივეს ნამღერი ტექსტი შევაერთე, შესანიშნავი სიმღერა გამოვიდა – ბალადასავით:

ჩავხედე, რიყე მეგონა,
ლაშქარი მოდის შავადა,
წამოვიდა, წამოვიდა
ურწმუნო ლეკი ჯარადა
ასი ვკარ და ასი მოვკალ,
ერთი გადმირჩა ავადა...

ეს ტექსტი, ძირითადად, ლიხეთურს დავუდე, ჩორჯულის მელო-დია შესანიშნავი მომღერლისაგან – გერონტი ვაწაძისაგან – ჩავი-წერე, სულ სხვანაირი იყო. გული მწყდება, ვერ მომინელებია, რომ ჩაწერილი (მაგნიტოფონიდან) დავკარგე. თუნდაც მამაჩემის სიმღერები. ისე, მუშურები და თოხნურები – ყველაფერი მამაჩემისგან მაქეს ნასწავლი, სულ ოდნავ გავრანდე და გავაშალაშინე, უბრალო რაღაცები დავამატე, სხვა არაფერი შემიცვლია. კოტე გოგოლაძის ძმაკაცი იყო ლებელი ლობჯანიძე, რომელმაც ასწავლა ბიძაჩემს ჯა-მათა. მამაჩემმა და კოტემ იმღერეს და მათგან ავიღე ეს ვარიანტი. დღეს ამ მელოდიაზე საგალობლის გარდა არავინ მღერის. მამაჩემი ასეთ ლექსს მღეროდა – ია და ვარდო თამარო – ჰანგზე:

მაშხალეთში ჩავიარე,
წყალი იყო მეტად ძვირი,
პატარძალმა გამოგვხედა,
მოგვიტანა ლელვის ჩირი,
სანამ ბიჭი წყალს მოიტანს,
ამით გაისველეთ პირი.

რაც შეეხება ასლანურ მრავალუამიერს, ყველა თავისებურად მღერის. ჩვენი ყველას სჯობია. ასლან ერისთავს ანსამბლი ჰყოლია საერისთავოში – ბარაკონზე. თვითონაც კარგი მომღერალი ყოფილა (კახელი ყარალაშვილებისა და ჯანდიერების დარად). მამაჩემის დედულის ბიძა იყო კაცო მერკვილაძე, ასლანის გუნდში მღეროდა და მისგან იცოდა მამაჩემმა მრავალი სიმღერა. ასლანურიც თავისი ბიძისგან უსწავლია ექვთიმეს, მაგრამ კვაცხუთური უნიკალური ვარიანტია, კონსერვატორის საექსპედიციო ჩანაწერებში ინახება. ხანდახან ახალი სიმღერის სწავლებისას ანსამბლის წევრები მეწნიანალმდეგებიან: რა არის, კაცო, რას გვაწვალებო. გაიმართება სიმღერა და მოსწონთ, ეს რა კარგი გამოვიდაო. ერთი სიმღერა მაქვს შეგულებული სევაში, შექმერული მაყრული ყოფილა, ერთი კაცი მღერის, მხოლოდ ერთი ხმა სცოდნია. უნდა მივუსწრო, არაფრით არ უნდა დავკარგო ეს სიმღერა (უკვე ჩაიწერა – ბ.ა.). ბარემ ასლანურის მაგალითზე ექვთიმურ მრავალუამიერზეც ვიტყვი: მამაჩემის ოჯახში ხშირად იყვნენ ანსამბლის ბიჭები, ეფერებოდნენ და ესიყვარულებოდნენ მოხუც მომღერალს. ერთ-ერთ შეკრებაზე ნუგზარ ლებანიძემ თქვა: ხომ გვასწავლა ეს სიმღერა ექვთიმემ, მოდით, დღეიდან ექვთიმური დავარქვათო და ასე დაერქვა ამ მრავალუამიერს ექვთიმური. ნუგზარ ლებანიძეა მისი ნათლია. ერთხელ მამაჩემმა რაღაც საოცარი იმღერა, ვთქვი: უი, ეს რა კარგი რამე იმღერა, ხვალ ამოვალ და ჩავიწერ-მეთქი. ომარ ტვილდიანიც იქ იყო, ერთად ვიმღერეთ. მამაჩემი ხანში შესული იყო, მეორე დღეს ვერაფრით გაიხსენა, ნავიდა და წაჟყვა ექვთიმეს ეს სიმღერა და კიდევ მრავალი. რაც დაიკარგა. სადარდებელია, ძალიან სადარდებელი“...

ბარემ სადარდებელს კიდევ რამდენიმე დარდი მივუმატოთ. „სიმღერების რთველი“, ვარიანტების და ახლის მოძიების ყველაზე კარგი დრო ფესტივალ-დათვალიერება იყო. როსტომი, სცენასთან ჩამწერით ჩასაფრებული, ელოდა ნადავლს (მონადირის გუმანი ტყუილად ხომ არა აქვს). ცახელმა მოხუცებმა იმღერეს ქრისტეს ფერხული. ჩაიწერა, გაშიფრა, გაალამაზა და ტელევიზიით მოასმენინა მთელ საქართველოს. ცახის ანსამბლის ხელმძღვანელი, შემდეგ საგალობლის წევრი, ეგული სოხაძე მღეროდა სოლოს. გოგი დოლიძემ და თემურ ჭკუასელმა 45-წუთიანი გადაცემა გააკეთეს, „ოქროს ფონდ-

ში“ ინახებოდა. როსტომის თაოსნობით ჩაწერა თემურ ჭკუასელმა ხიდიკრისა და კვაცხუთის ანსამბლები და ჩორჯოს თარიკონი, ასევე გოგოლაძეების ოჯახი – ექვთიმეს, აგრაფინასა და მათი შეილების ნამდერი. 90-ანი წლების ავადსახსენებელი მოვლენების დროს ყველა ჩანაწერი დაიკარგა, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით ასე ითვლება.

როსტომ გოგოლაძე ძუნნად საუბრობს თავის სახელოვან მომღერალ ოჯახზე. 32 წლისა დაქორწინდა მარინე ჩიხრაძეზე. მათ, მარინეს ტყუპისცალ ირინესთან ერთად, ერთი გზა, ერთი სკოლა აქვთ გავლილი კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლიდან დღემდე. ლაკონიურია და ტევადია ამ ორი ქალბატონის როსტომისეული დახასიათება: „ძალიან ნიჭიერი ქალბატონები ბრძანდებიან, მშრომელი და მოწადინებული, გადამკვდარი თავიანთ საქმეზე“. ირინე (თავის ქალიშვილთან ერთად) გოგოლაძეების ოჯახის განუყრელი წევრია, ყოველთვის მათთან ერთად გამოდის და წარმატებებსაც მათთან ერთად აღწევს. მრავალთა შორის გამორჩეული: 1991 წელს თბილისში, ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში გამართული ქართული ხალხური მუსიკისა და ქორეოგრაფიის ფასიან კონკურსში ერთდროულად გოგოლაძეების საოჯახო ანსამბლისა და საგალობლის გამარჯვება. იმ დროს ვიღაცას ასეთი კონკურსის გამართვა მოუვიდა აზრად, თანაც ფასიანის! კეთილ ხალხს რა გამოლევს ქვეყნად, ასეთი აღმოჩნდა ამბროლაურის რაიონის აღმასკომის მაშინდელი თავმჯდომარე, ხელოვნების დიდი მოყვარული და ქომაგი, უიული ჭობონელიძე. ადრე საგალობელს 30 000 მანეთი გამოუყო, ახლა კონცერტისთვის დააფინანსა. ოჯახი – ღვინის ქარხნის დირექტორმა ელგუჯა ბაკურაძემ, როგორც როსტომი მოიხსენიებს, სულურთხეულმა და ცხონებულმა კაცმა. ორივეს დაუფასდა მეცენატობა – ანსამბლები ხელდამშვერებულნი დაბრუნდნენ უკან.

შეუძლებელია, არ აღვნიშნოთ როსტომ გოგოლაძის გამორჩეული, კაცთა მოდგმისათვის უიშვიათესი თვისება – მადლიერების გრძნობა. თავის დამსახურებაზე მეტად ის ანუხებს, ვინმესთვის მადლობის თქმა არ დაავიწყდეს, არ გამორჩეს, შესაფერისი პატივი ვერ მიაგოს იმათ, ვინც გაჭირვების უამს ხელი გაუწოდა, ფინანსურად დაეხმარა, თუნდაც გაამხნევა და სწორ გზაზე დააყენა. ახლა საშუალება მიეცა და როსტომ გოგოლაძე საჯაროდ მადლობას უხ-

დის (გარდაცვლილებსაც და ცოცხლებსაც): თანამდებობის პირებს – უიული ჭოხონელიძეს, დავით დარახველიძეს, დავით გაგოშიძეს, ელგუჯა ბაკურაძეს, გოჩა მაცაბერიძეს, იური ხაჭაპურიძეს, კახა გორდეზიანს, მინდია მინდელს, თემურ მიმინოშვილს, გოჩა ენუქიძეს, ტარიელ ბაკურაძეს, ნიკო ლეკიშვილს, ვანო ჩხარტიშვილს, მურმან ქევანიშვილს, ბეგლარ გოგლიძეს, ბათა-შოთა ჯაფარიძეს, აკაკი ჭელიძეს, გოგი ჭელიძეს, პაპუნა მარგველიძეს. საგალობლის მეგობრებს: ედიშერ გარაყანიძეს, კუკური ჭოხონელიძეს, გოგი დოლიძეს, ნუგზარ ფსუტურს... ანზორ ერქომაიშვილს, ტარიელ ონაშვილს, თემურ ჭკუასელს, გიორგი დონაძეს, ლელა თათარაიძეს, ნანა გარსევანიშვილს, გიორგი უშიკიშვილს, ჯუმბერ ჩაჩაშვილს, კაკო ჭელიძეს, მურმან, თემურ, რომან ჯოხაძეებს, ჭაბუკი გამყრელიძეს, ჯანო გაგოშიძეს, გიორგი-ბუხო ბარსონიძეს, მაული კაციტაძეს, გოგი მარგველიძეს, კობა კობახიძეს, გურამ თავშავაძეს, ანგი იაშვილს, ოთარ გელოვნიშვილს, გიზო ჩიტალაძეს (ბოლო სამეულს ჩვენ კიდევ შევხვდებით).

ზედმეტია იმის ხაზგასმა, რომ როსტომ გოგოლაძისათვის „სამშობლოს გრძნობა“ ყველაზე მთავარია. ასეთი კაცები ამას სიტყვის მაგივრად საქმით ამტკიცებენ, მაგრამ უცხო ქვეყნებში მოგზაურობა-გასტროლებისას, კაცი უნებურად პარალელს ავლებ, შენსას ადარებ და გული გტკივა, ძალინ გტკივა, რომ შენი ქვეყნა მათ დონეზე არ არის, მოუვლელი და მიტოვებულია. ასეთი გრძნობა დაეუფლა როსტომს ევროპის ქვეყნების, განსაკუთრებით კი, ისრაელის ხილვისას და წმინდა მიწაზე, საოცრებათა მხარეში, ყველაზე დიდ საოცრებად ებრაელი ერი მიიჩნია – უდაბნო ედემად რომ აქცია, ყოველ გოჯ მიწას თვალისწინივით რომ უვლის და არ თმობს.

ასეთი ზელირებული ფიქრითა და აზრით დროებით დავამთავ-როთ როსტომიანი და ასპარეზი დაგუთმოთ როსტომის ოჯახის წევრებს, მეგობრებს, ახლობლებს, ანსამბლის „ბიჭებს“.

ანსამბლი იავნანა – მარინე და ირინე ჩიხრაძეები

იავნანა ასაკით საგალობელზე ოდნავ უმცროსია – 1975 წელს შეიქმნა და განუზომელია მისი დამსახურება რაჭული ხალხური სიმღერების, განსაკუთრებით ქალთა რეპერტუარის მოძიების, აღდგენისა და გადარჩენის

საქმეში. იავნანა, საგალობელთან ერთად, ბურჯად შეუდგა რაჭულ სამუსიკო ფოლკლორს, ტრადიციებს, ადათ-წესებს, სულიერებასა და მშვენიერებას საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეში.

იავნანას ხელმძღვანელები მარინე და ირინე ჩიხრაძეებია. ანსამბლის შექმნა ისევ და ისევ გიგა სხირტლაძის სახელს უკავშირდება: – აბა, შენ იცი, გოგუნა, აბა, შენ იცი, გოგუნა, – შემოუძახა გიგასეპურად და ტყუპებს გაუწოდა დახმარების ხელი. ვაჟთა ანსამბლის გვერდით ქალთა ასეთი სახის ანსამბლის არსებობა რაჭული სიმღერის მესვეურთა შორსმჭვრეტელობასა და შორს მიმავალ გეგმებზე მეტყველებს. დღევანდელი გადასახედიდან ეს ნამდვილად არ არის შემთხვევითობა, ნაუცბადევი, ერთჯერადი მოხმარების აქტი. ეს წლებზე გათვლილი ქართული (რაჭული) ფოლკლორის გადარჩენის კონცეფციაა, რომლის შედეგი სამომავლოდ უნდა გამოჩენილიყო და გამოჩენდა კიდეც.

დები ჩიხრაძეების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ზუსტად მიაგნეს და შეუმცდარად მოარგეს ფორმა შინაარსს, საშემსრულებლო მანერა – ტრადიციას, მღერა, ქმედება, სახიობა – სცენაზე გაცოცხლებულ ყოფას. საყოველთაო წესია: დროთა ვითარებაში იცვლება, ივსება, იხვეწება ანსამბლის რეპერტუარი. მეტ-ნაკლებად თაობათა ცვლის მტკიცეული პროცესიც იგრძნობა, ხანდახან თითქოს სტილური ცვლილებებიც აუცილებელია, მაგრამ არ ხუნდება იავნანას განთქმული სანახშო, თავისი განუმეორებელი სანახაობით. წლების განმავლობაში, სხვადასხვა დროს, თუნდაც 2005-2006 წლის ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალის გალა კონცერტზე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, ჩვენ მომსწრე ვართ იმ ფურორისა და ოვაციებისა, იავნანას გამოსვლას რომ მოჰყვა: აინია ფარდა, სანახშოს გამოეყო, ავანსცენაზე დადგა, ხელი მოიჩრდილა, დარბაზს გადახედა ირინე ჩიხრაძემ, – დედავ, რამდენი ყოფილხართო, – იფეთქა ოვაციაში გადაზრდილმა ტაშმა და... სანახშო ამღერდა, აცეკვდა, ახელსაქმდა და აივნანდა მთელი სილალით, თავისუფლებით, გამპედაობით, სახასიათო-სახუმარო სიმღერა-ცეკვა-თამაშით, ადგილობრივი, მოტანილი თუ სადღაც გაგონილი მელოდიებით (მარინემ დაჩიხვლა: საქართველოს ყველა კუთხის ნანებსა თუ იავნანებს ვმღერით, რაჭულის გარდაო. მისი გულისტკივილი ნანა ვალიშვილმა გააქარწყლა: სახელდახელოდ 1962 წელს მინდია უორდანიას მიერ მატრონე და ანა სხირტლაძეებისაგან ჩაწერილი იავნანა ასწავლა, ტექსტიც ჩააწერინა და ამიერიდან სანახშოს ეს არაჩვეულებრივი ჰანგიც

დაამშვენებს, რომელსაც დიდი ხანია ანსამბლი მზეთამზე ასრულებს).

მისხალ-მისხალ, ფრაგმენტ-ფრაგმენტ შეგროვებულია სანახშოს რეპერ-ტური: ქალსა და ვისმეს მარინე-ირინეს მამა მღეროდა და შვილებმა მისგან ისნავლეს. პიტნა, პიტნიცა მარინეს მამამთილს – ექვთიმე გოგოლაძეს მოუტანია რაჭაში. სიდონია თავად მარინემ მოიძია ურავის ხეობაში... და ასე თანდათან შეივსო, გამშვენდა და გალამაზდა შემოლობილ, შემონნულ-შემორაგვული სცენა, რომელშიც სიცოცხლე დუღდა და გადმოდუღდა ანი-დან ჰომდე: ქალის გადანახულება, ნიშნობა, ქორწილი, ქეობა, ნათლობა, სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული დილემა...

პირველი ირინე საუბრობს. წინაპრები, დედა, მამა – მომღე-რალი მშობლები – საინტერესო და უხვი მასალაა საუბრისათვის. დავიბადეთ 1949 წელს სოფელ ბეთლემში. დედა და მამა იყვნენ მომ-ღერლები. დედა – დონია ჭელიძე – ამბროლაურიდან. დედამ შეგვას-წავლა ფანდური, აკორდეონი, გიტარა (შვიდსიმიანზე უკრავდა), არაჩვეულებრივი სმენა ჰქონდა. თბილისში ვემზადებოდით ვლადი-მერ კურტიდთან, რომელმაც დედაჩვენს უთხრა: ქალბატონო, თქვენ ჩავაბარეთ რა იქნებათ (კურტიდს ხმებს დედა კარნახობთა ხოლმე). დავამთავრეთ რვა კლასი ბეთლემში, ათი კლასი – სხვაგაში (მამი-დასთან ვცხოვრობდით). შემდეგ ჩავაბარეთ თბილისის კულტსაგან-მანათლებლო სასწავლებელში (როსტომზე ერთი წლით წინ).

ბავშვობიდან ვმღეროდით, მამა, როცა მოვიდოდა ნასვამი, ღამე გაგვაღვიძიებდა და გვამღერებდა. ერთხელ მოვიდა, იანვარი იყო, ჩვენ გვეძინებოდა და არ ვიწყებდით, ამიტომ დედამ დაინწყო:

„ნაჭერ-ნაჭერ ღრუბელი მოდის მაღლა ციდანა,

დაბეჭდილი წერილი მომდის საყვარლიდანა“...

მამაჩემი გაბრაზდა და დედას ეჩხუბა: საყვარლიდან წერილები მოგდისო და ისეთი ამბავი ატყდა, მთელმა რაიონმა გაიგო. მამამ დედა რომ შეირთო, ქვრივი იყო (სამი შვილი დარჩა: ორი ბიჭი და ერთი გოგო). გადაწყვიტა ცოლის მოყვანა, დაიწყო უშვილო ქალის ძებნა, ძმაკაცებმა გაურიგეს სოფელ კვირიკენმინდაში მცხოვრები უშვილო ქვრივი, რომლისგანაც შევეძინეთ მე და მარინე.

მამა გვყავდა ძალიან სხვანაირი კაცი, ახლა რომ არ იპატებიან, ისეთი, დიდი იუმორის პატრონი. 90 წლისა გარდაიცვალა. სიცოცხ-

ლის ბოლომდე ცხენიდან არ ჩამოსულა, ხარებს აბამდა და მთიდან თივა მარტოს ჩამოჰქონდა. ცხენზე ტრიალებდა (ახლა რომ უკვირთ ხოლმე), დალევდა, დაალევინებდა ცხენსაც, მაგრად რომ წასულიყო, მეორე დღეს სულ კვერცხებს აყლაპებდა კუკურას. მამა ტყისმცველი იყო და სულ რევოლვერით დადიოდა. ბრგე, ჩასხმული ვაჟკაცი, კარგი თამადა, კარგი ორატორი, ფიცხი, უსამართლობას ვერ იტანდა... დედა ძალიან ლამაზი იყო (ჩვენ არ შემოგვხედოთ). მამამ ისეთი ცეკვა იცოდა, უნდა ჩანერილიყო, მაგრამ, რომ არ ელოდები სიკვდილს და უკვდავი გზონია ადამიანი... როგორ ცეკვავდა ის ქალთან: გადამიცეკვებდა, გავშლიდით ხელებს, მოვდიოდით და, რომ მეგონა უკან მომყვებოდა, აგერ დაგიხვდებოდა წინ. არაჩვეულებრივად იწყებდა ქალსა და ვისმეს და არც ეგა გვაქვს ჩანერილი. იმისგან ვიცით ქალსა და ვისმეს ერქვა შრუშანაო – ორპირული რაჭული.

დავამთავრეთ და წავედით სასწავლებლად. კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში გვასწავლიდნენ: ვოვა კურტიდი, ვასო მახარაძე, ნიაზ ილაშვილი, შოთა კაპანაძე. დირიჟორობას – ქეთევან აბულაძე. დიპლომის დაცვაზე ჩამოვიდა აქ. როსტომშა ჯარი მოიარა და, ჩვენ რომ მეორე კურსზე ვიყავით, მაშინ შემოვიდა სასწავლებელში, არ ვიცნობდით, ბეთლემში დაბადებული ბავშვები არავის ვიცნობდით. გამოგვაგზავნეს აქ და წათელა გოგშელიძესთან ვიყავით მეორე საშუალო სკოლაში. წათელამ გვიპატრონა, დღემდე ჩვენი მასწავლებელია, მასთან გავაკეთეთ სადიპლომო, წითელ დიპლომს ვიღებდი, მაგრამ პარტიის ისტორიაში 4-იანი გამომყვა, პარტიისტორიას მურმან ჯინორიას მამა გვასწავლიდა.

წათელა გოგშელიძის რეპლიკა: მეორე სკოლაში ვმუშაობ და დავინახე: გაილო სკოლის ჭიშკარი და მოდის ორი ერთნაირი გოგო – ლამაზები, კოხტები. მოვიდნენ და იყითხეს წათელა გოგშელიძე. კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლიდან ჩემთან გამოუგზავნიათ პრაქტიკაზე, დიპლომი უნდა დაიცვან. შემოცექრიალდნენ, ძალიან ლამაზები იყვნენ, განსაკუთრებით ირინა აქტიურობდა. მოამზადეს სიმღერები და ჩამოვიდა ქეთევან აბულაძე და დაიცვეს დიპლომი. იმის მერე ასე მოვდივართ, გადაბრუნებული სიტყვა არ გვითქვამს ერთმანეთისათვის. არასოდეს კონფლიქტი არ გვქონია, რაც ძალიან მეამაყება, არადა ყველა ვიყავით კონკურენტები. გათენება იმისთვის

მიხარია, რომ მოვალ აქ და ამათ ვნახავ.

ირინე ჩიხრაძე: განაწილებით დავპრუნდით, მე ჭრებალოში ვმუშაობდი საშუალო სკოლაში, იქ დირექტორად იყო დიდი კაცი, ლევან ფრუიძის მამა, აკაკი ფრუიძე – განუმეორებელი პიროვნება. პირველად ის მკითხა: საიდან ხარ, შვილოო? – ბეთლემიდან-მეტე, – ქრისტეს ნაშობსა ჰეგვარ შენცაო. ორი წელი ვიმუშავე და მერე პირველი სკოლის დირექტორმა სერგო ცირეკიძემ გადმომიყვანა ამ-ბროლაურში. ვმუშაობდი 1991 წლამდე, შემდეგ მე და ჩემი მეუღლე, თემურ ენუქიძე, რუსთავში გადავედით საცხოვრებლად – გაფუჭდა ცხოვრება და წავედით, აქ ხომ არ იყო სამუშაო, მაგრამ იქ უარესი დაგვემართა. ნაცრისფერი რუსთავი, არც დენი, არც გაზი, გაჭირვება. 2000 წელს გავყიდეთ რუსთავის ბინა და ჩემი ქმარი პორტუგალიაში წავიდა სამუშაოდ, სარკომა დაემართა და 2001 წელს გარდაიცვალა, ერთი თვის თავზე ძლივს ჩამოვასვენე. მირეკავდნენ მისი მეგობრები: ქალბატონო, ფერფლს გამოგიგ ზავნითო...

1991 წლამდე პირველ საშუალო სკოლაში ვიყავი, პარალელურად აგერ კულტურის სახლს არ მოვცილებივართ, თუ სპექტაკლები, თუ სიმღერა. ირინე არაფერს ამბობს ამბროლაურის თეატრში 40-წლიან მოღვაწეობაზე. „ხარვეზს“ დათუნიკა სხირტლაძე ავსებს და ირინეს ნათამაშები როლებისაგან გამოყოფს ერთს – ქეთევან დედოფალს – სპექტაკლიდან „იქმენი ნათელი“ – გიგა ჯაფარიძისეულ დადგმას. გიგა უნიჭოს, თუნდაც საშუალო ნიჭიერს არ ათამაშებდაო. დავითი და ირინე ამ დადგმაში პარტნიორები იყვნენ.

მარინე ჩიხრაძე: 1973 წელს მოვედი აქ, 1975-ში კი ანსამბლი იავ-ნანა უკვე არსებობდა. გიგა სხირტლაძე იყო კულტურის სახლის დირექტორი, მისი დიდი ხელშეწყობით შეიქმნა ანსამბლი. რეპერტუ-არში ყველა კუთხის იავნანა გავაკეთე. რაჭული არ ვიცი, დანარჩენს (ქალაქურს, კახურს, გურულს...) ყველას ვასრულებთ (ამიერიდან რაჭულსაც შეასრულებენ – ბ.ა.)

იავნანა მრავალგზის ლაურეატია, მრავალი სიგელი და მადლობა მიგვიღია, თბილისშიც ხშირად გამოვდივართ კონცერტებზე, ნიჭიერშიც ვმონაწილეობდით, პირადად მე ვარ ორგზის ლაურეატი, ოპერის თეატრში გამოვედით უშიკიშვილის დროს, ფესტივალზე, მთელი დარბაზი დავაყენეთ ფეხზე, გაგვიკვირდა: ასეთი კარგებიც როგორ

ვიყავით... ძალიან მადლობელი ვართ პირველი არხის: სიმღერის კვალდაკვალ – 40-წუთიანი გადაცემა ჰქონდათ. ახლა ერთსულოვნებაზე ტრიალებს – ათამდე რაჭული სიმღერაა.

უკვე ანსამბლის წევრთა დახასიათების ჯერია. ქალბატონი მარინე დინჯად, ზუსტად ახასიათებს თითოეულს:

ხათუნა ნატმელაძე – არაჩევეულებრივი პირველი ხმა. კაკო გოცირიძის გაზრდილია ორივე და-ძმა (არხეინა). სუფთა ფოლკლორი, ორპირულებშია არაჩევეულებრივი.

ხათუნა ოშხერელი – დიდებული პირველი ხმა, გურულებში „გავანინინებთ“ ხოლმე.

ელისო გელოვნიშვილი – ანსამბლის მომღერალი ჩამოყალიბების დღიდან, სახალხო თეატრის მსახიობი, საკავშირო და რესპუბლიკური ფესტივალების ლაურეატი.

ნათელა გოშელიძე – დამსახურებული ლოტბარი, საკავშირო და რესპუბლიკური ფესტივალების ლაურეატი, „სახალხო განათლების წარჩინებული პედაგოგი“, შრომის ვეტერანი.

შზია ფარულავა – საკავშირო და რესპუბლიკური ფესტივალების ლაურეატი, სახალხო განათლების წარჩინებული პედაგოგი, ესტრადის მომღერალი, სახალხო თეატრის მსახიობი.

ხათუნა დარახველიძე – უბადლო მეორე ხმა, სოლისტი, მსახიობი.

სალომე ენუქიძე – სოლისტი, პირველი ხმა.

ლილიანა მხეიძე – სოლისტი, მსახიობი, მოცეკვავე.

სოფიკო ბოჭორიშვილი – იავნანას ქორეოგრაფი და მსახიობი.

ლელა და ფატი გიორგობიანები, ლელა არჩვაძე – ანსამბლის ნიჭიერი მომღერლები.

იავნანაზე საუბარს ქალბატონი მარინეს თხოვნით ვასრულებთ: ლექსი დედას აუცილებლად შეიტანეთ წიგნში – ჩემმა უფროსმა ვაშმა ნიკომ 60 წლის იუბილეზე დამიწერაო.

ჩემი გაჩენა ჰგავდა შენს სურვილს,

თუმცა არ იყავ კმარი შენ მარტო,

შენთან მოვყავდი ღმერთს – მამის სიტყვით,

დაბადებამდე გიყვარდი – რატომ?!...

შენც ახალგაზრდა იყავი მაშინ,
დაახლოებით მე რომ ვარ ახლა,
როცა დავიწყე სიცოცხლე შენში,
მახსოვს, გიჭირდა შენ მაშინ დახრა.

როგორ ვიფიქრო შენი ფიქრებით,
შენი სურვილით, ჩემთვის ლოცვებით
და, თუ აღარ ვარ პატარა ბიჭი,
დედა, ძვირფასო, ნუ გაოცდები.
მისურვე თოვლი, მზე, ქარიშხალი,
წყალობისათვის ვიყო ცალხელა,
დამბადებელო, მადლობას გიხდი,
რამხელა სიტყვა გქვია სახელად.

რაჭული სიმღერის მეხოტბე (მხიარული კალმით)

როსტომის დახასიათების ექსკლუზივი საგალობლის ყველაზე ენაკვიმატმა წევრმა, როსტომთან შეხუმრებულმა, კარგმა მოქადრაკებ და „ცუდმა“ მებანემ, გარაჭველებულმა გურულმა მოკაფიავემ, ამირან გოგიჩაიშვილმა ითხოვა:

როსტომი სათიბში გავიცანი. შესვენებისას მითხრა: ამირან, სანაძლეოს ჩამოვდივარ, დადექი 50 მეტრში, ააგდე ეგ შენი ქუდი, მე ვესვრი თოფს და გავარტყამო. მეც მაშინვე დავიჭირე მანძილი, ქუდი ჰაერში ავისროლე და... თოფმაც იქუხა. როცა ქუდი ვნახე, როსტომს შევძახე: აგიცილებია-მეტქი! – იტყუუბი, აბა, რატომ ჩამოვარდაო. ამაზე, რა თქმა უნდა, ბევრი ვიცინეთ.

სადილობისას დიდალმა ხალხმა მოიყარა თავი, მწვადებიც შეიწვა, ლვინოც დაილია. შიგადაშიგ მე ლექსად გავიკრიფე, ხოლო როსტომი ხალხურებს აგუგუნებდა. აუდიტორიაც წარმოსადეგი გვყავდა: ნიკიფორე, კალისტრატე, ავქსენტი, სარდიონა, ვარლამა, ბიკენტი და სხვები, რომლებიც ტაშითა და სიცილ-ხარხარით გვაჯილდოვებდნენ. მერე დავუახლოვდით ერთმანეთს და ახლა დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: არც ერთ მეცნიერს, მკვლევარსა თუ

მწერალს არ უმუშავია ფოლკლორის დაძიება-დამუშავებისათვის იმ-დენი, რამდენიც ბატონ როსტომს. იგი ეძებდა ხალხში არა მარტო სიმღერებს, არამედ შემსრულებლებსაც (მომღერლებსაც). სწორედ ამიტომ მიმიწვია მე ანსამბლში. სიმღერა რომ არ ვიცი-მეთქი? – შევჩივლე. – არაუშავს, მოსმენა ხომ იცი, ჩოხას ხომ ჩაიცვამ, დან-არჩენი მე ვიციო. მას შემდეგ გავიდა 40 წელი, სულ მასწავლის და ბოლოს მიაღწია იმას, რომ მომღერალთა შორის მე ვარ ყველაზე კარგი მოჭადრაკე და მოჭადრაკეთა შორის ყველაზე კარგი მომღე-რალი.

სოციოლოგები ამტკიცებენ, რომ პეპელა ცოცხლობს თურმე სამი დღე, კუ – ორასი წელი?! მაგრამ სიკვდილისას პეპელა გაცილებით დიდი შთაბეჭდილებებით კვდება, ვიდრე ორასი წლის კუ. ამით იმის თქმა მინდა, რომ ბატონ როსტომს, ამ არცთუ ისე ხანგრძლივი დროის განმავლობაში, საუკუნის ტვირთი აქვს წამოკიდებული. როსტომი არის: მეგობრული, გულწრფელი, კეთილი და ალალი კაცი. გარდა სიმღერა-მსახიობობისა, როსტომი „პოეზიის ტრფიალს რომ იტყვიან, სწორედ ისაა“ (ან კი უამისოდ როგორ იქნება). თავადაც წერს ლექსებს. მახსოვს მისი კაფია:

ამირან გოგიჩაიშვილს
ანტი აქვს მგონი ჩაის სმის...
სამაგიეროდ, ღვინოს სვამს
მანამ, სანამ არ ჩაიფასმის!

კომუნისტების დროს ანსამბლის წევრებს ხელფასი არ გვეძლეოდა. სწორედ მაშინ გავეშაირე:

ფოლკლორისტო ჩვენო როსტომ,
მოგვარდება ოჩენ პროსტო,
დაგვინიშნე ხელფასები
დევიანოსტო, ილი პო სტო!
თან პაეზდკაც გააპრავე,
ხო უყურებ, უკვე რომ სთოვს,
თორემ საქმე გადავეცი
სხადნიაკზე ქურდებს, როსტოვს!

საერთოდ, ახალი სიმღერის ათვისება ყველაზე მეტად მე მიჭირდა და სწორედ ამიტომ მიძღვნა როსტომმა ეს ლექსი:

ამირანს გუნდში ადრიან
 ბებერ ნასრედინ მოლასა,
 დღე და ლამ „ასტრას“ ეწევა,
 პარავოზივით ბოლავსა.
 არც სმას ეშვება, არც – წევას,
 ტყვილად ვუკითხავ მორალსა...
 ოლონდაც არ იძღერებდეს,
 ჯანდაპას! ვჩუქნი ორას ლარს!

ნიშანდობლივია, რომ ბატონი როსტომის ხელში თითქმის ყველა ხალხური საკრავი ჟღერდება, მაგრამ განსაკუთრებით უყვარს ფანდური. მახსოვს ერთხელ მან ფანდური მაჩუქა, მე ჭადრაკი ვუსახსოვრე და თან ლექსიც მივაყოლე:

ვალად გემართოს „ჩაკრულო“,
 „ხასანბეგურა“, „ნადური“,
 მჯერა, ამ გაცვლით არც ერთი
 არ დავრჩით გულუმადური...
 თუმც ისე იცი ჭადრაკი,
 როგორც მე ვიცი ფანდური!

როსტომზე უამრავი კარგი მოგონება მაქვს, მაგრამ, ჩემი დაკვირვებით, მას ერთი გამორჩეული თვისება აქვს: თუ კაცს ულხინს, მასთან ყველაზე გვიან მიდის, ხოლო თუ უჭირს, მასთან პირველი გაჩნდება.

და ბოლოს, მინდა, ყველას გასაგონად ვთქვა: ასეთი ადამიანები, როგორიც ბატონი როსტომია, ალამაზებენ ჩვენს ყოფას. ასეთმა ადამიანებმა დიდხანს უნდა იცოცხლონ ჩვენ საკეთილდღეოდ! უბერებელი ვინ არს? ბატონი როსტომიც დაბერდება და ალბათ ასეთი ეპიტაფია წამოსცდება:

ფოლელორში ოქროს განძი ძევს,
 მაღალი მთების ნაური,
 სულ მარცვალ-მარცვალ ავკინძე
 მარგალიტები რაჭული.

პატივისცემით,
 ამირან გოგიჩაიშვილი
 15.05.2014

გურამ ვაჩაძე – ამბროლაურის კულტურის განყოფილების გამგე 1982–2004 წლებში.

რაჭა ისტორიულად ცნობილი მხარეა – კოლხეთის მთიანი ნაწილი, რიონის ხეობა. რიონი, ერთადერთი დედა მდინარე, რომელსაც სათ-ავეც ჩვენთან აქვს და შესართავიც. რიონისა და ცხენისწყლის (ცანასწყლის) ხეობები, უძველესი ქართული ტომებით – რაჭველებით, ლეჩხუმლებითა და დიდი სვანეთიდან ჩამოსული ქვემო სვანებით დასახლებული, არის კოლხეთის მთიანი მხარე, საიდანაც მტერი არა-სოდეს შემოსულა. სწორედ აქ შეიქმნა ის საოცარი სიმღერები, რომ-ლებმაც ასე გამოგვაჩინა ჩვენ. მთელი საქართველოსთვის დედა სიმ-ღერაა ნანა, რაჭველთათვის ასეთი ორია – სალაშქრო მაღლა მთას მოდგა და რაეო, ჩემო დედაო. რა – მზის ღმერთი, ეგვიპტური კი არ არის, კოლხურია. კოლხეთშია შექმნილი „მზე – დედაა ჩემი, მთ-ვარე – მამა ჩემი“... რაჭა არის კოლხეთის, კოლხური კულტურის შემადგენელი ნაწილი, უძველესი თავისი ფოლკლორით. მეგრულ ნანას რომ მოისმენს კაცი (თუ ის ნორმალურად მოაზროვნეა), შეუ-ძლებელია, არ დაფიქრდეს, საიდან შეიქმნა ის. ჩვენი რაეოს მოს-მენა დაგაფიქრებს ქართველთა მოდგმის გენეალოგიაზე და მისი შორეული ძირების ძიების სურვილი არ მოგასვენებს. საგალობელი რომ მდერის მაღლა მთას მოდგა, მაყრულს ან სუფრულს, ისტორი-ულ სამანებში ეძიებ, რა გზა გამოიარა ამ ხალხმა, ამ ორ ხეობაში მოქცეულმა ამ ერთმა მუჭა ტომმა, თუნდაც მომღერლებმა, ინდი-ვიდებმა, მაღალი ხმებისა თუ ბანის მთქმელებმა. ფოლკლორი ხომ ტრადიციაა, ზეპირი გადაცემაა ამბისა, ყოფისა, აზრისა, ისტორიისა. ჩვენ არაფერი გაგვაჩინია იმაზე ზეფასეული, ვიდრე ქართული ხალხ-ური სიმღერაა. ქართული სიმღერის სიყვარული (სიგიურემდე მივგარს) მსგავს ფიქრებს აღუძრავს კაცს, თუმცა მე არასდროს ვყოფილვარ მომღერალი. ხანდახან ბანს ვამბობ, მოსახვევში რომ მივალ და ვიცი, ვერ მოვუხვევ, იქ ვჩერდები, გასწორდება და გავაგრძელებ (ეს ნახ-ევრად ხუმრობით).

ოჩამჩირეში დავიბადე, თბილისსა და სოხუმში ვისწავლე, ინუინ-რობის მაგივრად ისტორიას დავეუფლე (არც ვნანობ), დედით ობოლი რაჭაში ბებიასთან გავიზარდე და მთელი ჩემი შეგნებული სიცოცხლე აქ გავატარე. 1958 წლიდან ქვემო რაჭის ფოლკლორულმა ცხოვრებამ

ჩემ თვალწინ ჩაიარა: მომსწრე ვარ საგალობლის შექმნისა, როსტომ გოგოლაძისა და მისი ბიჭების ღვანწლისა, წარმატებებისა, აღიარებისა, ჯილდოებისა, გასტროლებისა, რომელთა უკან ენით უთქმელი შრომა, გარჯა, ძიება, გატეხილი დამეები, უსახსრობა, დავა-კამათი, გაწევ-გამოწევა, მინდა – არ მინდა, ზოგჯერ კი, „უჩემოდ ვინ იმ-ლერთა“ იდგა. ჩემი ხანგრძლივი საქმიანობის განმავლობაში ორი დიდი ტკივილი მახსოვეს: ექვსი წლისას დედა გარდამეცვალა და სამი ობოლი დავრჩით, მეორე – ომის დროს კულტურის სახლი რომ დაიწვა. დედის ტკივილს გაუტოლდა მისი განადგურება. ჩემი მოთავეობით დაიწყო ახლის შენება-რეკონსტრუქცია, აპოლონ ჭიჭინაძის ძალისხმევითა და დახმარებით. სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მსგავსი ადამიანები რომ არა, კულტურის კერა მოეშლებოდა ჩვენს რაიონს.

რამდენი უძილო ლამე გვაქვს გატარებული მე, როსტომსა და იმ ბიჭებს ცოცხლები რომ აღარ არიან. თხუთმეტი კაცი მოგვიკვდა თვალსა და ხელს შუა. უორა სხირტლაძისა და როსტომის დავა ხშირად ყოფილა ჩემს კაბინეტში, ხანდახან ჩხუბამდე მისულა საქმე: ტანსაცმელი, ფეხსამოსი, ქამარ-ხანჯალი და, რაც მთავარია, დასწრება, ანსამბლის წევრების მოყვანა. როსტომისათვის რაც ხელფასი მიმიცია, ტაქსებში აქვს დახარჯული. გამუდმებით მტკიცება, გამუდმებით დარწმუნება: ვერა, ბიჭებო, თქვენ ვერ შეელევით ამას, თქვენ და სიმღერა შეზრდილები ხართ, თქვენ სიკვდილის მეტი ვერაფერი გაგყრით. როსტომი და უორა რომ არა, ანსამბლი არ იქნებოდა. როსტომმა შექმნა უორა სხირტლაძის ფერნომენი, მან აღზარდა ის და ის ბიჭები, რომლებიც დღეს აღარ არიან, და ახალი შევსებაც (ლმერთმა ნუ ქნას, ანსამბლს როსტომის ხელი და თაობათა ცვლა მოჰკლებოდეს). როსტომს უზარმაზარი უნარი აქვს მომადლებული ღვთისა და მშობლებისაგან ხალხური სიმღერების წვდომისა, ამას ემატება დიდი განათლება და პროფესიონალიზმი. საგალობლის ყველა წარმატება როსტომ გოგოლაძის დამსახურებაა. ვერავინ გაუძლებდა იმ სტრესს, იმ სიმძიმეს, იმ უდისციპლინობას, იმ თავხედურ გადატრიალებებსა და ცვლილებებს, გინდ ვარდისფერ, იასამნისფერ, კანალ-კუნალასა თუ ბამბა-მაყვლის რევოლუციებს, რომლებიც ქვეყანამ გამოიარა ამ წლების განმავლობაში. მაინც გაკეთდა გასაკეთებელი, შეძლო და გაკეთდა. როსტომისნაირ კაცებზე მართლაც უნდა დაიწეროს წიგნი,

გადაიღონ ფილმი, დაფიქსირდეს ხალხის აზრი და გულის ნადები. ასეთი წიგნები მომავალი თაობებისთვის იწერება, რადგან „შვილმა უნდა იცოდეს, სად გაჩერდა მამა“ (ილია).

და ბოლოს: ცოტა რამ რაჭული სიმღერისა და სიმღერის ტექსტების შესახებ. ჩვენი სიმღერები გამწევი სიმღერებია. ამას მღეროდა ჩვენი მთა. მთიელებს ფილტვებში ჰაერის ტევადობა ერთ-ნახევარჯერ მეტი ჰქონდათ, ვიდრე ბარისას. იმ გამწევ სიმღერებში ერთი ჩასუნთქვით უნდა გაეძლო. რატომ მღეროდა ჩვენი წინაპრები უშეცდომოდ? – აქ იყო ჰარმონია ფიზიკურისა, აზრობრივისა და მუსიკალურისა. სხვა-ნაირად არ შეიძლებოდა, ორპირული ცალპირულში არ მიფურჩდება, ორსართულიანი ფერხული სჭირდება მაღლა მთას მოდგა. რანაირად აკეთებდნენ ამას? – ლომები რომ შეადგებოდნენ ლომებს მხრებზე, უძლებდნენ, ახლა „ჩემს დედას“ რომ იძახის ბოვში, გაყვითლებული რომ არის ჭალის ბაყაყივით, იმას რომ მხრებზე შეადგე, ის საფერხულო სიმღერას აიტანს? დროის კვალობაზე იცვლება ყველაფერი, მა-გრამ არსი სიმღერისა უნდა შევინარჩუნოთ, ტრადიცია გამორჩეული მომღერლებისა, ოჯახებისა, გვარებისა, როგორც მღეროდნენ საგან-ელიძები, ნიკოლაშვილები, ჩემთვის უსაყვარლესი და გამორჩეული მომღერალი სანდრო აბაშვილი. იმნაირი პირველი ტებილი ხმა მე არ შემხვედრია. თითოეული სიმღერის რამდენიმე ვარიანტი იცოდა. გამოსათხოვარი სიტყვა დავწერე და საფლავზე წავიკითხე, ეს იყო გლოვით კი არა, სიხარულის ცრემლებით გაცილება. კიდევ ერთი გამორჩეული პირველი ხმა – გრიგოლ ბიჭაშვილი, მის ბიჭ ბუდუკას შესანიშნავი მეორე ხმა ჰქონდა...

ასეთი მომღერლების, ასეთი კაცების წყალობაა, რომ საგალო-ბელს დღეს მდიდარი რეპერტუარი აქვს – ასი სიმღერის გატანა შეუძლია, აქედან ორმოცამდე რაჭულია. ახლა ტექსტების ისტო-რიები: როცა მოვისმენდი სადმე უცხო ტექსტს, ვეტყოდი როსტომისა და ჟორას: მიდით, ჩაიწერეთ, რაღაც ახალია, შემდეგ დავსხდეთ და გავაძალაშინოთ-მეთქი. რაც ტექსტს აკლდა, შევავსებდით და დაიწ-ყებდნენ მუშაობას. დეიდაშვილის ქორწილში ვარ და მესმის სიმღერა: ცხენს ამოვდებ ავშარასა, გავუდგები გზაშარასა, – მაყრულია (რო-სტომისაც მოესმინა ეს სიმღერა ქორწილში – ჩორჯოში). მერე როს-ტომმა, მე და ჟორამ ასე გავაგრძელეთ: მადლი ვუთხრათ გამჩენსაო,

ნამსვლელსა და დამრჩენსაო... არ შეიძლებოდა სხვანაირად ყოფილ-იყო, ეს იყო მთლიანი პროცესი – მაყრიონის მოსვლა, იარაღის აყრა (მხოლოდ ქალს ჩააბარებდნენ, ჩხუბი რომ არ მომხდარიყო) და ბო-ლოს ნამსვლელ-დამრჩენის დალოცვა. მეორე: ერთი სიმღერაა ვაზზე – სარის წვერზე ბუზი გჭამდა, გოდრით ჩამოგიტანეო, საწნახელში ჩაგყარე და ფეხით გამოგიტანეო... (გურული ვარიანტი: ხის კენწერში ჩიტი გჭამდა, გიდლით ჩამოგიტანეო, საწნახელში რომ ჩაგყარე, ფეხ-ით გამოგიტანეო... რა ყოფილხარ, ყურძნის წვენო, მაინც ვერ გამიტა-ნეო – ბ.ა.). დანარჩენი განყვეტილი იყო, მერე ებმოდა: მაინც მათრობ დალოცვილო, მაინც არ გამიტანეო. არ შეიძლებოდა ჩვენს წინაპრებს აქ გაეწყვიტათ. მე კარგად ვერკვევი ეთნოგრაფიაში. სტუდენტობისას სოფლებში დავდიოდი და ბევრ რამეს ვინწერდი. დავჯექი და ასე გა-ვაგრძელე: ჭურში ჩაგაჩუბჩუბე და ხრიკით ამოგიტანეო, მერე ჯამში ჩამოგასხი, მარჯვენით აგიტანეო, დაგილოცე ფესვი, ძირი, ტუჩებთან მიგიტანეო, დაგლიე და ალავერდით ლხინში შემოგიტანეო, – და გამ-თლიანდა: მაინც მათრობ, დალოცვილო, მაინც არ გამიტანეო. ბუჭა წულუკიძის ოჯახში დიდი სტუმრობა იყო, თამადა ვიყავი და იქა ვთქ-ვი:

უდვინოდ ლხინი ვინა თქვა, ვინ გადიხადა ძეობა,
დავლიე იგი ზომაზე, მომცა ძალი და მხნეობა,
გულს ჭირი გადამეყარა, ენას შემატა მზეობა,
ლოთობა, გზაში ბარბაცი, არ არის ქართველთ ზნეობა.

ჩვენ ტექსტის ნაწყვეტს რომ ვნახავთ, მერე ვეძებთ, ვინ იცის მისი გაგრძელება და ასე არაერთი სიმღერის ტექსტი აღვადგინეთ. ჩემს სოფელში სამი მოტირალი ქალი იყო: ბებიაჩემს, ელისაბედს, მიჰყავდა ტექსტი, მარო ხუციშვილს – პირველი, ოთარ გაბედენაშ-ვილის დედა – ვერიჩა – იყო გამკივანი. ეს ქალი რომ შევიდოდა და დასჭყივლებდა, იმისთანა რამეს დააბრალებდა მიცვალებულს, რომ წამომდგარიყო, ჯოხით გამორეკავდა ყველას. ტირილსაც ცოდნა უნდა, მელოდია არის ის, თავისებური მელოდია.

P.S. გურამ ვაჩაძემ რატომდაც გალობა-ტირილის ნოტზე შეწყვიტა ინტერვიუ. ჩვენც არაფერი შეგვიცვლია, გადაგვიადგილე-ბია, თითქოს რაღაცას ველოდებოდით, რაღაც უნდა მომხდარიყო. მაშინ რას წარმოვიდენდით, რომ ეს გულიდან ამოხეთქილი სათქმე-

ლი ბატონი გურამისათვის უკანასკნელი აღმოჩნდებოდა: 2014 წლის 8 ოქტომბერს იგი გარდაიცვალა...

რაჭული ფოლკლორის არქეოლოგი

მე, ამ წერილის მოკრძალებული ავტორი, რა თქმა უნდა, ვერ შევძლებ იმ ღვაწლის წარმოჩენას, რომელიც ბატონ როსტომს მიუძღვის რაჭული და, საერთოდ, ქართული სასიმღერო ფოლკლორის გადარჩენა-აღდგენის საქმეში. უფლის ხელდასხმით ხდება ყველაფერი... მადლობა უფალს, რომ ზეცით ნაბოძები ნიჭი მშობლებისგან შვილში ჩასახა და ძველთუძველესი ქართული კულტურის სამსახურში ჩააყენა.

უშუალოდ მივმართავ ბატონ როსტომს: 42 წელიწადია ქართული ფოლკლორის სამსახურში ხარ სახალხო ანსამბლ საგალობელთან ერთად. ოთხი თაობა მღერის შენ მიერ გადარჩენილ და მოძიებულ სიმღერებს. ეს სიმღერები კი უკვე შესულია ქართული სიმღერის ოქროს ფონდში, იქნება ეს ქრისტეს სადიდებელი ფერხული, კვაცხუთური ალილო, ლიხეთური თუ ჩორჯული მაყრულები, ექვთიმური მრავალუამიერი... ჯერ ერთი სიმღერის გადარჩენა-გაცოცხლება რა მადლია და ამდენის – ოცდაათის, ორმოცის?

ბავშვობიდანვე ვხედავ, ჩემო უფროსო მეგობარო, შენს შრომას, ვიცი ამდენი ხნის განმავლობაში რამდენი დაბრკოლება გადალახე, რამდენჯერ დაძლიერ ხელოვნურად შექმნილი ბარიერი, მაგრამ, ღვთის მადლით, ყოველთვის გამარჯვებული მისულხარ ჰელოზე. შენთვის უდიდესი ტკივილია შენი მეგობრების, შენი ბიჭების სამზეოდან გასვლა, მაგრამ ვერ გაგტეხა დარდმა, ისევ სიმღერით შველი ადამიანების მწუხარებასა და სიხარულს. ჩემი ღრმა რწმენით, სიმღერა-გა-გალობა უფლის გზაა, ამ გზის ბოლოს კი მარადისობის ტაძარია.

ღმერთმა გაგაძლიეროს და გაცოცხლოს, ჩემო როსტომ! მრავალუამიერ, შე ოჯახაშენებულო!

შენი უმცროსი მეგობარი
დათუნიკა სხირტლაძე
14.05.2014

ბეჭნიერების კრიტერიუმი

ჩვენ, ქართველები, რამ გვიხსნა უამრავი უბედურებისაგან? პასუხი უთუმცაო – ქართულმა სიმღერამ! ქართულმა ჰანგმა სული გადაგვირჩინა, ძირი და ფესვი გაანოყიერა. ქართულ სიმღერაზე, მის მოვლა-პატრონბაზე საუბარი საზოგადოებისათვის აუცილებელია. ზოგჯერ უფალი ისე ინებებს, რომ ათასეულთა საკეთებელს ერთ კაცს აჰეთებს, თუმცა ამის კეთების ნიჭა და უნარსაც უხვად მიმადლებს. არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ როსტომ გოგოლაძე ჩვენს კუთხეში ღმერთის მოგზავნილია. უფალმა წყალობა მოილო და ეს კაცი დააჯილდოვა უამრავი ღირსებით. შრომისა და გარჯის სიყვარულით, მშობლებისადმი პატივისცემის დიდი გრძნობით, უანგარო მეგობრობის უნარით, პროფესიონალიზმით, მოყვასის თანა-გრძნობითა და თანალმობით.

ლვითის ნებაა, 42 წელი გყავდეს სახალხო ანსამბლი, დაუღალავად იღვაწო, თაობათა ცვლის უმტკივნეულეს პროცესს გაუძლო, უამრავი ჯილდო და პატივი მოიხვეჭო და თავმდაბალიც იყო. მრავალი დაბრკოლება-ტკივილის მიუხედავად, როსტომისთანა კაცი უნდა იყო, რომ თავი ბეჭნიერად ჩათვალო და სიმღერას მიუძლვნა ყველაფერი. არ დარჩენილა რაჭაში ადგილი, სადაც სიმღერა არ მოეძიოს, გული არ ჩაედოს, ადამიანთა სიყვარული და პატივისცემა არ დაემსახურებანოს. როსტომი ვალდებულება აიღო, ასწავლოს და გადასცეს ახალგაზრდობას ქართული მარგალიტები. სამწუხაროდ, დღეს ძნელად განირჩევა სწორად თუ არასწორად მღერა, ეს დეგრადაცია და სწორედ როსტომისთანა ლოტბარებმა უნდა აიღონ თავზე ეს საქმე. ფოლებლორი ლოცვაა ჩვენი, წმინდა ცრემლია, გულებს რომ მალამოდ ედება.

ჩემი როსტომ, შენ ნატვრის ხე დარგე რაჭაში სრულიად საქართველოსთვის, რომელიც არასოდეს გახმება! ერთხელაც არ ჩაგიმუხლავს, არ გარიდებიხარ საყვარელ საქმეს, ვაშა! მე ვიცი შენი ნაკეთები საქმის ყადრი, ბარაქალა შენს ვაჟაცობას, ჯანმრთელობას გისურვებ. მეიმედები და უკანვე გიძლვნი შენ მიერ სიცოცხლემინიჭებულ ყველა სიმღერას. ბეჭნიერი ვარ შენ გვერდით, შენს ბიჭებთან ერთად. სიცოცხლეშივე ძეგლი დაიდგი!

ირინე ჩიხრაძე

16.05.2014

ლირსეული კაცი

ამბოლაურში არის ერთი ულამაზესი სოფელი კვაცხუთი, სა-დაც ქვაც კი მდერისო, – ნათქვამია. აქ არის ჩემი როსტომის ბავშვობის კერა, აქ ცხოვრობდა სიმღერა-გალობით განთქმული მისი მამა-პაპა და აქედან მოდის როსტომ გოგოლაძე – პიროვნება, ლოტ-ბარი, მომღერალი, შემოქმედი.

როსტომ ექვთიმეს ძე გოგოლაძე ბრძანდება კაცი, რომელმაც აამღერა რაჭა. 42 წლის წინ ჩამოაყალიბა ანსამბლი, დაარქვა საგალობელი და რაჭული სიმღერის ობოლი მარგალიტებით აავსო მისი რეპერტუარი. ამ ხნის განმავლობაში უამრავ წარმატებას მიაღწია საგალობელმა: გახდა სახალხო, მოიარა შორი გზები – ევროპისა თუ აზის ქვეყნები, გახდა ფოლკლორის ეროვნული პრემიის ლაურეატი, ფონდ ქართული გალობის წარჩინებული. არ დაჰკლებია ოქროსა და ლირსების ორდენები თუ გრან პრი.

ახლა პირდაპირ მინდა მოგმართო, როსტომ! ეს თქვენი დიდი დამსახურებაა, ძმაო. ბედნიერი ვარ, შენი და შენი ლამაზი ოჯახის ახლობელი რომ ვართ მე და ჩემი შვილი შამშე ჩიტალაძე. თქვენი მეუღლე მარინე ჩიხრაძე, თავის ტყუპისცალ ირინესთან ერთად, დღემდე დაულალავად შრომობს და იღვნის. წლებია თქვენ და თქვენს ოჯახს მხრებზე გაწევთ ქვემო რაჭის კულტურული ცხოვრების მძიმე ტვირთი. თქვენთან ერთად, როსტომ, ბევრი სიხარული განვიცადე, ჭირსა თუ ლხინში ერთად ვართ გამობრძმედილი. ყველას თანადგომა შეგიძლია, ერთად მოვდივართ ანსამბლის ჩამოყალიბების დღიდან. ვამაყობ, რომ შენი რჩეული მომღერალი ვარ, შენი გაზრდილი. ლხინის მაგიდაც დაგვიმშვენებია და მიცვალებულიც გაგვიპატიოსნებია. გაჭირვებულის თანადგომა ისეთი უნდა, შენ რომ იცი. არ დამავიწყდება 1976 წელი, დიდთოვლობა იყო რაჭაში, სამი დღე და ღამე შენ და ომარ ტვილდიანი თოვლს აკვლევდით, ხალხისთვის რომ გეშველათ საირმის უღელტეხილზე. მადლობელი ვართ თქვენი, კაცად რომ ჩამოგვაყალიბე, შენ მაგალითი ხარ ჩვენი, იცოდე. ჩვენი ანსამბლის უდრობდ გადასული ბიჭები შენი მოუშუშებელი ტკივილია, ჩემიც... ცხოვრება ზოგჯერ ტანჯვაა, მაგრამ ზურგის ჩვენება როსტომ გოგოლაძის ზნეობაში არა სწერია.

მინდა დიდხანს იცოცხლო, ჯანმრთელად იყო შენს მშვენიერ ოჯახსა და საგალობელთან ერთად. შენ გვერდით ვარ, ძმაო, გახარებული.

შენი ერთგული მეგობარი მერაბ ჩიტალაძე
18.05.2014

P.S. როსტომზე საუბარს უკურიოზებოდ ვერ დავასრულებ. ბევრი მაქვს მოსაგონარი და რამდენიმეს გავიხსენებ: როსტომს და ჰელი გამოთხოვილი სადმელში – ჩემს სოფელში – ქალბატონი თინა, ძალიან კარგი ადამიანი, პურმარილიანი, კარგი ქმარ-შვილის პატრონი. როსტომი ფათერაკიანი კაცია, რამდენიმეჯერ მოჰყვა ავარიაში: ერთხელ კამაზი დაეტაკა და ცხვირ-პირი მთლიანად მოურიალა. თავადაც ხუმრობს ხოლმე: რა მიქნა, იმ ოჯახდაქცეულმა, ცხვირის მეტი არაფერი მივარგოდა სიფათში და ესეც ბაყაყივით მიმიჭეჭყაო. შემდეგ ზიგული დაეტაკა და ფეხი მოსტეხა, რვა თვე თაბაშირში ჰქონდა, შემდეგ ისევ ავარიაში მოჰყვა, ცხონებულ დემნა მიქიაშვილთან ერთად. ერთი სიტყვით, ძალიან საფრთხილო კაცია. იტალიაში მიგვიწვიეს საერთაშორისო ფესტივალზე. ახალი მომხდარი იყო ის ამბავი – მილანში თვითმფრინავი მრავალსართულიან შენობას რომ დაეტაკა. წასვლის წინ შემომხვდა ქალბატონი თინა და მეუბნება: მერაბიკა, შენ შემოგევლე, როსტომიკას მიაქციე ყურადღება, თვითმფრავი არ დაეტაკოსო. რა თქმა უნდა, ხუმრობით. თვითმფრინავს გადაურჩა, მაგრამ მილანში მოტოციკლეტმა მაინც გადაუარა ფეხზე, მაგრამ გადავრჩით, არ დაშავებულა...

ჩვენი ანსამბლის მომღერალმა, ან გარდაცვლილმა სოსო მახალ-დიანმა, წაგვიყვანა ცოლოურს. სოსოს ჰყავდა გასათხოვარი ცოლის-და, დატრიალდა, კარგი სუფრა გაგვიწყო. ერთი სიტყვით, კარგი პატივი გვცა. როსტომი გამეცადინებულია, როგორმე სოსო გააჯავ-როს, და ეუბნება: ბიჭო, სოსო, რა კარგი ცოლისდა გყოლიაო. სოსომ ხმა არ ამოიღო, როსტომს გაუკვირდა და ცოტა ხნის შემდეგ კიდევ გაუმეორა: აუჟ, რა კარგი ცოლისდა გყავსო. სოსო შემობრუნდა და უთხრა: ბიჭო, ცუდი არაფერი მათქმევინოო. როსტომი დაინტერეს-და, ნეტა რას მეტყვისო და ეუბნება: სოსო, რა ვქნა, რაც მართალია მართალია, კარგი რამეაო. სოსომ სიტყვის მომთავრება არ დააცალა

და აჯახა, როგორც სჩვეოდა: შე შობელძაღლო, შენი ცოლისდა ნაკლებია, თუ რაო? აგვიტყდა სიცილი, ამბროლაურამდე ვიცინოდით. ისე, სოსო მართალი იყო.

სანადიროდ ვართ წასული მე, როსტომი, გივი ჭოხონელიძე და ანდრო შაუთიძე. მოვიარეთ ყველაფერი, ვერსად ნადირის ნაკვალევს ვერ წავაწყდით. დალლილები მდინარის პირას ჩამოვსხედით, მე გულმა არ მომითმინა და ტყეში შევედი – თოხის სატარეს მაინც წავიღებ სახლში-მეთქი. ორჯერ მოვიქნიე წაჯახი და ორი გასროლის ხმა გავიგონე. გამოვიქეცი გახარებული, მივვარდი და ვეუბნები: რა იყო, რას ესროლეთ-მეთქი? როსტომი მეუბნება: დათვი იყო და დააცილესო. თურმე იქვე წოლილა, სადაც მე თოხის ტარს ვჭრიდი, მაგრამ ღამით კვალი არ გაუვლია. როსტომს ვეუბნები, შენ რატომ არ ესროლე მეთქი? – არ ველოდი, თოფიდან ვაზნები მქონდა გამოღებულიო. ახლა მე გადავირიე ამაზე: აპა, ამ ტყეში ექვთიმე ხომ არ მოვიდოდა, მამაშენი-მეთქი? აუტყდა სიცილი, ძლივს გავაჩერე... გივი და ანდრია ყურებჩამოყრილი უსმენდნენ ჩვენს ჩხუბს.

ერთხელ მე, როსტომი და ჩვენი მეგობარი უორიკა კობახიძე როჭოებზე სანადიროდ ვართ ჭუთხაროში. როსტომს ჰყავდა ფრინველებზე მონადირე კარგი ძალი. მიუყვებით ცხენისკიბის სერს – ასე ჰქევია იმ ადგილს. ვხედავთ, ორი დამფრთხალი არჩვი საიდანლაც მოვარდა, ძალი არჩვებშია გარეული... ჩვენ ფრინველებზე ვნადირობთ, ვაზნის გამოცვლის დრო არ არის – მანძილი ახლოა. იქუხა როსტომის თოფმა და დედა არჩვი წაიქცა, მეორეს მე ვესროლე და ისიც მოვკალი. დავხოცეთ, მაგრამ წამოღება არ გინდა? ხუთი კილომეტრი მაინც იქნება, სადაც ჩვენი მეგობარი მურმან ჯოხაძე მანქანით გველოდება. როსტომი მეუბნება: ყოჩალ, მერაბ, ამოდენა არჩვი ხუთი ნომერი ვაზნით როგორ მოკალიო და მითითებს თავის მოკლულზე. მიუუხვდი ეშმაკობას – უნდოდა, თავისი მოკლული ჩემთვის აეკიდებინა, და ვუთხარი: შენ შენი მოკლული წამოიღე, მე კი ჩემსას-მეთქი. ავკიდეთ უორიკას თოფები და არჩვები ჩვენ წამოვიღეთ, არ გაგვჭირვებია, მაშინ ახალგაზრდები ვიყავით...

ერთხელ საგალობელს პატივსაცემად ხე-ტყე გამოუყვეს. ჩვენ გვყავს ძმა და მეგობარი გივი ჭოხონელიძე – ხე-ტყის დამზადების ოსტატი, და საერთოდ, მარჯვე კაცი... წავედით მთელი ანსამბლი...

იმ ღამით ქართულმა სიმღერებმა გააყრუა წესურ-რიცეულას ხეობა, გვიანობამდე ვიქეიფეთ ბუნებაში. დილით, ნაბახუსევზე, მე და ემირ ისაკაძემ (ალარც ეს ანგელოზი კაცი გვყავს ცოცხალი. ზუსტად იქ დაიღუპა თევზიაობისას, სადაც მაშინ ვითევზავეთ) კალმახი ბლომად დავიჭირეთ. ემირმა ერთ დიდ კალმახს სახელი დაარქვა – ეს ჩემს მაესტროსო, მეც დავეთანხმე. შევწვით კალმახი და ველოდებით, როდის მოვლენ ბიჭები ტყიდან, რომ ქეიფი გავაგრძელოთ. თევზი კოხტად მოვალაგეთ მაგიდაზე, ის დიდი კალმახი იქ დავდეთ, სადაც ჩვენი მაესტრო უნდა დაგვესვა. ბიჭებიც გამოჩნდნენ, დაიბანეს ხელ-პირი და მოვიყარეთ თავი. როსტომი გავაფრთხილე: სადაც დიდი კალმახი დევს, იქ დაჯექი და თანაც გვითამადე-მეთქი. არ უთქვამს უარი. მივედით მაგიდასთან და ემირი ყვირის: ვინ აიღო ყველაზე დიდი კალმახი! „დავიწყეთ ლოცვა-კურთხევა“... ერთი ჩვენი ძმა არის გაყურსული, ხმას არ იღებს. როსტომმა თქვა, ეს იქნებოდაო და მოუთითა ჯემალ მაჭანკალაძეზე... დიახ, ბატონო, დიდი კალმახი აქ არისო, – ისვამდა ჯემალი მუცელზე ხელს. ატყდა სიცილ-ხარხარი... შემოვუსხედით სუფრას და ცოტა ხნის შემდეგ ისევ ქართულმა ჰანგებმა გააყრუა რიცეულას ხეობა.

ლირსეული არჩევანი

ამ წუთისოფელში ყოველ ჩვენგანს თავისი საკეთებელი აქვს – საკუთარი თავისა და გარშემო მყოფთათვის. თითოეული ადამიანი თავისებური ნიჭით დაუჯილდოვებია უფალს: „რაცა ვის რა ბედ-მან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს“, – ბრძანებს შოთა და ლმერთმა რისი უნარიც მომცა, იმის თავისუფალი არჩევანი გავაკეთე ოცდახუთი წლის წინ. დიახ, ოცდახუთი წელია ანსამბლ საგალობლის წევრი ვარ. საგალობლის გზა არ ყოფილა ია-ვარდით მოფე-ნილი. ახალდაარსებულ ანსამბლს არ ჰქონია არავითარი ფინანსური დახმარება, მიუხედავად ამისა, მან მაინც შეძლო დღევანდლამდე მოსვლა როსტომ გოგოლაძის ძალისხმევით. ბატონმა როსტომმა საგალობელი მესამე შვილად გაიხადა და თავისი თავი მთლიანად

მას მიუძღვნა. ვფიქრობ, საყოველთაო აღიარება მაინც ცოტა გვიან მოვიდა, XXI საუკუნეში: ანსამბლმა პირველი იუბილე ორმოცი წლისამ გადაიხადა. პირველი ალბომი ორმოცი წლისამ გამოსცა, საქართველოს ფოლკლორის ეროვნული პრემიის ლაურეატიც 2011 წელს გახდა. საგალობლის სახელი გასცდა საქართველოს ფარგლებს და ქართულ (რაჭულ) სამუსიკო ფოლკლორს იტალიის (ორჯერ), ისრაელისა და პოლონეთის მაყურებელი გაეცნო.

ყველაფრისათვის კიდევ ერთხელ დიდი მადლობა დიდ მაესტროს როსტომ გოგოლაძეს და ყველას, ვინც ამ ხნის განმავლობაში ანსამბლს გვერდში ედგა.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ, ბატონო როსტომ!

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით,

დავით მაისაშვილი

15 ღვინობისთვე, 2014 წელი

ტრადიციათა მცველი

რაჭაში, თემურ ჭკუასელთან ერთად, სპეციალური მისიით ვმოგზაურობდი, ჯერ კიდევ გადარჩენილი ოდა-სახლების ისტორიის შესაწინავლად და დასაფიქსირებლად. ჩვენი „ბაზა“ იყო სოფელ ღადიშში, ჩემს წინაპართა კარ-მიდამოში არსებული ძველებური სახლი, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, მეწყერმა და მინისძვრამ განადგურების პირას მიიყვანა. აյ შევხვდი პირველად როსტომ გოგოლაძეს. სრულიად დაუვინყარია პირველი შთაბეჭდილება, რომელიც როსტომმა მოახდინა ჩემზე – საკვირველი სინრთელე, ბუნებრიობა, გულლიაობა, სინაღდე, უტყუარი ნიჭიერება – იმთავითვე აღმოვაჩინე მასში. როსტომ გოგოლაძე, რა თქმა უნდა, პირდაპირი გამტარია იმ მრავალსაუკუნოვანი, ათასწლოვანი ტრადიციისა, რომლითაც ქართული მრავალხმიანი სიმღერა ძველთუდველეს სამყაროს უკავშირდება. მისი საგალობელი, დიდი კაცების, დიდ ენთუზიასტთა ერთსულოვნების გამოხატულება, ხომ ჩვენი კულტურის ნამდვილი საგანძურია!

ამ ანსამბლში ბრწყინვალედ სრულდება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ურთულესი სიმღერებიც, მაგრამ რაჭული? – შეუდარებლად! სახასიათო, კვიმატი, კოლორიტული, სალალობო სიმღერები საუკეთესოდ გამოსდით, მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი მაინც ძლევამოსილი, მონუმენტურზე მონუმენტური, ეპიკური, დიადი, საოცარი გაქანებისა და უზარმაზარი ენერგიის მატარებელი რაჭული ჰანგებია, რომელთაც საგალობელი შესაშური ოსტატობით ასრულებს ქართულ სუფრასთან, მგზავრობისას თუ დიდ საკონცერტო დარბაზებში – ჩვენში თუ უცხოეთში.

ისევ მინდა, როსტომზე ვისაუბრო, მის მოყვარულ გულზე. ის ხომ ნამდვილი მოყვასია – დღეს ამ აზრდაცლილ, დაკარგულ-დავიწყებული სიტყვის ნამდვილი ფორმისა და შინაარსის მატარებელი. ვერასოდეს დავივიწყებ მის თანადგომას: რომ არა მისი უშურველობა და, მართლაცდა, „გადაყოლის“ დღეს ლამის დაკარგული უნარი, ძალიან გაღარიბდებოდა ის მასალა, რომელიც გამოქვეყნდა ალბომში – „კოლექტური ოდა-სახლები რაჭაში“ (2007 წ). მან აღმოგვაჩენინა ხონჭიორში ულამაზესი დეკორით შემკული ოდა-სახლი, გვიმეგზურა არაერთ ექსპედიციაში, მათ შორის, ურავის ხეობაში, გვიმასპინძლა, კვლავ და კვლავ გვაზიარა ქართული სიმღერის მადლს...

არასოდეს დამავიწყდება თემურ ჭკუასელსა და როსტომთან ერთად გატარებული ბედნიერი დღეები. ისევ და ისევ ოდა-სახლების ძიებისას, ერთ-ერთი სოფლის განაპირას მოხუცებულ კაცს შევხვდით. ხანმოკლე საუბრის შემდეგ, როგორლაც თავისთავად, მან და როსტომმა სიმღერა წამოიწყეს, თემური წამსვე ჩაერთო, მეც ავყევი... მრავალ გამოჩენილ ოსტატთან მიმღერია (თემურ ქევხიშვილთან, გოგი დოლიძესთან... შევსწრებივარ ჯუმბერ ყოლბაიას დაუვიწყარ გაკვეთილებსაც. მან ჩემი ვაჟებიც აზიარა ქართული მრავალხმიანობის მადლს), მაგრამ ის „მშვენიერი წამი“ მაინც სხვა იყო – მთელი არსებით შევიგრძენი, თუ როგორ დაიბადა ლვთაებრივი ჰანგი ბუნების წიაღში, როგორ გამთლიანდა ცა და მიწა, სკნელი და ზესკნელი „რა ესმოდა მღერა ყმისას“ დარად, როგორ მოხდა მთელი კოსმიური სამყაროს რიტმთა „თარგმანება“, რა საზეო სიხარულს ეზიარა ჩემი „გული, ცნება და გონება“.

ჩემო როსტომ! ისლა დამრჩენია, გისურვო: არასოდეს მოგბეზ-


რებოდეს შენი უსაყვარლესი საქმე, ყოველთვის ასე შემართებით იღვაწე ქართული სიმღერის საკეთილდღეოდ, შენს საძმოსთან, თანამოაზრებსა და მეგობრებთან ერთად!

შენი სამსონ ლეჟავა
თბილისი, 21.10.2014


როსტომისათვის სათქმელი ნარგიზა ტურძილაძესაც ჰქონდა, მაგრამ, „როგორც პოეტს შეჰქომენის“, ლექსად ამოთქვა მაესტროს ქება და ჩვენც ლამაზი სიტყვა ბოლოსთვის მოვიტოვეთ:

როსტომს

„დალიეს“ მღერის საგალობელი,
და მახსენდება ხალხით საესე რაჭის სოფლები –
სტუმართმოყვარე, ხელგაშლილი, მუდამ მშრომელი...
თქვენმა ალილომ, ჩემო როსტომ, გული გამითბო,
ის ძველი წლები გამახსენდა, დარი რომ იყო...
გულით გვაძალებს მასპინძელი ღვთის ნაურ ღვინოს,
დრო გავატაროთ, მოვილხინოთ ამასა ცდილობს.
დასჭექე, ბიჭო, დასჭექე, გადაუარე მთა-ველებს!
„დღე – ლამის გამთენებელო“, ათასჯერ კიდევ გვამდერე!
ხალხისგან დაცლილ ჩვენს სოფლებს ახალი სული შთაბერე,
სიცოცხლის ძალა შემატე სამოთხის სადარ ამ ედემს!



როსტომ გოგოლაძე როსტომიანის თხრობისას.



როსტომის მშობლები –
აგრაფინა ნიკოლაშვილი და ექვთიმე გოგოლაძე.



როსტომ გოგოლაძე პირველ კლასში,
ხიდიკარი, 1954 წ. მეორე რიგში მარჯვნიდან მესამე.



მარცხნიდან მეორე გიზო ჩიტალა-
ძე (გეზელია – დგას) და როსტომ
გოგოლაძე.

სტუდენტობისას, შოვი.
მარცხნიდან პირველი დგას
როსტომ გოგოლაძე (1969).



კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის კურსდამთავრებულები (1972).
მარცხნიდან მერვე დგას როსტომ გოგოლაძე.



მარინე ჩიხრაძე, როსტომ,
ნიკო და ლადო გოგოლაძეები.



გიგა სხირტლაძის 70-წლის იუბილე
(2000).





დათუნიკა სხირტლაძე, როსტომ გოგოლაძე,
მერაბ და შამუნა ჩიტალაძეები.



ამბროლაურის სახალხო თეატრი – მთავარი მაინც ადამიანია
(მარცხნიდან: როსტომ გოგოლაძე, იური მაჭანკალაძე,
ჯუმბერ ჯოხაძე, გიგა სხირტლაძე).



ჟორა სხირტლაძე, როსტომ და ნიკო გოგოლაძეები.



ურავის სამთო-ქიმიური ქარხნის ანსამბლი
აველი ნიკოლაშვილის ხელმძღვანელობით.



როსტომ გოგოლაძის ოჯახი –
როსტომ და ლადო გოგოლაძეები, მარინე ჩიხრაძე.



ნათელა გოგშელიძე, როსტომ გოგოლაძე,
ირინე და მარინე ჩიხრაძეები (2014).



ანსამბლი იავნანა. ცეკვას როსტომ გოგოლაძე.



ანსამბლი იავნანა.
მარცხნიდან პირველი დგას მარინე ჩიხრაძე, ბოლო – ირინე ჩიხრაძე.



იტალია, კუნარდოს ფესტივალის ჯილდო.



ფოლელორის საერთაშორისო ფესტივალი იტალიაში
საგალობლის გრან პრი.



ფოლკლორული პრემია ბანი (2006).



ქართული სიმღერის მოამაგე – ფონდ ქართული გალობის ჯილდო.

საგალოპელი

ქართულ მუსიკალურ ფოლკლორსა და ქართული ხალხური (რაჭული) სიმღერის შემსრულებლობაში ოთხ ათეულ წელზე მეტია საკუთარ სიტყვას ამბობს ანსამბლი საგალობელი. „სოკოებივით მომრავლებულ დიდშემადგენლობიანი გუნდების ფონზე“ (ედიშერ გარაყანიძე) ქვემო რაჭაში, ამბროლაურში, 10-კაციანი ვოკალური ჯგუფის შექმნა დიდი სიახლე იყო და რაჭის საზოგადოებამაც სიხარულითა და სიყვარულით მიიღო 1973 წელს, სარვამარტო დღესასწაულზე შესრულებული რაჭული სიმღერის ნიმუშები. იმ დღიდან მოყოლებული რაიონული პრესა (ხშირად რესპუბლიკურიც) უყურადღებოდ არ ტოვებს ანსამბლის არც ერთ გამოსვლას. კითხულობი პერიოდის გამოხმაურებებს, რეცენზიებს და გიკვირს: რაოდენი მოლოდინი ჰქონია საზოგადოებას ამ ტიპის ანსამბლის შექმნისა, რა სწორადაა აქცენტები დასმული და ყურადღება გამახვილებული შემოქმედებით პრინციპებზე – ძველის მოძიება, აღდგენა, გადარჩენა და დამკვიდრება. თუნდაც პირველი პუბლიკაცია – „საგალობლის“ პირველი აკორდი“ (არჩევაძე, 1973: №17/3): „ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლთა მიზანდასახულობა მეტად საპატიო და მისასალმებელია. აღდგენილი იქნება ხალხში აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილი საგალობლები, ჩვენი კუთხისთვის დამახასიათებელი ჰანგები. ანსამბლის წევრებმა: ჯუმბერ გოცირიძემ, ჯუმბერ ჯოხაძემ, თენგიზ ჯანგიძემ, ამირან კუბლაშვილმა, ემირ ისაკაძემ, გიორგი მაისაშვილმა, უორა სხირტლაძემ, ვაჟა ომანიძემ, ჯემალ მაჭანკალაძემ და ანსამბლის ხელმძღვანელმა როსტომ გოგოლაძემ პირველი ნაბიჯები უკვე გადადგეს საპატიო მიზნისაკენ მიმავალ გზაზე. არის ენთუზიაზმი, მონდომება, მიზანსწრაფვა. ანსამბლ „საგალობლის“ პირველი აკორდი საიმედოა“. ამ სტრიქონების ავტორი მაშინ ვერ წარმოიდგენდა, როგორ ახდებოდა მისი წინასწარმეტყველება, რა მყარი გამოდგა ეს „აკორდი“ – ლოდთავკიდურად დაედო ქვემორაჭულ სიმღერასა და საგალობელს. იგივე ავტორი 15 წლის შემდეგ იმავე გაზეთში: „საგალობლის“ მსგავსი ანსამბლი ჯერჯერობით არ გაგვაჩნია. ხალხური ანსამბლების როგორი სიმრავლეც უნდა იყოს ჩვენს რაიონში,

„საგალობლის“ ღვანტლი ფასდაუდებელია რაჭული სიმღერის აღდგენის საქმეში“ (არჩვაძე, 1988: №19/4).

საგალობელმა გაუძლო ორი საუკუნის გასაყარს, წითელი რეჟიმის რღვევას, ჩაისუნთქა თავისუფლების ტკბილ-მწარე ჰაერი, არ დანებდა სიცივეს, შიმშილს, სიბნელეს, თაობათა ცვლის მტკიცნეულ პროცესს, საქართველოს გამუდმებით ომში ყოფნას და ყველაზე მეტი სწორედ იმ „მრისხანე უამს“ გააკეთა (ამისათვის დიდება და მაღლობა თითოეულ წევრს). როგორც გერმანელები ამბობენ, ყველაფრის დასაწყისი ძნელია, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია გაგრძელება, შენარჩუნება და ბოლომდე მიყვანა. სასიამოვნოა წარმატებებზე საუბარი, აღიარება, ჯილდოები, მრავალგზის ლაურეატობა და სხვა, თუმცა ამის უკან რამდენი ტკივილი, გაჭირვება, უსახსრობა, უბინაობა, სიცივე, შიმშილი, გულგრილობა და უყურადლებობა იმალება. მრავლისმთქმელია სარაიონო გაზეთში (მუსიკალური კლუბი „რაშოვდა“ (1986), „კომუნიზმის დროშა“) ერთი ჯგუფური ინტერვიუ. უურნალისტ ეთერ მაისაშვილს ხალხური სიმღერის პრობლემებზე სასაუბროდ რედაქციაში მიუწვევია: საგალობლის ხელმძღვანელი როსტომ გოგოლაძე, იავნანას ერთ-ერთი ხელმძღვანელი მარინე ჩიხრაძე, ამბოლაურის მე-2 საშუალო სკოლის მუსიკის მასწავლებელი ნათელა გოგშელიძე და ჭრებალოს საშუალო სკოლის სამუსიკო სტუდიის მასწავლებელი მზია ფარულავა. თითოეულ რესპონდენტს თავისი ანსამბლი ჰყავს, თავისი პრობლემა აქვს, მაგრამ ამ ვრცელ ინტერვიუში აქცენტს საგალობლის პრობლემებზე აკეთებს. იციან მისი ფასი. საინტერესოა 30 წლის წინანდელი აზრი. ნათელა გოგშელიძე: „როდესაც რაიონში არსებულ ანსამბლებზე ვლაპარაკობთ, უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ საგალობელს. რაიონში არ მოიპოვება სიმღერის მსგავსი ანსამბლი. იგი ერთადერთი მუდმივმოქმედი ანსამბლია, რომელიც 1973 წლიდან არსებობს“. მზია ფარულავა: „საგალობელი“ განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობს. ხშირად მომისმენია, როგორ კითხულობს მაყურებელი კონცერტის წინ – იმღერებს „საგალობელი“? რაიონში არც ერთი ღონისძიება ამ ანსამბლის გარეშე არ ტარდება. „საგალობელი“ ჩვენი სიამაყეა. ვფიქრობ, ეს მხოლოდ ჩვენი აზრი არ არის“. როსტომ გოგოლაძე: „ანსამბლი უკვე 13 წელია არსებობს. მღერის კაცი წლების მანძილზე და შემდეგ აცხადებს: მომბეზრდა, აღარ მინდა, არ მცალია

და გტოვებს. მე არ მახსოვს, როდესმე ანსამბლის მიმართ ვინმეს გამოეჩინოს ყურადღება. წლების მანძილზე იყარგება ინტერესი და ახლა ბეწვზე ჰქიდია მისი ყოფნა. ხომ წარმოუდგენელია ეს ანსამბლი სოსო საგანელიძის, როსტომ არჩევაძის გარეშე. ხვალ რომ მათ უარი თქვან ანსამბლში სიმღერაზე ან რომელიმე წევრმა, მე მათ ვერაფრით დავაკავებ. ეს არის ძირითადი პრობლემა, რომელიც ანსამბლის წინაშე დგას“. ასეთ გულგახსნილ, ასეთ გულგატეხილ როსტომ გოგოლაძეს ჩვენ არ ვიცნობთ. ვინ იცის, 40 წლის განმავლობაში რამდენი ასეთი „გზანი წამებისანი“ გამოიარა ლოტბარმა და ანსამბლის თითოეულმა წევრმა, რამდენჯერ დამდგარა დილემის წინაშე, მაგრამ, ღვთის მადლითა და ანსამბლის მეგობართა წყალობით, მაინც გადარჩა „ნაადრევ წერტილს“. წამიერი სისუსტე დიდ, ძლიერ ადამიანებს ახასიათებს. ვინ იცის, რამდენი ასეთი გამხელილი თუ გაუმხელელი სუსტი წამი ყოფილა ანსამბლის ისტორიაში, მაგრამ მისი წევრების სასახელოდ უნდა ითქვას: უამრავი პრობლემისა და დაბრკოლების მიუხედავად, საგალობლის არც ერთ წევრს არ მიუტოვებია ანსამბლი, პირადი კეთილდღეობისათვის არ უნაცვლებია ეროვნული ინტერესები. თბილისიდანაც უვლიათ რეპეტიციებზე და დროებით ამბროლაურში სამუშაოდ ჩასული წლობით დარჩენილა რაჭაში. კარგი ამბავი სწრაფად ვრცდელება. გაუგიათ, ფოლკლორის ცენტრში როსტომსა და საგალობელზე მონოგრაფიას წერენო, და ნუგზარ ლებანიძე, სოსო საგანელიძე, ჯანიკო გაგოშიძე თავად მოვიდნენ, საინტერესო ამბებს მოჰყვნენ, ფოტო და დოკუმენტური მასალები მოიტანეს, წიგნის გამოცემას გულშემატკივრობენ.

საგალობელმა პირველად საჯაროდ სულმან მათმან შეასრულა, ლოცვით დაიწყო, სახელიც გაამართლა და ამ უჩვეულო ჰანგს მოკლებული მაყურებლის გულიც სამუდამოდ მოიგო. მართალია, სიყვარული შექმნისთანავე დაებედა, საყოველთაო აღიარება და მისთვის შესაფერისი პატივი, ცოტა არ იყოს, გვიან ერგო. იუბილე ერთადერთხელ – 40 წლისამ გადაიხადა. საგალობლის 25-წლიანი ისტორია, განვლილი შემოქმედებითი გზა იმდენად შთამბეჭდავად, ლაკონიურად და პროფესიულადაა შეფასებული მანანა ცანავას სტატიაში, რომ მას უცვლელად ვთავაზობთ მკითხველს („რაეო“, 1998: №5/19).

საგალობელი 25 წლისაა

„პირველად იყო გალობა“... მაცხოვრის შობამდეც გალობდა ქართველი მრავალხმიანად, ალბათ, სულის ყველა ბერა რომ მიეწვდინა მისითვის, ვის საგალობელსაც ამბობდა იგი...

რაჭაშიც მღეროდნენ და მზეს უგალობდნენ. მერე ჭეშმარიტი ლმერთიც ირწმუნეს და მერე „ქრისტე აღდგას“ ამოთქვამდნენ. დღეს თითქმის ყოველი მეორე რაჭველი მღერის, თანაც გამორჩეულად და კარგად. ხალხური სიმღერის სიყვარულით 1973 წელს ამბროლაურის კულტურის სახლთან ჩამოყალიბდა ანსამბლი „საგალობელი“. მისი სახელიც ქართული ვოკალური ხელოვნების პირველსაწყისობის სიმბოლოა.

25 წელი გასულა! თითქოს სულ ახლა იყო, მენამული ფერის ჩოხიანმა ბიჭებმა „სულმან მათმან“ რომ დასჭექეს. ალბათ, იშვიათია მსგავსი რამ – ანსამბლმა პირველივე აღებული აკორდით დაიპყრო მსმენელი, აღაფრთოვანა, თავი შეაყვარა და შეიჩვია... დღეს მის რეპერტუარში საქართველოს სხვადასხვა კუთხის (გურულის გარდა) 100-მდე სიმღერაა. აქედან 40-მდე რაჭული და ბევრი მივიწყებული და ხელახლა გაცოცხლებული.

არსებობის მანძილზე წარმატება და გამარჯვებები თან სდევდა ანსამბლს. იგი საკავშირო და რესპუბლიკური ოლიმპიადების მრავალგზის ლაურეატია. „საგალობელი“ უცვლელი მონაწილეა ყველა იმ სადღესასწაულო თუ მასობრივი ორნისძიებისა, რომებიც ამბოლაურში ჩატარებულა... მის ყოველ გამოსვლას მაყურებლისა და მსმენელის ოვაცია ახლავს. ასე იყო გასული წლის ნოემბერში, საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს რაჭველ მომღერლებს. „საგალობელი“ ამჯერადაც ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადის ლაურეატი გახდა.

1988 წელს „საგალობელს“ სახალხო ანსამბლის წოდება მიენიჭა.

25 წელი გასულა! „საგალობელი“ კვლავ მღერის... და ეს მისი შემქმნელის, ხელმძღვანელის, ლოტბარის, საკავშირო და რესპუბლიკური ოლიმპიადების ლაურეატის როსტომ გოგოლაძის დამსახურებაა.

...კვაცხუთში საღამოობით ბუხართან მოიხმობდა ექვთიმე გოგოლაძე შვილებს და ქართულ ხალხურ სიმღერებს ასწავლიდა. უმცროსმა ვაჟმა – როსტომმა – არა მარტო შეიყვარა, თავის საქმედ აქცია სამუსიკო ფოლკლორი. კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის საგუნდო-სადირიუორო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი ამბროლაურში დაბრუნდა და ერთდროულად რამდენიმე მომღერალთა გუნდს ამზადებდა. როსტომ გოგოლაძემ ამბროლაურში სოფელ-სოფელ შეკრიბა, აღადგინა ბევრი უკვე ხსოვნამივიწყებული რაჭული სიმღერა და მათი სიცოცხლის შენარჩუნებისთვის ანსამბლის რეპერტუარში დაუდო ბინა.

თავად როსტომ გოგოლაძე საოცარი პიროვნებაა – მოუსვენარი, მუდამ მოძრავი. ერთ ადგილზე გაჩერება ძალიან უჭირს, წამში შეუძლია ჩვეული ენაკვიმატობით რამდენიმე ანეკდოტს და სასაცილო ამბავს მოჰყვეს...

როსტომის ნახვა გნებავთ? შეიძლება ამბროლაურის კულტურის სახლის (იგი მისი დირექტორია) საქმეებზეა წასული, „საგალობლის“ რეპეტიცია ან კონცერტი აქვს, შეიძლება ამბროლაურის სახალხო თეატრშია დაკავებული და როლზე მუშაობს (სხვათაშორის, ამბროლაურის დასმა 1990 წელს ლიტვაში, ქ. როკისკისში სახალხო თეატრების საერთაშორისო ფესტივალზე, სპექტაკლით „სამშობლო“ გრან პრი რომ დაიმსახურა, იქ როსტომი ისკანდერ-ბეგის როლს თამაშობდა); ღმერთმა დაგვიფაროს და, თუ სტიქია მძვინვარებს (დიდ-თოვლობა, ზვავებია, წყალდიდობა და ა.შ.), იგი ერთ-ერთი პირველი გარბის გაჭირვებაში ჩაცვენილი ადამიანების დასახმარებლად, თუ ვაზის დამუშავების დროა, ვენახში ნახავთ, თუ თვალი ვერ მოჰკარით, აუღია თოვი და თავის მწევართან – ხალისასთან ერთად – ტახზე სანადიროდ წასულა.

ხელოვანთა ოჯახი – თავისუფლად შეიძლება უწოდო როსტომ გოგოლაძის ოჯახს. გარდა იმისა, რომ მამამისი მღეროდა, მრავალ-უამიერის მოკლე ვარიანტიც – ექვთიმური მისგან ისწავლა. ასევე კარგად მღერიან მისი ძმებიც. გარდა ამისა 1991 წელს რესპუბლიკურ კონკურსზე „ქართული მუსიკა და ქორეოგრაფია – 91“ მან თავის შვილებთან – ნიკოსთან და ლადიკოსთან ერთად – მეორე ადგილი დაიკავა.

როსტომის მეუღლე მარინე ჩიხრაძე ქალთა ანსამბლ „იავნანას“ და პირველი საშუალო სკოლის ბიჭუნათა ანსამბლ „ფარინას“ ხელმძღვანელობს. გასულ წელს ბაკურიანში ჩატარებულ ფოლკლორის რესპუბლიკურ კონკურსზე „ფარინამ“ გრან პრი აიღო. მარინეს, თავის ტყუპისცალ ირინესთან ერთად, წლების მანძილზე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რაიონის მუსიკალურ თუ თეატრალურ ცხოვრებაში. მარინეს და ირინეს კულტურის განყოფილებამ სულ ცოტა ხნის წინ ლამაზი შემოქმედებითი საღამო გაუმართა. როსტომის უფროსი ვაჟი – ნიკო სტუდენტია. იგი „ოქროს მართვეს“ ლაურეატის, ბიჭების ფოლკლორული ანსამბლის „ბერიკას“ წევრია. უმცროსი ვაჟი – ლადო ამბროლაურის პირველი სკოლის მოსწავლეა და „ფარინაში“ მღერის.

„მღერის „საგალობელი“ – უსასყიდლოდ. ენთუზიაზმით უფრთხილდებიან მომღერლები რაჭულ მელოდიას. მაგრამ ბევრჯერ დასწყვეტიათ გული – ზესტაფონში ჩატარებულ ხალხური სიმღერის ფესტივალზე ყველაზე კარგი შეფასება მიიღეს, მაგრამ უიურის მათი დაჯილდოება დაავიწყდა. ტრადიციული მრავალხმიანობის ბორჯომის საერთაშორისო კონფერენციაზე უცხოელ მუსიკოსთა დიდი მონონება დაიმსახურა ანსამბლმა. იუგოსლავიელებმა და ამერიკელებმა თავისთან მიიწვიეს რაჭველი მომღერლები. იუგოსლავიაში გამგზავრებისათვის სპონსორი არ გამოუჩნდათ, ამერიკაში მათ ნაცვლად სხვა გაუშვეს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იმ ანსამბლის ხელმძღვანელმა ვერ დაფარა და აღიარა: ამერიკელ ფოლკლორისტებს დაუნახავთ თუ არა სტუმრები, – ჩვენ „საგალობელს“ ველიდითო, – უთქვამთ.

„საგალობლის“ ხელმძღვანელი და მისი წევრები უყურადღებობაზე მეტად იმას განიცდიან, რომ არავინ გამოჩნდა ისეთი, ვინც დახმარების სურვილს გამოთქვამდა და ანსამბლს შეეძლებოდა კომპაქტდისკზე ან ვიდეოკასეტაზე აღებეჭდა ამდენი შრომითა და წვალებით შეგროვებული რაჭული სიმღერები, რათა შთამომავლობასა და რაიონის ისტორიას დარჩეს იგი.

„საგალობელი“ 25 წლისაა. იუბილარს მეტი მოფერება და საკადრის საჩუქრის მომზადება სჭირდება. ახლა მართლა ეძლევა შანსი რაიონსგარეთ მცხოვრებ იმ ამბროლაურელებს, რომელთაც ოდნავ

მაინც აქვთ საშუალება, დაეხმარონ ანსამბლს სიმღერების ჩასაწერად. ბოლოს და ბოლოს ეს ხომ ჩვენი საერთო საქმეა.

საზეიმო წელი აქვს „საგალობელს“, მაგრამ მისი წევრები ტკივილით და სათუთად ინახავენ ჯუმბერ ჯოხაძის, სოსო მახალდიანის, მარლენ კერვალიშვილის, ომარ ტვილდიანის სახელებსა და ხსოვნას.

„საგალობელი“ 25 წლისაა. დგანან სცენაზე როსტომ გოგოლაძე, რეზო გულედანი, ევლოგი მაისაშვილი, მერაბ ჩიტალაძე, უორა და დათო სხირტლაძები, იური მაჭანკალაძე, დათო მაისაშვილი, როსტომ არჩვაძე, სოსო საგანელიძე, ემირ ისაკაძე, ამირან გოგიჩაიშვილი, ჯემალ მაჭანკალაძე, გოჩა ფარულავა... მისჩვევია ყური და გემოვნება მათ სიმღერას. თვალგაუხელადაც არჩევს სმენა: ეს მერაბიკაა, ეს როსტომიკა, ეს უორუკაა, ეს სოსოუკა და ა.შ.

25 წელი გასულა, ბიჭებო! აღარც ის მერამული ფერის ჩოხები გაცვიათ, მაგრამ ისე საოცარი ძალით ერწყმის კვლავ თქვენი ხმები ერთულთს, თითქოს ერთად დაბადებულა ეს ბერები, თითქოს თქვენი ხმებით იშვა და ამომღერდა ეს სიმღერები.

დიდი მადლობა თქვენ ამისათვის. გილოცავთ იუბილეს, უძველესი საგალობლის ძალა ღვთის მადლად დაგიბრუნდებათ უკან!

მანანა ცანავას წერილში საგალობლის მოღვაწეობის 25 წელი ლამაზად, თბილად, რბილად, ოსტატური კალმის მოსმით არის მოთხოვნილი. პრობლემათა შორის აუდიოალბომის უქონლობაც და ვიდეოფირზე აღუბეჭდაობაც ერთ-ერთი პირველია. კიდევ 15 წელს უნდა გაევლო, რომ ეს სამართლიანი მოთხოვნა და კეთილი სურვილი საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს აღესრულებინა. თითქმის ყოველ სტატიაში, გამოხმაურებაში ისმის თხოვნა, მოწოდება საგალობლის ხელშეწყობისა, დახმარებისა: „რაჭული ხალხური სიმღერების შეკრება-პოპულარიზაციისათვის დიდი წვლილი მიუძღვის აწ განსვენებულ ვასილ კობახიძეს. ამ დიდებულმა ადამიანმა მთელი სიცოცხლე შეალია რაჭული სიმღერების შესწავლას. მისი გარდაცვალების შემდეგ მომღერალთა გუნდს ხელმძღვანელობდნენ: დავით კობახიძე და ძმები – დავით და ტარიელ ბაქრაძეები. ახლა ამ დიდებული საქმის ქომაგი როსტომ გოგოლაძეა. ანსამბლის წევრები სერიოზული საქმეებით არიან დატვირთულები, მაგრამ მათში იმდე-

ნად არის გამჯდარი სიმღერის სიყვარული, რომ დიდი რუდუნებით უფრთხილდებიან თითოეულ მათგანს. ჩემი თხოვნა იქნება, როგორც ქალაქში ისე სოფლად მცხოვრები რაჭველებისაგან შეიქმნას პატარა საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ამ ანსამბლს თუ რაიონში სხვა ხალხური შემოქმედებითი კოლექტივის მატერიალური ნახალისების საქმეს” („კომუნიზმის დროშა“ 1987: №22/10). მსგავსი თხოვნა საკმაოდ ხშირია, მაგრამ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არც პატარა და არც დიდი საზოგადოებრივი ჯგუფები არ შექმნილა და საგალობელი და მისი ლოტბარი მარტონი ეჭიდებოდნენ სიძნელებს უსაშველოდ გრძელ და ბნელ წლებში. ყველას გვახსოვს სახარებისეული იგავი ქვრივი დედაკაცისა და მის მიერ გაღებული ორი წვლილის შესახებ. დაახლოებით ამდაგვარია ესეც: როსტომს ხომ არაფერი ავინცყდება და, ამ კაცის სახელი არ გამოტოვოთო, რამდენიმეჯერ მთხოვა. უშუქობის, უგაზობის, უწყლობის, უპურობის, უკულტურისახლობის და ათასი უყველაფრობის დროს, საგალობელი მაინც მეცადინეობდა – მშივრები, გაყინულები მაინც მღეროდნენ. იქვე ახლოს თონე იყო. ხაბაზი გურამ თავშავაძე გაიგონებდა თუ არა სიმღერის ხმას, – ბიჭებს ეშიებათო, – და ამოარბენინებდა ცხელ-ცხელ ლავაშებსა და დოქით ღვინოს, ასე იყო წლების განმავლობაში. სიტყვას უჭირს მაღლიერების დატევა. ასეთი კაცები აღამაზებნ ცხოვრებას, გვიმსუბუქებენ წუთისოფლის ტვირთს. აფერუმ, მის სახელსა და საქმეს! როსტომ გოგოლაძისა და საგალობლის მეგობრები ჩვენ ზემოთ უკლებლივ მოვიხსენიეთ. ამ სიაშია გურამ თავშავაძეც.

„ერთი ორი სხვაც იყო, ვინც მშობლისთვის იბრძოდა“, მაგრამ ხანდახან სავალი მეტად ვიწროვდებოდა და ზოგჯერ ქრებოდა კიდეც. საგალობლის ისტორიის მკვლევარი ვერ იქნება განებივრებული მწყობრი, ყოვლისმომცველი საარქივო მასალებით, დოკუმენტებით, გამოხმაურებებით, აფიშებით და ა.შ. ეს, შეიძლება, იმ შავბრნელ წლებსაც დავაბრალოთ, კულტურის სახლის დაწვასაც და ა.შ. პრესა 1986-87 წლებიდან წყდება, ნინა პუბლიკაციები მხოლოდ 80-იანი წლების დასაწყისისაა, წყვეტა საკმაოდ დიდია. კიდევ სხვადასხვა წლის რამდენიმე პუბლიკაცია და, ეტყობა, საგალობლის მატიანის შექმნის მესვეურებმა ამ საქმეზე ხელი აიღეს. ჩვენ, მომღერალთა

შემოქმედებითი ბიოგრაფიებისათვის მასალები და ცნობები, ძირითადად, ოჯახებში მოვიძეთ. რაჭული ფოლკლორის პოპულარიზაციაში, და ამდენად საგალობლისაც, უდიდესი როლი შეასრულა გაზეთმა რაეომ და მისმა რედაქტორმა ბონდო გაგნიძემ.

ახლა თვალი გადავავლოთ საგალობლის 40-წლიან შემადგენლობას, მოღვაწეობის ძირითად თარიღებს, რეპერტუარს, წარმატებებს, ჯილდოებს, გასტროლებს...

საგალობელი 1972–2014 წწ.

1. არჩვაძე როსტომ
2. ბიჭაშვილი ბუდუ
3. ბედენაშვილი ზურაბ
4. გოცირიძე ჯუბერ
5. გოგოლაძე ვლადიმერ
6. გვიშიანი ვეფხია
7. გოცირიძე თემურ
8. გენაძე გიორგი
9. გენაძე სოსო
10. გოცირიძე ლევან
11. გოგიჩაიშვილი ამირან
12. გულედანი რევაზ
13. გოგლიძე როინ
14. თომაძე რევაზ
15. ისაკაძე ემირ
16. კუბლაშვილი ამირან
17. კერესელიძე ჯემალ
18. ლებანიძე ნუგზარ
19. მაჭანკალაძე ჯემალ
20. მაჭანკალაძე იური
21. მაისაშვილი გიორგი
22. მაისაშვილი ევლოგი
23. მაისაშვილი არჩილ
24. მაისაშვილი დავით
25. მიქიაშვილი დემნა
26. მახალდიანი სოსო
27. მახალდიანი ლევან
28. მხეიძე ჯონი
29. კერვალიშვილი მარლენ
30. ნატმელაძე დავითი
31. ომანიძე ვაჟა
32. ობოლაშვილი კუკური
33. რეზვიაშვილი სულხან
34. საგანელიძე გოჩა
35. საგანელიძე სოსო
36. სოხაძე ეგული
37. სოხაძე სოსო
38. სხირტლაძე დათუნიკა
39. სხირტლაძე გაიოზ
40. სხირტლაძე დავით
41. სხირტლაძე ჟორა
42. ტვილდიანი ომარ
43. ფარულავა გოჩა
44. ქექნაძე ბადრი
45. ქურციკიძე მურმან
46. შიშინაშვილი გოჩა
47. ჩიტალაძე მერაბ
48. ჩიტალაძე შამშე

- 49. ცხვედიანი ვახტანგ
- 50. ჭელიძე ბექა
- 51. ხაბეიშვილი ხუტა
- 52. ჯანგიძე თემურ
- 53. ჯოხაძე ვლადიმერ
- 54. ჯოხაძე ჯუმბერ

საგალობლის პირველი ათეული – პირველი თაობა

- 1. გოგოლაძე როსტომ
- 2. გოცირიძე ჯუმბერ
- 3. კუბლაშვილი ამირან
- 4. მაჭანკალაძე იური
- 5. მაჭანკალაძე ჯემალ
- 6. მაისაშვილი გიორგი
- 7. ომანიძე ვაჟა
- 8. სხირტლაძე უორა
- 9. ჯანგიძე თემურ
- 10. ჯოხაძე ჯუმბერ

საგალობლის გარდაცვლილი წევრები

- 1. ბიჭაშვილი ბუდუ
- 2. გოგლიძე როინ
- 3. ისაკაძე ემირ
- 4. კერქესელიძე ჯემალ
- 5. მაისაშვილი გიორგი
- 6. კერვალიშვილი მარლენ
- 7. მაჭანკალაძე იური
- 8. მახალდიანი სოსო
- 9. მხეიძე ჯონი
- 10. მიქიაშვილი დემნა
- 11. სხირტლაძე უორა
- 12. ტვილდანი ომარ
- 13. რეზვიაშვილი სულხან
- 14. ჯანგიძე თემურ
- 15. ჯოხაძე ჯუმბერ

საგალობლის დღევანდელი შემადგენლობა

- 1. არჩვაძე როსტომ
- 2. გოგოლაძე ვლადიმერ
- 3. გოცირიძე თემურ
- 4. გვიშიანი ვეფხია
- 5. გოცირიძე ლევან
- 6. გოგიჩაშვილი ამირან
- 7. მაისაშვილი დავით
- 8. მახალდიანი ლევან
- 9. მაჭანკალაძე ჯემალ
- 10. ნატმელაძე დავით
- 11. ჩიტალაძე მერაბ
- 12. ჩიტალაძე შამშე
- 13. ცხვედიანი შოთა
- 14. საგანელიძე სოსო
- 15. სხირტლაძე დათუნიკა
- 16. სხირტლაძე დავით
- 17. ჭელიძე ბექა
- 18. ჯოხაძე ვლადიმერ
- 19. ქურციკიძე მურმან

საგალოპლის რაჭული რეპერტუარი

1. ასლანური მრავალუამიერი (სუფრული)
2. ქრისტე აღსდგა (სააღდგომო)
3. ჩავხედე, რიყე მეგონა (საფერხულო)
4. სამაყრიონს გეახელი (საქორწილო)
5. დიგორი და ბასიანი (საფერხულო)
6. მუშური (შრომის)
7. ჯამათა (საფერხულო)
8. სანადიმო (სუფრული)
9. რაეო (საფერხულო)
10. ალილო (საშობაო)
11. ლიხეთური მაყრული (საქორწილო)
12. ქვემორაჭული მაყრული (საქორწილო)
13. ქვედრულა მოდიდებულა (საფერხულო)
14. ჩვენი მასპინძლის მარანში (სუფრული)
15. ოსიე (საფერხულო)
16. გამხიარულდი ბუხარო (სუფრული)
17. ექვთიმური მრავალუამიერი (სუფრული)
18. მაღლა მთას მოდგა (საფერხულო)
19. მაყრული (საქორწილო)
20. ზემორაჭული მაყრული (საქორწილო)
21. ქალგული (საფერხულო)
22. დალიე (სუფრული)
23. მახალდიანების მრავალუამიერი (სუფრული)
24. ოდელიაო (შრომის)
25. ქრისტეს ფერხული (სააღდგომო ფერხული)
26. მიყვარს პირწმინდა ნამგალი (მუშური)
27. სულმან მათმან (საგალობელი)
28. ალილო (საშობაო)
29. ყურძენმა თქვა (ორპირული სუფრული)
30. მთავარანგელოზო ცხოვრების (საწესო)
31. ერთხელ წისქვილს წასვლისათვის (საფერხულო)
32. ერთხელ ჩემმა მოყვარემა (სახუმარო)

33. ქართლის კახეთის მთაზედა (სუფრული სატრაფიალო)
34. ქალსა და ვისმეს (საფერხულო)
35. მთაში წავედი, წყარო ვსვი (სახუმარო)
36. რად გინდა ქალი ლამაზი (სახუმარო)

საგალობლის ორმოცი წლის საიუბილეო ზეიმზე, ანსამბლ ია-ვნანას დამაარსებელმა და ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ირინე ჩიხრაძემ ლოტბარი როსტომ გოგოლაძე და საგალობლის წევრები ასე წარუდგინა მაყურებელს:

პირველი ნომერი – მაესტრო როსტომ გოგოლაძე!!!

მერაბ ჩიტალაძე – მეორე ხმა, სოლისტი, მთემელი, საგალობლის თვალი, უძლიერესი ხმა, დიდი დიაპაზონი – შეუდარებელი; ნა-თელი ფურცელი ანსამბლის ისტორიაში.

ჯემალ მაჭანკალაძე – თბილი, ალერსიანი მეორე ხმა. თუ უნდა, იმპროვიზაციის მორევში შეგითრევს, დღეს ბანი, კარგი პარტნიორი. სიკაშვაშეს მატებს ანსამბლს ეს შავგვრემანი კაცი.

ამირან გოგიჩაიშვილი – როსტომმა იგი დაბალი ბანისთვის მოიწვია. პედაგოგი, იუმორისტი, ქვას გააცინებს მისი ნაკვესები. ცხოვრებაში დინჯი, აულელვებელი, სანდო, პატიოსანი. ხავერდო-ვანი ბანი, უყვარს სცენა, მსახიობობა.

ემირ ისაკაძე – საუკეთესო ბანი, ანსამბლის სული და გული; კაცი, რომელიც ყველას უყვარს, ულალატო, დისციპლინიანი, ჩაბმუ-ლია ყველა სასიკეთო საქმეში. სიმღერა ყველაფერზე მეტად უყვარს. ლამაზად შრომობს, ლამაზად ცხოვრობს (სამწუხაროდ, იუბილედან ორი თვის შემდეგ ემირ ისაკაძე გარდაიცვალა, რაც ანსამბლისათვის აუნაზღაურებელი დანაკლისია – ბ.ა.).

ევლოგი მაისაშვილი – საგალობლის ბერმუხა, ვულკანივით გუ-გუნა, გულში ჩამწვდომი ბანი. სიმღერა მისი ცხოვრების საზრისი და განუყრელი თანამგზავრია. მშრომელი, პურმარილიანი, ბევრის მნახ-ველი, კეთილი და კარგი კაცი. დღეს სტუმრის რანგში გვევლინება.

ლევან გოცირიძე – ბანი, სიმღერაში აზრს და გონებას აქსოვს. სიტყვის ოსტატი, ისტორიკოსი, ოჯახიდან მოსდევს სიმღერის სი-ყვარული და ადამიანების პატივისცემა. აკაკი გოცირიძის ლირსეული

შთამომავალი.

დავით ნატმელაძე – არხეინა – დახვეწილი, მოქნილი, ულამაზესი პირველი ხმა – მოძახილი, სოლისტი, ყველა კუთხის სიმღერის უბადლო შემსრულებელი. ზეცას სწვდება მისი ხმის მაღალი დიაპაზონი.

დავით მაისაშვილი – მეორე ხმა, ტენორი, გრძნობს ქართული სიმღერის სიდიადეს, ემორჩილება სიმღერას, სცენას. ხელოვანი, პოეზიის მეტრფე, „სავსე ქართული პატიოსნებით“, მსახიობი, ლამაზი კაცი, საჭირო და აუცილებელი ანსამბლისათვის.

დავით სხირტლაძე – ბანი, მეორე ხმა, დაბალი ბანი. თავად მასწავლებელი, მომავალ თაობას უნერგავს სიმღერის სიყვარულს. უორას ვაჟი, ჩვენი შვილი. იმპროვიზატორი, ნიჭიერი კაცი, ერთადერთი ნაკლი აქვს – უცოლოა.

ვლადიმერ გოგოლაძე – მეორე ხმა, ბანი, ტკბილად მომღერალი. ჯერჯერობით მაინც როსტომის ვაჟი. ხალხური საკრავების უებრო მცოდნე. სიმღერითა და თეატრით ცხოვრობს, საუკეთესო არტისტი, ჩინებული მოცეკვავე, კარგი პარტნიორი. მასთან სიმღებიანია. ესეც ნაკლიანია – დაუოჯახებელი (უკვე დაოჯახებული – ბ.ა.).

ლევან მახალდიანი – მშვენიერი, გულში ჩამწვდომი ხმა – ბანი. ლრმად ქართული ფესვებით – სოსო მახალდიანის ვაჟი. სიმღერის ტრფიალი, ადამიანებისადმი კეთილგანწყობილი და მოსიყვარულე.

ვლადიმერ ჯოხაძე – ბანი, ნიჭიერი მომღერალი, გამოსადეგი ან-სამბლისათვის, მეგობრებისათვის, სიმღერის შესწავლისას საოცრად მუყაითი, ლამაზი ოჯახის კარგი მამა.

თემურ გოცირიძე – ბანი, უკრავს ყველა ხალხურ საკრავზე, გამორჩევით – ჭიანურზე. ტყუილად ხომ არ არის აკაკის შვილიშვილი. ჯერ თუმცა შეგირდია, მაინც იგრძნობა მომავალი ოსტატის მუხტი.

შამშე – შამუნა ჩიტალაძე – პირველიც შეუძლია, მეორეც და ბანიც. აბა, სხვაგვარად როგორ იქნება, ის ხომ ვაჟია განუმეორებელი მომღერლის მერაბ ჩიტალაძისა, რომლის საპირნონე ხმა, უორა სხირტლაძის შემდეგ, იშვიათად მოიძებნება. მერაბს ვაქებთ, მაგრამ მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამონახეო, – ხალხური სიბრძნეა. შამუნა, გვჭირდები და მერე როგორ?!

ბექა ჭელიძე – ბანი, ლამაზი ბიჭი, ჩოხის კაცი, უყვარს სიმღერა, ძიება. ბავშვობიდან გატაცებით მღერის, აჟღერებს გიტარას, თავი-სუფლების სიყვარულით ჯერჯერობით უცოლოა.

შალვა ცხვედიანი – ტკბილი, ხავერდოვანი მეორე ხმა. თავისი სურვილით შეუერთდა ანსამბლს, გამოცდილი მომღერალია, საჭირო და სანდო კაცი.

საგალობლის ისტორიაში პირობითად გამოვყოფთ ორ პერიოდს: დაარსებიდან ორი საუკუნის მიჯნამდე და XXI საუკუნის პირველ ათწლეულს, რომელიც გაცილებით ფეხბედნიერი გამოდგა ანსამბლისათვის – საქართველოს მასშტაბითა თუ უცხოეთში აღიარებით: სახელმწიფო ჯილდოები, პირველი აუდიოალბომი, ორმოცნდიანი ღვაწლის დაფასება – პირველი იუბილე. როგორც განსვენებული გურამ ვაჩაძე იტყოდა: აუ, რა დრო გასულა – 42 წელი! ვნახოთ, რითი შეივსო, რა ჩაინერა საგალობლის მატიანეში ოთხი ათეული წლის განმავლობაში:

1972 წელი – შეიქმნა საგალობელი.

1973 წლის 8 მარტი – პირველი საჯარო გამოსვლა.

1973 წელი – პირველი გამოსვლა ტელევიზიით (სამჯერ).

1981 წელი – ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური და საკავშირო ოლიმპიადების ლაურეატი.

1983 წელი – საქტელევიზიით გამოსვლა და ორი რაჭული სიმღერის ჩაწერა.

1986 წელი – ტრადიციული მრავალხმიანობის ბორჯომის საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა და მსოფლიო ეთნო-მუსიკოლოგების აღიარება. კონცერტი ფილარმონიასა და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში.

1987 წელი – საგალობელს მიენიჭა სახალხო ანსამბლის წოდება.

1987 წელი – ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ფესტივალის ლაურეატი (ქუთაისი).

1987 წელი – ხალხური შემოქმედების ფესტივალის ლაურეატი (თბილისი).

1987 წელი – საქტელევიზიის ხალხური შემოქმედების რედაქტორის 45-წლიანი გადაცემა და საგალობლის რეპერტუარის ჩაწერა

(თემურ ჭკუასელმა და გოგი დოლიძემ მაშინ ჩაიწერეს ექვთიმე გო-გოლაძის მომღერალი ოჯახი, ანსამბლი იავნანა და ჩორჯოს ანსამ-ბლი თარიკონი).

1989 წელი – „მრავალუამიერის“ კონკურსის ლაურეატი.

1991 წელი – კონკურსში – „ქართული მუსიკა და ქორეოგრაფია“ – პირველი ადგილი.

1997 წელი – ხალხური შემოქმედების ოლიმპიადის გამარჯვე-ბული.

2002 წელი – ხალხური ხელოვნების ფესტივალის ლაურეატი – უძველესი ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის აღდგენისათ-ვის; დაჯილდოვდა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენე-ბის“ სპეციალური პრიზით.

2002 წელი – საგალობლისა და ქალთა ფოლკლორული ანსამბლ მზეთამზის ერთობლივი კონცერტი თბილისში – რკინიგზელთა სახლ-ში.

2002 წელი – ორგზის მიწვევა იტალიაში და იტალიის კუნარდოს ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალის გრან პრი.

2005-2006 წლის ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფეს-ტივალის ლაურეატი.

2011 წელი – ქართული ხალხური სიმღერის ტრადიციულ შემს-რულებლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ფოლკ-ლორის ეროვნული პრემია – 3000 ლარი და ოქროს მედალი.

2013 წელი – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა გამოსცა საგალობლის პირველი აუდიოალბომი.

2013 წლის 8 მარტი – ამბროლაურში აღინიშნა საგალობლის პირველი იუბილე – 40 წლისთავი.

2013 წელი – საკონცერტო ტურნე პოლონეთსა და ისრაელში.

2013 წლის 11 ივნისი – ფონდმა „ქართული გალობა“ როსტომ გოგოლაძეს მიანიჭა ქართული ხალხური სიმღერის მოამაგის წოდება – რაჭული სიმღერის აღდგენა-პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილ-ისათვის და დაჯილდოვა 2000 ლარით (ფონდის მესვეურთა ინი-ციატივით კი ქართული ხალხური სიმღერის მოამაგებე წინამდებარე მონოგრაფია დაიწერა).

2015-2016 წლების ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის გამარ-ჯვებული.

ამდენი რამის მოქმედ საგალობელსა და მის ხელმძღვანელს ერთი ლექსი-გალობა ნამდვილად მოუხდება. შემდეგ კეთილმოსურნეთა შეფასებები და ბოლოს ანსამბლის წევრების შემოქმედებითი ბიოგრაფიები...

პიმი საგალობელს (ეძღვნება ხელმძღვანელის სიკვდილს გადარჩენას)

ქართული ჩოხა, ქართული ხმალი,
ქართული სახე, ქართული მხარი,
ხმაც ტკბილ-ქართული ქუხილი – ბანი,
ნუთუ საომრად დამდგარა ჯარი?
ეს თქვენ მღერიხართ თუ მეცხრე ტალღამ
მეშვიდე ზეცის შელენა კარი!
ეს თქვენ მღერიხართ თუ ნიკორწმინდის
კვირის წირვაზე მოგვიხმობს ზარი?!
„საგალობელი“ – ჰანგების ენით
შემოქმედ ძალის დამათრობელი,
„საგალობელი“ – ჩვენი სიცოცხლის
მზის სიყვარულის სამადლობელი,
ყველა ტკივილი წარსულს ბარდება,
როდესაც მღერის „საგალობელი“.

ელისო მკერვალიშვილი

სახალხო ანსამბლი საგალობელი

საგალობელსა და მის ხელმძღვანელთან გულითადი მეგობრობა მაკავშირებს. მახსოვს ანსამბლის პირველი ნაბიჯები, პირველი ათეული, წარმატებები და წინსვლა. უპირველესად, საგალობლის საყოველთაო აღიარებას გავიხსენებ:

1986 წელს საგალობელი მონაწილეობდა ტრადიციული მრავალწმინდის ბორჯომის საერთაშორისო კონფერენციაში, რომელსაც

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ფოლკლორისტი ესწრებოდა. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს კულტურის სამინისტრო და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, კერძოდ, კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრა. ღონისძიებას უძღვებოდა ან გარდაცვლილი დიდი პიროვნება, ხალხური სიმღერის ქომაგი ედიშერ გარაყანიძე. კუკური ჭოხონელიძე, გომარ სიხარულიძე, ნანა გარსევანიშვილი და სხვანი მომსწრენი იყვნენ, თუ როგორი ოვაციით შეხვდნენ საგალობლის გამოსვლას მსოფლიო ფოლკლორისტები. გახარებულმა კუკური ჭოხონელიძემ, – როგორ მასახელეთო, – და დიდი სუფრა გაუმართა ბორჯომში საგალობელს. კონცერტის დამთავრების შემდეგ ედიშერმა მოგვილოცა წარმატება და მოგვახარა: იუგოსლავისა და ამერიკის წარმომადგენლებს სურთ თქვენი მიწვევაო. რატომლაც, სხვადასხვა მიზეზის გამო, ჩვენ მაგივრად სხვები წავიდნენ.

საგალობელი და როსტომ გოგოლაძის ოჯახი მონანილეობდა 1991 წელს ფილარმონიაში გამართულ ფესტივალში – „ქართული მუსიკა და ქორეოგრაფია“ – ანსამბლმა პირველი ადგილი და ფულადი პრემია დაიმსახურა, ოჯახმა მეორე ადგილი და ასევე ფულადი პრემია. საგალობელმა პირველი ადგილი დაიმსახურა ცხრაწყაროში გამართულ „ვარინკობაზე“, მაგრამ დაავიწყდათ და პრიზი სხვას ერგო.

1987 წელს 45-წუთიანი გადაცემა მიეძღვნა ანსამბლის შემოქმედებას. სამწუხაროდ (დაუზუსტებელი ინფორმაციით), ამ გადაცემის ფირი დაკარგულია. ამავე წელს საგალობელს მიენიჭა სახალხო ანსამბლის წოდება. 2002 წელს საგალობელი ორჯერ იყო იტალიაში. აპრილში მეგობრული ვიზიტით ქალაქ მაგრელიოში, ივლისში ქალაქ ვარეზეში კუნარდოს ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე და გრან პრი დაიმსახურა. ამჟამად საგალობელში 16 წევრია: სოლისტები – მერაბ და შამშე ჩიტალაძეები, დავით მაისაშვილი და დავით ნატ-მელაძე; პირველი გუნდის ბანები: ვლადიმერ გოგოლაძე, ვლადიმერ ჯოხაძე, ვეფხია გვიშიანი, ლევან მახალდიანი, ბექა ჭელიძე, თემურ გოცირიძე, სოსო გენაძე. მეორე გუნდის ბანები: ჯემალ მაჭანკალაძე, ლევან გოცირიძე, ამირან გოგიჩაიშვილი, დავით სხირტლაძე, როსტომ გოგოლაძე.

გარდაცვალების გამო საგალობელს თხუთმეტი კაცი დააკლდა: ჯუმბერ ჯონაძე, თემურ ჯანგიძე, სოსო მახალდიანი, მარლენ მკერვალიშვილი, როინ გოგლიძე, სულხან რეხვიაშვილი, ომარ ტვილდიანი, დემნა მიქიაშვილი, ბუდუ ბიჭაშვილი, გიორგი მაისაშვილი, ჯემალ კერესელიძე, ემირ ისაკაძე, ჯონი მხეიძე, იური მაჭანკალაძე და ანსამბლის სული და გული უორა სხირტლაძე.

ანსამბლში სხვადასხვა დროს მღეროდნენ: სოსო საგანელიძე, როსტომ არჩვაძე (ისევ მღერიან – ბ.ა.), ამირან კუბლაშვილი, ძმები დავით და გაიოზ სხირტლაძეები, ნუგზარ ლეპანიძე, არჩილ მაისაშვილი, გოჩა ფარულავა, რევაზ გულედანი, ვახტანგ ცხვედიანი, ხუტა ხაბეიშვილი, გოჩა საგანელიძე, გოჩა შიშინაშვილი, რევაზ თომაძე, დემნა მიქიაშვილი, კუკური ობოლაშვილი, ზურა ბედენაშვილი, გრიგოლ ჯაფარიძე, ოლეგ ქურციკიძე, ბადრი ქექნაძე.

მურმან ქევანიშვილი



ომარ ტვილდიანი (1945–1997)

ომარ ტვილდიანი საგალობლის ერთ-ერთი გამორჩეული წევრია: ქორეოგრაფი, მოცეკვავე, მომღერალი, მონადირე, მებადური (რაც ბედისწერად ექცა), როსტომის მეგობარი და თანამებრძოლი, ჭირსა თუ ლხინში ნაწრთობი, ერთგული, უდალატო, ერთსკოლაგამოვლილი, შემოქმედებითი გზისა და პირველი ნაბიჯების ერთად დამწყები. ლენტეხელ კაცს სამოღვაწეოდ, საასპარეზოდ ქვემო რაჭა ერგო და მანაც სიცოცხლის ბოლომდე ამ კუთხეში თავდადებულად იღვანა: უამრავ ბავშვს ასწავლა და შეაყვარა ცეკვა, ჩინებული პროფესიული ალლოთი ჩასწვდა რაჭული ცეკვის ბუნებას, ხასიათს და რაჭული ცეკვის გასცენიურების ერთ-ერთი პიონერია ქვემო რაჭაში.

დაიბადა 1945 წლის 5 მაისს ლენტეხის რის სოფელ რცხმე-

ლურში, დიმიტრი ტვილდიანისა და უუშუნა ფულერიანის ოჯახში. ცეკვავდა ბავშვობიდან. საშუალო სკოლის მოსწავლე ლენტეხის სიმღერისა და ცეკვის რაიონული ანსამბლის, ლილეს წევრი და სოლისტია (ხელმძღვანელი ჯოკია მეშვეობიანი). თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში ცნობილი პედაგოგის, კონსტანტინე მანჯგალაძის ერთ-ერთ გამორჩეულ და საყვარელ მოწაფეს, კონო მანჯგალაძესთან ერთად, ცეკვის ხელოვნებას ანტონ ჩიხლაძე და ალექსი ნიკოლაძე ასწავლიდნენ. სტუდენტობისას ცეკვავდა: ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოსთან არსებულ ქართული ცეკვის ანსამბლში (ტტუ-ში); საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში (დღევანდელი ერისონი). წარმატებული იყო სპორტშიც – ჭიდაობასა და ფრენბურთში. ნადირობისა და სპორტისადმი ტრაფიალი არაერთხელ დაეხმარა პირველი მისულიყო იქ, სადაც ადამიანებს უჭირდათ, თუნდაც: 1976 წელს, როსტომ გოგოლაძესთან, რეზო გულევანსა და რეზო ბერაძესთან ერთად, ალპანა-საირმის უღელტეხილზე თოვლში ჩარჩენილი 42 კაცი გადაერჩინა ან, ზემო სვანეთის დამეწყვრისას თუ რაჭის დამანგრეველი მიწისძვრისას, გვერდში დადგომოდა სტიქიისაგან დაზარალებულთ.

1969 წელს, სასწავლებლის საუკეთესო ტრადიციის მიხედვით, დიპლომის დასაცავად და საშუალო გაანაწილეს ზემო რაჭის სოფელ სორის საშუალო სკოლაში. სისხლასვეს, მრავალფეროვანი, საინტერესო მოღვაწეობითაა გამორჩეული ეს პერიოდი ომარ ტვილდიანის ცხოვრებაში: ერთდროულად მუშაობა რამდენიმე სკოლაში, სხვადასხვა ანსამბლთან, ონისა და ამბროლაურის გაერთიანებულ თეატრში მსახიობობა, გიგა ჯაფარიძის სპექტაკლებში მონაწილეობის ხიბლი და ამ პერიოდში შექმნილი საუკეთესო როლები. 1972 წელს დაიცვა დიპლომი – სადმელის საშუალო სკოლის ანსამბლში დადგა ცეკვა რაჭული, რომელიც გადაიღო და გააშუქა საქართველოს ტელევიზიის პირველმა არხმა. 1972–75 წლებში ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფია, სნორედ აქ გადაიკვეთა ომარ ტვილდიანისა და როსტომ გოგოლაძის შემოქმედებითი გზები – 1975–97 წლებში საგალობლის მომღერალი და ქორეოგრაფია.

ომარ ტვილდიანი სხვადასხვა დროს მუშაობდა: ამბროლაურის

მე-2 საშუალო სკოლაში; ამბროლაურის მედიცინისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მთავარ ქორეოგრაფად; ამბროლაურის კულტურის განყოფილების მთავარ ქორეოგრაფად; ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის თარიკონის ქორეოგრაფად. მისი აღზრდილები ცეკვავენ სუხიშვილებში: რუსთავსა და მხედრულში. გადაღებულია სამ მხატვრულ ფილმში: ცისკრის ზარები, ბათა ქექია, შევარდნის კვალი.

მაინც ყველაზე მთავარი: ომარ ტვილდიანის სახელი სამუდამოდ დაუკავშირდა რაჭული ცეკვის ვარიანტების მოძიებას, გასცენიურებასა და პოპულარიზაციას. სხვადასხვა ანსამბლში მან დადგა რაჭული ცეკვები და ფერხულები: მაღლა მთას მოდგა, ერთხელ წისქვილს წასვლისათვის, ქრისტე აღდგა (საგალობელში); სახასიათო ცეკვები: რაჭული, რაშოვდა, ნაცვლია; ქორეოგრაფიული სიუიტა – ზემირაჭაში.

მამის სასახელო გზასა და საქმეს რატი ტვილდიანი და შვილიშვილები – თეკლა და ნიკოლოზი – გააგრძელებენ. იხაროს და იმრავლოს ომარ ტვილდიანის ჯიშმა და მოდგმამ. დიდხანს იცოცხლოს მისმა მეულლემ, ჩინებულმა პედაგოგმა და დიდბუნებოვანმა ქალბატონმა – ბაბული მესხაძემ. რატი ტვილდიანს დიდ მაღლობას ვუხდით მამის შემოქმედებითი ბიოგრაფიისა და სხვა მასალების მოწოდებისათვის.

ომარ ტვილდიანი გარდაიცვალა 1997 წელს. დაკრძალულია ამბროლაურში.



სოსო მახალდიანი (1950–1995)


1995 წლის 21 ივლისს 45 წლისა მოკლეს. მისი გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ მასზე წიგნი დაიწერა – „ცხოვრება კაცისა“ – დიდი ტკივილით და დიდი სიყვარულით სავსე წიგნი. სოსოს იგონებენ: შვილები, ნათესავები, ახლობლები, მეგობრები, მოწაფეები, პოლიტიკოსები, საგალობლის წევრები. მახალდიანების ოჯახში, საგვარეულოსა და გარემოცვაში გაზრდილს რო-

გორ შეეძლო, არ ემღერა. სხვა მრავალ გამორჩეულ თვისებასა და ღირსებასთან ერთად სიმღერის ნიჭიც დაანათლა არსთა გამრიგემ – პირველი ტენორის განსაკუთრებული ნიჭი. სიმღერამ დააკავშირა ერთმანეთს საგალობლის წამყვანი სოლისტი (ისიც პირველი ხმა) მერაბ ჩიტალაძე და სოსო მახალდიანი – მაშინ მონაფე და მასწავლებელი. საოცარი სითბოთი და სიყვარულით სავსე წერილი მიუძღვნა მის ხსოვნას მერაბმა, ფაქტობრივად, ამ უკომპრომისო და დიდი კაცის ყოვლისმომცველი სახე დაასურათხატა: სახე პედაგოგისა, მეგობრისა, მონადირისა, მომღერლისა, თამადისა. თუნდაც მისი ერთერთი სადღეგრძელო მერაბისათვის თქმული: „...სინდისს და ნამუსს გაუმარჯოს ისეთს, შუალამეზე რომ გაგელვიძება და საკუთარ თავს შეეკითხები: როგორი კაცი ვარ მე? როგორი თვალით შევხედე იჯახის თვითოეულ წევრს და, განსაკუთრებით, მანდილოსნებს? იმ ზრდილობით და იმ ნამუსით გაგიმარჯოს, ბიჭი (ხელი მერაბის მხარზე ედო), როგორითაც იმ შუალამეს შეაფასო შენი საკუთარი თავი...“ სოსოსთვის ასეთი რამ იყო ცხოვრების წესი, კრედო, კაცობის არშინი და შალაშინი, „საქმე სიტყვიანი და სიტყვა საქმიანი“. ასეთები იშიათად იპადებიან, ასეთები ზნეობრივი გმირები არიან, ასეთი კაცი ამშვერებდა საგალობელს, მოარული სიმართლე და სიყვარული იდგა მათ გვერდით, „სიყვარული კი დედამიწას ატრიალებს“...

ერთი შეხედვით, თითქოს, ჩვეულებრივი კაცის ცხოვრებით იცხოვრა სოსო მახალდიანმა. დაიბადა 1950 წლის 16 ივნისს სოფელ ჩორჯოში, დაამთავრა ჩორჯოს რვაწლიანი სკოლა, შემდეგ – ბუგეულის საშუალი სკოლა, 1974 წელს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. კომკავშირელ-კომუნისტიდან გაიარა გზა ეროვნულ მოძრაობამდე, წმიდა ილია მართლისა და მერაბ კოსტავას საზოგადოების რეგიონულ თავმჯდომარებამდე, საქართველოს უზენაესი საბჭოს მაჟორიტარ დეპუტატობამდე. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს სოსო მახალდიანის ხელრთვაც ამშვერებს.

საქართველოს პარლამენტის (მეორე მოწვევის) დეპუტატობის კანდიდატის სოსო მახალდიანის წინასაარჩევნო პროგრამა ოთხადოთ პუნქტიანია. ვერც ერთში ვერ დაეჭვდები, თქმულს თქმულად იღებ და პოლიტიკოსის პოლიტიკური დაპირებისა უპირობოდ გჯერა.

ებრძოდა უსამართლობას და, როდესაც მოითხოვა „კანონის, სიმართლის, წესრიგის დიქტატურა“, „გემი გაცურდა თეთრი აფრებით“. ეს სიმღერა უყვარდა და თითქოს ბედისწერად ექცა. მთელი ცხოვრება რაჭის უძველეს ისტორიას იკვლევდა და ჩორჯოს ძველისძველ სასაფლაოზე გაითხარა სოსოს ძვალთშესალაგი. რაოდენ დასანანია, რომ მის ეპიტაფიაში არ ხსენდება ეპითეტი – „მომღერალი“.



ეგული სოხაძე – ცახის ანსამბლის ხელმძღვანელი, საგალობლის წევრი

86 წლის ეგული სოხაძეს ცახში ვენვიეთ და საკუთარ ეზოში ჩავნერეთ (ნანა ვალიშვილი, ბაია ასიეშვილი, როსტომ გოგოლაძე, ნუკრი ირემაშვილი). დიდებულად გამოიყურება, პოეტურად საუბრობს, მღრის. თავისი სოფლის ისტორიაც იცის და ცახში შემორჩენილი სიმღერებიც. სოფლის სახელწოდების ორ ვარიანტს გვიყვება. პირველი – ნაკლებ სარწმუნო: ინგლისელები აქ ცარცს ანარმოებდნენ და „ცეხები“ ჰქონდათო. და მეორე, უფრო დამაჯერებელი: სოფელში ოდითგანვე განვითარებული ყოფილა მეაბრეშუმეობა და მისთვის საჭირო ცახებს კვინცხისგან ამზადებდნენ (აბრეშუმის ჭია ცახზე გადიოდა და პარკს აკეთებდა). თამაზ ბერაძე თავის ნაშრომში „რაჭა“ (ბერაძე, 1983) ბევრ საგულისხმოს წერს შარეულას ხეობისა და ცახის შესახებ. ცახში 1940 წელს 60 კომლი ცხოვრობდა: სოხაძეები, გურგენიძეები, გოცირიძეები, გიორგობიანები, ჭოხონელიძეები... გადმოცემით სოხაძებს აქ მე-11 საუკუნიდან უცხოვრიათ (ეგულის ეზოში აღმოჩნდა წყლის უძველესი მილი) – საეკლესიო გლეხები ყოფილან. ნიკორწმინდის ეკლესიაში ინახებოდა ამის დამადასტურებელი სიგელი. სამი ძმა სოხაძისაგან ერთი ნიკორწმინდაში დასახლებულა, მეორე – გოგოლათში, მესამე – ცახში. ცახი უღელტეხილი იყო, გზა გადადიოდა იმერეთში. უღელტეხილს წულუკიძეებმა ქვაყუდა დაარქვეს.

სოხაძეები მომღერალი გვარია: მღეროდა ბაბუა რომანოზი, მამა

– პეტრე, ძმები... ქრისტეს საგალობელი იმერეთიდან შემოსულა, ალიფაშაც. რომანოზი მღეროდა ამ სიმღერებს, ყველა ხმა სცოდნია. დედა – ზუგდიდელი პაჭკორიას ქალი, შესანიშნავი მომღერალი იყო. სტავროპოლში პაჭკორიებს მიწები ჰქონიათ და იქ დაუმთავრებია ოთხი კლასი. ეგული პატარობიდანვე მღეროდა. სკოლის გუნდში სიმღერას ზედალვანელი ვასო რატიანი ასწავლიდა. სკოლის დამთავრების შემდეგ რუსულ ჯარშიც უმსახურია, ლენინგრადის სამხედრო სკოლაშიც უსწავლია, სად არ უმუშავია, მაგრამ ბოლოს მაინც მშობლიურმა მიწამ უხმო, ცახს დაუბრუნდა და თანაკლასელ მშვენიერ ეთერ ბერაძეზე იქორწინა (გიტარაზე ჩინებულად უკრავდა). ცახის ანსამბლში მამაკაცებთან ერთად ხუთი ქალი მღეროდა (იმ ანსამბლიდან ნახევარი აღარ არის ცოცხალი). ბატონი ეგული სასოებით გვიჩვენებს ფოტოებსა და ჯილდოებთან ერთად შენახულ ანსამბლის წევრთა სიას.

ეგული საუპრობს ცახის ანსამბლის რეპერტუარზე და განსაკუთრებით ჩერდება ქრისტეს საგალობელზე. ამ საგალობლის ტექსტი მან აღადგინა და საგალობელში ყოფნისას ამ ფერხულსა და სხვა სახასიათო სიმღერებში ცეკვავდა კიდეც. ქრისტეს ფერხული პირველად ომარ ტვილდიანმა დადგა, შემდეგ – დათუნიკა სხირტლაძემ. თავად დათუნიკა, ნუგზარ ლებანიძე და ომარ ტვილდიანი ცეკვავდნენ (ომარი მღეროდა კიდეც, ეგულის აზრით, მომღერალი კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა ისეთი სმენა ჰქონდა). ამ ფერხულში როსტომმა ერთი ნიუანსი გამაკეთებინა, სვანური ნიუანსი, მაგრამ ძალიან მოუხდა და კარგი გამოვიდაო. საინტერესოა თავისი ანსამბლის წევრთა ეგულისეული დახასიათება: მამასა და ძმასთან, დალოსტისთან, ერთად მღეროდა. დალოსტის პოლიკარპე ხუბულავასთანაც უმღერია ზუგდიდში. შესანიშნავი მომღერლები იყვნენ ძმები სოხაძეები – გალაქტიონი, შალიკო, გრიშა; ანატოლი – ბუჩქა სოხაძე – უნიკალური ხმის პატრონი; ასევე ოთარიკა ჭოხონელიძე, ბონდო მეტონიძე და მისი ცოლი, მეგრელი ქალი ლიანა; ბერაძის მანდილოსნები – ეთერი, გულიკო, ლამარა, ნაილი...

ეგული სოხაძე საგალობელს 1978 წლიდან შეუერთდა (პირველი ხმა) და 2000 წლამდე მღეროდა (როსტომი და ეგული მღერიან ქრისტეს ფერხულს, ბანი – ნანა ვალიშვილი). ამ სიმღერას

მღეროდნენ ელიაობას – საელიობოს, ყველაზე მაღალ ადგილას სოფელში, ფერხულში ჩაებმებოდა მთელი სოფელი და იმ ადგილს უვლიდა გარშემო (ეტყობა, ეკლესია ყოფილა იქ). ცოტა მოშორებით მაცხოვრის გალავნიანი ეკლესიის ნანგრევებია შემორჩენილი, სადაც იმართებოდა ჯირითი, ჭიდაობა, შეჯიბრება სიმღერებსა და ცეკვებში. ალილოს ცახური ვარიანტიც არსებობდა (ძველ ვარიანტს იხსენებს, ღილინებს), შემდეგ ცახის ანსამბლისათვის მანვე მოუმატა ერთი კუპლეტი.

ბოლოს გაიხსენა მელოდიაც, ტექსტიც და ალილოთი დავასრულეთ ცახში ეგული სოხაძესთან საინტერესო საუბარი.



ევლოგი მაისაშვილი

მაისაშვილები მომღერალი გვარია. ვიცოდით, რომ ევლოგი მაისაშვილი მთელ რაჭაში ცნობილი, განუმეორებელი მებანე იყო, ისეთი, გურიაში რომ იტყვიან: ბანი გოდრით დადგაო ან, კირილე პაჭკორიამ რომ თქვა გივი ტაბუცაძეზე: რაჭიდან ათი ფუთი ბანი ჩამოვიდაო. გაგონილს მოსმენილ და თვალით ნახული სჯობს, მით უფრო, რომ უკვე სამი წელია ევლოგი მაისაშვილის დვრინი აღარ ამშენებს საგალობელს.

ბატონი ევლოგი ბოლო რესპოდენტი იყო იმ დღეს, გაუფრთხილებლად მივედით, მაისაშვილების ჭიშკარი ბინდუნდში შევაღეთ. მანამდე როსტომმა წესში, იმავე უბანში, ანსამბლის პირველი წევრის გიორგი მაისაშვილის ფოტოები მოიპოვა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით: გაუგია, გიორგის ნათესავები თბილისიდან ჩამოვიდნენო, და, მართლაც, ბენვზე მიუსწრო, მეორე დილით მიემგზავრებოდნენ, ბლომადაც დვარა ცრემლები მეგობრის სურათზე და ასე სულ-გულ განბანილმა შეაბიჯა მაისაშვილებთან, – ევლოგი, როსტომი მოვიდაო, – გასძახა მეუღლემ და, – როსტომიო?! – დაიბუნა მთელმა სახლმა და ექოც გამოსცა. თვალები ადამიანის სულის სარკეა და ჩეგენც დავიჭირეთ ის სიხარული და ბედნიერი წამი, როსტომის დანახვისას რომ გაკრთა ევლოგი მაისაშვილის თვალები (რაოდენ დასანანია, რომ

ავადმყოფობას დაუსუსტებია და დაუუძლურებია 73 წლის ვაჟკაცი). წუთიერ მღელვარებას ხელად ხუმრობა შეაშველა და მაშინ მივხვდი, რა ძალა პქონია ნაღდ, დინჯ და ხალას რაჭულ იუმორს.

ჩვენ სახელდახელოდ გაშლილ სუფრას შემოვუსხედით და ჩასაწერად მოვემზადეთ, ნუკრი ირემაშვილმა ვიდეოკამერა გაამზადა, ევლოგის მეუღლემ და რძალმა ფოტოები მოგვაშველეს. შეილიშვილები – ირაკლი და ქეთევანი – თვალებგაფართოებული შემოგვცექეროდნენ. ირაკლი თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ აუცილებლად ამღერებდნენ. ევლოგიმ, – რა მოგიყეთო, – და ხუმრობ-ხუმრობით, ბუბუნ-ბუბუნით, აი, რა გვიამბო:

საგალობელში 1975 თუ 1976 წელს მივედი – შექმნიდან ორი-სამი წლის შემდეგ. მაინც პირველ თაობად ვითვლები. ოცდაათ წელზე მეტია იქანა ვარ. დავიბადე 1940 წელს, მაგრამ ვწერივარ 1941 წლის 1 იანვარს. სანახშოდან ვარ მისული სიმღერასთან. 13-14 წლის ბიჭუნებს ქორწილები წაგვიყვანია. მაისაშვილების უბანი იყო, კალოზე მოვიყრიდით თავს, ოჩხერებსა და ამისთანებში: მოვიყრიდით ახალგაზრდები თავს ვინმესთან, ვიყიდით ხბოს თუ სხვა რამეს და ეს იყო ოჩხრობა (საერთო ხარჯით გამართული ნადიმი, ლხინი. ჩვეულებრივ იციან შემოდგომაზე, მოსავლის ალების შემდეგ; ხელმოკლე დაზარალებული კაცის მიერ გამართული წვეულება. სტუმრები გაიღებენ შესაწირავს – ბ.ა.). მამას რაჟდენი ერქვა. რვა თვის ვიყავი, მამა ომში რომ წავიდა და აღარ დაბრუნებულა. დედა იყო გაიანე ნატმელაძე – წესელი – მღეროდა, უკრავდა დაირაზე, ფანდურზე. მეც ვუკრავდი ფანდურზე, ბაიანზე, მაგრამ მერე შრომა – ცელი, თოხი, ბარი და ახლა ქვე რაღა მახსოვს. ბავშვობიდან პირველ ხმას ვამბობდი, გარდატეხის ასაკის შემდეგ ძლიერ მივაგენი ჩემს ხმას. ერთი პერიოდი მეორესაც ვამბობდი. სანახშოზე ვმღეროდით „გადმოსჩქეფს ეს ბორჯომი ანკარა“, იყო ასეთი სიმღერა, ამასა ვმღეროდით (ქეთევან ღოლობერიძის „სიმღერა ბორჯომზე“ – „თასი ხარობს მაგ თითების შეხებით“... – ბ.ა.), რაღა მახსოვს ახლა. მაღლა მთასაც ქე ვმღეროდით. ცეკვა მიყვარდა და ქალამნებითა ვცეკვავდი. რვა წლის ვიყავი, ბიძაჩემმა ცოლი რომ მოიყვანა. ჯერ ეზოში ჩიტებს დავსდევდი, მერე ავედი ზალაში და ისე ვიცეკვე, რომ ტაშით დაანგრიეს ზალა. ცეკვა დედაჩემმა გვასწავლა, ბიძები ცეკვავდნენ, დედის ძმები, კარგად. დათუნიკამ (სხირტლაძემ) რაღაც ფანდები ჩვენგან აილო. ბაგრატუნა იყო მელაშ-

ვილი და იქედან აიღო. ძმა მყავდა უფროსი, აღარ არის ცოცხალი, მაგრამ ის ისე ვერა მღეროდა, როგორც მე, უმცროსი ახლაცა მყავს, მაგრამ არა მღერის. ურავში საშუალო სკოლაში ვმღეროდით. წესში, ასე თუ ისე, მოვიყრიდით ბოვშები თავს და ვმღეროდით. ამბროლაურის პირველ სკოლაში აღარ მახსოვს ვინ მასწავლიდა სიმღერას. ნათელა გოგშელიძე ჩემთან ერთად სწავლობდა. წესში ჯერ აქ, აკაკი გოცირიძის ანსამბლში ვმღეროდი. მერე როსტომი და უორა სხირტ-ლაძე დამადგნენ, – ანსამბლში შენი ბანი გვჭირდებაო, – და ცაგერობაზე წამიყვანეს, მერე აღარ გამომიშვეს. 2010 წლამდე ვმღეროდი საგალობელში.

საუბარში ევლოგის მეუღლე ნუნუ გვერთვება: იქიდან წამოვიდა და მისი საქმეც უკან წევიდა. ყველაფერს დათმობდა, ისე უყვარდა სიმღერა და თავისი მეგობრები. ერთს დარეკავდა როსტომი აქა და აქ მივდივართო და ეს მზად იყო უკვე…

ე.მ. განურჩევლად ყველა სიმღერაში ვამბობდი ბანს. ერთხელ სვანეთში ვიყავით და, სვანური რომ ვიმღერეთ, მოვიდა ერთი სვანი და სვანურად დაგვიწყო საუბარი. ჩვენ რა ვიცოდით სვანური, – აბა, სვანურად რომ მღერითო? – სიმღერით კი ვმღერით, მარა ლაპარაკი რა ვიცით-მეთქი… ყველა სიმღერა მიყვარს, ოლონდ გურულს ვერ ვეგუებოდი და ახლაც ვერ ვეგუები. ჩვენ ორპირული სიმღერები გვაქვს… მარჯვენა ყურმა მიღალატა, სამხედროში სარაკეტო ნაწილში ვიყავი, დანადგარები იყო ისეთი, ერთთავად ზუზუნებდა. რომ გამოვიდოდი, ერთი კვირა გუგუნი გოუდიოდა ყურებს და ახლა იჩინა თავი. ყველასთან კარგად ვმღეროდი, ერთი აგერ მყავს არხეინა, ახ-ალგაზრდა მომღერალი, კარგი ლამაზი პირველი ხმა აქვს. უორუკა სხირტლაძეს სასწაული ძლიერი ხმა ჰქონდა, მაგრამ ცოტა უხეში, ამას კი სასიამოვნო ხმა აქვს. თუ ვიცი, ყველა სიმღერა მიყვარს… აგრონომი ვარ სპეციალისტით. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და-ვამთავრე. სიმღერის შემდეგ ყველაზე მეტად ვაზი მიყვარს, წესური ყველა ჯიში მაქვს, ყველა გავახარე. კოლმეურნეობის თავმჯდომარეც ვიყავი. წესი რატომ ჰქვია? – მთლად ზუსტად ვერავინ ამბობს. ზემო-დან ვიღაცა მოდიოდა და ღვინო დაულევინებიათ, – წესი წესიათ, – და შეარქვეს ასე. საერისთავო სოფელია – როსტომ ერისთავის სამ-ფლობელო. ბარაკონიც აგერ არის… ხუთი წყება ჩოხა მქონდა: შავიც,

შინდისფერიც, რუხიც. ერთიღა შემომრჩა, დაბრუნებას მთხოვენ! – არ დავაბრუნებ, – და ხმაში ფოლადი გაურია... მივხვდით, რასაც გულისხმობდა, და ელდა გვეცა. უხერხულობა როსტომმა გაფანტა, ოჯახის ყველაზე პატარა მაისაშვილი მუხლებზე დაისკუპა და ვიმ-ლეროთო... სიმღერის დაწყების პატივი შვიდი წლის ირაკლის ერგო. პირველი როსტომმა თქვა და, როცა სიმღერას ბანიც შეუერთდა, მი-ვხვდით, რა ძალა მოაკლდა საგალობელს ევლოგი მაისაშვილის ხმისა თუ პიროვნების სახით.

როსტომი და ევლოგი მღერიან კალოსპირულს, როსტომი ინ-ყებს, ევლოგი მეორეს ეუბნება, ბანს ნანა ვალიშვილი აძლევს... სუ-ფრის უფალმა როსტომ გოგოლაძემ დედის სადღეგრძელო ინება. დედის ხსენებას ლექსი შვენისო და უმცროსმა მაისაშვილმა ახლა გიგა სხირტლაძის ლექსი წაგვიკითხა:

დამესიზმრები უთუოდ განთიადისა ჟამსაო,
გადმოხვალ დელელულესა, გაალებ კალოს კარსაო,
შენი ხატება სარკმელში ცისკრის ამოსვლას გავსაო,
სტუმარი რიბირაბოსი მისწორებ სასთუმალსაო.
სააკვნეს ჩამომილოცავ, მერე შემავლებ თვალსაო,
მესალმუნება ჭალარა, რძის სუნი ასდის თმასაო,
მოსულხარ, ბარემ ჩამოჰკარ დედაშვილობის თარსაო.
რა დარდი გაგყვა ასეთი, რომ აღარ ხუჭავ თვალსაო.
რით გადმოდიხარ ბნელეთით იმ დარდიანსა მთასაო?
შენ ედარდები ნიადაგს, პასუხი მოაქვს ქარსაო,
არც დასასრული მოუჩანს მის წასავალსა გზასაო,
ხვალ დამე ისევ გეწვევა, გაკრთება განთიადსაო,
ქალს, დედად დაბადებულსა, მხოლოდ სიკვდილი ჰკლავსაო.

ბოლოს ისევ სიმღერა: შენმა სურვილმა დამლია... მღერიან: ირაკლი, როსტომი, ევლოგი და ნანა.

დღეგრძელობა, მზეგრძელობა, სიკეთე და ჯანმრთელობა გვი-სურვებია ევლოგი მაისაშვილისა და მისი ოჯახისათვის.



მერაპ ჩიტალაძე

არიან ადამიანები, რომელთაც საკუთარ თავზე სიტყვას ვერ დააცდევინებ, ვერ დააწერინებ, სთხოვ, შემოქმედებითი ბიოგრაფია დამინერეო და ისე „მშრალ ციფრების ამარა“ წარმოაჩენენ თავის თავსა და ცხოვრებას, თითქოს საგალობლის ერთ-ერთი ბურჯი და წამყვანი ხმა არ იყოს, თითქოს დაარსების დღიდან ანსამბლში არ მღეროდეს და სიმღერაში ამინდს არ ქმნიდეს. ეს მსუბუქი საყვედლი წაგალობლის წამყვანმა სოლისტმა მერაპ ჩიტალაძემ „დაიმსახურა“ (მახსენდება დიდი მაესტრო ანზორ კაგსაძე. კაგსაძებზე მუშაობისას სულ სხვებზე საუპრობდა, სულ სხვებს აქებდა, საკუთარ თავზე ერთი-ორი სიტყვა ძლივს ვათქმევინეთ – ბ.ა.), არადა როგორი ენამჭევრი და ოქროსიტყვიანია, სიტყვაუზი და გულგახსნილი მეგობრებისა და ანსამბლის წევრების ღვანლის წარმოჩენისას, დაკარგული მეგობრის გლოვისას (სოსო მახალდიანის გახსენება). მსგავსი რამ პიროვნების იშვიათი, სანატრელი თვისებაა, ღირსეული თავმდაბლობა – კაიყმობის უტყუარი ნიშანი: „სხვისი იუბნოს სახელი, თავის გარჯასა ჰმალავდეს“, მაგრამ ბიოგრაფიული შტრიხები მაინც აუცილებელი და საჭირო ატრიბუტია, რაც რაჭაში მეორე ექსპედიციისას „ვაძულეთ“ ანსამბლის წამყვან მეორე ხმას. მერაბი საუბარში მაშინ ჩაგვერთო, როცა იავნანას ქალბატონებს ნანა ვალიშვილი მატრონე-ანა სხირტლაქებისეულ რაჭულ იავნანას ასწავლიდა და ტექსტს აწერინებდა, თან „დაშოშმინება-დაშოშმინების“ მართებულობაზე მსჯელობდა. მერაბმა წარსულში რაჭული იავნანას მთქმელი ორი ლიხეთელი ქალბატონიც გაიხსენა – ნათელა საგანელიძე და უწინა მაისურაძე, შემდეგ კი მოჰყვა შეპირებულს:

დავიბადე სოფელ სადმელში 1957 წლის 8 ოქტომბერს. შვიდი წლისა შევედი სადმელის დაწყებით სკოლაში. დედა მომღერალი, მამა მომღერალი, დედა იყო მაყვალა გოგსაძე. როსტომის რეპლიკა: – არის ჩანაწერები ამის ბაბუას და ბაბუის ძმის – ვასილ და ვარლამ გოგსაძების, ლიხეთლები იყვნენ. მაყრულებს რომ ვმღერით, ამის ბაბუას ნამღერი არის. და ჰყავს მერაბს – ციცინო – არაჩვეულებრი-

ვი ყური აქვს. ესენი ერთად რომ მღეროდნენ, ერთ რამედა ლირდა...

მერაბი: ხუთი წლისა ვიყავი, სანახშოზე რომ დავსხდებოდით, ერთად ვმღეროდით. დედაჩემი რადიოში სიმღერას რომ გაიგონებდა, იმნამსვე კედელზე ტექსტს მიაწერდა და მერე ჩვენ გვამღერებდა, გვასწავლიდა და შეგვაყვარა. ბაბუაჩემი, მამაჩემის მამა, კავსაძის გუნდში მღეროდა – შალვა კონსტანტინეს ძე ჩიტალაძე (რომელ კა- გვასძისა არ ვიცი. სურათებიც წაიღის, რაღაც წიგნი გამოდისო და იმისათვის. ასევე არ ვიცი, მოსკოვში დეკადაზე იყო თუ არა) ... შამშე ჩიტალაძე მამაჩემი იყო.

სკოლაში, რა თქმა უნდა, სიმღერის გაკვეთილებს გვიტა- რებდნენ. ჩემი სიმღერის მასწავლებელი შუშანა მხეიძე სულ მე მამ- ღერებდა, იმაზე კარგად მე ვიცოდი სიმღერა. ოთხწლედის შემდეგ საღმელის საშუალო სკოლაში გავაგრძელე სწავლა. აქ ჩემი მას- წავლებელი იყო ამირან ბოჭორიშვილი (ივერიაში რომ მღეროდა). იმან მასწავლა ფოსტალიონის სიმღერა: „ოლალოიდი, ოლალოიდი, შეიძინეთ გაზეთები...“ ამ დროს ჩემი დედ-მამა უკვე გაცილებული იყო, დედინაცვალი მზრდიდა. ვმღეროდი სიმღერას დედაზე. სიმ- ღერაში იყო სიტყვები – „რატომ მოკვდი, ჩემო საყვარელო დედა“, – და ჩემთვის სკოლაში აღარაფერი უკითხავთ, ისე დავამთავრე საშუალო. ბოლო გამოცდაზე ფიზიკის მასწავლებელი მერი ნუცუ- ბიძე შემეკითხა: მერაბიკა, რა ნიშანი გინდაო? (განათლების გან- ყოფილების გამგე გვესწრებოდა – სეით ხუციშვილი), – რა მინდა, სამიანი მინდა-მეტქი... ის სიმღერა მიმღერე და ხუთიანს დაგიწერო. მე ვუთხარი: ერთ კუპლეტს გიმღერებთ და ოთხიანი დამიწერეთ- მეტქი, – და მამღერა. ამირანის შემდეგ ბონდო დავითულიანიც მასწავლიდა სკოლაში. რაჭის ბულბულს ეძახდნენ. სკოლის დამ- თავრების შემდეგ გადმოვედი ამბოლაურში სასოფლო-სამუშაო ტექნიკუმში, აქ როსტომი დამეპატრონა, იცოდა ჩემი მონაცემები. ჯერ ტექნიკუმში მასწავლებლების ანსამბლშიც ვიყავი, მაშინ ოთარ გოგშელიძე იყო ჩემი მასწავლებელი, იქ კარგი გუნდი გვყავდა. მერე როსტომი მოვიდა და მოსწავლეებისგან შექმნა გუნდი – სოლისტი ვიყავი. მომწონდა თავი, შეყვარებულიც კი მყავდა, იმის ხათრით უკეთ ვმღეროდი. მერე განათლების გუნდში ვიყავი, ნათელა იყო ხელმძღვანელი, იქაც შეყვარებული მყავდა და იმის გულისთვის

უფრო ვმღეროდი კიდე. ის ახლაც ქე მიყვარს. ცოლშვილიანი ვიყავი, მაგრამ მიყვარდა და რა ვქნა. სატყეოს ანსამბლში ვმღეროდი, ლაურეატობაც მივიღეთ. ნათელა იყო ხელმძღვანელი. ირშიც ვიყავი, როსტომი იყო ხელმძღვანელი. სადმელის გუნდშიც ვმღეროდი. ნორა ყიფიანი ხელმძღვანელობდა. ხოდა იმის გოგო მიყვარდა და იმის გულისთვის დავდიოდი იქანა. ი გოგუნაც იძახის, მიყვარდიო და... (სიცილ-ხარხარი). სამხედროში,,როტაში“ ჩემთან სამასი კაცი იყო და იქაც ვმღეროდი. ეს იყო 1975-77 წლები. ჯარიდან დაბრუნებულმა ისევ აქ, საგალობელში, გავაგრძელე მოღვაწეობა. მე, როსტომა (არჩევადე – ბ.ა.) და სოსო (საგანელიძე – ბ.ა.) მივედით ერთად ანსამბლში. 1974 წლიდან ვარ უცვლელი სოლისტი. სამივე ხმასა ვმღერი – ძლიან მაგარი ვარ (იცინის). რაჭული სიმღერები ძალიან მიყვარს, სვანურიც. ბებია მყავდა სვანი, ლენტეხის რაიონის სოფელი შეკედია და იქიდან იყო ბებიაჩემი – ჭელიძის ქალი. ცეკვასთან ძალიან შორს ვარ. ჯერ ერთი, ფეხი მაქვს გაფუჭებული, ტყეში მორი დამეცა. ვუკრავ მეტ-ნაკლებად ფანდურსა და სალამურზე. როგორც ასეთი, მაგარი დამკვრელი არა ვარ. ჯარში როსტომმა სალამური გამომიგზავნა, ვუკრავდი და მომჩერებოდენ პირდალებულები – რას უჭყიბინებს ეს კაციო... მისაბაძი ანსამბლი? – ედიშერ გარაყანიძის მთიები. ახლა ვცდილობთ, ჩვენ თავად ვიყოთ მისაბაძი. სიმღერებს, ძირითადად, ხელმძღვანელის ნამღერიდან, ფონოჩანანერებიდან ან ნოტებიდან ვსწავლობთ. საგალობლის უცვლელი პრიორიტეტი და ამოცანა ხომ ძველი მივიწყებული რაჭული სიმღერების მოძიება და აღდგენაა. ჩვენ სიმღერით აკომპანემენტს ვუკეთებთ მოცეკვავებს, აგრეთვე, თავადვე ვმღერით საფერხულო სიმღერებს – ვცეკვავთ ფერხულებს და სახასიათო ცეკვებს.

საყვარელი პარტნიორი? – სოსო საგანელიძე, საყვარელი სიმღერა – ჩაკრულო. ჩაკრულო არ არის რაჭული, მაგრამ მიყვარს და რა ვქნა. მაღლა მთას მოდგა – უორასთან ერთად ვმღეროდი და ის იყო ჩემი პარტნიორი ანსამბლში მიღების დღიდან (უორა და ეს იყვნენ უცვლელი დუეტი, – ურთავს როსტომი). ახლა პირველს ჩემთან ერთად ჩემი შვილი – შამშე – ამბობს. პარტნიორის დაკარგვა მძიმედ განვიცადე, უორას შემდეგ თუ კიდევ ვიმღერებდი, არ მეგონა... ძალიან მიყვარს ნადირობა...

როსტომი: ამას შვილი დაედუბა 24 წლის ბიჭი, ოთხი-ხუთი თვე იყო უსიმღეროდ, მერე მოვიდა და მითხრა: უნდა ვიმღერო, ვეღარ გავჩერდებიო. დადგა ანსამბლში და იმღერა.

ხუმრობით, იუმორითა და კურიოზებით განთქმული მერაბ ჩიტალაძის ნაამბობი ზემოთ უკვე მოგახსენეთ. გასაგები მიზეზით ყველა ვერ „შთაიწერა“ ამ წიგნში, ერთს კი ქვემოთ სოსო საგანელ-იძე გაიხსენებს.



შორა სხირტლაძე

შორა სხირტლაძეს ცოცხალს ვერ შევხვდით და, სამწუხაროდ, უშაულოდ მისგან ვერ ჩავიწერეთ მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია. მგონი, არც არავის ჩავიწერია. ფოლკლორის ცენტრი დიდხ-ანს ემზადებოდა საგალობლის ჩასანერად და მისი პირველი აუდიოალბომის გამოსაცემად. 40 წლის იუბილესაც, როგორც დანარჩენ მრგვალ თარიღებს, უხმაუროდ, აღუნიშნავად არ უნდა ჩაევლო. თითქოს განგებ, სხვადასხვა მიზეზით,

უამრავვერ გადაიდო ანსამბლის ჩაწერა. ამბობები: უფალს რჩეული უყვარსო და ამასობაში საგალობლის მშვენება ამ ქვეყნით გაიყვანა. მერე კარგა ხნით ამ ტრაგედიამ შეაფერხა თავზარდაცემულები. ბოლოს მაინც ჩავიწერეთ, დისკიც გამოვიდა, იუბილეც გადაიხადეს, ოლონდ ყველაფერი უჟორაოდ, მისი ხმის ეშხისა და ლაზათის გარეშე. წესი წესია და მისი საყვარელი ადამი-ანების სახელების გვერდით გთავაზობთ შორა სხირტლაძის მშრალ ბიოგრა-ფიას. მასში, როგორც გალაკტიონი იტყოდა, „ბევრია პროზაც, ქრონიკაც“... შორას პირვენებას, მის ცეცხლოვან შემოქმედებას, პოეტურ წვასა და სინ-დის-ნამუსიან „კაცობის გვირგვინს“ გარშემომყოფი დახატავენ, დაასურ-ათხატებენ, რადგან „ხალხს არ შეუძლია, იდარდოს ყველა ერთად, დარდობს მას, ვინც რაღაცით გამოირჩევა“. მაშ, ასე: ჯერ გამოურჩეველი ბიოგრაფია, შემდეგ – შორას გამორჩეულობა.

შორა – გიორგი – გრიგოლის ძე სხირტლაძე, დაიბადა ამბრო-ლაურის რაიონის სოფელ ხიმშში 1951 წლის 15 მაისს. დედა – გაგუ-

ლა სეფეს ასული ფორჩხიძე, მამა – გრიგოლ ვალერიანის ძე სხირტ-ლაძე. ჰყავს ორი ძმა – მიხეილი და დიმიტრი. სწავლობდა ხიდიკრის რვაწლიან სკოლაში. სწავლის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა სასკოლო ღონისძიებებში – მღეროდა გუნდში, იყო საუკეთესო დეკლამატორი. შემდეგ სწავლა განავრდო ამბროლაურის სასოფ-ლო-სამეურნეო ტექნიკურში, საბულალტრო ალრიცხვის ფაულტე-ტზე. სასწავლებელშიც იყო ანსამბლის წამყვანი სოლისტი, ანსამ-ბლს კი როსტომ გოგოლაძე ხელმძღვანელობდა. ტექნიკური წითელ დიპლომზე დაამთავრა და 1967-70 წლებში იმყოფებოდა საბჭოთა არმიის რიგებში. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ამბრო-ლაურის კულტურის სახლში სამხატვრო ხელმძღვანელად. ამ დროი-დან იწყება მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა: მომღერალი-სოლის-ტი, მსახიობი, დეკლამატორი, აგიტმხატვრული ბრიგადის მუდმივი წევრი... უთამაშია ასამდე სპექტაკლში, შეუსრულებია 60-მდე როლი. სახალხო თეატრების მსოფლიო ფესტივალის გრან პრისა და სამი ოქროს მედლის მფლობელი, რესპუბლიკური და საკავშირო ფესტი-ვალების მრავალგზის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი...

მეუღლე – ნანა მაისაშვილი, შვილები – გრიგოლ და დავით სხირტ-ლაძები. მთელი ოჯახი არაერთგზის სახელოვნად გამოსულა ოლიმ-პიადებსა და ფესტივალებზე. გრიგოლი გიტარისტია, დავითი – საგა-ლობლის წევრი, ამბროლაურის ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლისა (50-მდე ბავშვია გაერთიანებული) და ნიკორწმინდის ბერმუხას ხელმძღ-ვანელი.

უორა სხირტლაძე გარდაიცვალა 2009 წლის 1 იანვარს. დაკრძა-ლულია ხიმშის სასაფლაოზე, თეთრი გიორგის ეკლესიის ეზოში.

ნანა მაისაშვილი-სხირტლაძე:

ლექსებს წერდა, ძალიან კარგი ლექსები ჰქონდა საქართველოზე, რამდენიმე ლექსი ჩემს წიგნაკშიც ჩამინერა, ზოგიც – ზეპირად ვიცო-დი. ანსამბლ საგალობელზეც ჰქონდა ლექსი დაწერილი, ანსამბლის გარდაცვლილ ბიჭებზე, მარლენი რომ გარდაიცვალა, მაშინ დაწერა. ყველაფერი დაწვა, არ ვიცი, რატომ გააკეთა. თავში ჰქონდა სიმ-სივნე და, ალბათ, ამან გამოიწვია. 2008 წლის მაისში გახდა ცუდად. სიმღერასა და სცენაზე უზომოდ შეყვარებული კაცი იყო, რა უნდა

მომხდარიყო, რომ რეპეტიცია გაეცდინა და, თუ შეატყობდა, რომ უგულოდ მღეროდა ვინმე, გიუდებოდა, სიმღერით ეჩხუბებოდა (ნანა მაისაშვილი გვასმენინებს ვიდეოჩანანერს. ის და უორა ასრულებენ ქალ-ვაჟის გაშაირებას, – გოგოვ, შეჩერდი ერთ წამსა).

როცა შევუღლდით, უორა 25 წლის იყო, მე – 20-ის. წესის კულტურის სახლის დირექტორი იყო აკაკი გოცირიძე, აგიტმხატვრულ ბრიგადაში უორა მონაწილეობდა და მეც იქ პრაქტიკაზე ვიყავი. აკაკიმ მითხრა: მოდი, შენც მოგვეხმარეო. ხუთი დედმამიშვილი ვიყავით და ბავშვობიდან ვუკრავდით, ვმღეროდით ოჯახში. ჩემი ძმა აჩიკო მაისაშვილი ახლა ბოლნისშია და მუშაობს კულტურის სახლში, უკრავს აკარდიონზე, ჩემს დას წუნუ მაისაშვილს ქალთა ანსამბლი საპოვნელა ჰყავდა ბოლნისში, ახლა გადმოვიდა აქ, ჩვენს სოფელში ცხოვრობს. აკაკი გოცირიძემ ჩვენი დუეტი – გოგოვ, შეჩერდი ერთ წამსა – აგიტმხატვრულ ბრიგადაში პირველად გვამდერა. აქედან დაიწყო ჩევნი სიყვარულის ამბავი. ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. უორამ ლექსად აქცია ჩვენი სიყვარულის ისტორია. მგონი, ლამაზად თქვა:

უამთაღმრიცხველი მუშაობს,
ბედის ბორბალი ტრიალებს,
ჩვენთანაც მოვა, ძვირფასო,
გაგვთელავს, გაგვატიალებს.
ლამაზი არის სიცოცხლე,
ძალზე მცირეა, ტიალი...
სულს მიხალისებს, ლამაზო,
შენი თვალების ბრიალი.
შენი ღიმილი მახარებს,
მიბრძანე, ფერხთ გაგეგები.
მინდვრის ყვავილო, იცოდე,
დაგურიფავ, თუკი მერგები.
ურგები არ შემერგება,
ღმერთმა განსაჯოს ყოველი,
კარგად დაფიქრდი, გოგონი,
მე შენგან პასუხს მოველი.
ადრეც მინდოდა ეს მეთქვა,

მე მგონი, შენც შემატყობდი.
 შორიდან გეფერებოდი,
 შენს გულში ჩაკვრას ვნატრობდი.
 ახლა კი მაინც გავბედე,
 ჩემი სათქმელი გითხარი,
 ნატურმორტივით გიყურებ,
 გამიგჯა გულის ფიცარი.
 ამას ვერავის გავანდობ,
 თუნდ სანთელივით ვიწვოდე,
 ეს ჩემი გულის ნადები
 მხოლოდ შენ უნდა იცოდე.

უორას გულისნადები მეც კარგად გავიგე და დავქორნინდით...
 სახლი არ ჰქონდა და სულ ჩვენი წვალებით ავაშენეთ ეს სახლი –
 სიმღერ-სიმღერით. ორი ბიჭი შეგვეძინა. ბაგშვებს სიმღერას მე ვას-
 წავლიდი, უორა ხომ ასეთი მომღერალი იყო, მაგრამ თვითონ არას-
 დროს წაუმღერებდა. სტუმრები რომ მოვიდოდნენ და ვამღერებდი,
 უხაროდა, ფანდურზე დაკვრა, სიმღერა მე ვასწავლე ბიჭებს. ვუკრავ-
 დი ფანდურზე, აკორდეონზე, გიტარაზე, პიანინოზე. ჩემი დედამთილი
 კარგად, მოხდებილად, ლამაზად უკრავდა გიტარას და რაჭულ ცეკ-
 ვას, ალბათ, ისე ვერავინ იცეკვებდა, როგორც ის. ლიხეთელი ქალი
 იყო, ფორჩინძე. გული მწყდება, რომ მისი ცეკვა არ გვაქვს გადაღე-
 ბული. ისეთი ლამაზი ცეკვა იცოდა. მამამთილი გრიგოლ სხირტლაზე
 არ მღეროდა, გლეხეკაცი იყო, პარიკმახერობდა. ძალიან ადრე გარდა-
 იცვალა. უორას ბაბუა – დიმიტრი სხირტლაძე – თურმე კარგი მომ-
 ღერალი იყო. უორაზე ამბობდნენ, მისი ნიჭი გამოჰყვაო. გუნდში არ
 უმღერია. ოჯახში მარტო უორა მღეროდა, ძმები არ მღეროდნენ. მეც
 მომღერალი და ხელოვნების მოყვარული შევხვდი და შვილებს დაებე-
 დათ მუსიკის სიყვარული.

უორა ძალიან მშრომელი იყო, რიურაჟზე დგებოდა, დიდი ვე-
 ნახები გვქონდა, იქ მუშაობდა. მოვიდოდა, იმ წუთში გადაბანდა და
 მერე სამსახურში მიდიოდა. ძალიან „პენენიკა“ და მოწესრიგებული
 კაცი იყო. ერთი შარვალი, ერთი პერანგი რომ ჰქონოდა, ლამე გავუ-
 რეცხავდი და დილით სუფთად ჩაცმული წავიდოდა...

მოკლედ, ვცხოვრობდით ტკბილად, გემრიელად. სტუმრებს

უყვარდათ ჩვენთან მოსვლა. უორა ისეთი იყო, რა დროსაც უნდა დაბრუნებულიყო, სულ სტუმარი მოყავდა. გავუშლიდით სუფრას და მეტყოდა – მოიტანე ფანდური, ვმღეროდით, ვილხენდით და ძალიან უყვარდათ ჩვენთან სტუმრობა. სადმე რომ წავიდოდა, ისე შევხვდებოდით ერთმანეთს, როგორც დიდი შეყვარებულები. ერთხელ მოვიდა, სტუმრებითაა სახლი სავსე და ვყვები შანდორ პეტეფის „მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ“... დავამთავრე და ატყდა ტაში და წამსვე მითხრა პასუხის პასუხი:

მე შენს ნაოჭებს პატივს ვსცემ და ვეალერსები,
იქნება შანდორ პეტეფივით ვერ მოგეფერო,
მე შეზე მინდა, სულ, ყოველ დღე ვწერო ლექსები,
ისე მიყვარხარ, როგორც წინათ, ჩემო ბებერო..

სოფელში ქალები ხან 8 მარტს შევიკრიბებოდით, ხან დედის დღეს. პატარ-პატარა სიურპრიზები უყვარდა. ერთხელ მოვიდა და თითოეულს ლექსი დაუწერა. მერე ქალებმა უთხრეს, – შენს ცოლს რატომ არ დაუწერე ლექსიო, – ახლავე დავუწერო და იქვე მითხრა:

დედის დღეს გილოცავ სულით და გულით,
გახარებული მეყოლე დიდ ხანს,
მანამ იცოცხლე, ჩემო ძვირფასო,
სანამ ატარებ საკუთარ ნიფხავს.

სულ მეუბნებოდა, ჯვარდაუწერელები ვართ და ჯვარი დავიწეროთო. მე რომ 60 წლის გავხდები, შენ 55 იქნები და საგალობლის ბიჭები დაპატიუოთ (მე ქალთა ანსამბლ იავნანაში ვმღერი), შენ გოგოები დაპატიუეთ. ვუთხარი – თუ არ მიყიდი ბრილიანტის ბეჭედს, არ წამოგყვები-მეთქი. წასულა და უყიდია ძონის სამეული და შეუნახავს თავის სეიფში. ცუდად რომ იყო, მომცა გასაღები და მითხრა: იქ შენი საჩქარიც დევსო... გრძნობდა, რომ ცუდად იყო და ვერ მიაღწევდა 60 წლამდე. 57 წლის იყო რომ გარდაიცვალა... წინა დღეს საჭმელი რომ მივუტანე, ხელი მტაცა, – ნანი ვიმღეროთო, – გავგიუდი, საერთოდ ვეღარ ლაპარაკობდა... და დაიწყო წუთი-სოფელი.. მეც რომ ავყევი, შეცვალა და მეორე ხმაზე გადავიდა... და რამდენიმე საათში გარდაიცვალა... დაკრძალულია აქ, სოფელში. ფარატგვერდში, თეთრი გიორგის სალოცავის სასაფლაოზე (ძალიან იშვიათია საქართველოში თეთრი გიორგის სალოცავი, სულ სამია –

ბ.ა.). იქ 15 აგვისტოს ხიმშობა იმართება, მრევლიც მოდის, წირვაც ტარდება.

უორა ხანდახან ფიცხი და მკაცრი იყო, მაგრამ ისეთ სიურპრიზს გაგიკეთებდა, სულ დაგავინყებდა თავის სიფიცხეს. დედის დღეზე სუროსგან დაუწნავს გვირგვინი, – ვიფიქრეო, ვინც პირველი შემხვდება, იმას ჩამოვაცვამ თავზეო, – და მე გავედი სახლიდან ამ დროს და ჩამომაცვა – ალალი იყოს შენზეო... მეგობრების გვერდში დგომა იცოდა, თუ ვინმეს გაუჭირდებოდა... სოფლის ჩინჩხალა იყოო, – ამბობენ მასზე. დაყრუვდა სოფელი მას შემდეგო. ვსაყვედურობდი: ყველგან შენი ხმა ისმის-მეთქი. ადგებოდა და სულ მოირბენდა მთელ სოფელს, სოფლის მაღვიძარას ეძახდნენ. მუდამ თავკაცი იყო, ჭირი იყო თუ ლხინი. თამადაც ხომ იყო და ლექსს ხომ იტყოდა, მესაფლავეც იყო. და ყოფილა ზოგჯერ ისეთი შემთხვევა, ყვავილი არ ჰქონიათ მიცვალებულისთვის და, რომ დაასაფლავებდნენ, სუროებით მოალამაზებდა საფლავს. მესაფლავებსაც ყურადღებას აქცევდა, ყველაფერს ასწრებდა და, იმდენად მომთხოვნი იყო, ქალები რომ ვიყავით დამხმარედ, ყველას მაგივრად მე მეჩეუბებოდა. როგორც თვითონ იყო ენერგიული, ისე მოითხოვდა სხვისგანაც, რათა ყველაფერი რიგზე ყოფილიყო გასვენებაში.

ერთმა მეზობელმა ცოლი შეირთო ქალაქ გორიდან, დახვია ახალგაზრდებს ხელი და დოლ-გარმონით შაორზე დახვდა და, რომ მოვუახლოვდით, ატყდა ერთი ცეკვა-თამაშიო, რა დაგვავინყებს მაგამბავსო.

გაზაფხულობით ავიდოდა, დაივლიდა, სულ დაწმენდდა სხვის საფლავებსაც, დახვეტავდა. მეზობლები ახლაც ამბობენ: რაც უორუკა წავიდა, ალარავის გაუწმენდია ჩვენების სასაფლაოებიო... შრომობდა იმისთვის, რომ ფული ეშოვნა და დაეხარჯა. ყველას ასწრებდა გადახდას. ყოველ ახალ წელს შეკრებდა სოფლის კაცებს და ქეიფობდნენ აქ. კარგი ვიდეო გადავიდე.

დამუნჯდა სოფელი უორას გარეშე, აღარ აქვს ის ეშხი და ლაზათი.

ხიმში, 14 ღვინობისთვე,
2014 წელი. სვეტიცხოვლობა

სადაც ბნელოდა, კვარად იქცეოდა

როდის გავიცანი არც კი მახსოვს, რადგან მთელი სიცოცხლე ვიცნობდი და ვმეგობრობდი მასთან. მიზანმიმართულად ცხოვრობდა, შრომობდა, ლექსებს წერდა, მღეროდა, მსახიობობდა... მას ტაშს უკრავდნენ, უამრავი მეგობარი ჰყავდა. ჩემთვის უორა დაუვიწყარია.

ლამაზი ცხოვრებით იცხოვრა, მერე თითქოს დაიღალა და გარდაისახა. გარდაცვალება სხვა განზომილებაში გადასვლაა. მე ის ვიცი, რომ ცხოვრებაში უორა დავკარგე. სულ იმას ამბობდა: ისე არ წავალ იმიერში, რამე უთქმელი და გაუკეთებელი დამრჩესო!...

მისი ბავშვობა ხიმშს უკავშირდება, რაჭის ულამაზეს სოფელს, იქ შეისხა ფრთები, დაქორწინდა, შექმნა ახალი ოჯახი. ყველას უყვარდა, აფასებდნენ, ენდობოდნენ, სოფლის თავკაცი იყო, მისი იმედი ჰქონდათ. რაც შექება სიმღერას, დაუძლეველის დაძლევის უინით აღსავსე იყო. უორასი და როსტომ გოგოლაძის ერთობლივი ღვაწლი ნიმუშია სიმღერის თავგანწირული სიყვარულისა. მართლაც, კოლოსალური შრომაა საჭირო, რომ ანსამბლი ისეთი ყოფილიყო, როგორიც დღეს არის. უორა შეუერთდა ანსამბლიდან წასულ, გარდაცვლილ ბიჭებს, არაჩვეულებრივ ვაჟკაცებს.

თამამად შემიძლია ვთქვა, მე და უორამ ლამაზად ვიღვაწეთ სცენაზე – რეპეტიციები, კურიოზები, იმპროვიზაციები, რომლებსაც ერთმანეთს ვუწყობდით, სიცილი, ცრემლი, დაბრკოლებები, ბედნიერი წუთები... პარტნიორები ვიყავით სპექტაკლში „მეხდაცემული კაკალი“. ხალხი დარბაზში ხარხარებდა და ოვაციებით გვავსებდა, გვაგულიანებდა. რამდენი ეპიზოდი გავიხსენო ერთად გატარებული წლებიდან. გულდაწყვეტილი არავინ ჰყოლია, ყველას სწვდებოდა მისი კეთილი გული. გადამდები ღიმილი ჰქონდა!...

ჩვენი დიდი მეგობრის, რეჟისორის, პოეტის, საზოგადო მოღვაწის ბატონი გიგა სხირტლაძის უკვდავი ლექსი ვაზის ნატვრა და ჩივილი პირველად უორას წაკითხული მოვისმინე და დღემდე არ ამოდის ჩემი მეხსიერებიდან.

ასეთი ადამიანები ქმნიან ისტორიას, ამიტომ არიან დაუვიწყარნი!!!

ირინე ჩიხრაძე

ქართული სულის ჭურჭელი

ნამდვილო ერისკაცო! შენი სამშობლოს, მშობელი ხალხის სი-
ყვარულით გულდალეულო ქართველო ვაჟკაცო! ქართული სუ-
ლის სილამაზით სავსე ჭურჭელო! დაღლილო ობლობით, შრომით,
მოყვასის, ქართული კულტურის სიყვარულით; მუხლჩაუხრელო
შრომასა და გარჯაში, არაჩვეულებრივო შემოქმედო, მსახიობო და
მომღერალო! ენასიტყვა მოქარგულო! უდიდესი იუმორით დაჯილ-
დოებულო, მისაბაძო ქართველო – ამიტომაც იყავი ასე ფიცხიც –
ვერ შემგუებელი უგულო კაცისა, არაკაცისა, სიბეცისა, სიბელი-
სა, უსულგულობისა, უნიჭობისა, ორგულობისა, სიზარმაცისა და
სიძულვილისა. ინვოდი და სიყვარულით ცეცხლმოკიდებული და-
დიოდი ამ დედამიწაზე. ლექსს კითხულობდი და ცეცხლი გეკიდა,
ხუმრობდი, სცენაზე ბოლომდე იხარჯებოდი და შენი გულის ძერა
გვესმოდა. შენ უბრალოდ გავლილი არც გვახსოვხარ! შენ ფრთაშ-
ესხმული დადიოდი. შენი მზერა სავსე იყო ადამიანების სიყვარუ-
ლით და ალერსით. შენ განურჩევლად შეგეძლო ადამიანთა გულის
დაპყრობა, შენ ადამიანებს აჩვენებდი, თუ როგორ უნდა ჰყვარებო-
დათ სიცოცხლე, სამშობლო, მამა-პაპის ნაფუძარი, სტუმარი, ლე-
ქსი, სიმღერა. სიმღერით ეფერებოდი ყველას, მავანთ ეგონათ, რომ
უდარდელი კაცი იყავი, შენ კი ტკივილებს სიმღერით იქარებდი,
თორემ ვის და რას შეეძლო ობლი სულის ტკივილის გაყუჩება...

უშენოდ გავვიჭირდება, სამშობლოსაც მოენატრები და შენს ვე-
ნახსაც, შენი სოფლის შარასაც და შუკასაც, შენს ეზოსაც და ჭიშარ-
საც, შენს ნაჯახსაც და ცელსაც, შენი ხელით ნახარებ ბალ-ვენახსაც.
ჩვენ კი ამ სევდიანი სიმღერით გაგიხსნებთ:

მე მაშინ მოგაგონდები... ჰოუ, ჰოუ და ნანაო,
დიდი ალმართის ყელშია.... ჰოუ, ჰოუ და ნანაო,
გაგებნენ წვრილი მოზვრები... ჰოუ, ჰოუ და ნანაო,
გეღვერებოდნენ წელშია... ჰოუ, ჰოუ და ნანაო,
ჰოი, შენ ჩემო ყანაო.... ჰოუ, ჰოუ და ნანაო,
რად გადამაქეც გვირილად... ჰოუ, ჰოუ და ნანაო,

ვაი, შენ, ჩემო ცხოვრებავ... ჰოუ, ჰოუ და ნანაო,
რად გადამექეც ტირილად... ჰოუ, ჰოუ და ნანაო...

სულგანათლებულს გევლოს ღვთის სასუფეველში!
იზო ჯაბაშვილი-სხირტლაძისა
03.01.2009

დავით ნატმელაძე – არხეინა



არხეინა – მთელი საქართველო, მთელი რაჭა
ამ ზეწოდებით, ამ თიკუნით იცნობს მას.
საგალობლის წევრი – ნამყვანი ზედა ხმა,
სპორტული ტერმინით რომ ვთქვათ, შესან-
იშნავ ფორმაშია: სასიმღეროდ (სამსახიობო-
დაც) ხმაც მოსდევს და ჯან-ლონეც. ზუსტად
საგალობლის თანამოასაკეა და ანსამბლის
მეოთხე თაობა. კეთილი ხის ნერგია და ნაყ-
ოფიც კეთილი მოისხა. წესელი, კაკო გო-
ცირიძის შეგირდი და აღზრდილი, ენის ამოდგმისთანავე ამღერებული
და ხალხურ საკრავებთან შეზრდილი. სიტყვაძუნწი, თავის თავზე არას
მთქმელი, – მღერის და მორჩა, – მეტი რა საჭიროა? საჭიროა და მერე
როგორ! ასეთი მომღერლისაგან, რაც შეიძლება მეტი უნდა შეიტყო:
კარგი ბებია ჰელია ჰელია, ისაკაძის ქალი, სოფელ მუხლიდან, კაკო გოცი-
რიძის განაყოფი. ბებიამ მიიყვანა კაკოსთან ხუთი წლისა და იმის შემ-
დეგ დაიწყო და დაიწყო... პირველად სცენაზე ექვსი წლისა გამოვიდა
ჭიანურით (ფანდურსაც უკრავდა), დაკვრა კაკომ ასწავლა სამსიმიან
ჭიანურზე. რვა წელი სიმღერას კაკო გოცირიძის ხელმძღვანელობით
ეუფლებოდა. ყველა კუთხის სიმღერა შეითვისა. წესის 8-წლიანი სკოლა
დაამთავრა და... ამბროლაურის მე-2 საშუალო სკოლაში ნათელა გოგ-
შელიძემ „გამოიტაცა“.

სკოლის დამთავრების შემდეგ იყო საესტრადო ხელოვნების
სასწავლებლის კულტსაგანმანათლებლო განყოფილება, სასწავლე-
ბლის გუნდში სიმღერა და უანსამბლოდ, რეგულარული მღერის გა-
რეშე გატარებული 10 წელი (სუფრაზე, იცოცხლე, მღეროდა). 2001

წელს „უძლები შვილი“ მმობლიურ წიაღს დაუბრუნდა და საგალობრის წევრი გახდა. კიდევ უფრო გამდიდრებული რეპერტუარითა და საკრავიერი მუსიკით: ფანდურსა (დიატონურს) და ჭიანურს უკვე სტვირიც შეემატა (თავად ისნავლა) და ახლა, როგორც თავად ამბობს, როსტომი აგრძელებს მის სწავლა-განათლებას. საინტერესოა ლოგბარის აზრი ანსამბლის წამყვანი ხმის შესახებ: ორი წელი ლაბარში მღეროდა, გიორგი უშიკიშვილთან დუეტში პირველ ხმას ამბობდა. საგალობრელში მოსვლა მისთვისაც და საგალობლისთვისაც ფეხბედნიერი აღმოჩნდა: ანსამბლის რამდენიმე წევრთან ერთად ღირსების ოდენით დაჯილდოვდა. მოსვლისთანავე იტალიაში ფოლკლორის ფესტივალზე გაემგზავრა. ერთი სიტყვით, საგალობლის ყველა წინავლა და წარმატება გაიზიარა, რომლებიც ასე უხვად ჰქონდა ანსამბლს XXI საუკუნის დადგომისთანავე.

2004 წლიდან ამბროლაურის კულტურის სახლში მუშაობს: მსახიობიცაა, მოცეკვავეც, მომღერალიც და მესაკრავეც. ცეკვაში დღე-საც დათუნიკა სხირტლაძის მონაფეა. ადრე წესში დათუნიკას ანსამბლი ჰყავდა და იქ ცეკვავდა. თვითნასწავლმა მესტვირემ შეგირდიც გაიჩინა – თორნიკე არსანიძე. აღიარებს: ორ თვეს მოვუნდი, რომ რამე მესწავლებინაო. ახლა თავად თორნიკეს გაუკეთებია სტვირი და უკრავს. მეტსახელი კაკო გოცირიძემ შეარქვა: რეპეტიციებს რომ აცდენდა, ეუბნებოდა: ტყიბულში ვიყავი, ბათუმში, თბილისში, ხან – სად, და ხან – სად. შენ რა არხეინასავით დადიხარო, – უთქვამს კაკოს და ასე მოინათლა არხეინად.

განსაკუთრებული, თავისებური დამოკიდებულება აქვს ქვემორაჭულ სიმღერასთან. როგორც გურამ ვაჩაძემ ბრძანა, რაჭული გამწევი სიმღერებია და მის შესრულებას დიდი ძალა სჭირდება. ამავე აზრისაა არხეინაც: სასიმღეროდ რაჭული სიმღერები ძნელია. იმდენი ძალა და ენერგია იხარჯება, ორი რომ ვიმღერო ზედიზედ, მერე კახურებს ვეღარ შევასრულებ. ყველაზე დიდ ენერგიას ასლანურ მრავალუამიერზე ვხარჯავ. საფერხულო სიმღერები, ძირითადად, კაკომ მასწავლა. შეიძეგაცასა და რაეოში მეორე ხმას ვმღეროდი, დათო მაისაშვილი – პირველს. საგალობრელში როსტომმა ჩვენი ხმები გაცვალა და ახლა უკვე ჩამოყალიბებული პირველი ვარ. რა თქმა უნდა, სამივეს თქმა შემიძლია.

დავით ნატმელაძის განუმეორებელი, სასიამოვნო ტემპის ხმის

ჩამოყალიბებასა და დადგომასთან ერთად, არხეინას პიროვნებაც დამშვიდდა, დადინჯდა, დაშოშმინდა და „დაარხეინდა“. მასზე უამრავ კურიოზის, სასაცილო და უცნაურ ამბებს იხსენებენ მეგობრები, ანსა-ამბლის წევრები და თავად მაესტრო. არხეინას კურიოზებზე გვითხ-არით რამეო, – ვთხოვეთ, – ჯერ სიცილ-ხარხარი ატყდა, ირინე ჩიხრაძემ კითხვანარევად მოკლედ მოქრა: არხეინა თავიდან ბოლომდე კურიოზი არ არისო?! საგალობლის 40 წლის იუბილეზე ერთი საათი აძებნინა ირინეს თავი, შემდეგ იქით შეედავა – მე სცენაზე ვდგავარ და შენ სადა ხარო... თბილისში ლადო გოგოლაძე (როსტომის ვაჟი) ლამის პირველ საათზე „გოგოებში წაიყვანა“ – გლდანში – მე-7-ში და ვინმე მაიასთან მიიყვანა – ზალაში გაჭიმულ მკვდართან. ყველაზე სასაცილო ამბები ნასვამ, ნაქეიფარ არხეინასა და მის „ნივას“ უკა-ვშირდება: ისევ ლადოსთან ერთად ხრამში გადავარდნილ მანქანაში არხეინად გაღვიძება იქნება, თუ შუალამისას მანქანიანად კლდეზე ცოცვა – მსოფლიოში ყველაზე მაგარი „ნივას“ მოსინჯვა. მრავალჯერ დაიფარა უფალმა ქართული სიმღერის საკეთილდღეოდ. დღეს არხ-ეინა – დავით წატმელაძე – საგალობლის ერთ-ერთი წამყვანი ძალა და იმედია. დიდხანს, დიდხანს ემღეროს საგალობელთან ერთად.

ხათუნა წატმელაძე (იავნანას წევრი, არხეინას და):

ჩემი დიდი ბაბუა ავქსენტი წატმელაძე წესელი იყო – მომღე-რალი. გუნდებსა და ანსამბლებში არ უმღერია. კაკო გოცირიძე გვეტყოდა: მან შემოიტანა ფანდური რაჭაშიო. თვითონ აკეთებდა ფანდურს, თავადვე უკრავდა და მღეროდა, მთელი ოჯახი მღეროდა – მამაჩემი, მისი სამი და. ციცო მამიდა მორცხვია სიმღერაში, მაგრამ აკორდეონს უკრავს. ბაბუაჩემი (ფედას მამა) რუბენ ერაძე შესანიშ-ნავად მღეროდა. ზაქარია ერაძე ჩვენი ოჯახის ბიძაშვილი იყო. ბე-ბიაჩემი, ისაკაძის ქალი და კაკო გოცირიძე ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ. ქიშვარდი ისაკაძეც ჩვენი ბიძაშვილია. ბებიაჩემს ძალიან უყვარდა სიმღერა, ჩემი ძმა მიიყვანა კაკოსთან და სთხოვა: მგონი, მონაცემები აქვს და ფანდურის დაკვრა მაინც ასწავლეო.

კაკო უკვე აღარ აპირებდა ანსამბლის შექმნას, ასაკოვანი იყო

და ავადმყოფობდა. დათო არაფრით არ მივიდა მარტო და დათო მაისაშვილი მიიყვანა. კაკომ რომ ნახა ასეთი კარგი ბავშვები, წავ-იდა სკოლაში, მოიძია ბანები და შვიდი ბიჭისგან ანსამბლი შვიდ-კაცა ჩამოაყალიბა: დათო ნატმელაძე, დათო მაისაშვილი, ფირან აგლაძე (მუხლელი), თამაზ ნატმელაძე, ზაზა მაისაშვილი, თორნიკე გოგობერიშვილი, კოტე გოცირიძე. პატარა ანსამბლი რომ შექმნა, დიდის შექმნაც მოუნდა და წესის სკოლის გოგონებისა და ბიჭებისა-გან რაეო დააარსა. ასე ერქვა ჩვენს ანსამბლს, ძირითადად, რაჭულ სიმღერებს ვმღეროდით. კაკომ ძალიან შეგვაყვარა რაჭულები, მანვე გვაზიარა ქართული სიმღერის მადლს. კიდევ ერთხელ დიდი მადლო-ბა მას, ქედს ვიხრი მისი ნათელი ხსოვნის წინაშე. პირველად დადგა ფერხული, რაშოვდაზე ვცეკვავდით: მე პირველი ხმა ვიყავი, კაკოს შვილიშვილი კოტე გოცირიძე (ბესოს ვაჟი) – მეორე. მერე მე იაგნა-ნაში გადმოვედი, დათო – საგალობელში...



დავით მაისაშვილი

შესავალს – პრეამბულას – როსტომი ამ-ბობს: კარგი მომღერალია, ბავშვობიდან მღეროდა კაკო გოცირიძის გუნდში, ვა-დევნებდი თვალ-ყურს. პირველი ხმა პქონ-და შესანიშნავი. მეორეს არხეინა ამბობდა. ახლა შეცვალეს – დავითი არის ბრწყინ-ვალე მეორე ხმა, უნაკლო დუეტია. ასევე არის კარგი დეკლამატორი, კარგი მსახიო-ბი, პიროვნება – უზადო, დისციპლინებული, წესიერი კაცი – კაცო-ბაშიც, სამსახურშიც და ყველგან. ერთი სიტყვით, ათოსანია. მშრომ-ელი კაცი, ხუთ ტონა ყურძენს აბარებს.

დავით მაისაშვილი: 1973 წლის 21 აპრილს დავიბადე. დედა, ნელი მიქიაშვილი, მუსიკის მასწავლებელი იყო და სიმღერა იმან მასწავლა პირველად. დედა, ძირითადად, რაჭულ სამუსიკო ფოლკ-ლორს მასწავლიდა, მერე ჩემმა მეგობარმა დათო ნატმელაძემ (ერთი

წლით უფროსია ჩემზე) მიმიყვანა წესის კულტურის სახლში აკაკი გოცირიძესთან. ბიჭუნათა ანსამბლი ჰყავდა – შვიდკაცა. მერე ბიჭებისა და გოგოების დიდი ანსამბლი ჩამოაყალიბა. ოთხმოცი წლის კაცებიც იყვნენ, ნაბრძოლი ხალხი, ბაბუის ტოლები. ფერხულებს ვასრულებდით, მეც ვცეკვავდი ფერხულში. ეს იყო იშვიათი ანსამბლი, რომელშიც მოხუცი და ბავშვი შეზავებულად, ჰარმონიულად მღეროდნენ. ორპირულებში ერთ პირს ხანდაზმულები რომ იტყოდნენ, ახალგაზრდები გადავიტანდით ხოლმე. საღამოობით ვიკრიბებოდით კულტურის სახლში და იქ გვქონდა რეპეტიციები. გიორგი მაისაშვილი, საგალოობლის ერთ-ერთი პირველი წევრი (დღეს ცოცხალი აღარ არის), ბიძა იყო ჩემი. ერთად ვმღეროდით: ის პირველს ამბობდა, მე – მეორეს.

სკოლის გუნდის შემდეგ, 1991 წლიდან საგალობელში ვარ, პარალელურად თეატრშიც ვთამაშობ. 25 წელია, რაც ვმღერი, რა თქმა უნდა, გამოცდილება მქონდა. სიმღერა აკაკი გოცირიძემ შემაყვარა და დიდი წვლილი შეიტანა ჩემს მომღერლად ჩამოყალიბებაში. მაგრამ როსტომს თავისი სტილი აქვს. იგი დღესდღეობით ერთ-ერთი უძლიერესი ლოტბარია საქართველოში... მე ჭიანურზე არ ვუკრავ, დათო უკრავს ნატმელაძე. ახლა არხეინასთან ერთად ერთ გუნდში ჩვენ ვართ მეწყვილეები, მეორეში მერაბ და შამშე ჩიტალაძეები. რაჭული სიმღერები უფრო მეადვილება, მიუხედავად იმისა, რომ დიდ ენერგიას მოითხოვს. რაჭულის გარდა ძალიან მიყვარს კახურები. სუფრაზე კახური სიმღერა თუ არ გამოურიე, ის რა სუფრაა. კახურებიდან განსაკუთრებით მიყვარს შემოძახილი და თამარ ქალო.. რაჭულებიდან რაეო იყო პირველი სიმღერა, კაკო გოცირიძესთან რომ შევასრულეთ ფერხულით – ორპირულად, აგრეთვე, ერთხელ წისქვილს ნასვლისათვის. პროფესიით ღვინის ტექნოლოგი ვარ, ეს ფაკულტეტი დავამთავრე თბილისში და სიმღერას შესანიშნავად ვუ-თანხმებ სოფლის მეურნეობას.



დათუნიკა სხირტლაძე – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორი, მოცეკვავე, ქორეოგრაფი, მსახიობი, საგალობლის წევრი, სუხიშვილებისა და შინის ყოფილი სოლისტი, ეგარის წევრი.

დიდი მადლობა, რომ იწერება ბატონ როსტომზე ეს მეტად საპატიო წიგნი და ისტორიას დარჩება. არა მარტო როსტომზე, მთელ ქვემო რაჭაზე კეთდება და ასეთი მასშტაბი კიდევ უფრო უკეთესია. მადლობა ამისთვის თქვენ, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს, ფონდ ქართულ გალობას და ყველას, ვისაც მოუვიდა ეს აზრი და ხელენიფება ამის კეთება.

ჩემი კავშირი ხელოვნებასთან ოჯახიდან იწყება, მამისგან; აკვნიდან არა, მაგრამ იქიდან, აზროვნება რომ დავიწყე. მხატვრულად რომ ვთქვა, ჩემო კარგებო, მე სტვირის ჰანგზე ვარ გაზრდილი. მამა მესტვირე მყავდა და მისი ლულუნი მესმოდა. მამაჩემი ორმოცი წელი კულტურის სახლის დირექტორი იყო. ბუნებრივია, ბატონი გიგას გარემოცვა იყო: მსახიობები, მუსიკოსები, დრამატურგები, რეჟისორები... მოგეხსენებათ, ქართული სუფრის ტრადიციები როგორია და ამ შემოქმედ ხალხს უწევდა ხან ჩვენს ოჯახში ყოფნა, ხან – იმათთან და ხან – სხვასთან... მე უბედინერესი ვიყავი, როცა ჩვენთან მოდიოდნენ უდიდესი ადამიანები: თეატრის მოღვაწენი – გიგა ჯაფარიძე, ლეონიძე ტურძილაძე, კაპიტონ ლაშები... ქორეოგრაფები, მუსიკოსები, პოეტები, მწერლები... მე, პატარა ბავშვი, შუალამისას ლოგინში განაბული ვისმენდი შექსპირს, დანტეს, ილიას, აკაკის... დავას და ერთმანეთის კრიტიკას, იმ სპექტაკლის გარჩევას, რომლის შემდეგაც იყო ეს სუფრა. მოკლედ, ლრუბელივით ვისრუტავდი ამ სახელებს. მერე მამაჩემმა წიგნის სიყვარულიც მასწავლა. არ იყო არაფერი საშველი სხვაგან ჩემი წასვლისა, რომ იტყვიან, ბავშვობიდან მოვინამლე ხელოვნებით, ლამის ფეხი კულისებში ავიდგი. უუყურებდი ამათ რეპეტიციებს, სპექტაკლებს; ზოგი ზღაპარივით მახსოვს, ზოგიც, ანდამატივით მიზიდავდა. „ნაცარქექია“ დამამახსოვრდა, გიგა ჯაფარიძის დადგმული, საოცრად აღვიქვი და

ჩემთვის იყო დაუკინებარი. ცუდ ხასიათზე რომ ვარ, ახლაც ერთი სცენა აღდგება ჩემს მეხსიერებაში... ვსწავლობდი ხიდიკრის რვანლიან სკოლაში. ცეკვაში ჩემი პედაგოგები იყვნენ ომარ ტვილდიანი და რეზო ბერაძე, მაგრამ ესენი ეპიზოდურად იყვნენ: ერთი მოვიდოდა, მეორე წავიდოდა... ამბროლაურის პირველ საშუალო სკოლაში ჩემზე დიდი გავლენა მოახდინეს შაქრი და გულნარა ჭოხონელიძებმა (რეზო ჭოხონელიძის ნათესავები იყვნენ), რაჭაში ქორეოგრაფიის საუკეთესო სკოლა შექმნეს. ჩვეულებრივი ბავშვები, რომლებიც ხელოვანთა ოჯახებიდან არ იყვნენ, მჯობნიდნენ ცეკვაში. ყველაფერს ცეკვა ვარჩიე და მამაჩემს ვუთხარი: ცეკვის გარდა სხვა არაფერი მინდა-მეთქი. შემდეგ შევედი სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებელში. აქაც ფორტუნა იყო ჩემს მხარეს – კონსტანტინე მანჯგაღლაძის კლასში მოვხვდი. ორწელიწად-ნახევარში კაცი ამთავრებდა ნამდვილ აკადემიას. ისევ ბედის წყალობა: 1977-ის გაზაფხულზე გავხდი სუხიშვილების ანსამბლის წევრი. ფესტივალი ტარდებოდა, კონო მანჯგაღლაძემ მიმიყვანა ილიკოსთან, გული გამისკდა: ჩემი ანსამბლი იცი, შვილო, ხოდა, ორშაბათს მოხვალო. ეს იყო საოცრება, სულ ვამბობ – დამთხვევა და გამართლებაა, თორემ ჩემზე უკეთესი მოცეკვავეებიც იყვნენ. ეს რატომ მოხდა, იცით? – სუხიშვილი უშვებდა მასის თაობას, – ახალგაზრდები უნდა შესულიყვნენ, გამხდრები, მაღლები... მიღებული კი ხარ ანსამბლში, მაგრამ, შეიძლება, 4-6 წელი იჯდე სკამზე და ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდე. გაუშვეს შვიდი კაცი და ჩემთან ერთად მიიღეს: ჯემალ ხუნდაძე, ანდრო შოვნაძე, თამრიკო ცაგარეიშვილი – ძლიერი მოცეკვავეები სუხიშვილის სტუდიიდან, მე – სასწავლებლიდან, სხვათა შორის, ცეკვა ქართულით – კონო ამის დიდოსტატი იყო. სამი თვის შემდეგ დაიწყო გასტროლები მთელ საბჭოთა კავშირში, „ლენინის ნაკვალევზე“ ერქვა. შეიძლება ითქვას, გზაში ავითვისე ცეკვა მხედრული. ვერ მოვასწარი ცველაფრის სწავლა, ისე გადავედი ძირითად შემადგენლობაში. ზღაპარში მეგონა თავი – 120 მანეთი დამინიშნეს ხელფასი. ასეთი რამ იშვიათია იმ კაცის ცხოვრებაში, რომელიც სოფელში დაიბადა, გაიზარდა და ამ პირობებს არაა შეგუებული: თბილისს ძლივს შევეჩივე, ძლივს გავიგე, როგორ ვივარჯიშო (ინტერვიუს ჩანერისთვის (2014) ამბროლაურის მუნიცი-

პალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსი), როგორ გავანაწილო ჩემი ძალები. აბსოლუტურად არ ველოდი სუხიშვილის ანსამბლს, მაგრამ მოხდა ასე – ახლა იქ უნდა გადააწყო ჭკუა-გონება, ამისათვის კი პატარა ვიყავი და, იმდენად მოუმზადებელი, რომ ხუთწელინად-ნახევარი გავძელი. ეს არის ჩემი უდიდესი შეცდომა. მარტო ბიჭი ვიყავი, ჭკუის დამრიგებელი არავინ მყავდა, მოვხვდი ამ ანსამბლში, მერგო ეს ბედნიერება, მაგრამ ვერ შევინარჩუნე. ამ ამბავს დღესაც ვდარდობ, თუმცა დროის იმ მონაკვეთში უდიდესი სკოლა გავიარე. შემეძლო გამეგრძელებინა, 25 წელიწადი მეცეკვა, სახალხო არტისტობასაც მივაღწევდი, სოლისტობასაც და ყველაფერს, ჩემზე უფრო სუსტებმა გააკეთეს ეს, მაგრამ დავტოვე და წამოვედი სოფელში...

ჩამოვედი, გავხსენი სტუდია და შევუერთდი ამ ხალხს... ჯერ არც ლექსი მეტევა სცენაზე, არც მემლერა, თეატრზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ძალაუნებურად ვხდები ამათი წევრი, ავმღერდი. გამუდმებით ვფიქრობ რაჭულ ცეკვაზე (30 წელია მისკდება თავი ამაზე ფიქრით, რომ ეს უნდა გავაკეთო). ისევ ბედის წყალობა – გიგა ჯაფარიძე მიწვევს პირველად თეატრში, დგამს დავით ერისთავის „სამშობლოს“. დროა ისეთი, როცა ზვიად გამსახურდიაა საქართველოში, 9 აპრილი მომხდარია და ბალტიისპირეთში ტარდება თვითმოქმედი თეატრების საერთაშორისო ფესტივალი. ერთ თვეში გიგა ჯაფარიძე დგამს ამ პიესას, მივდივართ და ვიღებთ გრან პრის. თერთმეტი სახალხო თეატრი იყო მსოფლიოდან – ესპანეთი, საფრანგეთი, ბულგარეთი... მაგრამ თემა ზუსტად მოარგო იმ უდიდესმა კაცმა დროსა და გარემოს – ბალტიისპირეთი გვიჭრდა მხარს. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, როცა ქართული დროშა გავშალეთ (ეს ის დროშაა, საუკუნის წინ კატკოვმა რომ ბაირალი უწოდა და ილიამ საკადრისი მიუზღლო „ბეზღლობის“ ოსტატს – ბ.ა.). არნახული ზეიმი იყო, ცრემლიანი ზეიმი. პირველად ვითამაშე უდიდეს რეჟისორთან მთავარი როლი და წარმატებით: მე, ჩემს როსტომთან და მთელ დასთან ერთად, ვარ მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი! მეორედაც ისევ გიგა ჯაფარიძესთან მიმართლებს: ვთამაშობ სპექტაკლში „იქმენინ ნათელი“ – გიორგი სააკაძეს. აქაც დიდი წარმატებით... პრემიერის დროს სცენაზე გარდაიცვალა ეს დიდი კაცი.

მესამე გამართლება მესტვირეობაშია. ყველას ჰგონია, თითქოს,

მამამ მასწავლა სტვირი, მაგრამ არ ყოფილა ასე. პირველ საშუალო სკოლაში ჯუმბერ გოცირიძეს დირექტორმა დაავალა, დათუნიკას ას-ნავლე სტვირზე დაკვრაო. მამამ ჩემთვის ვერ მოიცალა და იმ კაცმა მასწავლა. შინ რომ ვვარჯიშობდი, მამაჩემი ტექნიკას მასწავლიდა და 1973 წელს რაჭიდან მე მოვხვდი ეთერში, „ამღერებული ოჯახები“ – იყო ასეთი გადაცემა, ჯულიეტა ვაშაყმაძეს მიყავდა. სტვირი მი-ჰყვება ჩემს ცხოვრებას პარალელურად. თეატრში ვითამაშე, ბავშვებს ცეკვას ვასწავლი, ვმღერი საგალობელში, ცეკვებსაც ვდგამ, როცა საჭიროა. ძალიან მიყვარს ამოძრავება სიმღერაში, გადაადგილება, ქორეოგრაფიული შტრიხის შეტანა, ბიჭებმაც დამიჯერეს და რაღაცები გავაკეთე. პირველად ტაში, ბიჭო გიორგუნა აქ დავდგი, ბავშვებთან მოესინჯე. საფუძველი ეყრება რაჭული ცეკვის არსებობას, ძირებთან დაბრუნებას... მუსიკალური სმენა როგორი მაქვს? – არ ვიცი! – აბსოლუტური სმენა სრულიად ზედმეტია, ოლონდ ხშირი რეპეტიცია, მუშაობა, ჩიჩინი, გვერდით რომ გიდგას, იმის მიბაძვა ბუნებრივად გიმუშავებს სმენას. ცეკვის გათავისებამდე სცენაზე არ გამოვალ და არც სხვას გამოვატანინებ.

საგალობელი უდიდესი ანსამბლია რაჭის ისტორიაში: ორმოცდაორი წელი ეარსებოს ანსამბლს უწყვეტად, ასეთი რამ არ ყოფილა. მე მეორე თაობა ვარ, როსტომმა შეკრიბა თავისი მეგობრები, მაშინ მამაჩემი იყო კულტურის სახლის დირექტორი, ერთმანეთს შეუწყვეს ხელი და აიდგა ფეხი საგალობელმა. შესანიშნავმა მომღერლებმა მოიყარეს თავი. ტელევიზიონითაც გამოვიდნენ, რაც იმ დროს უდიდესი რეკლამა იყო, მით უმეტეს, წელიწადში სამჯერ! მეც ბევრჯერ მიბრძოლია, როგორც ერთ-ერთ ახალგაზრდა კაცს, როსტომის გვერდით. როსტომს მოაქვს ახალი, უფრო სწორად, ძველი რაჭული სიმღერები, გადავდივართ სვანეთისაკენ, ლეჩხუმისაკენ, კახეთისაკენ – რეპერტუარი მდიდრდება. უდიდესი საქმეა გაკეთებული: 12 სიმღერა დამარტული იქნებოდა უკვე, როსტომი რომ არა. 12 სიმღერა ცოტა არ არის კუთხისათვის – 12 მარგალიტი! დღეს ბავშვები მღერიან, სუფრაზე იმღერება, ამიტომ არის ჩემთვის როსტომ გოგოლაძე საზოგადო მოღვაწე, ამას მარტო ლოტბარი და სიმღერის მასწავლებელი არ ჰქვია, მამულშვილი და დიდი კაცია! რა აკავებდა ამ ხალხს ანსამბლში? – საზღვარგარეთ წასვლა თუ ხელფასი? – ეს იყო

უდიდესი სიყვარული და უდიდესი დამსახურება ამ კაცისა: რამდენ-ჯერ დაუთმია დაუთმობელი იმისათვის, რომ არავინ „გაფხუკიანებულიყო“, არავინ წასულიყო; თავი დაუმდაბლებია, საერთოდ, ხმა არ ამოუღია, შემდეგ ის მომღერალი ისევ უკან მობრუნებულა... როგორ აბალანსებდა, იცით?! – არა სიმკაცრით, არამედ ძალიან ალალად, ძმურად, მეგობრულად. იყო შემთხვევა, რომ იქით ამართლებდა, ასე შეინარჩუნა საგალობელი – უამბიციოდ, დიპლომატით. ერთადერთმა ადამიანმა – გუბერნატორმა – მოიხედა ჩვენკენ და ანსამბლს ხელფასი დაუნიშნა, თავიდან 700, მერე 1000 ლარამდე ავედით. ახლა, ღვთის წყალობით, მე ვარ ქალაქის კულტურის სამსახურის უფროსი და საკრებულოს წევრი. მოსვლისთანავე განვაცხადე: საგალობელი ჩემი პრიორიტეტი იქნება-მეთქი (საერთოდ, ფოლკლორი თავისი დარგებით). ჩემი ყველაზე დიდი საქმე ერთმანეთის მიხედვაა. ყველაფერს მივხედავ: თეატრს, მუზეუმს, ძეგლებს... ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს მრავალი კარგი საქმე გაუკეთებია და ამბროლაურში სალოტბარო სკოლის გახსნას მივესალმები. რაც მალე იქნება, მით უკვეთესი (უკვე გაიხსნა – ბ.ა.).

ბუნებრივია, რაჭული ცეკვა გაინტერესებთ, რაჭული საცეკვაო ლექსიკა, ილეტები და ა. შ. გსურთ, მოცეკვავე დათუნიკა სხირტლაძისაგან უფრო მეტი გაიგოთ. ზემოთაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: რაჭული ცეკვა „მდუღარებაა ჩემი სულისა“. ჰაერიდან არაფერი მოდის. რაჭულში ჩემი წინამორბედები როგორ არ იყვნენ. სულ იქით რა იყო, ვერ გეტყვით, მაგრამ რეზო ბერაძემ ჭრებალოში თავისი ვარიანტი დადგა, ომარ ტვილდინმა – თავისი, შაქრო და გულიკო ჭოხონელიძებმა – თავიანთი. ყოველი ქორეოგრაფი დგამდა რაჭულს. ისინი ყველანი ჩემი წინამორბედები და ჩემი მასწავლებლები არიან, მე იმათ მხრებზე ვდგავარ, მაგრამ ყველაფერი ეს არ გასცდა ამბროლაურის საზღვრებს, მიუხედავად იმისა, რომ ფილარმონიაშიც აჩვენებს. ეს იყო რაშოვდასა და ოლრო-ჩოლროზე აგებული ვარიანტები. ჩემმა ვარიანტმა საბავშვო ფესტივალზე დიდი წარმატება მოიპოვა. ახალი დადგმისა და ინიციატივისათვის მედლები დავიმსახურეთ ქუთაისსა და ბათუმში, მაგრამ ეს არ იყო ის, რაც მე მინდოდა. არ მყავდა ბიჭები, 15 გოგო იყო და გიორგუნა – მარტო ერთი ბიჭი შემომყავდა. როცა მომეცა საშუალება, მაშინ სრულად გავაკეთე:

2000 წელს ანსამბლ როკვაში დავდგით. იქ „ჩავაწყვიტე“ ყველაფერი, რაც კი რამ შემეძლო. პრემიერა ოპერის თეატრში გაიმართა. მაშინ როკვამ დაანგრია დარბაზი და ასე იყო ყოველთვის. შემდეგ ფრიდონს მოუნდა ამ ცეკვის რუსთავში დადგმა. ამ დროს რუსთავში გადავიდა როკვას შვიდი მოცეკვავე. ფრიდონს მასა უკვე დაედგა, მაგრამ არ მოსწონდა, მითხრა: ეს არ არის რაჭულიო. მე რაღაცები გავაკეთე, სოლისტებთან ვიმუშავე... მოცეკვავეთათვის ილეთების ჩვენებისას ფრიდონი მაკვირდებოდა, მიყურა, მიყურა და მოკლედ მომიჭრა: ფილარმონიაში რაჭულში შენ უნდა იცეკვოო! შევცბი, არ გამოვა, საშინელება იქნება-მეთქი!... სულ წუთ-ნახევარს ვცეკვავდი, ამისთვის მოდიოდა მაყურებელი და ნახულობდა. ამის შემდეგ შინი ექებდა მოცეკვავეს. 150 პროფესიონალი გასინჯეს, მე ამირჩიეს. ცივ უარზე ვიყავი – ახლაც ვერ ვიტან გიტარაზე ცეკვას და ამგვარებს. მივედი იქ და ვთქვი: არავითარი თქვენი ჯაზ-ფოლკი, არავითარი ესპანური, მე შევალ ზუსტად იმ დროს, როცა სუფთა ფოლკლორს დაუკრავს ორკესტრი-მეთქი. აჭარულში უნდა იყოს ჭიბინი, ქალაქურში – შესაბამისი მუსიკა, სვანურში – სვანური... მერე ეგარიშიც ვიწვალე და ახლა რაღაც მიმართულებაზე ვფიქრობ. ახლა იქაც ვარ, საგალობელშიც ვმღერი. ამით ვამაყობ. მინდა, როსტომსა და საგალობელთან რაჭული მხედრული დავდგა. ჩვენ ძალიან მაგარი მეხრები გვყავდა, ცხენოსნებიც... სამი-ოთხი ეპიზოდი ვიცი, როგორ ცეკვავდნენ მოკლე მათრახებით, ხუთ-ექვს ილეთს ამოვნევ და... სასიმღერო მასალაც მოპოვებულია...

შეიძლება ვინმემ არ იცის, ტაში, ბიჭი გიორგუნა ხალხური კი არა მამაჩემის ლექსია, 60-იან წლებში დაწერილი. ლექსის კითხვისას მილიონჯერ წაკითხულში იმ დროს დავინახე ეს ადგილი, როცა ვეძებდი რაშოვდას და ოღორ-ჩოლოროს გარდა სხვა მუსიკალურ ვარიანტებს. მთავარი მუსიკაა. ლეჩხუმურს ხვალვე დავდგამ. ტექსტიც მოძებნილი მაქვს, ახლა მუსიკალური მასალაც ვნახე, ფანტაზიაც ხომ საჭიროა? შეიძლება, ერთი ნიმუში ნახო და მერე შენ დააშენო. რა თქმა უნდა, იმ ტრადიციიდან არ უნდა გახვიდე. რაც როკვაშია დადგმული, იმ ილეთებს ვერსად ნახავთ. იქ ძირული სამი ილეთია... ცოტა განსხვავებული მოცეკვავე იყო წესელი ბაგრატ მელაშვილი, რომლისაგან სამი ილეთი ავიღე. უორა სხირტლაძე მყავდა ბიძაშ-

ვილი, ლიხეთელი იყო დედამისი, იმ ქალბატონის ერთი ილეთი და ასე მოგროვდა თვრამეტი, რომლებიც საკუთრივ დათუნიკა სხირტ-ლაძისაა, სხვაგან ვერსად ნახავთ. ვერ გეტყვით, რომ ისე მივიღე ყველაფერი, როგორც ბაგრატმა იცეკვა – ისე არავის არ შეუძლია იმის გარდა, მაგრამ მე გადმომაქვს, ჩემეულად ვიგებ და მერე გადამაქვს ცეკვაში, მოცეკვავეში – მესამე პირში. იქ, ადგილზე, ყველაზე კარგია. მე, რაც შეიძლება, ვამსგავსებ, მაგრამ, მავანმა მოცეკვავემ იცის, ბაგრატი ვინ იყო? ამიტომ ტაში, ბიჭო, გიორგუნა არის ქვაკუთხედი ამ ცეკვისა. აქ გაიმარჯვა ტექსტის კარგად გამოყენებამ. მოტივი ოღონ-ჩოლორსია და ეს ტექსტი დავსვი მასზე. ლერწამისა ხესაო იმღერება ჭიანურზე ძალიან ნელა. ავაჩქარე, ვფიქრობ, რა დავარღვიე, ყოფილიყო ისე, მაგრამ მარტო რაშოვდა და ლერწამისა ხესაო მწირი იქნებოდა. სტვირი მხოლოდ და მხოლოდ ჩამოვლისათვის, სანახშოზე შეკრებისათვის შემოვიტანე: ჯერ ერთი, წინ წამოვნიერ რაჭული საკრავი, მეორეც, – ამითი შევკარი სანახშო და გადავედი ცეკვაზე.

რაჭველი კაცისთვის სტვირი საყოფაცხოვრებო საკრავი, ანუ თავის სარჩენი იყო, პურის საშუალება. ფარახეთი და სევა მესტვირების ბუდეა: გრძელიშვილი, ერაძე, ტოგონიძე (მარტო უჩა ჯაფარიძის ლუკია მესტვირე (ტოგონიძე) რად ლირს), – ეს გვარებია, ძირითადად, სევასა და ფარახეთში. ბერაძე იყო მესტვირე, რომელსაც ფეხზე ჰქონდა მოწყობილი საბერველი, ფეხით შეპყავდა პაერი, აკეთებდა იმპროვიზაციებს და, თუნდაც, არსენას ლექსს შეუჩერებლად, თავიდან ბოლომდე იტყოდა. არაფერს ვამბობ ილიკო ქურხულზე – მის სტვირს დანაყოფები აქვს... მესტვირული პოეზია მძლავრი ნაკადია ფოლკლორში. თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, რა დიდად აფასებდა დიმიტრი არაყიშვილი ფარახეთელ მესტვირებსა და მათ ხელოვნებას – „მთებში მიჩქმალულ, თავისებურ ხალხურ სკოლას“. სულ მაინტერესებს: ეს პოეზია აქ არის შექმნილი თუ შემოვიდა, აქ მოიკიდა ფეხი და შემორჩა?! სტვირი ფშავშიც იყო, ქართლშიც, თბილისშიც... „არსენას ლექსი“ – „შაირსიტყვითა მესტვირემ“... დავიჯერო, რომ ყველაფერი ეს რაჭველებისა იყო?

ბლიაძე გვარი რაჭულია? – დიახ, ბლიაძეც რაჭველია, ტოგონიძეც, ერაძეც... თუნდაც ერთი ლიტერატურული ამბავი მესტვირებისა

და მათი პოეზიის პოპულარობისა: ალექსანდრე ორბელიანს უკითხავს ალექსანდრე ჭავჭავაძისათვის: კნიაზო, როგორ მოახერხე, რომ დასაცლეთის კლასიკური პოეზია ქართულს მოარგეო? – ჩემი ლექსების სუბუქი, ანუ ლბილი წყობილება, მესტვირე ბლიაძეებისაგან შემოვიდეო, – უღიარებია პოეტს. ვაჟას ლექსი მაგონდება, რომლითაც სტვირს ძეგლი დაუდგა:

ათი წლის ვიყავ – ვსტიროდი,
დღეს ასისაცა ვსტირიო,
ყრმას დედის ძუძუ არ უყვარს,
როგორც მე – ჩემი სტვირიო!
ვებლაუჭები ხელებით,
ვერ მოვაშორე პირიო,
ვშიშობ, რომ არ დამიდუმდეს
ის ჩემი თვალისჩინიო!

თვალის ჩინზედაც უტკბესი –
ჩემი ჭირი და ლხინიო,
უსტვიროდ ჩემი სიცოცხლე
არა ლირს ჩალა-ჩირიო!...

ვახტანგ VI რომ მოსკოვს მიდიოდა, საერისთავოში შეჩერებულა და ვინმე მესტვირეს – ტოგონიძეს, ბლიაძესა თუ ერაძეს – ასე დაულოცავს მეფე:

მეფეო, შენსა გვირგვინსა
ოთხეუთხივ ჯვარი სწერია,
გვერდით დედოფალი გიზის,
მზისა და მთვარის ფერია,
უწინ ჩვენ მოგვაკვლევინოს
თქვენზე მოსული მტერია!
დაგიფაროს შარისაგან,
აგორებული ქვისაგან,
ადიდებული წყლისაგან,
ძუნნი კაცის ვალისაგან,
ჭორიკანა ქალისაგან...

ზაქარია ერაძე ახსოვს ხალხს. გიგა ჯაფარიძესაც ახსოვს, უნახავს და უსაუბრია კიდეც. გიგა როცა დაბრუნდა რაჭაში, სტვირი

უკვე სამუზეუმო ექსპონატი იყო, აიღო მუზეუმიდან და თვითონ ისწავლა დაკვრა. შემორჩენილია ძველ ფირფიტაზე პატარა რძალოს ზაქარია ერაძისეული ვარიანტი და გიგას ზუსტად ისე გადმოულია. გიგამ გააკეთა კიდევ უდიდესი რამ: 1956-ში მარტში რომ დახვრიტეს ახალგაზრდობა, ლოკომოტივის სტადიონზე ხელში აყვანილი შეიყვანეს, მაშინ თქვა: „დღეგრძელობა მადლით საცხეს, ჩვენს მზეს, ჩვენს ხალხს, მიწას, ვარდებს, სტალინის და შოთას მსგავსი კვლავ მრავალი გაგვიზარდე“. გაბედა და სტვირი გადაარჩინა მაშინ გიგამ, ჭიათური – აკაკი გოცირიძემ. გიგამ ასწავლა მერე შალვას (ჯაფარიძეს) სტვირზე დაკვრა და შალვა დიდხანს უწევდა ამ საკრავს პოპულარიზაციას. მამაჩემმა სტვირზე დაკვრა თვითონ ისწავლა. ლექს-საც თავად წერდა. მამა 2003-ში გარდაიცვალა. მან სტვირზე დაკვრა ასწავლა დათო ქევანიშვილსა და კუკური ობოლაშვილს. მე ავდექი და დათოს (არხეინას) ვასწავლე და ლადო გოგოლაძეს უნდა ვასწავლო. იუმორისტული მესტვირული ჩემია, დათო პატარა რძალოს გააკეთებს, ლადო – ჩვეულებრივ დალოცვას და, რაც დღეს არის შემორჩენილი, სამივე ვარიანტს ვაჩვენებთ. მინდა, მოვხსნა გარე ხავერდი და გუდაზე დავიყვანო, როგორც ძველად მინახავს ან როგორიცაა ონის მუზეუმში დაცული ზაქარია ერაძისეული სტვირი. ეს ფოჩები და სამიაულები მერეა შემატებული. ფოლკლორის სკოლის გახსნამდე არა ვჩეარობ, რა კონტინგენტიც მოვა, რამდენიც ისწავლის, იმდენს ვასწავლი გუდასტვირს. გამკეთებელი არ უნდა დაიკარგოს, ეს არის მთვარი, ამაზეც ვზრუნავ, მყავს ორი ოსტატი: მხატვარი ვეფხია და იურიკა დონაძე, ხეზე კვეთა ემარჯვებათ. იმ წყობით გააკეთებენ, დღეს როგორიც არის. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ფარახეთული ლერწამი, რომლისგანაც მესტვირები საწივარას ამზადებდნენ, ალარ არის! ლერწამს დეტონაცია არა აქვს, სიცივეს, ყინვას – ყველაფერს უძლებს. დღეს კი საწივარებს ჩალისაგან ამზადებენ და ძალიან ფაქიზია. მამაჩემმა მითხვა: ფარახეთში არის ერთ ადგილასო; ავედი და ტრაქტორს გადაევლო, სულ გაენადგურებინა! გადაშენდა, ვერ ვიპოვე, ვერ მივაგენი ლერწამს, თორემ აქ გავაშენებდი... მარტო მე კი არ ვეძებ, შერმადინ ჩაგელიშვილი ბაქოში მიდის, იქიდან მოაქვს, მაგრამ არ ამართლებს. გუდა ნესტს არ უნდა იკიდებდეს. თხის გუდა მშრალია და უკეთესი. ძველად მესტვირები საწივარებს თურმე

ვარდის ფურცლებში ახვევდნენ, გაამზეურებდნენ, გამოაშრობდნენ და ისე ინახავდნენ შემდეგ დაკვრამდე. გუდასტვირი სავსებით შეესაბამება ჩვენს ხასიათს, პოეზიას. ვეცდები, აღვადგინო და ყოფაში გავაცოცხლო.

ამბროლაურის კულტურის სახლი
13.10.2014



ნუგზარ ლებანიძე, ჯანო გაგოშიძე

ნუგზარ ლებანიძე 1984–1991 წლებში საგალობელში მღვროდა. ერთი წლით ამბროლაურში, განათლების სისტემაში სამუშაოდ ჩასული უნივერსიტეტდამთავრებული ახალგაზრდა, როსტომ გოგოლაძის ხათრითა და ქართული ხალხური სიმღერის სიყვარულით, რაჭაში შვიდ წელს დარჩა. რაჭის მინისძვრისა და საქართველოში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო, იძულებული გახდა, წამოსულიყო. საჭიროების

შემთხვევაში ბევრჯერ ჩამდგარა ანსამბლის რიგებში, ახლაც მზადაა, თუ ბიჭებს დასჭირდებათ გვერდში ამოუდგეს. ცახში, ეგული სოხაძეს რომ ვინერდით, ჩვენზე წიგნი იწერებათ, – იქიდან ახარა ნუგზარს ეს ამბავი როსტომმა. ექსპედიციიდან ჩამოსვლის მეორე დღესვე ფოლკლორის ცენტრში მოვარდა და მოგონებად დაიღვარა, იშვიათად მინახავს ასე გახარებული და ფრთხებშესხმული კაცი. ნუგზარის მოსვლას (ასევე საკუთარი სურვილით) ჯანო გაგოშიძის სტუმრობაც დაემთხვა. მესივით გავარდნილა მონოგრაფიაზე მუშაობის დაწყების ამბავი. ჯანო გაგოშიძე სტვირზე უკრავს, თავადვე ამზადებს და მღერის. შვილსაც ასწავლა საკრავის დამზადება და სიმღერა. მომღერალი და მესაკრავე ოჯახია, თუმცა საგალობელში არასოდეს უმღერია. სიყვარულისა და სიმღერის



ყოვლისშემძლე ძალით, თავს მაინც მის განუყოფელ ნაწილად და თანამდგო-
მად მიიჩნევს. ამდენად, გასაკვირი არცაა, რომ ეს დიდი რაჭველები ერთად
ჩავწერეთ.

ნუგზარ ლეპანიძე – 1984 წელს დავამთავრე უნივერსიტეტი და,
მაშინდელი კანონმდებლობის შესაბამისად, გამანანილეს რაჭაში,
როგორც წარმოშობით რაჭველი. მუშაობა დავიწყე განათლების გან-
ყოფილებაში. ცოტა ხანში გავიკითხე ამბოროლაურში სიმღერ-ცეკვის
ამბავი – რაღაც გამოცდილება მქონდა: შინაგან საქმეთა სამინისტოს
ანსამბლ მხედრულში ვცეკვავდი. ეს ანსამბლი იმ დროს, ალბათ, არ
გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, სუხიშვილების შემდეგ ერთ-ერთი პირვე-
ლი იყო. ცოტა მოვიანებით პროფგანათლების კულტურის სახლში
ცხრაკაციანი ვაჟთა ვოკალური ანსამბლი შეიქმნა თემურ ქევზიშ-
ვილის ხელმძღვანელობით. ისეთი მომღერლების გვერდით მომინია
სიმღერა, როგორებიც იყვნენ: ან განსვენებული ბონდო გუგავა,
ნუგზარ გამგებელი, დღეს მადრიდის თეატრის სოლისტი, ტენორი
ვალერიანო... ახალგაცნობილი მეგობრების დახმარებით მოვხვდი
საგალობელში (1984) – შეუმოწმებლად. თბილად მიმიღეს თავიანთ
ოჯახში: ნამდვილი რაჭველი ვაჟკაცები სულით და ხორცით, სიკ-
ეთით სავსენი, ყველაფრის თავი კი – გული და ძრავი – როსტომ
გოგოლაძე იყო.

როსტომი უკეთილშობილესი პიროვნებაა, თავისი თაობის ნამდ-
ვილად ღირსეული წარმომადგენელი. გარდა იმისა, რომ შესანიშნავი
მცოდნეა ქართული ხალხური სიმღერისა, ისეთ ოჯახში გაიზარდა
და იმდენი წინაპირობა ჰქონდა, რომ თვითონაც შესანიშნავი შემს-
რულებელი უნდა ყოფილიყო და არის კიდეც. რაღაც წარუმატებელი
ოპერაციის გამო, ცოტა ხმის იოგები დაუზიანდა, მაგრამ, მიუხედა-
ვად ამისა, მაინც შესანიშნავი შემსრულებელია. მე არც კი გამეგონა
ის სიმღერები, რომლებიც როსტომმა აღადგინა და გვასწავლა, არა
მარტო რაჭული, სხვადასხვა კუთხისაც. არ დარჩენილა იმ პერიოდ-
ში, ალბათ, არც ერთი ღონისძიება, არც ერთი ფესტივალი, რომ ჩვენ
არ მიგველოს მონანილეობა. განსაკუთრებით მახსოვს ბორჯომის
საერთაშორისო კონფერენცია. იმპრესარიოებმა თვალი დაგვადგეს,
ძალიან მოვენინეთ. ფილარმონიაში მრავალუამიერების კონკურსში
მეორე საპატიო ადგილი ავილეთ, მთიებმა გვაჯობა. ედიშერ გარაყა-

ნიდე ჩვენი მეგობარი იყო, გია ქემაშვილი ჩემი კლასელია, ყველას ვიცნობდი. მესამეზე წინანდალი გავიდა. ჩვენ ექვთიმური მრავალ-ჟამიერი ვიმღერეთ (ამ მრავალჟამიერის უნებლიერ ნათლია მე ვარ: ასლანურის დარად, ვუნოდე ექვთიმური და ასე მოიხსენიება დღეს), როსტომმა მოიტანა ანსამბლში, – მამამისის ნამღერი. უიურიში იყო დიდებული პიროვნება, ან განსვენებული კუკური ჭოხონელიძე, გა-დაირია: – როსტომ, მე თუ რამე არ ვიცოდი, არ მეგონაო! ამოვარდა სცენაზე – ეს რა არისო? საიდან მოიტანეო? – რა ვიცი, მამაჩემმა იმღერაო, – „თავი იმართლა“ როსტომმა.

1991 წელს იძულებული გავხდი თბილისში დავბრუნებულიყავი. ძალაუნებურად ანსამბლთან დამშვიდობებაც მომიწია. მე ამ დღეს ვერასოდეს დავივიწყებ, რაღაც გაცილებისნაირი გამოვიდა. როგო-რი ტრადიცია გვქონდა იცით? – მორიგეობით თითოეულის ოჯახში ვიკრიბებოდით. ეგულის რიგი იყო და იმან უკან დახევა არ იცის არაფერში... მე უკვე წამოსული ვარ თბილისში და რაჭაში ჩავედი ნივთების წამოსალებად... როგორი გაცილება მომიწყვეს ეგულის ეზოში: დამტოვეს ანსამბლის მუდმივ საპატიო წევრად, რეკვიზ-იტები, ჩოხა-ახალუხი მაჩუქეს. 40 წლის იუბილე რომ გადაიხადეს, რა თემა უნდა, ვიყავი და, საერთოდ, როცა ვახერხებ, ყოველთვის მათთან ერთად ვმღერი. სამწუხაროდ, ბევრი კარგი ვაჟკაცი გამოგ-ვაკლდა: სოსო მახალდიანი – შესანიშნავი პირველი ხმა; უორა სხ-ირტლაძე – უბადლო შემსრულებელი; იუბილედან ორ თვეში მინას მივაბარეთ ემირ ისაკაძე – ბრწყინვალე ბანი; მარლენ მკერვალიშვი-ლი, ომარ ტვილდიანი – ანსამბლის გამწევი ძალა. მაგრამ მე ის მახ-არებს, რომ ანსამბლის წევრთა შვილები დგანან სცენაზე: მერაბის ბიჭი, მახალდიანის ბიჭი, უორას ბიჭი, აკაკი გოცირიძის შვილიშვილი. სიცოცხლე გრძელდება, სიმღერა გრძელდება, მთავარია, როსტომი იყოს კარგად. როსტომის ოჯახი ქართული სიმღერის ბურჯადა დგას აქ. ჩემი ცხოვრების შესანიშნავი შვიდი წელი გავატარე ამ ხალ-თან. და კიდევ ერთი: არ ვიცი სხვებმა თქეს თუ არა, მე აუცილე-ბლად უნდა აღვნიშნო: არ არსებობს ოჯახი, რომელსაც როსტომი და საგალობელი არ მოჰყერებოდა ჭირსა თუ ლხინში. იყო ოჯახები, რომლებსაც ხელოვნებასთან არაფერი აკავშირებდათ, მაგრამ, სა-დაც ესენი მივიდნენ, სიკეთე დათესეს. ჯანო ამატებს: მე ვიცნობ ოჯახს, ამათი სტუმრობის შემდეგ, გზააცდენილი ბიჭი სიკეთისაკენ

რომ შემობრუნდაო.

თბილისიდან იყვნენ ჩამოსულები, სასკოლო რეფორმა ტარდებოდა. მითხრეს: ურავში ქორწილია, კახეთიდან მოყავთ ქალი და არაფრით არ შეიძლება ჩვენ არ ვყოფთო. რაღაცნაირად გავთავისუფლდი და ავედით ურავში. დიდი ქორწილია, მოვიდა პატარძალი მაყრიონით. ვსხედვართ და ველოდებით, კახელები როდის ამღერდებიან. ერთი სადღეგრძელო, ორი, არა და არა! მერე თამადამ ოფიციალურად იკითხა: რატომ არ მღერითო? სიმღერა არა, აი, დოლ-გარმონს თუ მაიტანთ, ვიცეკვებთო. სახტად დავრჩით: კაცო, კახეთიდან ასეთი ხალხი როგორ გამოუშვეს?! რაჭულები ხომ ვიმღერეთ, მერე კახურებზეც გადავედით. კახელები ამბობდნენ: რა კარგად მღერიან ეს რაჭულები კახურ სიმღერებსაო...

ჯანო გაგოშიძე – კახეთში ვართ, მე თავდაცვის მინისტრის მოადგილე ვიყავი – პოლკოვნიკი (ბატონი ნუგზარიც პოლკოვნიკია). მახლავს ჩემი კოლეგა, საინჟინრო სამმართველოს უფროსი, თურქეთის ორგარსკვლავიანი გენერალი. წავიყვანეთ და ვაჩვენეთ მუზეუმი, წინანდლის ღვინის ქარხანა. წინანდალიც იქ იყო. სუფრაზე გავპედე და ვიმღერე წინანდლელებთან ერთად. ისე დავუკარი გიტარაზე, როგორც სუფრას შეეფერება. თურქი გენერალი ეკითხება ანსამბლის ხელმძღვანელს: როგორი მომღერალია? ვთქვი, ახლა წამახალისებს-მეთქი, „თავ ძალას ატანსო“, – ლევან აბაშიძემ უთხრა ჩემზე.

ახლა კი საგალობელსა და როსტომზე მოგახსენებთ: ყველა ჩამოყალიბებული, დარბაისელი რაჭულებია, ქცევის წესით, სტუმარ-მასპინძლობით, შესრულების მანერით, ერთმანეთზე უკეთესები. ეს როსტომის დამსახურებაა უპირველესად. გოგოლა – გოგოლაძეები, გოგოლაშვილები, გოგოლაურები ყველა მომღერალი და ლოტბარია. როსტომ გოგოლაძე პირველად ჩემს ქორწილში გავიცანი. მე ბაუმანი დავამთავრე და ქუთაისში ვმუშაობდი, პოლიტექნიკურში ლექციებს ვკითხულობდი. რაიკომის მდივანმა, ვაჟა ქურდიანმა, მითხრა: რაჭაში უნდა მიბრუნდეო, – ასე დავპრუნდი რაჭაში და როსტომი და მისი ანსამბლი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. როსტომს ისეთი სიყვარული შეუძლია, შენ, რაც უნდა ეცადო, მაინც გაჯობებს. ეს ღვთაებრივი ნიჭია. ვერ გააბრაზებ, აუცილებლად ისე მოგიდგება, როგორც გჭირდება. ერთი იყო, ცხონებული გურამ მიქ-

იაშვილი, ძალიან ტკბილი პირველი ჰქონდა. რაღაცაზე გული დასწყდა და წავიდა ანსამბლიდან. როსტომმა მთხოვა: შენ გარდა არავის დაუჯერებს, პატივს გცემს და მოაბრუნეო (მაშინ კარატეს ვასწავლიდი). წავედით მე და ამირან გოგიჩაიშვილი. პურმარილი გაგვიშალეს. ბოლოს ვუთხარი სათქმელი: უნდა წამომყვე-მეთქი. არ წამოვალ, როსტომი არასერიოზული კაცია, რეპეტიციის რომ აცდენენ, იმათ პატიობს, მე კი ზოგჯერ ტყუილა მიწევს მისვლა – ვენახს ვწყდები, საქმეს ვწყდები.

ემირ ისაკაძეზე მინდა გითხრათ: სიმღერისათვის თავდადებული კაცი იყო. ყველაფერს მიატოვებდა სიმღერისათვის. ისაკაძეებს ამ მხრივ (ლიანას ნათესავია) დიდი ნიჭი მოსდგამთ.

უორა სხირტლაძეზე განსაკუთრებით უნდა შევჩერდე: ანსამბლის კოლორიტი იყო, რომელიც რაჭას დააკლდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ, ის მაინც რაღაცით გამოირჩეოდა. საერთოდ, ეს საქმე როსტომმა და უორამ ერთად დაიწყეს. ყველაფერში მუჟაითი იყო. ვერც თოხნაში აჯობებდი, ვერც სიმღერაში და ვერც ჭამაში, ვერც დალევაში. შეუდარებლად კითხულობდა ლექსებს. განსაკუთრებით გიგა სხირტლაძისას. უორა პირველ იანვარს გარდაიცვალა, გზები იყო ჩაკეტილი, ვერ მიპატიებია ჩემი თავისითვის, რომ ტყიბულამდე მოსული ვერ დავესწარი მის დაკრძალვას. უორა ისეთი იყო, ფეხით გადმოვიდოდა, არ გაჩერდებოდა, მე რომ მომსვლოდა ეს ამბავი. როსტომი კი (ჯვარი სწერია), ალბათ, 100 წლისაც არ იქნება ბებერი. უბერებელი ადამიანია. შეუძლია, პურის ჭამა იქნება თუ ქორნილი, ისე წაიყვანოს, თითქოს დადგმულიაო, სიმღერას არავის არ გააფუჭებინებს, ულამაზოდ არავის ამღერებს. თუ ვინმე ურევს, მივა, დაუდგება გვერდზე და ისე გამოასწორებინებს, თვითონ გამფუჭებელი ვერაფერს შეამჩნევს. მე, მაგალითად, ასეთ ადამიანს პირზე ხელს ავაფარებ ან საერთოდ გავაჩუმებ.

მერაბ ჩიტალაძე უნიკალური ადამიანია (ჩემს კლიპშიცაა გადაღებული), ჯერ ერთი, აქვს უჩვეულო დიაპაზონის ხმა. შეუძლია, კრინი იმღეროს, შეუძლია – ბანი. შესანიშნავი იმიტატორია. ელგებეტე-ის კანონი რომ მიიღეს, ახალდაბრუნებული ვიყავი ესპანეთიდან. მერაბი შემხვდა და მეკითხება: რავარი ცხოვრებაა, ბიჭო, იქ? – რავარია და


ყველაფერი ქუჩაში ხდება, ცოლ-შვილის წაყვანა მინდოდა და, ნეტა, მეც არ წავსულიყავი-მეთქი. – აბა, ის არის კარგი, კვირისთავში კუნელის ეკალი რომ მაქვს შესობილიო (იცინიან).

ნუგზარი მოცეკვავე იყო, რაჭაში რომ ჩამოვიდა. როსტომმა დაავლო ხელი და კარგი მომღერალი დააყენა. მე საგალობელში არ მიმღერია, ისე სულ მაგათან ვარ, მაგრამ სცენაზე არა – ეს სხვა რა-მეა, სხვა სიმალლეა. მე იმდენად ვაფასებ ხელოვნებას, რომ, სხვები-საგან განსხვავებით, არ ვიკადრებ სცენაზე გამოსვლას. ჩემი კლაპი მოგეწონათ თუ არა, არ ვიცი, მანდ რეჟისურაც ჩემია და, საერთოდ, ყველაფერი. მოყვარულის დონეზე ვმღერი. ხმა არ მომდევს, მარტო გუდასტვირზე შემიძლია სიმღერა. თავად მოვძებნე რეზო ბერაძე, სხვადასხვა სტვირს გავეცანი, ქურხულის გაკეთებულსაც. ლაშქა-რაშვილმაც რაღაცები ამიხსნა და, ჩემ ჯან-ლონეს რომ მოვარგე, ისეთი სტვირი გავაკეთებინე. ახლა გუდასტვირს მე თავად ვაკეთებ, საგალობელს რომ სტვირი აქვს, ჩემი ნაჩუქარია. შერმადინ დარჩიაშვილმა ჩემს შვილს გაუკეთა ჭიბონი, დაკვრა კი თვითონ ისნავლა. შემდეგ გუდასტვირი გაუკეთა, ისიც ისნავლა. აქ რა მოსატანია, მაგრამ ააწყო ისეთი სიმღერები ჭიბონსა და გუდასტვირზე, რომლებიც მათზე არ იკვრება, თუნდაც „ბითლზები“, ამ უცნაურმა პარალელმა ერთი ანეკდოტი გამახსენა, ოღონდ რაჭაში ნამდვილად მომხდარი: გაერომ საქართველო ცნო და წევრად მიიღო. ბენედიქტე ვაჩაძეს ძალიან გახარებია ეს ამბავი, დადის გაზეთით ხელში და სურს, ვინმეს გაუზიაროს სიხარული. შეხვედრია მძღოლი ჯუმბერიკა დვალი და იმისთვის მიუხარებია. ჯუმბერიკას კიდევ უთქვამს: რა გიხარია, ბენედიქტე ბიძია, ეგ იმასავით არის, შენ რომ რიონს მიქონდე და ხელს გვიქნევდე, – მიშველეთ, მიშველეთო, – ჩვენ კი გაღმა ნაპირი-დან გეძახოდეთ: გიცანით, ბენედიქტე ბიძია, გიცანითო.

ჩემზე „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!“ – „ვეფხისტყაოსანი“ ვიცი ზეპირად და ჩემეული მიგნებები მაქვს: ზუსტად იმ სტილში ხმარობენ რაჭველები სიტყვა „ქვეს“, როგორც რუსთაველი. წინა-პრები, როგორც მამის, ასევე დედის მხრიდან მღეროდნენ. ნახევრად იმერელი ვარ – დედა ოკრიბელი ჯინჯიხაძეა. ბაბუაჩემს საკრავი არ გაუკეთებია, უბრალოდ, კარგი ხარატი იყო. ბაბუაჩემის მამამ კი რაჭაში პირველმა ამოაშენა ჭა, კახეთიდან წამოიღო. ბაბუაჩემს ოთხელასიანი განათლება ჰქონდა, მაგრამ „გამზრდელი“ და კიდევ

ბევრი რამ ზეპირად იცოდა.

ნუგზარ ლეპანიძე – ექვთიმე გოგოლაძე ცოცხალი ლეგენდა იყო. 80-ს მიტანებული გავიცანი როსტომთან. ხელისგულისოდენა ვენახი იყო გასათოხნი და 40 კაცი ვიყავით. დაგსხედით მერე საქე-იფოდ, ისეთი სიმღერები იმღერა და, საერთოდ, ისეთი სიმღერები აქვს ნამღერი, ვნანობ, მაშინ რატომ არ ჩაიწინერე... როსტომიც ვერ აღადგენს იმას, რაც ექვთიმეს უმღერია.



ამირან კუბლაშვილი

საგალობლის პირველი თაობის წარმო-მადგენელი ვარ (იმ ათი კაცის). ჩამოვ-იდა როსტომი ჩვენს რაიონში, გაარკვია, ვინ მღეროდა, და აარჩია რამდენიმე კაცი სოფლებიდან. მანამდე ვმღეროდი სარაიონო გუნდში, ოთარ ქოქოსაძის, მერე ნათელა გოგშელიძის ხელმძღვან-ელობის დროს (60-იანი წლების ბოლო, 70-იანების დასაწყისი). საგალობელი რომ ჩამოყალიბდა, ერთხანს სარაიონო გუნდიც იყო და მალევე შეწყვიტა არსებობა. მე და ბატონი როსტომი კარგა ხანია ვიც-ნობდით ერთმანეთს და ვმეგობრობდით. 1973 წელს შეგვკრიბა და ასე ჩამოყალიბდა ანსამბლი. სარაიონო გუნდშიც, ძირითადად, რაჭულებს ვმღეროდით. იქ დიდი შემადგენლობა იყო, 60 კაცი, ქალებიც იყვნენ. რესპუბლიკური ოლიმპიადები ტარდებოდა და ხშირადაც ვიმარჯვებდით. მერე მე, ოჯახური პირობების გამო, 16 წელი აღარ ვიყავი ანსამბლში – თბილისში ვმუშაობდი. ანს-ამბლში პირველ ხმას ვამბობ. წინწყაროს მე ვიწყებდი და უორა სხირტლაძე მეუბნებოდა პირველს. რაჭულებში, ორპირულებში, მაგალითად: ქალგულო, ქალგული-ვარ ზედა ხმას ვმღეროდი (იმ-ღერეს ეს სიმღერა ამირანმა და როსტომმა, ბანი ნანა ვალიშ-ვილმა უთხრა).

მე და როსტომი ტოლები ვართ. ვაბარებდი საგუნდო-სადირი-ჟოროზე. 12 კაცი იყო კომისიაში. ვასილ მახარაძემ (ცალხელა კარგ-

მა კაცმა, ლერონი აცხონა მისი სული) დამაწყებინა გუშინ შვიდნი გურჯანელნი, მერე გადმოვიდა ჩემს ხმაზე, მე უცებ იმის ხმაზე გადავედი. შემაწყვეტინა სიმღერა. ჩემთან გადმოდიო – ხალხურ საკრავებზე, – ერმალო სარიშვილმა (იმან დამღუპა). გადავედი, მერე ისევ უკან გადმოვედი, არ მომენონა იქ (როსტომმა გაიხსენა: ერმალო სარიშვილი თავს იკლავდა – კირილე ვაშაკიძემ რა ქნა, დაა-მახინჯა ხალხური საკრავები). სოლომონ გველესიანი და ვლადიმერ ბაბილუა სახელმწიფო ანსამბლის ლოტბარები იყვნენ და აგვარჩიეს ხუთი კაცი: ომარ ჩაჩიანი, მე და სამი კახელი ბიჭი. მერე ვერც სახ-ელმწიფო ანსამბლში წავედი და დავრჩი ეგრე.

როსტომ გოგოლაძე: ამირანს აქვს შესანიშნავი პირველი ხმა, გული მწყდება, რომ აღარ მღერის. იმედს არ ვკარგავ მისი ანსამ-ბლში დაბრუნებისა.

ამირან კუბლაშვილი: რაჭული სიმღერები მაინცდამაინც არ მომ-წონს, სულ ერთი და იგივეა, ამიტომ კახური მირჩევნია (საოცარია, კახურების მაღალი რეიტინგი რაჭაში, განსაკუთრებით, მომღერ-ლებში. მიზეზი ვიცით, მაგრამ ამ დოზით?! რასაც ოდნავადაც ვერ ვიტყვით გურულებზე. სიშორით, შეუხებლობით ან სირთულით თუ აგხსნით ამ მოვლენას – ბ.ა.). როსტომი ვერ ითმენს: შენ არ იცი მაგის ფასი და მიტომ! კარლ ლინიკმა თქვა ერთხელ კონცერტზე: თურაშულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო. შენ ამერიკელი ქა-ლები მოგწონს, იმას ზესტაფონელი მოეწონა და ცოლადაც მოიყვანა.

კამათის განეიტრალებას ნანა ვალიშვილი შეეცადა: ეს თქვენშია და არ აფასებთ, უცხო გირჩევნიათ. აი, ახლა თქვენ რომ იმღერეთ, მე ხომ შეგინყეთ ხმა, ზუსტად თუ ვერა, ყოველ შემთხვევაში, არ გადამცდარვარ, იმიტომ, რომ ჩვენ ერთნაირი, ქართული (მუსიკალ-ური) აზროვნება გვაქვს. მივდევთ ერთმანეთს და ვიცით, წინადადე-ბა როგორ დავიწყოთ და დავამთავროთ. უცხოელმა, თუ არ დაიზ-ეპირა, ვერ მივა ლოგიკურ დასრულებამდე. ქართველი აზროვნებს და ქმნის. მასში სამხმიანობა, მრავალხმიანობა ზის. მრავალხმიანი აზროვნება ჩვენი გენეტიკური თვისებაა, მაგრამ მსოფლიო ისეა გა-დარიბებული, ნახეს ეს განძი და დაცხრნენ უცხოელები. ზოგმა ბი-ზნესადაც გაიხადა ქართული სიმღერა. ერთმა ინგლისელმა, მეორედ რომ ჩავედით ბრისტოლში (ანსამბლი მზეთამზე – ბ.ა), გვითხრა:

რამდენიმე წლის წინ რომ იყავით ჩამოსული და კონცერტზე თქვენი სიმღერა მოვისმინე, მისი მეშვეობით მე ღმერთი ვიპოვე... დავინ-ტერესდი ამ ქვეყნით, ჩამოვედი საქართველოში და სვეტიცხოველში მოვინათლეო. აი, ასეთი მადლი დევს ქართულ სიმღერაში.

ამირანი: ჩემი წინაპრები ყველანი მღეროდნენ. ტყიბულელმა კუბლაშვილმა ჩემი გვარი რომ გაიგო, მითხრა – შენ სიმღერა გე-ცოდინებაო. თუნდაც თერჯოლელი ვაჟა და იუზა კუბლაშვილები... მამას ერქვა გალაქტიონი, დედა კობერიძის ქალი იყო. ჩემი ექვსი დედმამიშვილი ყველა მღეროდა. ჩემი ძმა შოთა 89 წლისაა და მაინც მოსდევს ხმა. მე ნაბოლარა ვარ. ოჯახში გვქონდა: ფანდური, გი-ტარა, დოლი. მე აკორდეონს ვუკრავდი.

ბაია: მრავალი მომღერალი აღიარებს, რომ რაჭულის მღერა ძნელია, დიდ ენერგიას მოითხოვს, მით უმეტეს, ორპირული სიმღერები.

ამირანი: ჩვენთან ანსამბლში ძალიან ძლიერი ხეები იყო: უორა სხირტლაძე, ემირ ისაკაძე – ბანი. უფრო მეტად მე და როსტომი ვმღეროდით ერთად, მე პირველს, როსტომი – მეორეს. გიორგუნა მაისაშვილი და თემურიკა ჯანგიძე ერთად იყვნენ დაწყვილებული. 1988-90 წლებში დავბრუნდი ანსამბლში. საერთოდ, თუ დავჭირდებოდით, მაშინ გვეძახდნენ, არც ხელფასი გვქონდა და არაფერი... სიმღერა ისე მიყვარს, გროში არ მინდა, მაგრამ, რომ გთხოვს ოჯახი, რას იზამ. 30 წელი უხელფასოდ ვიარეთ. ბორჯომში კონფერენციაზე ვიყავი 1986 წელს. ფილარმონიაში გამოვედით, დასკვნით კონცერტზე – ოპერაში. ბოლო ნომერს – ჩაკრულოს – ერთად ვმღეროდით: წინანადალი, ფაზისი, რუსთავი, სახელმწიფო ანსამბლი. ზურაბ ქაფიანიძეს უნდა ნაეკითხა ლექსი. რეპეტიციის დროს კულისებიდან გამოდიოდა და ისევ ბრუნდებოდა. კონცერტის დროს რომ წაიკითხა, გააპო ჩვენი ანსამბლი, შუაში ჩაგვიდგა და მოგვეფერა... ისე სულ გვეძახდა: გამარჯობა, ჩემი რაჭველებო, თქვენი ჭირიმე, რაჭველებო. ვიღაცამ უთხრა: შენ დღეში ორჯერ რომ იძახი გამარჯობას, ზაფხულის დღე ხომ არა გგონია (შემოდგომა იყო, მგონი). ამათ უნდა მოვეფერო, ესენი არის ჩემი ხალხიო...

შარშანაც ჩემთან ახალგაზრდები იყვნენ: ოთარ კაპანაძე, სოფო კოტრიკაძე, თეონა ლომისაძე და ნინო ჩიტაძე. უკვირდათ: მთელი

ონი მოვიარეთ და ორი კაცის მეტი ვერ ვნახეთ, კრიხში კი რამდენი მომღერალი ყოფილაო... 90 წლის უორა ხუციშვილთანაც იყვნენ. იშვიათი ხმა ჰქონდა ამ ხნის კაცს. ისეთი ჯანმრთელი ადამიანი არ მინახავს.

როსტომი: „ცხენს ამოვდებ ავშარასა“ მაგისგან გავაკეთე...

ამირანი: ყველაზე მეტად ორ რამეზე მწყდება გული: რაჭის სოფლები რომ იცლება და ფოლკლორი ქრება. სხვავა მეორე იყო სიდიდით ნიკორწმინდის შემდეგ. მოსავლიანობითაც, „პატარა უკრაინას“ ეძახდნენ. ორი სკოლა იყო 500-ბავშვიანი. ახლა სამოსახლოებზე მგლები ყმუიან, დათვები დადიან. ამასწინაათ შემა მოგვქონდა, დაგვალამდა. ზემო კრიხიდან კარგად მოჩანს სხვავა. 12 სახლში დავთვალე სინათლე, ცრემლები წამომცვიდა. ცოტა ხელშეწყობა თუ არ იქნა, ტოტის მოჭრაზე და სარის მოტანის გამო თუ დაიჭირეს ხალხი ან დააჯარიმეს, რა გამოვა ასე...

ვიძლეროთ? – ორი კაცი რაჭულ ორპირულს ვერ იმღერებს. ექვთიმური ვთქვათ რაიმე, თუნდაც ვისაც რა უნდა უყვარდეს... მე სიცოცხლესავით მიყვარს სიმღერა და სიმღერით უნდა გავიდე ამ ქვეყნიდან (მღერიან).

დღეგრძელობა და დიდხანს სიცოცხლე გვისურვებია ამირან კუბლაშვილისათვის – ამ ტყბილი და ამოხმიანი მომღერლისათვის.

კრიხი, 2014 წელი
14 ღვინობისთვე – სვეტიცხოვლობა



როსტომ არჩვაძე

ანსამბლ საგალობლის მეორე თაობა ვარ მერაბ ჩიტალაძესა და სოსო საგანელიძესთან ერთად. პატარობიდან ვმღეროდი. ჩვენი უბნის ბავშვებს მამაჩემი შეგვკრებდა ზამთარში „ფეჩთან“ – ვინ აკორდეონს უკრავდა, მე – დოლს, მერე ექიმებს ვუტარებდით კონცერტებს, პატარა სცენა იყო იქ, ძველ საა-

ვადმყოფოში. გვჩუქნიდნენ კამფეტებს, შოკოლადებს, წელინადში 2-3-ჯერ ვმართავდით ასეთ აქციებს. მამაჩემი ექიმებს ლექსებს უწერდა ექსპრომტად... სხვადასხვა უბანშიც გვატარებდა..... ორი ბიჭი ვიყავით და დანარჩენი გოგოები, სულ – რვა. ხიდიკრის რვანწლიან სკოლაში ვსწავლობდი, მამაჩემი, ვლადიმერი, იქ მასწავლებლობდა. 1973 წელს ამბროლაურის ტექნიკურმში შევედი მექანიზაციის ფაქულტეტზე. როსტომი იყო იქ გუნდის ხელმძღვანელად და აღმომაჩინა. ჩემი მონაცემები მოეწონა, გადამიყვანა საგალობელში და იმის შემდეგ იქ ვმდერი. ორი წელი საბჭოთა ჯარში ვიყავი, ჩამოვედი და ისევ გავაგრძელე სიმღერა (ერთ-ერთ ინტერვიუში როსტომი ამბობს: სოსო საგანელიძე და როსტომ არჩვაძე თუ არ იქნებიან ანსამბლში, რა უნდა ვქნათ მათ გარეშეო – ბ.ა.). გაზაფხულიდან ისევ ძველებურად ჩავერთვები ანსამბლის რეპეტიციებში, სოსოც ჩამოვა ხოლმე თბილისიდან (მაშინ წელში გავიმართებით – რ.გ.). ნუგზარ ლებანიძე თბილისში ცხოვრობს, აქ ვეღარ ჩამოდის, არა და რა ბანი აქვს... (ამას ხმა აქვს ისეთი, სოლ ბერძნობა უკან – რ.გ.) მე პირველი ხმა ვარ, ძირითადად სოსო საგანელიძესთან ერთად ვმღეროდი, მერაბი და უორა მეორე ფლანგზე. ეგებ ვიპოვოთ ის 45-წუთიანი გადაცემა ტელევიზიით, რადიოს „ოქროს ფონდში“ იყო და გაქრა. 1987 წელს თემურ ჭკუასელმა და გოგი დოლიძემ ჩაიწერეს. ტელევიზიის კიბეზე რომ არბოდა გოგი, წამლერა ცხონებულმა ჩვენებური „მრავალუამიერო“... კუკური ჭოხონელიძე ძალიან დიდი გულშემატკივარი და მეგობარი იყო ჩვენი. ზესტაფონში, ვარინკობაზე ყველაზე მეტი ქულა მივიღეთ, ვეღოდებოდით ჯილდოს და დაავიწყდათ გადმოცემა ისე დამთავრდა კონცერტი. გადაირია კუკური: ჩემი რაჭუკები რატომ დამიტოვეთ ისეო... ბორჯომში ვიყავით და იუგოსლავიელებმა თქვეს: ამათ ჩვენ მივიწვევთო და დაინგრა იუგოსლავია... იაპონელებმა მოინდომეს ჩვენი ერთი ნამღერის ნოტებზე გადატანა, ექვსჯერ გვამლერეს, ყოველ ჯერზე სხვადასხვანაირად ვიმღერეთ და ვერ ჩაიწერეს.

მე, სოსო და მერაბი ერთად მიგვიყვანა როსტომმა ანსამბლში და სულ ერთად ვიყავით. რაჭულების გარდა ქალაქურებსაც ვმღეროდით, მაგრამ, ძირითადად, ხალხურებით დავიწყეთ. რაჭულ სიმღერას არაფერი მირჩევნია, დიდ ენერგიას მოითხოვს, ბევრი ფერხულია, ორპირულად სრულდება.

ჩემი ძმა – დევოლი – 9 წლით უფროსი იყო ჩემზე (ბიძაჩემი საფ-

რანგეთში იყო, დაცვის სამსახურში, და ისე უყვარდა დე გოლი, ჩემს ძმას დაარქვა მისი სიყვარულით). ცეკავშირის კულინარიული სასწავლებელის გუნდში მღეროდა, ძალიან ტკბილი ხმა ჰქონდა ახალგაზრდობაში... ჩემი გოგოებიც მღერიან, კარგი სმენა აქვთ. აქ ერთი კარგი მომღერალია, ანსამბლ რაშოვდას სოლისტი არველაძე. იმის შეილი თამუნა ობოლაშვილი, ჩემი შვილები და მე ხშირად გამოვსულვართ ფესტივალებზე. 4-5 წელია, რაც ანსამბლიდან წამოვედი, სამუშაოდ წავედი...

ბებიაჩემი მატრონა, მამაჩემის სიდედრი, ბოლოს ჩვენთან ცხოვრობდა. გმირი დედა იყო – ვერცხლისმედალოსანი. 109 წლის გარდაიცვალა. მამაჩემი ძალიან უვლიდა, შეკლული ჰყავდა ხელში. გიგასხირტლაძემ ერთი ფუნაგორია დაუწერა:

გამოჯანმრთელდა მატრონა,
ლადო რომ დაეპატრონა,
მატრონა ბოსტანს ლილინებს,
ლადო დაექებს პატრონას...

მატრონა 97 წლისა საავადმყოფოდან გარდაცვლილი გამოწერეს. ამოვასვენეთ შინ, ორი დღე აქ გვესვენა, მერე წავასვენეთ ხარებით მალლა. რვა შვილი ჰყავდა. ბიჭების ჩამოსვლას ველოდებოდით. უბნის მოხუცმა კაცებმა წინასწარ გაჭრეს საფლავი, ახალგაზრდები რომ აღარ იყვნენ. წინასწარ გაამზადეს ყველაფერი ხანდაზმულებმა. იმ დღეს უნდა ჩამოსულიყვნენ შვილები. ვიჩინის გამოსაყვანი კუხნა გვქონდა ძველი – ხის, ჯდიან კაცები ამ კუხნაში, მამაჩემი აივანზე არის, ბაბუაჩემი შევიდა ზალაში – დავხედავ მიცვალებულსო – და აღარ გამოდის. ცოტა ხანში იღება კარი და ბებიაჩემი გამოდის ზალიდან, მამაჩემი სათვალეს ატარებდა და გეისწორა, ვერ მიხვდა, რა ხდებოდა, მერე ფანჯრიდან შეიხედა ოთახში და ბაბუაჩემი ერმილე დაინახა გაშეშებული ტახტან და, რომ მიხვდა მამაჩემი, მართლა მატრონა იყო, გადახტა ბალკონიდან, და, რო დაიხვეტა თავდაღმართში, რიონი რომ არ ყოფილიყო, იქით მთებში გავიდოდა... ეს კაცები რომ ჭამდნენ, მატრონას კუხნიდან ხმა შემოესმა, იქვე დაინახა დოქით ღვინო გამზადებული, მოკიდა ხელი ამ დოქს და შევიდა კუხნაში, ფეხით შეაღო კარები და შეიტანა ღვინო... ფანჯარა იყო პატარა, ბესო იყო ერთი მოსული კაცი, დეტაქა ამ კედელს, გადაინგრა და

ყველა გაყვანა უკან, ტყეში გეიქცნენ ყველანი. მატრონას გოუკვირდა – აზრზე არ იყო, რა ხდებოდა. საწყალი ბაბუაჩემი აირია მერე და ორ კვირაში გარდაიცვალა. დავურძალეთ მერე იმ საფლავში – ბები-აჩემზე ნაყიდი გადასაფარებლით დავმარხეთ. ბებიაჩემმა იცოცხლა კიდევ 12 წელიწადი. ნელ-ნელა რომ მოვიდა აზრზე, მერე მოყვა: 12 წლის მერე, 20 აგვისტოს, მოვკვდებიო. ვნახეო, ჩემი სოფლელი ვანკა იაშვილი იდგა და საპონს არიგებდა. ვინც კარგ ადგილას მიღიოდა, იმას აძლევდა, იბანებოდნენ და მიღიოდნენ, ვინც გლახები იყვნენ აქეთ უშვებდაო. მე რომ შემომხედა, მითხრა: წადი შენ, მატრონა, აქედან და 12 წლის მერე, 20 აგვისტოს, მოხვალო აქაო. მატრონა იყო სხირტლაძე... და აქ ნანა ვალიშვილმა იკითხა: ეს ის მატრონა ხომ არა არის, რომლისგანაც, ანა სხირტლაძესთან ერთად, მინდია ჟორდანიამ 1962 წელს იავნანა ჩაინტერა და რომელსაც მზეთამზე ასრულებსო? ორივე როსტომმა დაუდასტურა: სწორედ ისინი არიანო, და სამივემ იქვე შეასრულა ანა და მატრონასეული იავნანა. როსტომმა (არჩვა-ძემ) გააგრძელა: ანა სხირტლაძეც აქ ცხოვრობდა. მრავალძალიდან არიან სხირტლაძები. საერთოდ, მთისკალოელებს ჰქონდათ სახლები და ვენახები აქ – სიმში. ზამთრობით იყვნენ აქ და ზაფხულობით ადიოდნენ მრავალძალში. ბებიაჩემი მატრონა მხოლოდ 4 თვე ჩაწვა. ბოლოს წინ ერთი ჰქილი ჰქონდა დარჩენილი, დადიოდა და მღეროდა:

კაკლის წვერზე შამომჯდარხარ,
კაკალს იმტვრევ კბილებში,
ვაი, შენ კი გენაცვალე
მაგ გამოხრულ კბილებში...

მამაჩემი შეხუმრებული იყო პარიკმახერებთან, მიღიოდა ხოლმე მათთან და დღმინოს თამაშობდნენ. ბებიაჩემი მატრონა მეორედ რომ გარდაიცვალა, 109 წლისა, მოვიდნენ და რამდენჯერმე აუარ-ჩაუ-არეს მამაჩემს, ეკითხებოდნენ – რა მოუვიდა მატრონას, რამ მოკლა კაცო, რა მოუვიდაო... ბოლოს ამოუვიდა მამაჩემს ყელში და მიუექსპრომტა: „ბენზინს ასხამდნენ ბაკიდან, ბებომ გაასხა ტ.....ნ“. – ბებიაჩემის გასვენებაში ხორცეულიც იყო, რაფერც თვითონ დეიბარა, ერთ-ორი სიმღერაც „მოვარტყით“... მისმა შვილებმა ასე ხან-დაზმულობამდე ვერ მიაღწიეს. დედაჩემი 53 წლისა გარდაიცვალა.

აქ არის თეთრი გიორგის ეკლესია (გვითითებს თავისი სახლის

გაღმა. იქ განისვენებს უორა სხირტლაძე – ბ.ა.), სულ სამია – ერთი კახეთში, ერთიც – თურქეთში. ჩვენი V-VI საუკუნეებშია აშენებული, კომუნისტებმა XII დააწერეს, შემდეგ გაირკვა, რომ გაცილებით ძველია. ბიძინა ივანიშვილმა დააფინანსა და რესტავრაცია გაუკეთდა. 17 ივლისს ხიმშობა იმართება. ამოდიან სასულიერო პირები, მრევლი, დიდი დღესასწაულია. ისე არჩვაძეები ფუტიეთი-სხვავადან არიან. იქ, ზემოთ, ვენახს უჭირს გახარება და აქ ადგილები ჰქონდათ არჩვაძეებს, ქვევრებიც და ზამთრისთვის აქედან მიჰქონდათ მარაგი. არჩვაძეები ონშიც არიან. თენგიზ არჩვაძე ზემო რაჭველია. ზურაბ ქაფიანიძეს და გივი ბერიკაშვილს რამდენჯერ უქეიფიათ ამ ეზოში. ხიმში თეატრიც გვქონდა – მედეა ჯაფარიძე თამაშობდა მოსწავლის როლს...

სასიამოვნო იყო როსტომ არჩვაძესთან სტუმრობა. ლამის სიცილით დავიხოცეთ. გამომშვიდობებისას ვსერიოზულდებით და კიდევ ერთხელ პირობას ვადებინებთ: გაზაფხულიდან კვლავ დაუბრუნდება ლეგენდარულ ანსამბლს და თავისი უნიკალური პირველით დაატკბობს მსმენელს. დღეგრძელობა და მზეგრძელობა გვისურვებია როსტომ არჩვაძისა და მისი ოჯახისათვის (როსტომ არჩვაძე უკვე დაუბრუნდა საგალობელს – ბ.ა.).

ხიმში. არჩვაძეების უბანი
2014 წელი 14 ღვინობისთვე – სვეტიცხოვლობა



სოსო საგანელიძე

– საგანელიძეები მომღერალი გვარია – კვაცხუთლები, კვაცხუთში, ხომ გაგიგონიათ, ქვაც კი მლერისო. ძმები საგანელიძეები – დათიკო, ერემია – ჩვენი ოჯახის განაყოფები იყვნენ. მამაჩემი – იაშა საგანელიძე – არ მლეროდა, დედაჩემი იზოლდა მაჩაიძე მლეროდა ძალიან კარგად, ბიძაჩემიც – ელგუჯა მაჩაიძეც. გუნდში არა-სოდეს უმღერიათ, უკრავდნენ ჩონგურსა და ფანდურზე, გიტარაზე,

დედაჩემი – დაირაზეც. მე თავის დროზე არ ვისწავლე, მერე კი დამწყდა გული... ბავშვობიდან ხმების გაშლა მაინტერესებდა. პირველი ხმა რას მღეროდა, მეორე,...უფრო დაბალი რას... ხშირად ვისმენდი ხალხურ სიმღერებს რადიოთი... დავიბადე 1956 წელს. პირველად ვიმღერე სულიკოს მეორე ხმა – დედამ მასწავლა, მერე თვითონ დავუკვირდი მეორე ხმას ხალხურ სიმღერაში და მრავალი სიმღერის სხვადასხვა ხმა ჩემით შევისწავლე. ამბროლაურის პირველ საშუალო სკოლაში გუნდის ხელმძღვანელი იყო გიორგი დვალი. მე არ ვიყავი აქტიური ბავშვი და გუნდში საკუთარი ინიციატივით არ მივედი. ჩემს კლასელებს ახლაც უკვირთ: შენ ჩვენთან ერთად გუნდში რატომ არ მღეროდიო?!

სკოლის შემდეგ ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკურში შევედი მექანიზაციის ფაკულტეტზე. როსტომი დიპლომის დასაცავად ემზადებოდა და ტექნიკურში უკვე ჰყავდა გუნდი, ძირითადად, მე-4 კურსელები. ომარ ტვილდიანი ქორეოგრაფი იყო. მე, როსტომ არჩვადეს (როსტომს ძალიან ტკბილი ხმა აქვს) და მერაბ ჩიტალაძეს როსტომმა დაგვიძახა და ჩვენმა მისვლამ ძალიან გააძლიერა ტექნიკურის გუნდი. ოთხი წელი ვიყავით ამ გუნდში. შემდეგ სამივე ოთარ გოგშელიძის კვარტეტში ვმდეროდით, ჭრებალოს კულტურის სახლის საესტრადო ანსამბლ ასკრიონში (ასკო და რიონი უერთდება ერთმანეთს) და ბოლოს ბარაკონში – მე, გია გერაძე, დათო სხირტლაძე, როსტომ არჩვადე.

როსტომ გოგოლაძეს საგალობლის ათი კაცი უკვე შეეკრიბა – ჯუმბერ გოცირიძე, ევლოგი მაისაშვილი, ჯუმბერ ჯოხაძე – ძლიერი ბანები. ძირითადად რაიონის ანსამბლით იყო დაკომპლექტებული – კვაცხუთლებით, ხიმშელებით, წესელებით. პირველად 1973 წლის 8 მარტს იმღერეს. მაშინ პირველად მოვუსმინე საგალობელს. მერე, როგორც ვთქვი, როსტომმა მიგვიყვანა სამნი და სულ ერთად ვმდეროდით. ხან მე ვიყავი მეორე, ხან – მერაბი, ხან ბანს ვამბობდი, როსტომ არჩვაძე უცვლელად პირველი იყო. ორპირულ სიმღერებში, ძირითადად, მე და როსტომ არჩვაძე ვიყავით ერთ გუნდში. უორა სხირტლაძე და მერაბ ჩიტალაძე – მეორეში. ორივე ძლიერი ხმა. მე და როსტომი (არჩვაძე), უფრო მოკრძალებული ხმებით, ქალაქურის მომღერლები ვართ, მაგრამ ხმები მაინც არაჩვეულებრივად ბალანსდებოდა. ხან-

დახან კონცერტებზე გაგვიცვლია კიდეც პარტნიორები. კახურებში, დედას ლევანას მრავალუამიერში მე და უორა ვმღეროდით. შეიძლება, მერაბს ვერ ემღერა – ძლიერი ხმის მოდრეკა (მელიზმები – ბ.ა.) გასჭირვებოდა, მაგრამ ორპირულ საფერხულო სიმღერებში მერაბი და უორა იყვნენ ძირითადად.

მერე ფესტივალები, გამარჯვება ქუთაისში, გელათში, ბორჯომში... ბორჯომში პირველი ადგილი ავიღეთ, ანსამბლი ძალიან კარგ ფორმაში იყო, ფურორი მოახდინა. კუკური ჭოხონელიძემ დაგვპატიჟა – როგორ მასახელეთ რაჭველებმა. იტალიაში გრან პრი მოვიპოვეთ. ფესტივალების მრავალგზის ლაურეატებიც ვართ. მეზობლებს – ლენტებს, ცაგერს, ონს – ხშირად ვსტუმრობდით. მეგობრული ურთიერთობა გვაქვს მათ ანსამბლებთან.

როსტომზე დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ რა უნდა ვთქვა ისეთი, რომ მისი ღვაწლი სრულად წარმოვაჩინო? ზოგჯერ რეპეტიციაზე ბიჭები ეტყოდნენ: მოდი, როსტომ, სხვა კუთხის სიმღერები ვისწავლოთ – არ მოსწონდა ზოგს ეს უძველესი რაჭული „დოუმთავრებელი“ სიმღერა, თუნდაც ახლა რომ გააკეთა – ძველი ლიხეთური მაყრული. როსტომი ეუბნებოდა: თქვენ გაჩერდით, მე ვიცი, რასაც ვაკეთებო. ჯერ შენი კუთხისა უნდა ისწავლო და მერე – სხვისაო. საკონცერტო პროგრამა სხვაა, საფესტივალო – სხვა. თბილისში რომ მიგინვევენ, პირველ რიგში, რაჭული სიმღერა უნდა შეასრულოო. ძალიან მადლიერი ვარ როსტომის: შეინარჩუნა რაჭული სიმღერა, აღადგინა და დღესაც ეძებს. როსტომს მხარში ედგა გურამი ვაჩაძე, ეს დიდებული, ლეგენდარული პიროვნება. ისე ესმოდა სასიმღერო ფოლებორის ნიუანსები, ბევრ მუსიკოსს შეშურდებოდა. გურამი ვახსენე და რამდენიმე სიტყვას კიდევ ვიტყვი მასზე: ძალიან ერუდიორებული კაცი იყო, ყველა დარგსა და სფეროში ერკვეოდა. ის რომ ადგებოდა და სადლეგრძელოს იტყოდა, ყველა ჩუმდებოდა. ლენტებში ჯოკია მეშველიანის საღამოზე ვიყავით. იქ გურამია ისეთი სიტყვა თქვა, მაყურებელმა ოვაცია გაუმართა. იშვიათი თამადა იყო. სამწუხაროდ, მისი ნააზრევი, ნათამადარი დაუფიქსირებელია. იმედია, მომავალში მის არქივს ვინმე მიხედავს. ლოტბარებისა არ იყოს, დღეს საქართველოში თამადების დეფიციტია. გურამ სულთანიშვილი გვყავს კიდევ კარგი თამადა, მეღვინე

კაცია, სიმღერაც კარგი იცის. ზაზა დვალის ქორწილში მამუკა ხაზარაძე თამადობდა. გურამ სულთანიშვილმა ისეთი სადღეგრძელო თქვა, მერე მამუკა ალავერდს სულ მასთან გადადიოდა... და კიდევ ერთი: დღეს ძალიან პოპულარული ტაში, ბოშო, გიორგუნა, პირველად ჩვენმა ანსამბლმა შეასრულა. გიგა სხირტლაძემ დაწერა ტექსტი, ცეკვა დათუნიკა სხირტლაძემ დადგა. მერე თბილისში როკვაშიც დადგა დათუნიკამ ეს ცეკვა. პირველად საზღვარგარეთ 2002 წელს ვიყავით – ზედიზედ ორჯერ იტალიაში. მერე მე, მერაბი და როსტომი (არჩვაძე) შევურთდით ბოლნისის ანსამბლს, ჩვენი ახლობელია იქ ქორეოგრაფი და გვთხოვა, ფესტივალია თურქეთსა და ესპანეთშიო... ასე რომ, ბოლნისის ანსამბლშიც გვიმღერია.

როსტომს ოჯახისგან, მამისგან, მოსდეგამდა ყველაფერი. ექვთიმე ყველა ხმას მღეროდა, უფრო – პირველს. ის და მისი ცოლი აგრაფინა რომ იმღერებდნენ, მოსმენას არაფერი სჯობდა... მრავალი სიმღერა გადაარჩინა ექვთიმემ, რამდენის ჩაწერა როსტომმა ვერ მოასწრო. ადრე ძნელი იყო, ახლა ტექნიკა არის, მაგრამ თითო ფრაზა, თითო მუხლია საძებარი ხალხში, თუ ახსოვს ვინმეს რამე, ეგებ გადაარჩინო... რაც შეინარჩუნა, ესეც როსტომის დიდი ძალისხმევით მოხდა. მის გარდა ამას ვერავინ გააკეთებდა, რამდენ სირთულეს გაუძლო, უხელფასობისა და გაჭირვების პირობებში, მაინც შეინარჩუნა ანსამბლი. საპედინეროდ, ცოლიც მომღერალი შეირთო, შვილებიც ხომ მღერიან და ტრადიცია გრძელდება.

მთლად სერიოზულად ვერ დავამთავრებ, ცოტა სასაცილო ამბების და კურიოზების გახსენებაც შეიძლება: ერთხელ დიდი კონცერტია – ფინალში ვმღერით ჩაქრულოს, ხალხი ფეხზეა ამდგარი, მთავრდება უკვე. მეორე მუხლში უცებ ტექსტი დამავიწყდა, ასეთი რამ არასოდეს მომსვლია, – „მუხრან ბატონის ყმობითა ფქვილი ვერ დავდგი გოდრითა“, – უნდა ვთქვა და გადავედი პირდაპირ ფინალის შეძახილზე – „მტერო, დამჩაგრე, არ ვსტირი“... რა თქმა უნდა, სპეციალისტები მიხვდებოდნენ, ბატონ ანზორსაც ჩაეღიმა...

ერთხელ ფესტივალი იყო ჯანსულ კახიძის დარბაზში. ბატონმა ანზორმა ისურვა: სოლისტები დავმდგარიყავით წინ და ერთად გვემდერა. დაინტებდა ფაზისი, მერე ბათუმის ანსამბლი და ა.შ. მე და მერაბი ვმღეროდით პირველ-მეორე ხმას. ყველაზე მაღალი შემო-

ბრუნება ჩვენ მოგვიწია – აპოთეოზი, მერაბი ისე მაღლა ავიდა, გაშტერდა ხალხი... ძალიან გამიჭირდა მეორის თქმა, სულ სიმწრის ოფლი მასაშამდა. და ამ დროს პირველი რიგიდან გვესმის მერაბის მიმართ ნათქვამი: რა ხმა ამოდის ამ დედა.....ო. კონცერტის შემდეგ მერაბმა „გაურჩია“ საქმე: აღტაცებულმა სხვა ვერაფერი მოვიფიქრეო, – თავი იმართლა მაგანმა და... შერიგდნენ.

რეინიგზელთა სახლში 2002 წლის გაზაფხულზე ფოლკლორის ცენტრმა რაჭული სიმღერის საღამო გამართა. მზეთამზე რაჭველ ქალთა რეპერტუარს ასრულებდა. როსტომ არჩვაძემ დალია სადლაც, არ უნდა გამოგვეყვანა, – კარგად ვარო, – და მაინც ჩადგა ანსამბლში. მე და მერაბს გვიჭირავს აქეთ-იქიდან. დაიწყო სიმღერა და „ო, ოო-ს“ ნაცვლად „ჰე, ჰე...“ თქვა. გავიყვანეთ და დავტოვეთ კულისებში. მიუხედავად ამისა, კონცერტმა ძალიან კარგად ჩაიარა, მზეთამზე შესანიშნავად შეასრულა რაჭული სიმღერები. მაყურებელი აღტაცებაში მოიყვანა პატარა მსახიობების ნარმოდებენილმა „დარისპანის გასაჭიროა“ და დარისპანის როლის შემსრულებელმა შვიდი წლის ნიკა გაგნიძემ (ბონდო გაგნიძის შვილიშვილმა), ქეთი თუშიშვილმა და სალომე ბერდიანიშვილმა. მოკლედ, ძალიან ლამაზი და დასამახსოვრებელი საღამო იყო.

როსტომმა იტალიაში ნამოილო გასაყიდად ფორჩხი – ხის რაღაც ნაკეთობა. ემირს სუვენირად ხანჯლები ნამოელო და უცებ გაყიდა. როსტომის ფორჩხი დევს. ერთი წერტულგაშიანი კაცი მოვიდა, უტრიალა, უტრიალა, მისცა 50 ევრო და წაიღო. ვერაფრით მივხვდით: ან რა მოენონა, ან რაში სჭირდებოდა, ბევრი ვიცინეთ. გოჩა ფარულავამ თავისი ნაკეთი რაღაც ჩარჩო ნამოილო. ფესტივალის დღეებში ჩვენ სკოლის შენობაში ვცხოვრობდით და სასადილოდ სხვა შენობაში გადავდიოდით, გოჩამ იქვე დადო ჩარჩო – მერე ნავიღებ, იქნებ გაიყიდოსო. დავბრუნდით და ალარ დაგვხვდა – ნაგავისთვის გაეტანებინათ.

დასასრულ: უსაგალობლოდ ერთხელაც არ მიგრძნია თავი, ახლაც ანსამბლში ვარ და, როცა სჭირდებათ, გვერდში ვუდგავარ – ფესტივალია, ჩაწერა, გადაღება თუ ტელევიზიით გამოსვლა. ღმერთმა დალოცოს როსტომ გოგოლაძე და მისი უკვდავი საგალობელი.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
19.05.2014



დემნა მიქიაშვილი (1964–2014)

2014 წელს მეთხუთმეტე წევრი გამოაკლდა საგალობელს. ემირ ისაკაძის გარდაცვალების ტკივილს დემნასიც შეემატა. წარმოშობით მიქიაშვილები მოტყიარიდან არიან. ვინ იცის, როდის საკეციაში ჩამოსახლებულან და იქ დაუმჩნევიათ წარუშლელი კვალი მიქიაშვილთა მომღერალ გვარსა და ოჯახებს. სიმღერა უშუალოდ მამამ ას-ნავლა – გურამ მიქიაშვილმა – იშვიათმა პირველმა ხმამ. შესანიშნავად მლეროდნენ ბაბუა სიმონ მიქიაშვილი და დემნას მამიდები. იცოდნენ, მოსდგამდათ, ემლერებოდათ და მლეროდ მიქიაშვილთა დიდი ოჯახი. ასეთ დროს პატარა დემნას მუდმივი ადგილი მამის მუხლებზე იყო. დედის – იზო ჯონაძის (ამბროლაურის №1 სამუალო სკოლის პედაგოგი) – მოდგმამაც დიდი როლი ითამაშა: ბებია ვარობიჭებილი კვაცხუთელი ბიჭაშვილების შთამომავალი იყო – გრიგოლასი, ბუდუსი... გენეტიკურმა კოდმა კარგად იმუშავა, თავისი გაიტანა და დემნაშიც იჩინა თავი – მამასავით ისიც ჩამოყალიბებული პირველი ხმა გახლდათ.

გუნდურად მლერის ჩვევას ამბროლაურის პირველ სკოლაში ირინე ჩიხრაძესთან ეზიარა. სტუდენტობისას ტექნიკური უნივერსიტეტის ვაჟთა კაპელაში მლეროდა იუზა კუბლაშვილის ხელმძღვანელობით. კაპელაში სიმღერამ კიდევ უფრო დაუხვენა ხმა და, როგორც თავად ამბობდა, კიდევ უფრო ჩასწვდა ხალხური სიმღერის სიღრმესა და საიდუმლოს.

განსწავლის წლების დასრულების შემდეგ ისევ მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა და 1990 წლიდან საზოგადოებრივ საქმიანობას საგალობლის წევრობაც შეუთავსა. 2002 წელს ქალაქ ამბროლაურის პირველ მერად დემნა მიქიაშვილი დაინიშნა. თორმეტი წელი ილვანა ამ სფეროში. სწორედ მისი მერობისას ჩაეყარა საფუძველი ამბროლაურისა და იტალიის ქალაქ მაგრელიოს მეგობრობას, რომლის შედეგი იყო საგალობლის პირველი გასვლა უცხოეთში. დემნა მიქიაშვილი თავად იყო იტალიაში და დიდი წვლილიც შეიტანა ამ

ლონისძიების ორგანიზებაში. სწორედ ამ პირველ გასტროლს მოჰყვა იმავე წელს საგალობლის ხელმეორედ იტალიაში მიწვევა და კუნარ-დოს საერთაშორისო ფესტივალზე გრან პრის მოპოვება.

ულმობელმა სენმა ოჯახით, შვილებითა და სიმღერით ტკბობა არ აცალა. დიდხანს ებრძოდა, მაგრამ ვერ მოერია. აუგი თვით სიკვდილის მიმართაც არ დასცდენია. მამის სიცოცხლე შვილებში – გურამსა და ხვთისოში – გრძელდება. ღვთის წყალობით, სიმღერის ნიჭი და მადლი წინაპრების შესაფერისად დაჰყვათ, მის გაფურჩქვნასა და გაძლიერებაზე კი დედა – მაია კობახიძე იზრუნებს – ნიკორწმინდიდან წასული კვაცხუთელი კობახიძეების შთამომავალი. კვაცხუთს კი სიმღერის სხვა ანდამატი და მიზიდულობა აქვს. გამრავლდნენ და გაიხარონ სიმონ, გურამ, დემნა მიქიაშვილების ჯიშმა და მოდგმამ.

დემნა მიქიაშვილი მშობლიურ საკეციაში განისვენებს. უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს მის ლამაზ სულს.

P.S. ბიოგრაფიული ცნობების, ფოტო და ვიდეომასალების მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით დემნა მიქიაშვილის მეუღლეს – მაია კობახიძეს.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
24.12.2014



საგალობლის პირველი შემადგენლობა, 1973 წ., ტელევიზიით გამოსვლისას.



საგალობელი, 70-იანი წლები (ომარ ტვილდიანი მარჯვნიდან მეორე).



ანსამბლი საგალობელი. XX საუკუნის 80-იანი წლები.



სახალხო დღესასწაული ფუძეობა – 1988.



საგალობლის წევრები (მარცხნიდან): არჩილ მაისაშვილი, მერაბ ჩიტალაძე,
ჯემალ მაჭანკალაძე, როსტომ არჩვაძე, ეგული სოხაძე, მარლენ მკერვალიშვლი



თემურ ჯანგიძე, შერმადინ
კერესელიძე, გიორგი მაისაშვილი.



ჟორა სხირტლაძე,
ნანა მაისაშვილი-სხირტლაძე



ბუდუ გრიგოლის ძე ბიჭაშვილი
(საგალობლის წევრი).



იური მაჭანკალაძე
(საგალობლის წევრი).



ჯუმბერ ჯოხაძე
(საგალობლის წევრი).



ვალუშა ჯაფარიძე
(ხიდიკრის ანსამბლის წევრი).



გორია ფარულავა
(საგალობლის წევრი).



დათო სხირტლაძე
(საგალობლის წევრი).



ცახი – ეგული სოხაძის ჩანერისას (2014).
ეგული სოხაძე, ბაია ასიეშვილი, როსტომ გოგოლაძე, ნანა ვალიშვილი.



ჟორა სხირტლაძე, მერაბ ჩიტალაძე, როსტომ გოგოლაძე.



გურამ ვაჩაძე – საგალობლის 40 წლის იუბილე.



იტალია – კუნარდოს საერთაშორისო ფესტივალი.



საგალობლის 40 წლის იუბილე (2012 წელი).



საგალობლის 40 წლის იუბილე (2012 წელი).



მარცხნიდან | რიგი: ვლადიმერ გოგოლაძე, ვლადიმერ ჯოხაძე, შამშე ჩიტალაძე, მერაბ ჩიტალაძე, დავით ნატმელაძე, როსტომ გოგოლაძე;
|| რიგი: ვეფხია გვიშიანი, პაატა პატარიძე, დათუნიკა სხირტლაძე,
ლევან მახალდიანი, ამირან გოგიჩაშვილი; ||| რიგი: თეიმურაზ გოცირიძე,
დავით სხირტლაძე, დავით მაისაშვილი, ჯემალ მაჭანკალაძე (2015).

ზიარების სანახოდან გეზელიას სანახოდა

რაჭაში, ორივე ექსპედიციის დროს, ვისთანაც მივედით, ვინც ჩაეწერეთ, ყველა სანახოელი იყო, შეუახნის მომღერლებიც კი. ამ-დენად, შემთხვევითი არაა მათ მიერ სანახოებისა და ღამისთევების ტრადიციების დეტალების გახსენება. სწორედ სანახოზე აიდგა ფეხი მრავალმა სახელოვანმა მომღერალმა, რომელთაც უდიდესი ამაგი დასძეს რაჭულ სიმღერას. სანახშო ზოგადქართული მოვლენაა, საქა-რთველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვაგვარად სახელდებული: საფეხვნო-საფიხვნო – ხევსურეთში; ერობა-საბჭეო – ხევში; საანჯომ – თუშეთში; ოღინდალე – ლაზეთში; სანახშო, სამახშო-საკაცებო – რაჭაში. ანგარიშგასაწევი მოსაზრებაა: სანახშო სამახშოს ფონეტი-კური სახეცვლილება ხომ არ არის? სამახშო-საკაცებო, მართლაც, გავრცელებული ყოფილა მთელ რაჭაში, თუმცა, სანახშო სამახშოსაგან დანიშნულებით იმდენად განსხვავებულია, რომ მას ცალკე არსებობის უფლება ნამდვილად აქვს. ზეპირი გადმოცემების გარდა, სანახშოზე ყველაზე მეტი ინფორმაცია გაზეთ რაეოში მოვიპოვეთ. გაზეთის თითქმის 25-წლიანი მატიანე მოიცავს უამრავ ცნობას, დეტალს, მა-სალას, მოგონებას, რომელთაგან განსაკუთრებით ორს გამოვყოფთ: ზურაბ ქაფიანიძის „სანახოს“ (რაეო, 1993:06) და ჩვენ უკვე ნახსენებ გიგა სხირტლაძის „დღე გუშინდელს“ (რაეო, 1999–2001). ზურაბ ქაფიანიძე სანახშოს ზოგად სურათს ხატავს, გიგა სხირტლაძე კი, ხეობების, სოფლების, ფოლებორის დარგების მიხედვით, სხვა ყოფით მოვლენებთან კავშირში, პროფესიულად აანალიზებს.

ვრცელი ამონარიდი ზურაბ ქაფიანიძის წერილიდან: „სანახშოს რაჭაში სოფლის თავშესაყარ ადგილს ეძახიან, სოფლის შუაგულშია, დიდი ხის ქვეშ, დიდი სკამითა და შესაფერისი ფართობით, დასუფ-თავებული, დაგვილი და მოვლილი. ათასწლეულებიდან მოჰყვებოდა სოფელს სანახშო და დიდი მნიშვნელობაც ჰქონდა. სანახშო იყო სოფლის სახე. ამ სახეში შედის მისი მორალი, მისი ადამიანები, სამ-შობლოს სიყვარული, მტრის სიძულევილი, ეკლესიის, მეზობლობის, მეგობრობის, ერთმანეთის, ერთი სიტყვით, კაცობრიული ყველა სიკ-ეთის რწმენა. ეს იყო უზენაესი ადგილი ჭეშმარიტებისა, სოფლის მომწესრიგებელი ყოველნაირი მორალით. სანახშო იყო გადასაცემი

ადგილი ქართველთა უბრძნესი წინაპრის სიმღერებისა და ცეკვებისა, ცხოვრების ორომტრიალიდან ამოკრებილი სიბრძით, ჭკუით, გონებით სავსე ზღაპრისა, მთვარეზე მიჭყიტებული ბორბალა. ბიჭუნები ვისმენდით სანახშოს ამ ხმებს და სისხლს გვივსებდა დედა ენაზე ნათქვამი სიბრძნე. სოფელი გლოვობდა ხოლმე, მაგრამ ორმოცი დღის შემდეგ გამოვიდოდა მგლოვიარე ოჯახის უფროსი სანახშოზე და გამოუცხადებდა სოფელს, გაეგრძელებინა მხიარულება (ხევში ამას თოფის ხმის გატეხას, ხევსურეთში კი ლხინის გატეხას ეძახიან – ბ.ა.). ყოველ სააღამოს მღეროდა და ცეკვავდა ხალხი, ღარიბი, მაგრამ მხიარული იყო სოფელი. სანახშომ ძალიან კარგად იცოდა სოფლის თავკაცი, იცოდა უფროსი, უმცროსი, ქალი, კაცი, ბავშვი, წესი და რიგი. მთვარიან ღამეში მომღერალი და მოცეკვავე ხალხი მოზარდებს მიგვიწვევდა. მიუხედავად იმისა, რომ გუნებაში ყველას გვინდოდა ცეკვა, მაინც გადავფიჩინდებოდით სირცხვილისაგან. უფროსები შეგვაგდებდნენ წრეში, გაშლილი ხელებით კედელს გააკეთებდნენ. რაკი შუაში მოექცეოდი, შენც უნებურად შლიდი ხელებს. კარგად იყო თუ ცუდად ორივე აღტაცებას იწვევდა. სოფელში ხომ ყველანაირი ხალხია – „ზენიერიც“ და „ქვენიერიც“, მაგრამ, ღვთის მადლით, ზენიერი სჭარბობდა და მით წესრიგდებოდა ყველაფერი, ყველას ენაღვლებოდა ერთმანეთი. სოფელს ქუდი ჰქონდა, ქუდი ეხურა“. და დიდი მსახიობის ვედრება და სურვილი: „ღმერთო, შენ დააყენე სოფელი ფეხზე, გაუცოცხლე სანახშო და დაახურე სოფელს სოფლის ქუდი“.

გიგა სხირტლაძისეულ თხრობას ზეაწეული ტონი და აღმატებითი ხარისხი გასდევს. მართალია, ყოველი ამბის ასპარეზი მიწაა, მაგრამ ეს ქართველი (რაჭველი) კაცის სულის ის სინერგიული მდგომარეობაა, როცა მიწას სწყდება და ცას უერთდება: „ათას მეხ-თატეხას შერკინებული ციხე-კოშკები, ტაძარ-სალოცავები, დაღლილ-დაქანცულნი ისტორიის ჩრდილებში მიწოლილან და თვლემენ, მაგრამ ფხიზლობს სიმღერა, ცეკვა, ლექსი, ჩუქურთმა... ქართველის ყოველდღიურ თუ მარადიულ ცხოვრებას რეფრენივით სიმღერა გას-დევს – მზეს ადიდებს თუ იავნანა მოყაისნაღობს – აკვნის მითუ-კუნის საგალობელს რძის სუნი ასდის. დაჭრილი, მკერდდალენილი მიწა... მეხმლე მისი მაინც მღეროდა მარადისობის საგალობელს.“...

ასე ბევრი ვერ წერს და არ წერს. სწორედ დღე გუშინდელის მუხტი აკლია დღევანდელობას, ისტორია კი მომავლისათვის იწერება და არა წარსულისათვის. კლუბ-სამკითხველობის ეპოქაც კი ერთობ საინტერესოდ, კალმის ოსტატური მოსმითაა დახატული: „კლუბ-სამკითხველოს საქმეს რა დაულევდა. აქ აუდერებული ხალხური ჰანგები სანახმოებზე ჭეშმარიტდებოდა მასობრიობით, და პირიქით, სანახმოს რიტმი თანდათან ზუსტდებოდა და მაღლდებოდა კლუბის ლხინიანი ჭერის ქვეშ. გამარჯვებული კაცის წილხვედრია ლხინი, მოზეიმეთა ცეცხლოვანი ცეკვა ნაცვლია, მონაცვლეთა ჯიქურ მიხტომით, სახელდახელოდ ჩაჩუქურთმებულ-ჩაგვირისატებული „ფიგურები“ მოსაწონარი ყოველთა, სამთავაროზე განვალოული რაშოვდა და რაეო, მაყვლის თვალების კუნაპეტი სანახმო წიგოზის უზარმაზარი ქოლგის ქვეშ, ჩატქვირებული გოგოების იდუმალი ტკვარცალი ლამეულ ბინდში – მაყრულის კბილის მოსინჯვა, საშაბათკირეოდ ნეფე-დედოფულის მოსაკალმად. დიდად აფასებდნენ მოცეკვავეებსა და მომღერლებს, დასაფასებლები კი მართლაც არიან ეს დალოცვილები: ლხინი და გართობა სულის სარჩო იყო მათი და ფინანდაზად უფენდნენ ყოველგვარი გასამრჯელოსა და სასყიდელის გარეშე სხვათა და სხვათა. ხანდაზმულ ადამიანებს კარგად ახსოვთ „გრანდიოზული“ სანახაობების მასობრიობა, ანუ ნათელი ანარეკლი სანახმოებისა, მთვარიანი ლამეების ეს იშვიათად შემკული ეშიანი ხატება, ყველა სოფლის საპატიო სტუმარი გახლდათ, შრომასა და გარჯას ნაირფერებით რომ აყაისნაღებდა“.

შეუძლებელია, გულგრილი დარჩე და დღე გუშინდელში გვერდი აუარო სანახმოს ერთგვარ სახეობასა და გაგრძელებას – ამბროლაურის ბაზარს – ამბროლაურის თეატრონს – მესტვირეთა სანახმოს. ქვემორაჭველი განთქმული მესტვირების სრული სია, გვარ-სახელები აღუნუსხავს თავად უბადლო მესტვირის – გიგა სხიოტლაძის კალამს. მზამზარეული გვებომა და ასევე გთავაზობთ: „პირველი მესტვირე რაჭაში ყოფილა ფარახეთელი დათა ბურდილაძე. მას მოუტანია ქართლიდან ფარახეთში სტვირი და მესტვირული სიმღერა. ფარახეთელი მესტვირებისაგან განთქმული ყოფილან ბურდილ-აძეები: დათა, სესიკა, ფირანა, გრიგოლ, ზაქარია, შიუნა, მიხეილი, გაბრიელი, ვანია, დევლეთა, ალექსი, თაზია, სვიმონა, წყალობა, მა-

თია, ნესტორა, იაკოფა, პეტრია, კიკოლა, ბიჭია; მაგრაქველიძეები: გიორგი, შაქარა, იოსება, სტეფანე; ტაბუცაძეები: მიხეილა, ბეჟანა; ერააძეები: რევაზა, ნიკო, პავლია, ოქრუა, სტეფანე, კიკოლა, ბათლომე, ზაქარია, გლახუა, თედორე, მაქსიმე, გრიგოლა, იოსა, მინა; ტოვონიძეები: ვანია, სოსია, გერასიმე, სვიმონა, იესე, კაკო, პავლია, ლუკია, სოფრომა, ნესტორა, ზაქარია; ჩილვინაძეები: სოსო, გიორგი; მიხეილა გელბახიანი.

რაჭულ ფოლკლორს შემოუნახავს ლეგენდა რაჭული გუდასტვირისა, მისი შექმნისა და იმ გვარისა, რომელმაც პირველმა ჩაპერა წიქარას „მოლოპილ“ რქას. მკითხველისათვის საინტერესო იქნება ამ ლეგენდის გაცნობა.

ლეგენდა რაჭული გუდასტვირისა

ობოლი მწყემსი ვიყავი,
ტლუ ბიჭი, ენა ძვირია,
რქა მოელოპა წიქარას,
მით გავაკეთე სტვირია,
დავატკბე ტყე და მინდორი,
მთები, ხევები ხშირია,
ავათამაშე ნახირი,
გულს გადვიყარე ჭირია.

ხალხურიდან

არაბული ხანა იდგა მაშინ მთელს იბერიაში, „შავ ჭირად“ წოდებულ მოძალადეებს დაეხარკათ ყველა დაბა, ქალაქი და სამთავრო. ქვეყანა გმინავდა ხალიფას მიერ გათამამებულ მძარცველთა უდელქვეშ. მხოლოდ უდაბნოებში წარმატებებს დაჩვეულ მოლაშქრეებს ჯერ კიდევ ვერ გაებედათ რაჭის მთიან-კლდოვან ბუნაგებში მორჩინილი ერისთავების დარბევა, რომლებსაც ქუდზე კაცი გაეყვანათ,

ციხესიმაგრებში ჩაეყენებინათ და დუშმანის ყოველდღიურ მოლო-დინში იყვნენ. სოფლებში მცირენლოვნები და მოხუცებილა დარჩე-ნილიყვნენ: ვაჟკაცი მწყემსები ბრძოლაში გამოუცდელ ყმაწვილებს შეეცვალათ.

იმ დროს ჭუთხაროს ალპებზე ერისთავის ნახირს აძოვებდა ვინმე ზემოური ბიჭი. ის მარტოდმარტო, კომბალმომარჯვებული თავს ევლებოდა ჯოგს, იცავდა და ბალახს ურჩევდა. ხუმრობა ხომ არ იყო, ვაჟკაცები ამ დალოცვილი მიწა-წყლის დასაცავად იყვნენ დასადარებული და ამოდენა სიმდიდრეს ხომ მოვლა ეს-აჭიროებოდა. მარტოხელა ბიჭი ყურს მიუგდებდა ხოლმე ფრთო-სანთა გალობას, ჩანჩქერთა ჩხრიალს, მთების იდუმალ გუგუნს და ტკბებოდა, მუსიკალურად ალიქვამდა, თანაც სულ იმას ნატრობ-და: გამოეგონა რამე დასაკრავი, ეს ხმები ზედ ჰარმონიულად შეერწყა, მიებაძა ამღერებული ბუნებისათვის, თავიც გაერთო და ცხოველებიც... და, აი, მიეცა შემთხვევა – ხარები დაეჭიდ-ნენ ერთმანეთს. ძლიერმა დაჯახებამ წიქარას რქა მოალოპა და მზით დასხივებულ მწვანე ბალახზე მომხიბლავად აპრიალდა. დაენანა, მიამიტად ხელში აიღო, სული ჩაბერა და ყრუ, სტევნის-მაგვარი ხმა გამოსცა, იფიქრა: ამას რომ წვერი წავაჭრა და ყუნ-წიდან ჩავბერო ნამდვილად ამღერდებაო და ასეც მოიქცა. რქამ გაბმული სტევნა მორთო, მაგრამ ძალუმი ჩაბერვა სჭირდებოდა. მაშინ მურთხის ფრთა გადაჭრა, ღეროთი ჭრილი ამოავიწროვა, ნაკლები ჩაბერვით უფრო საამო სტევნა გამოსცა... ერთხანობაზე ასე უკრავდა, თანაც მარჯვენა ხელის თითები ხის ჩაღუნულ სი-გლუვეზე დაეწყო და რიტმულად ათამაშებდა. ამასობაში აზრად მოუვიდა, რა მოხდება, რომ თითების ადგილას ხვრეტილები გა-ვაკეთოო?! პირველი ხვრეტილი რომ გააკეთა, იქიდან ამონადენი ხმა აისის ფრთოსანთა უივილ-ხივილს წაამსგავსა, მეორემ მთასა-ვით წაიბუნენა, მესამე – ბროლის ჩანჩქერთა კლდიდან მსხვრევის ჩხრიალს ადარა. ამგვარად, შეირწყა ეს ნანატრი ხმები. უკრავდა მთელი გატაცებით, დაკვრისთანავე შორ-შორ გაფანტული ჯოგი და ნებიერები ამ უჩვეულო უდერას თავაწეულები უსმენდნენ, მო-ზარდები ლალად კუნტრუშებდნენ. მუსიკის ტალღებში გახვეულ ჯოგში ირმებმა, შვლებმა, ჯიხვებმა, ნიამორებმა და არჩვებმაც

კი იწყეს შესვლა და შინაური ცხოველების სიამოვნებას იზიარებდნენ.

ამრიგად, ეს ობოლი ბიჭი დღენიადაგ უდანაკარგოდ მწყემსავდა ნახირს... ერთხელაც შვლის ტყავის გუდა მოიხსნა, ხორავი ამოალაგა და გვერდით მოიდო თუ არა, ქარმა გაბერა, გაიტაცა. ის იყო, ნაპრალში უნდა გადაეფრიალებინა, რომ ყელში ხელი წავლო და გაბერილმა გუდამ ნაფეხურებიდან ჰაერი ფშუტუნით ამოუშვა. მაშინ მოუვიდა აზრად: თუ ნაფეხურში რქას ჩაამაგრებდა, იქიდან დაწოლით ამონადენი ქარი მას აახმიანებდა. ამ აზრმაც საბოლოოდ გაამართლა. ცალ-ცალ ნაფეხურაში რომ რქა ჩაამაგრა, მეორეში ღრუიანი ბალახის ღერო-მასრა. მასრიდან მუდმივ ჰაერს უშვებდა პირით, გუდაზე მცირე დაწოლით საკრავი გაბმულად ღილინებდა. მერმეთ თავისუფალი პირით გუდაში ნადები ბგერებიც კი შეუხმატებილა და ომახიანად დამღეროდა წიქარას რქაზე...

ტკბილზე ტკბილი, ჯერ არსმენილი ჰანგები ეფრქვეოდა ჭალარა ჭუთხაროს ხედებს, ჰანგები იგი მთიდან მთამდე გაჰქონდა წყნარ ნიავს და მთისელ კავკასიონის მთაგრეხილებს ესალბუნებოდა, ხევებში ღელე-ნაკადულთა ლივლივს ნარნარად ერწყმოდა, მათგან მადლუხუნის მდინარე აიტაცებდა ბარისაკენ და ერისთავების სასახლეს საამოდ ეფინებოდა.

...წავიდა იგი ერისთავთ ერისთავი ჭუთხაროს. საჯოგეს მიუახლოვდა თუ არა, მთელის სიამოვნებით აღიქვა უჩვეულო მუსიკალური ჰარმონია. მოხიბლა მუსიკის ხმაზე აცეკვებული შინაური და გარეული ცხოველების ხილვამ... ნაბადნამოსხმული მენახირე ტლუბიჭი უზარმაზარ ლოდზე დგას, იღლიაში მოხდენილად გუდა ამოუჩრია, წინ გაშვერილი რქა ხელთ უპყრია და თავდავინყებით უკრავს და უკრავს, თანაც რაჭის ბუმბერაზი მთებივით მგრგვინავი ხმით დამღერის. მწყემსმა გვიან შეამჩნია მხლებლებიანი ერისთავის მოსვლა, მყისვე ჩამოხტა და თავდახრილი დადგა დიდი ბატონის წინ.

– ე რა ბიჭი ყოფილხარ? ე ერა შტვირი მოგიგონებია? – ვერ დაფარა განცვიფრება დიდებულმა, – ყოჩალ!!! – შეაქო ჭაბუკი და დასძინა: შენ იქნები ჩემს სასახლეში მესაკრავეთუხუცესი!!!

...და მოსწყდა მენახირე-მესტვირე მრისხანე ალბური მთების

სილადეს, სამაგიეროდ, სასახლის ეზოს ჩასასვლელთან დაუდეს ბინა-სამყოფელი და ყოველ ცისმარე დღეს მღეროდა ეს მაღლობი. გამოდიოდნენ ერისთავნი და სტუმარნი მათნი სტვირული სიმღერის სასმენად და შვლების, ირმების კუნტრუშ-თამაშის სამზერად. მღეროდა კლდის გარინდული ქიმი წარმტაცი რაჭის აისისა და დაისის საგალობელს...

ერა ბიჭი იქვე დაოჯახდა, შეეძინა ორი ძე, რომელთაც მუსიკის უბადლო ნიჭი თან დაჰყვათ. ოქროს ყელი ჩაუდგეს მამისეულ ძვირფას სტვირს, სამივე მამა-შვილი განუწყვეტლივ მღეროდა ერისთავთა სადიდებელს, ახარებდნენ ურთიერთს, თავის ხალხს. ამ კლდესთან გამვლელ-გამომვლელი გაკვირვებული შედგებოდნენ, ჯერ არგაგონილი მუსიკის ტყვეობაში მოექცეოდნენ და ერისთავთა სასახლისაკენ პირშებრუნებულნი, ამ იშვიათი ღვთიური მოვლენისათვის მადლიერების ნიშნად, პირჯვარს გამოისახავდნენ. თავის მხრივ ერისთავები წყალობას არ აკლებდნენ ერა ბიჭის ოჯახს. ამღერებული კლდის ახალსახლობა შესტრუდა ლალ სიცოცხლეს. მაგრამ... იმ დროში ბედნიერება დიდხანს შერჩენია ვინმეს?

მოხდა უბედურება. არაბებმა გაარღვიეს ხიდიკრის კლდეკარი. სოფელ წესის მისასვლელში ქვის მსროლელი მანქანებით დაანგრიეს ნინიას ციხე (ამჟამად ნინიას ნაციხარი). სასახლისკენ რომ გასწიეს, ჯერ ერა ბიჭის სახლობას შეესივნენ. ვაჟუკაცი ერა, თავისი მუსიკალური ოჯახის ლირსების დაცვისათვის, უთანასწორო ბრძოლაში ჩაეპა. ეზო-კარის ვიწროში არაბს არაბზე აწვენდა. როდესაც მამაცი სიკვდილით დაეცა, ესლა მოასწრო ეყვირა: ბიჭებო, სტვირი გადამირჩინეთ!

ერას ძეთ გუდასტვირი ახალგაზრდა დედას ხურჯინით აჰკიდეს, თვითონ ხელხანჯლიანნი მხრებში ამოუდგნენ, სანამ მდევარი გონს მოვიდოდა, ლუხუნი გადაცურეს და ზემოთისაკენ, მამის მშობლიური სოფლისაკენ, მოკურცხლეს.

...ერთბრძენმა ყველა თანასოფლელს შეასწავლა სტვირი. იმ დასაბამიდან ფარახელი მესტვირეები სოფლიდან სოფელში დადიოდნენ, უმღეროდნენ ლირსეული ნინაპრების ვაჟუკაცურ შემართებას, სახელვან შრომას, გმირობას, მეგობრობას, ხოტბას ასხამდნენ უმანკოე-

ბას. ექსპრომტად გამოთქმული შაირებით ნასიამოვნები მსმენელები გასამრჯელოს ნატურით უბოძებდნენ ხოლმე სამაგიეროს (სალინაძე, ენუქიძე (2013)...

ამდენი სახელგანთქმული მესტვირისა და ლეგენდის გაცნობის შემდეგ ჩვენც გავყვეთ სტვირის ღულუნს და შევუერთდეთ ამბროლაურის ბაზრის სანახშირს იშვიათ სანახაობას: „თეატრალიზებული სანახაობის რეჟისორი ხალხი გახლდათ, ცხოვრებისეული ნათელი გონებით აგიზგიზებული. მოდიოდნენ გოგო-ბიჭები სხვავა-ფუტი-ეთიდან, წინუბნიდან, ჯავისიდან, სხარტალ-წკადისიდან, ურავ-ლიხ-ეთიდან, თხმორიდან და, ნამეტნივ, საწულუკიძეოდან. ავი თვალის არსახილველნი, მომღეროდნენ საამოდ. მუხლელი გაბრიელას სავაჭრო დუქნის წინ კობერიძის არლანი დილის საარზე გიწვევს. აგერ მესტვირეებიც ჩამობრძანებულან სევა-ფარახეთიდან. ღილინებს სტვირი მითაურუნს და მარად უბერებელ ჰანგს. ესტატე ცინცხალ შაირს აცხობს, ლუკიამ მასპინძლები ჩამოლოცა და ესტატეს შაირობაზე მიანიშნა, მანაც მოამზადა ჯერაც უთქმელი:

უფალმა ღმერთმა შეგარგოთ
თავთუხის ლუკმა-პურია,
იქნება ისიც მასწავლოთ,
ე გოგო სადაურია...

ხოტეველიაო, –

შეაშველეს:

ხოტეველი ქალის სახე
გედვიშალე, როცა ვნახე,
ცოლადაც ქვე გამოგყვება,
თუ დაუგე კარგად მახე.

ღიმილი სიცილში გადაიზარდა, სიცილი ტკრციალში... აგერ წესელი და კვაცხუთელი მომღერლები ჩაეჯიბრნენ ერთმანეთს. საორპირულოდ „ავთანდილ გადინადირა“ გაფერეს... ასწიეს დამწყებლებმა, ცის კიდურს შეაფრინდნენ პირველები ან როდის წაუფორხილებიათ ვასილას და დათიკოს, ისიკოს და კაკოს. გრიგოლიც

და სიმონიკაც პირველ ხმას პწყალში აძვრენენ, პწყალში კი არა ნემ-სის ყუნწში, ლომებივით ბუხუნებენ ივანიკა და რუბენა. მაყრულმა ცის კიდეს ფარჩის კოფთას გულისპირი შეუხსნა და ლაჟვარდებს გადააფინა მარადისობის საგალობელი. კრიხელი მებადური მოსარ-თავს უჭერს კალმახივით ახვათქუნებულ ულაყს:

ცხენს ამოვდებ ავშარასა,
გავუდგები ამ შარასა.

მებადურის ბადიდან გადმოფრინდა მოკანკარე ხმა, დამწყებს თანასოფლელები ამოუდგნენ მწედ, ინელებმა კრიხელებს წაუმღერეს და გაიჩარხა ორპირული, ისევ ჩამოდგა ჟამი აღმაფრენისა. საამო იყო საცქერლად ჩახვეულ-ჩაჩუქურთმებული რაჭული „ნაცვლია“, ლიხეთურ-ბარ-სამთისური „ოლრო-ჩოლრო“, მთვარიან ლამეებს გულ-ქანდასავით ჩამოკიდებული წკრიალა ხმები:

ჩაუკვირდი მაგასაო, ეგ გიყიდის კაბასაო,
კაბას როგორ დავაჯერებ, არ მოვაკლებ არასაო,
ცივ ნიავს არ გავაკარებ, ქალსა ამისთანასაო...

ახლა კი XIX-XX საუკუნეთა სანახშო-თეატრონებიდან დღე-ვანდელობაში გადმოვინაცვლოთ და კვაცხუთისაკენ მიმავალ გზას დავადგეთ. დადგა დრო დანაპირების შესრულებისა – გოგოლაძე-ნიკოლაშვილის ნაფუძარის ხილვისა. როსტომ გოგოლაძე მოუსვენარი კაცია, დაუდგრომელი, პოეტური ბუნების, ლექსის მწერალი... სადღაც გამუდმებით რეკავდა, ვიღაცებს უთანხმდებოდა, შეყრის ადგილს უთქვამდა. საიდუმლო ელფერის მიუხედავად, სტუმარ-მასპინძლის ეტიკეტს არც ერთი მხარე გავცდენივართ. დამთავრდა დასახლებული ქვემო კვაცხუთი (პირობითად) და დაიწყო ნასოფლარი: გავერანებული ეზო-ბალები, ჩაქცეული ნასახლარები, ნაბუხრალები, მიხვეულ-მოხვეულები, ციცაბო აღმართ-დაღმართები. ძმები გოგოლაძეები – როსტომი და ელიზბარი – ჩუმად არიან, მეგზურობის სურვილი აღარა აქვთ. გავიარეთ კვაცხუთის განთქმული წყარო,

რამდენიმე მიხვევ-მოხვევა და ნუკრიმ მანქანა ჭიშკრიანი, სახურავი-ანი, გადარჩენილი სახლის წინ გააჩერა. როსტომი სწრაფად ჩამოვ-იდა მანქანიდან, დაწინაურდა, ეზოში შეგვიძლვა და, დამხვდურთა გაცნობამდე თუ მისულთა წარდგენამდე, უცებ მოგვიტრიალდა და გვითხრა: გაიხედეთ, აი, იქ იყო ზიარყანის სანახშოო. ამის აღქმა ძლივს მოვასწარით და წინ შემოგებებული მასპინძელი გაგვაცნო – გიზო ჩიტალაძე – გეზელია. ახლალა მიგხვდით, სად მოვსულვართ და ვისთან მოვუყვანივართ – „ლეკვივით თანაშეზრდილ“ სიყრმის მეგობართან, რომელიც კვაცხუს დაპბრუნებია, ეზო-მიდამო გაუ-ცოცხლებია და კერიდან კვამლი ამოუშვია. დამხვედრთა შორის მერაბ ჩიტალაძე და ჯემალ მაჭანკალაძე ვიცანით, ორი – წარმო-სადეგი, იმპოზანტური გარეგნობის, ჭარმაგი ვაჟკაცი – ვერა. გაგ-ვაცვნეს: მომღერლები – ანგი იაშვილი (სარაიონო გუნდის წევრი) და ოთარ გელოვნიშვილი (ხიდიკრისა და სარაიონო ანსამბლების წევრი)... ოთარ გელოვნიშვილის ხსენებაზე ნანამ მყისიერად ჰქითხა: თქვენ ის ოთარი არ ბრძანდებით, მინდია უორდანიამ 1962 წელს კვაცხუთის ანსამბლთან რომ ჩაგნერათო? – დაუდასტურა, მე ვარო! გასაოცარია: ნახევარი საუკუნის შემდეგ ისევ ერთსა და იმავე რე-სპოდენტს ვხვდებით და ვიწერთ, თანაც სად – ისევ კვაცხუთში, ამჯერად გეზელიას სანახშოზე. გამახსენდა, ბატონი ოთარის მამას რუბენი რომ ერქვა, და ვკითხე: მამათქვენს ტროტუარზე მანქანა ხომ არ დასჯახებია-მეთქი? დიახო! – ნატროცეკისტალი, ნაფრონ-ტალი და ნატყვევარი ასე დაიღუპაო. მე ორი რუბენი, ორივე კვაცხ-უთელი, ორივე ერთნაირად დაღუპული, ერთმანეთში ამერია: რუბენ ნიკოლაშვილიც, – დათაშეა კავსაძის ტყვეთა გუნდის წევრი, ჯერ გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკს, შემდეგ კი საბჭოთა რეპრე-სიიბს გადარჩენილი, – უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა. ამაზე იტყვიან: ზღვას გადაურჩა და წვეთმა დაახრჩოო. უნებლიერ შეცდომამ სასიამოვნო მოგონება აღძრა – კვაცხუთის მიწაზე გავიხსენეთ ორი დიდებული კვაცხუთელი.

სანახშოს თავისი წესები აქვს. ყველანი უზარმაზარი, ტოტებ-შემოკალთული კაკლის ქვეშ მოვკალათდით. უხეშად დათლილი ფი-ცრებისაგან შექედილი მაგიდა და შუაზე გახეთქილი ნასაწნახელარი ჩინებულად ასრულებდა მაგიდა-სკამ-სავარძლის ფუნქციას, ზუს-

ტად ენივთებოდა გარემოს და, ნებსით თუ უნებლიერ, იმ დიდებული ჩვეულება-ტრადიციის მონაწილედ თუ არა, მაყურებლად მაინც გინვევდა, სანახშო რომ ერქვა.

შეფ-მზარეულობა მერაბ ჩიტალაძეს ეკისრა და ჩინებულადაც ასრულებდა, თუმცა უკვე ყველამ ვიცოდით: ეს არ იყო ქეიფისა და ბუნების წილში დროის სატარებლად გამლილი სუფრა (საყოველ-თაოდ ცნობილია: როსტომს ღრეობა არ უყვარს), უფრო ტრაპეზი იყო, გარდასულ კვაცხუთელთა მოსაგონარი და, „რაც ახლა აქ ხდებოდა“, როსტომ გოგოლაძის სურვილი და სანახშოს ეშხი მართავდა. სუფრას სანახშოები უსხდნენ – სიმღერაში სანახშოგამოვლილი და გამოწრთობილი, რაინდული ზნეობის, დახვეწილი სიტყვა-პასუხის, ქცევისა და სინდის-ნამუსის მატარებელი, სადაც „ვაჟად ვა-ჟაბდის და ქალად ქალაბდის“, სადაც ოთხმოცდაოთხი წლის ანგი იაშვილი ქართული ჯიშ-მოდგმის უკვდავებას გარწმუნებინებდა. სუფრის უფალი (როსტომ გოგოლაძე) არ მოჰყოლია ტრადიციულ სადღეგრძელოებს, საკმარისი ძალების მიუხედავად, არ შესრულებულა გამწევი რაჭულები და ორპირულები. იგრძნობოდა სანახშო-სეული სილაბუ-სიმსუბუქე, ბუნებრიობა და ძალდაუტანებლიბა. გეზელიას სანახშოს იმ დღეს ორი მთავარი მოქმედი პირი ჰყავდა – ოთარ გელოვნიშვილი და შალიკო ჯაფარიძე (შიგადაშიგ როსტომიც და სხვებიც). შალიკო ჯაფარიძე – რაჭის უკანასკნელი ერისთავის შამადავლეს შვილიშვილი, ნუცია ერისთავისა და ვარდენ ჯაფარიძის ვაჟი. ძმებიც ჰყოლია – დადეში და სუთი, ბიძა – სიმონ ჯაფარიძე. ნუცია – ფრანგულად მოუპარი ქალბატონი, რომლის უმდიდრესი ბიბლიოთეკით სარგებლობდა მთელი რაჭა. იავარიქმნა ერისთავ-ჯაფარიძეთა დიდი ოჯახი. როსტომ გოგოლაძეს უნდა ვუმადლოდეთ შალიკოს ორი ფოტოს გადარჩენას: დაქცეული ოჯახიდან ბოლოს კერა – ბუხარი – ნადგურდება. გაპარტახებული სახლის ბუხრის თავიდან აიღო როსტომმა მისი სურათები და ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გია ბერიშვილს ჩააბარა. სწორედ ამ სასწაულებრივად გადარჩენილ ფოტოებს ვთავაზობთ მკითხველს (სამ ფოტოზე რაომეს გარჩევა შეუძლებელი იყო).

პარემ სანახშოებიც ჩამოვთვალოთ ხმების მიხედვით: ოთარ გელოვნიშვილი – ძირითადად, დამწყები, ამბობს მაღალსაც და

ბანსაც; ანგი იაშვილი – ბანი; ელიზბარ გოგოლაძე – დამწყები და მალალი; როსტომი – ყველა ხმა; მერაბ ჩიტალაძე – მეორე ხმა, ბანი; გიზო ჩიტალაძე – ბანი; ჯემალ მაჭანკალაძე – ბანი. სანახშოს პირველი სიმღერა – რად გინდა ქალი ლამაზი – წყება ოთარ გელ-ოვნიშვილი, მოძახილი – ელიზბარ გოგოლაძე, დანარჩენი – ბანები. სულ სანახშოზე ოთხი სიმღერა შესრულდა: წუთისოფლის სტუმრები ვართ; ძმაო, რა სჯობდა ძმობასა; გოგოვ, გუშინ და გუშინწინ.

შალიკოზე მოგონებების დაწყებას როსტომი ბატონ ოთარს უთ-მობს, მასაც ბევრი აქვს მოსაყოლი, მაგრამ მასწავლებელს სდებს პატივს, ახსოვს: აკავანის გადასასვლელთან ოთარი და ნანია გუგ-ეშაშვილი დაგვსხამდნენ მე და გიზოს და სიმღერებს გვასწავლიდ-ნენ, ზოგჯერ გლახა სიმღერებსაც. ოთარის რეპლიკა: რაღა ცუდი გახსოვს?! სიმღერა, როგორც ლვინო, გლახა არც ერთი არ არის, ორივე ციგანმა და ოხერმა კაცმა დააგლახავა...

ოთარ გელოვნიშვილი – დედის ძუძუ სამი დღე მიწოვია მარტო,
– რა ვიცი, კურდღელი ვიყავი თუ რა!... მერე აქ რომ მსხალთაფლა
იდგა (გიზოს ზემოთ, მოსაზღვრედ, ცხოვრობდნენ გელოვნიშვილე-
ბი), იმის ჩირს ხარშავდნენ და იმითი გამომზარდეს. ერთ დღესაც
ვხედავ: მამაჩემს დაუჭერია ნაჯახი და ჭრის ამ ხეს, დავუყვირე: შე
ოჯახდასაქცევო, რას შვრები-მეთქი! – დაბერდა და უნდა მოვჭრაო.
– რას ამბობ, შე კაცო, მე მაგას დედას ვეძახი, ამან გამზარდა და შენ
ჭრიო?! ბარემ დედაჩემი მოგეეკლა-მეთქი!

მთელ ღამეს სანახშოზე ვატარებდით ქალი თუ კაცი, აქ ვისწავ-
ლეთ გლეხურად ყველაფერი. ჩემს მშობლებს განათლება არა, მა-
გრამ შინაგანი კულტურა ჰქონდათ და ჩვენც იმას გვინერგვადნენ,
განა მარტო სიმღერა იცოდნენ?! ყველანი ნამუსიან-სინდისიანები
იყვნენ, თან გვადნებოდნენ – ერთის დედა ყველას დედა იყო, ერთ-
მანეთის სახლებში გავიზარდეთ. არავინ გვეტყოდა: კმარა, გამოდით
გარეთო. ჩვენ თვითონ ვიცოდით შესვლის დროც და გამოსვლისაც!

შალიკო ჯაფარიძე – „ვარდენიჩი“ – და მე ვიყავით ერთმანე-
თზე აყოლილი და ერთად არ გვიშვებდნენ იმიტომ, რომ შინ ალარ
მოვდიოდით. შალიკოს ცოლი ლარისა ურავში სკოლის დირექტორად
მუშაობდა. ჩემი ცოლი ბოვში იყო, მარა როგორ ვერ მიხვდნენ –
რავა, თუ გვინდოდა, თავს ვერ მოვიყრიდით?!...

შალიკო ზემოთ ცხოვრობდა და, რო ჩამეივლიდა, დეინყებდა სმამალლა მისალმებას, ჩემ გასაგონად: – გამარჯობა თქვენი, რას შევებით, რავა ცხოვრობთ-ყე? თქვე დასაწყვეტებო, ადექით! დედა-ჩემი გარეთ საქონელს უვლიდა, მიესალმებოდა და გაივლიდა. ქვე-მოთ, კვირიკაურზე რომ წყალია, იქ იდგა და მელოდებოდა. თუ დამ-აგვიანდებოდა, მისაყვედურებდა: შე შობელძალლო, სადა ხარ ამდენი ხანიო!... მაღალი კაცი იყო, ის რომ ნაბიჯით მიდიოდა, მე სირბილით მივყვებოდი. მივივლ-მოვივლიდით და კვირიკაურზე ისევ დავცალკა-ვდებოდით... ხედავდნენ, რომ ერთად არ მოვდიოდით, მარა მაინც არ მოვდიოდით დროზე... მერე მიხვდნენ ჩვენს ეშმაკობას...

...სევარია ბიძად მეკუთვნოდა – მამიდაჩემ დარუხანას ქმარი იყო, ბაქოში მუშაობდა. შალიკო ჩადიოდა ბაქოში და იქ მცხოვრებ რაჭველებს ყველას უყვარდა. არ მუშაობდა, მარტო ქეიფობდა და 200 თუმანი ვალი წამოჰყვა იქიდან. მერე გაკულაკდა სევარია, ჩამოვიდა სოფელში და იფიქრა: იქნებ შალიკომ მაინც დამიბრუნოს ვალიო. ვერ დაიჭირა – ემალებოდა, ურავში მუშაობდა და, ისე მიდი-მოდი-ოდა, არ ენახვებოდა. სევარიამ შეუთვალა: მომიტანე ვალი, თვარა ყურებს მოგჭიო. ერთ დღეს მთვრალი ბრუნდება შინ, დაავიწყდა ვალი და უშიშრად მივიდა სახლის კარებში. ხედავს: მთელი სოფლის ქალები გამორბიან სევარიას სახლისკენ, ბოლო ქალს შეეკითხა, რა ხდებაო? – სევარია მოკვდაო! – რა გაგეხარდებოდაო, ბიჭო, ამაზე მეტიო!... შევყევი ამ ქალს და ცოლმა მომატირა: სევარია, სევარია, შენი მეგობარი შალიკო ჯაფარიძე მოვიდაო. სევარია თურმე ჯერ ცოცხალი ყოფილა, გაუხელია თვალი, თორმეტი კი უთქვამს და თუ-მანზე მივაჭირე ხელი და ქეც ამოძრა სულიო!... თამადა ვინ იქნებოდა შალიკოს მეტი? მაგისი ხმა აქედან ეყურებოდა გალმა გორს!... გასვენება, ორმოცი, წლისთავი... მაგრამ რო ვიქეიფე და ყველა რო გავუშვი, ხალათზე ვიღაც მექაჩება, შემოვბრუნდი და დარუხანა (დარიკო) იყო, მამიდაშენიო. – რაშია, დარიკო, საქმეო? – ჩემმა გაუბედურებულმა ქმარმა სიკვდილის წინ რო თორმეტი თუმანი ახ-სენა, რა იყოო? არ იცოდა ქალმა. შალიკოს უთქვამს: ნეტავი კი არ მოგკვდენოდა, თორე მაგი რა სალაპარაკოა, ქონდეთაო, ბოვშებს მოახმარეთაო – იქით დაადო მკვდარს ვალი!...

ერთი სიმღერა უყვარდა განსაკუთრებით: გოგო, გნახე ფეხ-

შიშველი, ახლაც ყურში მიდგას მისი ხმა – „დაგინახე ფერდობშია“ – ისეთ იმპროვიზაციას უკეთებდა... შალიკო რომ მღეროდა ან თამა-დობდა ამ გორიდან იმ გორაზე ზარივით ისმოდა. ეჱ, რა ჯიში და ჯილაგი გადაშენდა – ულამაზესები, ახოვნებიო, – ხშირად ტირილით იტყოდნენ ჩვენი დედები. თუნდაც სიმონ ჯაფარიძე – შალიკოს ბიძა. მისი ბიჭუნა ხანდახან გამოჩნდება ხოლმე.

როსტომი (ჰყვება ოთარზე) – ერთ დილაუთენია ბოსტანში ვარ – ვპარავ. გამოიარა ამან ლამაზად ჩაცმულმა, მოუგდია მაკინტოშის პლაში და მისეირნობს. – ვაიმე, შენ მოგიკვდა ჩემი თავი, ბარავო?! – შეიცხადა და გაიარა. შუადლეზე შევისვენე და სალამოს ისევ განვაგრძე ბარვა. გამოიარა, ხედავს, ისევ ვბარავ! – ბიჭო, ისევ აქანა ხარ, შენ მოგიკვდა ჩემი თავიო?! – შემომეყარა გულს... გათენდა მეორე დილა, მე ისევ ბოსტანს ვპარავ და ეს ისევ მოსეირნობს. – ბიჭო, მოგიკვდა ჩემი თავი, წუხელი აქანა იყავიო?! ე ბარი მოვისროლე ბალახებში, მოხვდა რკინის სვეტს და მოტყდა ტარი. მამაჩემი თურმე აივნიდან იყურება – რა გითხრა, მაგ შეჩვენებულმა ოთარამ, ასე რო გაგამნარაო!...

ქვემოთ, წყაროსთან, ერთი მოხუცი არჯევანიძე ცხოვრობდა, მისულფერებული იყო, აღარ ედგა სული პირში. ჩეიარა შალიკომ და, – გამარჯობა, ალისტო! – გაგიმარჯოს, ვარდენიჩ!... – რას შობი, რაფერ ხარო? – ეჱ, მე ქე მოვჭამე ჩემიო! – ჰოდა, ახლა, მე მომჭამეო!... ამევიარეთ და მკვდარი არ დაგვხვდაო?! ნებისმიერ ოჯახში შედიოდა, პურ-მარილს გააშლევინებდა... – ესენი ორი ამდენი იქნებოდნენ, უშვილო რო არ ვიყო, ამათ ყველას ცოლებთან დავდივა-რო... არავის სწყინდა მისი ხუმრობა.

ანგი იაშვილმა სანახშოელებს ქართველი ვაჟკაცების ხსოვნისა შესთავაზა. უსიტყვოდ დალიეს.

როსტომი – ანსამბლის ძველ წევრებს სურათები რო მოვთხოვეთ, გადაირივნენ – რად გინდათ სურათიო?!

მერაბ ჩიტალაძე – ალბათ, იფიქრეს – ვკვდებით და ქვაზე დასახატად თუ უნდათო! აბა, რავარია, კაცი რო ცუდად არი და ძლივს დგება ფეხზე, იმას რო სურათს მოსთხოვ, რას იფიქრებს!...

გიზო ჩიტალაძე – მე და როსტომა ცელქები ვიყავით, კაი ვე-ნახი სადაც იყო, იქ გადავიპარებოდით ყურძნის საჭმელად. ექვთიმე მეველე იყო, ჩვენ – ქურდები! ერთ მთვარიან ლამეს კინოდან მოვ-

დიოდით და ნესტორას ვენახში გადავედით, „ვიფურჩქნებით“ და ამ დროს ცუცო არ იძახის?! – ექვთიმე, ექვთიმე, ნესტორას ვენახში ვიღაცები არიან – ორნიო! გამიკვირდა: ამ შუალამისას, საიდან დაგვინახა-მეთქი! მეველემ მაინც ვერ მოგვისწრო – გავიქეცით...

ოთარ გელოვნიშვილი – პატინიახურებს ვეძახით – იქ კარგი ყურძენი იცოდა, ჭორფლიანი... კარგად რომ ნამოვიდოდა მთვარე, წავიდოდით. ერთი ქალი იყო, ჩვენი მეგობრის დედა; რავარც მივიდოდით იქ, მაშინვე დაუძახებდა თავის შვილს – წანიაააა! – და ბრიგადირით დაწყებული ყველამ იცოდა, რომ ჩვენ ვიყავით ვენახში... არ დამიძახო, დედაჩემოო, – ეუბნებოდა, მაგრამ ის მაინც ეძახდა.

ელიზბარ გოგოლაძე – იმ გორაზე ერთმა კაცმა ვენახი დატოვა – ქვევით ჩაესახლა. გოგონები სანახშირზე ისხდნენ აქეთ, ჩვენ სამწი – მე, როსტომი და წანია – გავიპარებოდით, გევიდოდით ვენახებში და გავდებოდით ყურძნით. გადაღმა სოფლტექნიკას რადიო ედგა და იმხელა ხმა ჰქონდა, მთელ სოფლებს ესმოდა. ყურძნით „მთვრალები“ შემოვკიდებდით სიმღერას, მეველე კიდევ იტყოდა: ე, უყურე, სოფლტექნიკის რადიოს ხმა საიდან მოდისო!... როსტომი ისეთი მოხერხებული იყო, ვენახში უკუსვლით შედიოდა! ერთხელაც ასე ჩასულა, მოუკრეფია ყურძენი და ისევე გამოსულა. მეველე ამბობდა: – ისამე, ეს ამოსულია კი, მარა ჩასული საიდანაა? დესანტები ჩამოუსხამთ ვენახშიონ?! – და ვერ პოულობდა...

მართალია, მაცნე არსაიდან მოსულა და, სანახშოს წესისამებრ, არავის დაუძახია, – ძილის დროა, დაიშალეთო, – მაგრამ თავად მიცხვდით: გეზელიას სანახშოს თავყრილობა კვაცხუთის თავში გოგოლაძეთა ნაფუძვრის მონახულებით უნდა დაგვესრულებინა. მაისის მზე აცხუნებდა. შევუდექით დამლელ აღმართს, ხელმარჯვნივ გავუარეთ ოთარ გელოვნიშვილისა და შალიკო ჯაფარიძის ნაბუდართ, ხელმარცხნივ ჩამოვიტოვეთ ზიარყანის ჩაქცეულ-გაპარტახებული სანახშო (უზარმაზარი ლოდები – ბუნებრივი ამფითეატრი – კიდევ გაირჩეოდა). როსტომი ისე მიდიოდა, მინაზე ფქს არ აკარებდა. გახარებულ-აღფრთოვანებული კვაცხუთის ყველაზე მაღალ, ფრიალო კლდეზე აცოცდა და, მადლობა ღმერთს, უკან მშვიდობით ჩამოვიდა... გაშლილ, სასიამოვნო ადგილს მივადექით. არაფერი გადარჩენილიყო, მაგრამ მაინც იგრძნობოდა, რომ აქ ერთ დროს კაცი სახლობდა – თაზიკის შთამომავალი – ექვთიმე გოგო-

ლაპე და მისი დიდი ოჯახი. შეუთანხმებლად, წუთიერი დუმილით, პატივი მივაგეთ გოგოლაძეების, ნიკოლაშვილების, ბიჭაშვილების, საგანელიძეების, მკერვალიშვილების, ჯაფარიძეების, კანთელაძეების ხსოვნას. ასე გვეგონა, ისინი ზემოდან დაგვცექოდნენ და უზომოდ ხარობდა მათი სულები. ერთმა ძმამ უკვთიმური წამოიწყო, მეორემ – მოსძახა, აგუგუნდნენ ბანები და იმ დღეს კვაცხუთში ქვა მართლაც მღეროდა: მრავალუამიერ, შე ოჯახაშენებულო!!!

შენება, მშვიდობა, ბედნიერება დაბედებოდეს მთელ საქართველოს, ლვთის ძალა და მადლი, სანახმოს ეში არ მოკლებოდეს რაჭასა და რაჭველებს, გოგოლაძეთა ჯიშსა და მოდგმას, მრავალუამიერ ქართულ სიმღერას, ამენ!

კვაცხუთი, 2014

16 ვარდობისა




გეზელიას სანახოელები: ოთარ გელოვნიშვილი,
ანგი იაშვილი, როსტომ გოგოლაძე.



როსტომ გოგოლაძე და გეზელია – გიზო ჩიტალაძე.




შალიევ ჯაფარიძე (რაჭის უკანასკნელი მთავრის ქალიშვილის – ნუცია ერისთავისა და ვარდენ ჯაფარიძის ვაჟი).



აველი ნიკოლაშვილი და
შალიკო ჯაფარიძე.



შალიკო ჯაფარიძე



როსტომ გოგოლაძე ზაქარია ერაძისეული სტვირით
(ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი).



უჩა ჯაფარიძის ლუკია მესტვირე (ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი).



ზაქარია ერაძის გუდასტვირი
(ონის მხარეთმცოდნეობის
მუზეუმი).



რაჭული ორსიმიანი ჭიანური
(ონის მხარეთმცოდნეობის
მუზეუმი).



დაირათა კოლექცია
(ონის მხარეთმცოდნეობის
მუზეუმი).



ქართული გარმონი (ონის
მხარეთმცოდნეობის მუზეუმი).



ვინ უწყის რამდენი სიმღერა თქმულა გოგოლაძეთა ეზოში ამ ხის ქვეშ...



ძმები ელიზბარ და როსტომ გოგოლაძები მამა-პაპათა ნაფუძარზე.

გამოყენებული ლიტერატურა

წიგნები, ნაშრომები:

1. აბაშიძე, ირაკლი. (მთ. რედაქტორი). ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. (1975–1987). I–XI ტ. თბილისი: ქსე მთავარი სამეცნიერო რედაქცია.
2. არაყიშვილი, დიმიტრი. (1950). რაჭული ხალხური სიმღერები. თბილისი: ხელოვნება.
3. ასლანიშვილი, შალვა. (1950). ზემო და მთის რაჭის სიმღერები (ხელნაწერი). დაცულია საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში.
4. ბერაძე, თამაზ. (1964). რაჭა. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
5. გაბისონია, თამაზ და მესხი, თამარ (შემდგ.). (2005). ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება. სახელმძღვანელო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის სტუდენტთათვის. თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი.
6. გარაყანიძე, ედოშერ. (2007). ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობა. თბილისი: ინტელექტი.
7. გარაყანიძე, ედიშერ. (2011). ქართული მუსიკალური დიალექტები და მათი ურთიერთმიმართება. თბილისი: საქართველოს მაცნე.
8. მახალდიანი, სოსო. (1998). კრებული: ცხოვრება კაცისა. ამბროლაური.
9. სალინაძე, გულნარა და ენუქიძე, ტანია. (2013). ქვემო რაჭალეგნდებსა და სინამდვილები. ამბროლაური.
10. სხირტლაძე, უორა. (2011). ლექსები, მოგონებები. ამბროლაური.
11. ჯაფარიძე, ლადო. (2007). მოგონებები, ჩანაწერები. თბილისი: ნაკადული.
12. ხუჭუა, პავლე. (1980). დიმიტრი არაყიშვილი (მონოგრაფია). თბილისი: ხელოვნება.
13. Аракчиев, Дмитрий. (1916). Грузинское Народное Музыкальное Творчество (Народная песня Восточной Грузии). Оттиски из V т. «Трудов Музыкально-Этнографической Комиссии» (МЭК) при Московском университете. Москва: Типография Г. Лисснера и Д. Собко.

14. Аракчиев, Дмитрий. (1908). *Народная песня Западной Грузии* (Имеретии) Труды МЕК, II т. Москва. Оттиски из II т. «Трудов Музыкально-Этнографической Комиссии» (МЭК) при Московском университете. Москва: Т-во Скоропеч. А.А. Левенсон.

საგაზეთო წერილები:

1. გაგნიძე, ლალი. (1993). ამარანტების სანახშო. გაზეთში: რაეო. №07–08:13.

2. გაგნიძე, თინა. (2015). რიონი – მდინარე ღვთაება. სრულიად საქართველოს გაზეთში: რაეო. №01:19.

3. გობეჯაშვილი, ვაჟა. (1998). ვინ იყვნენ ამარანტები? გაზეთში: რაეო. №41–42:15

4. გუგეშაშვილი, სოფიკო. (1990). ინტერრამპის ქართული ოაზის. ამბროლაურის მოამბე. №130:21-22.

5. ვაჩაძე, გურამ. (1990). ამროლაურის სახალხო თეატრის დიდი გამარჯვება საერთაშორისო ფესტივალზე. გაზეთში: ამბროლაურის მოამბე. №129:14-15.

6. ოჩიაური, თინა. (1981). ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში. №2:30-31.

7. სხირტლაძე, გიგა. (1999–2001). დღეგუშინდელი. გაზეთში: რაეო.

8. ქაფიანიძე, ზურაბ. (1993). სანახშო. გაზეთში: რაეო. №06:23.

9. ცანავა, მანანა. (1998). საგალობელი 25 წლისაა. გაზეთში: რაეო. №5-19:18-19.

პერიოდიკა:

1. ამბროლაურის მოამბე. 1990–1993 წწ.

2. კომუნიზმის დროშა. 1972–1989 წწ.

3. რაეო. რაჭა-ლეჩუმი-ქვემო სვანეთი. 1991–2005 წწ.

აუდიოდისკი:

საგალობელი. (2011). ვალიშვილი, ნანა და პატარიძე, უჩა (შემდგ.). არჩილ ბურჯულაძე (ხმის რეჟისორი). საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი.

აუდიოდანართის ნუსხა

1. ასლანური მრავალუამიერი (სუფრული) 2:53
მერაბ ჩიტალაძე (შუა ხმა), შამშე ჩიტალაძე (მაღალი ხმა)
2. მუშური (შრომის) 3:22
 - I გუნდი – მერაბ ჩიტალაძე (შუა ხმა), შამშე ჩიტალაძე (მაღალი ხმა)
 - II გუნდი – დავით მაისაშვილი (შუა ხმა), დავით ნატმელაძე (მაღალი ხმა)
3. ჯამათა (საფერხულო) 3:27
 - I გუნდი – მერაბ ჩიტალაძე (შუა ხმა), შამშე ჩიტალაძე (მაღალი ხმა)
 - II გუნდი – დავით მაისაშვილი (შუა ხმა), დავით ნატმელაძე (მაღალი ხმა)
4. სანადიმო (სუფრული) 1:56
დავით ნატმელაძე (მაღალი ხმა), მერაბ ჩიტალაძე (შუა ხმა)
5. ალილო (საშობაო) 3:33
დავით ნატმელაძე (მაღალი ხმა), როსტომ გოგოლაძე (შუახმა)
6. ლიხეთური მაყრული (საქორწილო) 2:59
 - I გუნდი – მერაბ ჩიტალაძე (შუა ხმა), შამშე ჩიტალაძე (მაღალი ხმა)
 - II გუნდი – დავით მაისაშვილი (შუა ხმა), დავით ნატმელაძე (მაღალი ხმა)
7. ჩვენი მასპინძლის მარანში (სუფრული) 2:38
მერაბ ჩიტალაძე (შუა ხმა), შამშე ჩიტალაძე (მაღალი ხმა)
8. ოსიე (საფერხულო) 2:02
 - I გუნდი – მერაბ ჩიტალაძე (შუა ხმა), შამშე ჩიტალაძე (მაღალი ხმა)
 - II გუნდი – დავით მაისაშვილი (შუა ხმა), დავით ნატმელაძე (მაღალი ხმა)

9. გამხიარულდი ბუხარო (სუფრული) 2:23
I გუნდი – მერაბ ჩიტალაძე (შუა ხმა), შამშე ჩიტალაძე (მაღალი ხმა)
II გუნდი – დავით მაისაშვილი (შუა ხმა), დავით ნატმელაძე (მაღალი ხმა)
10. ექვთიმური მრავალუმიერი (სუფრული) 1:36
მერაბ ჩიტალაძე (შუა ხმა), დავით ნატმელაძე (მაღალი ხმა)
11. მაღლა მთას მოდგა (საფერხულო) 2:15
I გუნდი – მერაბ ჩიტალაძე (შუა ხმა), შამშე ჩიტალაძე (მაღალი ხმა)
II გუნდი – დავით მაისაშვილი (შუა ხმა), დავით ნატმელაძე (მაღალი ხმა)
12. მაყრული (საქორნილო) 2:02
I გუნდი – მერაბ ჩიტალაძე (შუა ხმა), შამშე ჩიტალაძე (მაღალი ხმა)
II გუნდი – დავით მაისაშვილი (შუა ხმა), დავით ნატმელაძე (მაღალი ხმა)
13. დალიე (სუფრული) 3:03
I გუნდი – შამშე ჩიტალაძე (მაღალი ხმა), მერაბ ჩიტალაძე (შუა ხმა)
II გუნდი – დავით ნატმელაძე (მაღალი ხმა), დავით მაისაშვილი (შუა ხმა)
14. ქალგული (შრომის) 3:12
I გუნდი – მერაბ ჩიტალაძე (შუა ხმა), შამშე ჩიტალაძე (მაღალი ხმა)
II გუნდი – დავით მაისაშვილი (შუა ხმა), დავით ნატმელაძე (მაღალი ხმა)
15. ზემორაჭული მაყრული (საქორნილო) 2:32
I გუნდი – მერაბ ჩიტალაძე (შუა ხმა), შამშე ჩიტალაძე (მაღალი ხმა)
II გუნდი – დავით მაისაშვილი (შუა ხმა), დავით ნატმელაძე (მაღალი ხმა)
16. მახალდიანების მრავალუამიერი (სუფრული) 1:18
დავით ნატმელაძე (მაღალი ხმა), მერაბ ჩიტალაძე (შუა ხმა)
სოლისტები: ლევან მახალდიანი, როსტომ გოგოლაძე, მერაბ ჩიტალაძე

17. የቃይልიაው (ሽርወሙስ) 1:56

- I გუნდი – მერაბ ჩიტალაძე (შუა ხმა), შამშე ჩიტალაძე (მაღალი ხმა)
II გუნდი – დავით მაისაშვილი (შუა ხმა), დავით ნატმელაძე (მაღალი ხმა)

18. ქრისტეს ფერხული (სააღდგომო ფერხული) 2:03

- I გუნდი – მერაბ ჩიტალაძე (შუა ხმა), შამშე ჩიტალაძე (მაღალი ხმა)
 - II გუნდი – დავით მაისაშვილი (შუა ხმა), დავით ნატმელაძე (მაღალი ხმა)

ბანები:

- I გუნდი: ლევან მახალდაინი, ვლადიმერ ჯოხაძე, სოსო გენაძე, ვლადიმერ გოგოლაძე, ვეფხია გვიშიანი, თეიმურაზ გოცირიძე, ბექა ჭელიძე (ბანები)

II გუნდი: როსტომ გოგოლაძე, ჯემალ მაჭანკალაძე, ემირ ისაკაძე, ლევან გოცირიძე, ამირან გოგიჩაიშვილი, შოთა ცხვედიანი, დავით სხირტლაძე (ბანები)

List of songs:

1. Aslanuri Mravalzhamieri (Table song) 2:53
Merab Chitaladze (middle voice), Shamshe Chitaladze (top voice)
2. Mushuri (Work song) 3:22
I choir: Merab Chitaladze (middle voice), Shamshe Chitaladze (top voice)
II choir: Davit Maisashvili (middle voice), Davit Natmeladze (top voice)
3. Jamata (Round-dance song) 3:27
I choir: Merab Chitaladze (middle voice), Shamshe Chitaladze (top voice)
II choir: Davit Maisashvili (middle voice), Davit Natmeladze (top voice)
4. Sanadimo (Table song) 1:56
Davit Natmeladze (top voice), Merab Chitaladze (middle voice)
5. Alilo (Christmas song) 3:33
Davit Natmeladze (top voice), Rostom Gogoladze (middle voice)
6. Likheturi Maqruli (Wedding song) 2:59
I choir: Merab Chitaladze (middle voice), Shamshe Chitaladze (top voice)
II choir: Davit Maisashvili (middle voice), Davit Natmeladze (top voice)
7. Chveni Maspindzlis Maranshi (Table song) 2:38
Merab Chitaladze (middle voice), Shamshe Chitaladze (top voice)
8. Osie (Round-dance song) 2:02
I choir: Merab Chitaladze (middle voice), Shamshe Chitaladze (top voice)
II choir: Davit Maisashvili (middle voice), Davit Natmeladze (top voice)
9. Gamkhiaruldi Bukharo (Table song) 2:23
I choir: Merab Chitaladze (middle voice), Shamshe Chitaladze (top voice)
II choir: Davit Maisashvili (middle voice), Davit Natmeladze (top voice)
10. Ekvitimuri Mravalzhamieri (Table song) 1:36
Merab Chitaladze (middle voice), Davit Natmeladze (top voice)

11. Maghla Mtas Modga (Round-dance song) 2:15
I choir: Merab Chitaladze (middle voice), Shamshe Chitaladze (top voice)
II choir: Davit Maisashvili (middle voice), Davit Natmeladze (top voice)
12. Maqruli (Wedding song) 2:02
I choir: Merab Chitaladze (middle voice), Shamshe Chitaladze (top voice)
II choir: Davit Maisashvili (middle voice), Davit Natmeladze (top voice)
13. Dalie (Table song) 3:03
I choir: Shamshe Chitaladze (top voice), Merab Chitaladze (middle voice)
II choir: Davit Natmeladze (top voice), Davit Maisashvili (middle voice)
14. Kalguli (Work song) 3:12
I choir: Merab Chitaladze (middle voice), Shamshe Chitaladze (top voice)
II choir: Davit Maisashvili (middle voice), Davit Natmeladze (top voice)
15. Zemorachuli Maqruli (Wedding song) 2:32
I choir: Merab Chitaladze (middle voice), Shamshe Chitaladze (top voice)
II choir: Davit Maisashvili (middle voice), Davit Natmeladze (top voice)
16. Makhaldianebis Mravalzhamieri (Table song) 1:18
Davit Natmeladze (top voice), Merab Chitaladze (middle voice)
solo: Levan Makhaldiani, Rostom Gogoladze, Merab Chitaladze
17. Odeliao (Work song) 1:56
I choir: Merab Chitaladze (middle voice), Shamshe Chitaladze (top voice)
II choir: Davit Maisashvili (middle voice), Davit Natmeladze (top voice)
18. Kristes Perkhuli (Easter round-dance song) 2:03
I choir: Merab Chitaladze (middle voice), Shamshe Chitaladze (top voice)
II choir: Davit Maisashvili (middle voice), Davit Natmeladze (top voice)

Basses:

I choir: Levan Makhaldiani, Vladimer Jokhadze, Soso Getsadze, Vladimer Gogoladze, Vepkhia Gvishiani, Teimuraz Gotsiridze, Beka Chelidze (basses)
II choir: Rostom Gogoladze, Jemal Machankaladze, Emir Isakadze, Levan Got-
siridze, Amiran Gogichaishvili, Shota Tskhvediani, Davit Skhirtladze (basses)

Summary

The Georgian Chant Foundation's publication series, "Merited Masters of Georgian Song", is devoted to the renowned choirmasters and singers who have been recognized by the foundation. The fourth book is already being published within the series.

The current publication is devoted to Mr. Rostom Gogoladze, head of the "Sagalobeli" chorus, an incomparable expert of Rachan songs who was awarded the honorary rank of "Merited Master of Georgian Song" by the foundation in June 11, 2013, for his contribution in the restoration and popularization of Rachan songs.

Rachan song is one of the exceptional and independent dialectical components of Georgian folk music. According to scholars such as Edisher Garakanidze, it is deemed to be an intermediate dialect between oriental and western dialects that is caused by the lifestyle of Rachans and with consideration of the geographical location of Racha: Rachans often had to travel to different parts of Georgia, or sometimes even abroad, for work. This has promoted incorporating characteristics of different dialects into Rachan folk music. Thus, in Racha, songs from different ethnographic regions of Georgia are widespread alongside purely Rachan ones. In no other region are the songs of diverse parts of Georgia so well-known and performed. Some scholars have noticed major similarities with Svans (Edisher Garakanidze), others (Dimitri Arakishvili, Shalva Aslanishvili) – with Kartlian-Kakhetians.

Most Rachan songs are three part. As they say in Racha, these are complex songs and performing them requires huge strength and energy. Alongside other factors, this could be the reason the songs have been gradually lost. Beginning from the 60s and 70s of the past century, pure Rachan song was in danger of extinction. The mission of rescuing and restoring them was taken by choirmaster Rostom Gogoladze and the "Sagalobeli" chorus. The choirmaster, together with his like-minded supporters, brought back to life 12 Rachan songs and introduced them into the regular repertoire of the chorus. At present, "Sagalobeli" performs about 40 Rachan songs. Thanks to this accomplishment, Rostom Gogoladze was rewarded with the honorable rank of "Merited Master of Georgian Song" and this book has been devoted to him.

The work also includes biographies and memoirs of the members of the folk group. Predecessors of Rostom Gogoladze and other masters of Rachan songs are not ignored either. Voluminous and interesting information is presented about the common Rachan musical instrument named the "Gudastviri" and its pipers.

Special attention is devoted to the phenomenon of the "Sanakhsho" – an open-sky place of entertainment, singing and dancing in the villages of Racha. All famous Rachan singers, including Rostom Gogoladze, made their first steps on the "Sanakhsho".

A rich collection of photos and documentary material, as well as an audio-album of restored Rachan songs – 24 Rachan folk songs performed by "Sagalobeli" – is attached to the monograph.

2016 is an important anniversary for the choirmaster and for the chorus: Rostom Gogoladze is turning 70, and "Sagalobeli" 45 years old.

We hope that foreigners – researchers of Georgian musical folklore, specialists, performers and fans – will find the work interesting and that it will contribute to the immortality and popularization of Rachan song.